

განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების
პროექტი „ილია ჭავჭავაძის“ შეფასება

აგვისტო 2007

| | |
|---------------------------|-------------------------------|
| მარკ შაპირო | ჯგუფის ხელმძღვანელი |
| შირო ნაკატა | პროექტის ოფიცერი |
| ლელა ჩახაია | კვლევის კოორდინატორი |
| ეკა ჟვანია | კვლევის კოორდინატორი |
| გიორგი ბაბუნაშვილი | მთავარი ასოცირებული მკვლევარი |
| ნინო ფრუიძე | ასოცირებული მკვლევარი |
| მედეა ცხომელიძე | ასოცირებული მკვლევარი |

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|---|----|
| შემაჯავებელი მიმოხილვა | 7 |
| ა-10 სასწავლო გარემოს რეფორმა | 8 |
| კვლევის სხვა მნიშვნელოვანი შედეგები სასწავლო გარემოს შესახებ: | 10 |
| ძირითადი მიგნებები სკოლების სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებით | 13 |
| ა-20 რეფორმები მართვისა და ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის | 15 |
| ძირითადი მიღწევები მართვის, ფინანსური შესაძლებლობების და ინფორმაციის მართვის საკითხებში მდგომარეობის შემდეგში: | 16 |
| ა-30 რეკომენდაციები შემდგომი კვლევისათვის | 22 |
| 10 შესავალი და წინაპირობა | |
| 11 შესავალი ²³ | |
| 12 ანგარიშის სტრუქტურა | 24 |
| 13 სასწავლო გარემო | 24 |
| 13.1 სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება | 24 |
| 13.2 სასკოლო ქსელი | 25 |
| 13.3 ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგები | 26 |
| 13.4 დამხმარე სასწავლო მასალების გამოყენება | 27 |
| 13.5 პროექტ „ირმის ნახტომის“ ტრენინგ-პროგრამა | 28 |
| 14 მართვა და ფინანსები | |
| 14.1 დეცენტრალიზაცია და მართვა | 29 |
| 14.2 გაუჩერებელი დაფინანსების ფორმულა | 30 |
| 14.3 მასწავლებელთა სახელფასო ანგარიშწორების ახალი სქემა | 30 |
| 14.4 ოპტიმიზაცია | 30 |
| 2.0 კვლევის ფორმატი და სტრუქტურა | 32 |
| 2.3 შერჩევა | 35 |
| 2.4 განხილული კატეგორიები, ინდექსების შემუშავება და კომენტარები კითხვარებზე | 35 |
| 2.5 მონაცემთა ბაზების აღწერილობა | 36 |
| 2.5.1 სკოლების შემთხვევით შერჩევითი მოდელის აღწერილობა | 36 |
| 2.5.2 რესპოდენტი მასწავლებლების შერჩევითი მოდელის აღწერილობა | 37 |
| 2.6 კვლევის მასშტაბები | 39 |

| | |
|---|-----|
| 3.0 შედეგები: სასწავლო გარემო | 40 |
| 3.1 ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩო, სახელმწიფო მიზნები და შედეგები | 40 |
| 3.2 მასწავლებლების ტრენინგები და პროფესიული განვითარება | 46 |
| 3.2.2 მასწავლებლების დამოკიდებულება სწავლების ახალი მეთოდების მიმართ და მათი გამოყენება | 53 |
| 3.2.2 რესპოდენტების მზაობა და დამოკიდებულება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართ | 76 |
| 3.2.5. შეფასება | 98 |
| 3.2.5.1 შეფასების სისტემა | 98 |
| 3.2.5.2 განმავითარებელი და შემადგამებელი შეფასება | 99 |
| 3.2.6. საპილოტე და საიმპლემენტაციო მოდელები | 104 |
| 3.2.7. სწავლების მეთოდების გარდაქმნის მხარდაჭერა | 105 |
| 3.2.8. მასწავლებელთა ტრენინგი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებში | 112 |
| 3.2.9. დასკვნები: მასწავლებლების ტრენინგი, პროფესიული განვითარება, ახალი სასწავლო გეგმა, შეფასება | 119 |
| 3.3. სასწავლო და დამატებითი მასალების მიწოდება, სოციალური და ფიზიკური სასწავლო გარემო | 121 |
| 3.3.1 კლასგარეშე ღონისძიებები | 121 |
| 3.3.2. სწავლის ხელისშემშლელი პირობები | 122 |
| 3.3.3. სკოლა, საკლასო მასალები და სასწავლო გარემო | 131 |
| 3.3.4. სასწავლო და დამატებითი მასალები, სკოლის ფიზიკური და სოციალური გარემო: დასკვნები | 168 |
| 4.0 შედეგები: | 170 |
| მმართველობის ეფექტურობა და ფინანსები | 170 |
| 4.1 დეცენტრალიზაცია და მმართველობა | |
| 4.1.1 ზოგადი მიდგომა სკოლის ავტონომიისადმი | 170 |
| 4.1.2 სკოლებისა და დირექტორების შესაძლებლობები დეცენტრალიზებულ გარემოში | 171 |
| 4.1.3 დირექტორის არჩევნების სისტემა | 174 |
| 4.1.4 სამეურვეო საბჭოების ეფექტურობა და აქტიურობა | 175 |
| 4.1.5 მშობლების მონაწილეობა სკოლის მართვასა და სწავლის პროცესში | 179 |
| 4.1.6 საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინსტიტუციონალური უფლებამოსილება | 180 |
| 4.1.7 სკოლის შესაძლებლობები ბიუჯეტის შედგენის სფეროში | 183 |
| 4.1.8 დეცენტრალიზაცია და მართვა: დასკვნები | 185 |
| 4.2 ვაუჩერული დაფინანსება და სკოლის ფინანსური მდგომარეობა | 186 |
| 4.2.1 ვაუჩერული დაფინანსება და სკოლების ფინანსური მდგომარეობა. დასკვნები | 189 |

| | |
|--|-----|
| 4.3 მასწავლებლების ახალი ანაზღაურების სქემის ეფექტურობა | 189 |
| 4.3.1 მასწავლებელთა მოსაზრებები ანაზღაურების ახალ სისტემასთან დაკავშირებით | 190 |
| 4.3.2 მასწავლებელთა სახელფასო დონის შედარება სხვადასხვა ტიპის სკოლებს შორის, რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ | 190 |
| 4.3.3 წახალისების სქემა | 291 |
| 4.3.5 მასწავლებელთა კადრების გადინების ტენდენცია | 192 |
| 4.3.6 მასწავლებლის ახალი ანაზღაურების სქემის ეფექტურობა. დასკვნები | 192 |
| 4.4 სკოლების ოპტიმიზაცია | 192 |
| 4.4.1 შრომითი, ფიზიკური და ფინანსური რესურსების კონსოლიდაციის გავლენა | 193 |
| 4.4.2 კონსოლიდაციის გავლენა მოსწავლეების სწავლაზე სასწავლო შესაძლებლობებსა და რეგისტრაციაზე | 195 |
| 4.4.3 მხარეთა მიერ დასახელებული ძირითადი პრობლემები | 197 |
| 4.4.4 დირექტორთა მოსაზრებები ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით | 197 |
| 4.4.5 სკოლის ოპტიმიზაცია: დასკვნები | 198 |
| | |
| 5. დასკვნები და რეკომენდაციები | 199 |
| 5.1 სასწავლო გარემო | |
| 5.1.1 მასწავლებლების ტრენინგები. დასკვნები და რეკომენდაციები | 199 |
| 5.1.2 ახალი სასწავლო გეგმა: დასკვნები და რეკომენდაციები | 203 |
| 5.1.3 მუდმივი ცვლილების მხარდაჭერის სისტემა: დასკვნები და რეკომენდაციები | 204 |
| 5.1.4 შეფასება. დასკვნები და რეკომენდაციები | 204 |
| 5.2 მართვა და ფინანსები. ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები | 210 |
| 5.2.1 მართვა და ფინანსები. დასკვნები და რეკომენდაციები სამეურვეო საბჭოსა და დირექტორების ტრენინგების შესახებ | 214 |
| 5.3. რეკომენდაციები დამატებითი კვლევისთვის | |
| 5.3.1 დამატებითი კვლევის სფეროები | 216 |
| 5.3.2. დამატებითი მონაცემების საჭიროება | 220 |
| | |
| დანართები | 221 |
| დანართი ა: შერჩევის მეთოდოლოგია | 221 |
| ა.1 საწყისი შერჩევის მეთოდოლოგია | 221 |
| ა.2 მეორე ეტაპი | 221 |
| ა.3. შერჩევის მესამე ეტაპი | 222 |
| დანართი ბ: მონაცემები მასწავლებელთა კითხვარზე 1 | 223 |

შემაჯავებელი მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (შემდგომში, სამინისტრო) განახორციელა ძირეული სისტემური რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მართვისა და ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესებას და სწავლების და სწავლის ეფექტური სისტემის შექმნას. განხორციელების მასშტაბებსა და ვადებს თუ გათვალისწინებთ, რეფორმა უპრეცედენტოდ შეიძლება ჩაითვალოს. სასკოლო რეფორმის მიზნებიდან გამომდინარე და წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავდა ზოგადი განათლების რეფორმის მიმართულებებისა და პრინციპების შეფასების სტრუქტურა. შეფასების შედეგად გამოვლინდა, ერთი მხრივ, რეფორმის საწყის ეტაპზე მიღწეული წარმატებები და, მეორე მხრივ, რეფორმის პროცესისათვის დამახასიათებელი პრობლემური საკითხები. აღმოჩნდა, რომ სასურველი შედეგების მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. რეფორმის სასურველ შედეგს წარმოადგენს საერთაშორისო საბაზრო პირობებში მომავალი თაობის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უწყვეტი ზრდა.

მსოფლიო ბანკის და სამინისტროს მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი „ილია ჭავჭავაძე“ გაბედულ ნაბიჯებს დგამს მასშტაბური რეფორმების განსახორციელებლად. სამომავლო საქმიანობა იგეგმება საერთაშორისო გამოცდილებისა და გარე ექსპერტების შეფასების ანგარიშების გათვალისწინებით. წარმოდგენილი შეფასების ანგარიში ასახავს რეფორმის რვა ძირითადი მიმართულების სხვადასხვა ასპექტს. შეფასების ანგარიში მომზადდა კვლევის შედეგად მოძიებული მონაცემების, დირექტორებისა და მასწავლებლების გამოკითხვის საფუძველზე. ამასთან, ჩატარდა ფოკუს ჯგუფები სკოლების სამეურვეო საბჭოებთან და მასწავლებლებთან. საქართველოს 20 სხვადასხვა რეგიონში შემთხვევითი შერჩევის მეთოდით კვლევაში გაერთიანდა დაახლოებით 100 სკოლა. ამ სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს დაურიგდათ კითხვარები. მონაცემთა შეგროვების ამგვარი ფორმატი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სკოლებში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და მოცემული ინფორმაციის განზოგადების საშუალებას იძლევა. შეფასება არ განხორციელებულა კონფლიქტურ ზონებისა და ეთნიკური უმცირესობის სკოლებში. იმ სკოლებში, სადაც რეფორმით გათვალისწინებული ინიციატივები მხოლოდ რამდენიმე წელია ხორციელდება, შეფასების შედეგები შესაძლოა გამოვიყენოთ რეფორმის შუალედური შედეგების ეფექტურობის შესაფასებლად და შესაძლებელი ცვლილებების განსახილველად. იმ სკოლებისათვის, სადაც რეფორმა უახლოეს წარსულში დაიწყო, შეფასების შედეგები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დამატებითი საბაზისო კვლევა. მომავალში, შესაძლოა ასევე ჩატარდეს მსგავსი კვლევა და მოხდეს შედარებითი ანალიზი საბაზისო მდგომარეობასა და შეფასების პერიოდისთვის არსებულ მდგომარეობას შორის, რაც მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ რეფორმების შედეგების ეფექტურობა.

შეფასების ანგარიშის სტრუქტურა ორ ნაწილად არის წარმოდგენილი: **1. სასწავლო გარემოს ეფექტურობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული რეფორმის შეფასება** და **2. სკოლის მართვისა და ფინანსური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად ჩატარებული რეფორმის შეფასება**. მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები. ჩვენი მიზანია, რეფორმის სხვადასხვა ასპექტის შესახებ მივაწოდოთ სრულყოფილი და დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს, ამიტომ შესავალ ნაწილში შედარებით ვრცლად არის განხილული მოძიებული მონაცემები, ვიდრე ეს სტადარტული ფორმატისთვის არის დამახასიათებელი. დეტალური ინფორმაცია ვრცელი რეკომენდაციებით იხილეთ მე-5 ქვეთავში, ხოლო დასკვნები და რეკომენდაციები წარმოდგენილია მე-3 და მე-4 ქვეთავებში.

ა-10 სასწავლო გარემოს რეფორმა

ა-11 სასწავლო გარემოს რეფორმა: მასწავლებელთა ტრენინგები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ახალი სასწავლო გეგმა, შეფასება, სასკოლო ქსელი

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ახალი სასწავლო გეგმის დასანერგად ჩატარებული ტრენინგები წარმატებით განახორციელა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა და ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრმა. სამინისტროსა და სხვა მონაწილე მხარეებს სწორი მიმართულება აქვთ აღებული და მოცემულ ეტაპზე მათ უკვე ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. მიუხედავად ამისა, სასურველი შედეგების მისაღწევად მომავალში მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატარებელი.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა:

- რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ინიციატივების შედეგად **მოსწავლე მეტად მოტივირებულია, უკეთესად სწავლობს და უფრო ჩართულია სასწავლო პროცესში**
- **დანიერგა აქტიური სწავლებისა და სწავლის პრინციპები** და მათი პრაქტიკული გამოყენებაც რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო ხშირია.
- **მასწავლებელთა ნაწილი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ იყენებს აქტიური სწავლისა და სწავლების მეთოდებს** და, გარკვეულწილად, კვლავაც დომინირებს დიდაქტიკური, ტრადიციული მეთოდები.

მაგალითად, დაახლოებით ყველა რესპოდენტი მასწავლებელი აცხადებს, რომ აქტიური სწავლების მეთოდებს ნაწილობრივ იყენებენ – ეს ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანი ცვლილებაა წარსულის პრაქტიკასთან შედარებით. მასწავლებელთა ნაწილი თვლის, რომ ახალი მეთოდები მართებულია და სრულიად შესაძლებელია მათი პრაქტიკულად გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, მასწავლებლები ამ მეთოდებს ხშირად იყენებენ, პასიური სწავლების მეთოდები კვლავაც გავრცელებული პრაქტიკაა – საკლასო ოთახს ჯერ კიდევ ტრადიციულად აწვობენ, ახალ მეთოდებს კი მექანიკურად და არასათანადოდ იყენებენ. მსგავსი პრობლემები დამახასიათებელია ამ ტიპის ინტერვენციების განხორციელების პროცესისათვის. ახალი მეთოდების სრულყოფილად გააზრებას და დანიერგვას ართულებს სამაგალითო მოდელების ნაკლებობა, პროფესიული ლიტერატურისა და მნიშვნელოვანი პროფესიული მხარდაჭერის სიმცირე.

აქტიური სწავლების მეთოდებსა და ახალ სასწავლო პროგრამებში მასწავლებელთა ტრენინგები ყველა ტიპის სკოლებში განხორციელდა. გამოკითხული მასწავლებლები და დირექტორები ადასტურებენ, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ჩატარებული ტრენინგები, ისევე როგორც წარმოდგენილი მოდელები, საკმარისი არ არის. აუცილებელია დამატებითი ტრენინგების ორგანიზება, რათა მასწავლებლებმა კარგად გაიაზრონ ახალი სასწავლო პროგრამა და აქტიური სწავლების მეთოდებიც უფრო აქტიურად გამოიყენონ. ამას გარდა, აქტიური სწავლების მეთოდების არათანმიმდევრული და არასწორი გამოყენება აშკარად მიუთითებს, რომ მასწავლებლები, დირექტორები, საგანმანათლებლო რესურსცენტრები და სხვა ჩართული მხარეები უწყვეტ პროფესიულ მხარდაჭერას საჭიროებენ. სამინისტრო გეგმავს ამ პრობლემის მოგვარებას.

ჩართული მხარეებისთვის ნათელია, რომ რეფორმის ეფექტურ განხორციელებას სხვადასხვა პრობლემა აბრკოლებს. დამატებითი ტრენინგების გარდა, აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებას ხელს უშლის შემდეგი გარემოებები:

- შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობისა და მასალის სიმცირე;
- მრავალრიცხოვანი ჯგუფები, განსაკუთრებით ქალაქის სკოლებში;
- გაკვეთილისათვის განსაზღვრული დროის მოკლე მონაკვეთი;
- რიგ სკოლებში შეუფერებელი სასკოლო გარემო, რაც განაპირობა მოქმედი

ღირექტორებისათვის ორგანიზებული ტრენინგების სიმცირემ.

მასწავლებლები, ღირექტორები, მშობლები და საგანმანათლებლო რესურსცენტრები დადებითად არიან განწყობილნი ახალი სასწავლო გეგმის მიმართ. მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ ახალი სასწავლო გეგმა მათ არჩევანის თავისუფლებას, პროფესიული შესაძლებლობების ეფექტურად წარმოჩენისა და კლასში სხვადასხვა დონის მოსწავლეებთან პრაქტიკული მუშაობის საშუალებას აძლევს. კვლავაც აუცილებელია დამატებითი ტრენინგების ჩატარება მასწავლებლების იმ ნაწილისათვის, რომელთაც ახალი სასწავლო გეგმის მნიშვნელობა კარგად არ აქვთ გააზრებული. მასწავლებელთა უმრავლესობა თვლის, რომ მზადაა ასწავლოს ახალი საგნობრივი პროგრამები, მაგრამ აღნიშნავენ დამატებითი ტრენინგებისა და მოდელების აუცილებლობას.

რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების ახალი, 10-ქულიანი სისტემის დანერგვა. მასწავლებლების და მშობლების უმრავლესობა კარგად ვერ აცნობიერებს, შეფასების ახალი სისტემის კონცეფციას. ამ შემთხვევაში, საჭიროა დამატებითი ტრენინგების ჩატარება.

სამინისტროს, მსოფლიო ბანკსა და ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრს დამატებითი ტრენინგების ციკლი რომ არ ჩაეტარებინა (ტრენინგები ხორციელდება მიმდინარე ეტაპზე და გაგრძელდება მომავალში), მოსალოდნელი იყო, რომ მასწავლებლები და ღირექტორები აბსოლუტურად არასწორად გაიგებნენ ახალ სასწავლო გეგმას და კვლავაც გამოიყენებდნენ წარსულში დამკვიდრებულ სწავლების მეთოდებს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს რეფორმის პროცესში მყოფი სხვა ქვეყნების გამოცდილება. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა თუ რამდენად ეფექტური იყო მასწავლებლებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიებში ჩატარებული ტრენინგები. პროექტ „ირმის ნახტომის“ ფარგლებში ინიციატივების განხორციელებისას გაითვალისწინეს არსებული პრობლემები და ტრენინგების მოდელიც შესაბამისად განსაზღვრეს. „ირმის ნახტომის“ ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლების ნაწილი, განსაკუთრებით ქალაქის სკოლებში, ახლა უფრო მეტად იყენებს კომპიუტერებს. თუმცა მასწავლებლების უმრავლესობა, მათ შორის ტრენინგის მონაწილენიც, კვლავაც ან საერთოდ არ იყენებენ კომპიუტერებს, ან ძალზე იშვიათად. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი გარემოებებით: მათ არ აქვთ კომპიუტერული უნარ-ჩვევები; არ იციან, თუ როგორ შეესაბამონ კომპიუტერული ტექნოლოგიით სწავლება მათი საგნის სპეციფიკას; კომპიუტერული ტექნიკა ნაკლებად არის ხელმისაწვდომი სკოლის ბაზაზე. „ირმის ნახტომის“ ტრენინგების ფართომასშტაბურია, მაგრამ არა სიდრმისეული. თუმცა, დასახული მიზნის მისაღწევად სიდრმისეული ტრენინგები მასწავლებლებელთა შეზღუდული რაოდენობისათვის ან დისტაციური სწავლება, შეიძლება სულაც არ იყოს ეფექტური.

კვლევის სკვა ენიშვნელოვანი შედეგები სასწავლო ბარემოს შესახებ:

- მასწავლებლებისთვის ძირითადად მისაღებია ახალი სახელმძღვანელოები, მაგრამ მათ დიდ ნაწილს არ აქვს მასწავლებლის სახელმძღვანელო;
- მასწავლებლების მხარდაჭერისათვის საგანმანათლებლო რესურსცენტრების უმეტესობას კვლავაც არ გააჩნია საკმარისი რესურსები, სამუშაო გამოცდილება და ცოდნა.
- საგნობრივი ფაკულტეტების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო სკოლის ბაზაზე მასწავლებლების თანამშრომლობის გაუმჯობესებას. თუმცა, სხვადასხვა სკოლებში ამგვარი შეხვედრა სხვადასხვა სიხშირით, უმეტესწილად კი ძალზე იშვიათად ტარდება. რეფორმის წინა პერიოდთან შედარებით სკოლებს შორის თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდა; სკოლებს შორის იზოლირება შეცვალა ურთიერთთანამშრომლობამ, მაგრამ სასკოლო ქსელის მასშტაბი ჯერჯერობით მცირეა;
- ფოკუსჯგუფებთან შეხვედრისას, გამოთქვეს მოსაზრება, რომ უფროსკლასელთა უმეტესობა მხოლოდ კონკრეტულ საგნებს სწავლობს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. ეს პრობლემა სხვა ქვეყნებში ნაწილობრივ მოგვარდა მას შემდეგ, რაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დასაშვებად საერთო აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელი ან მსგავსი ზოგადი ინდიკატორი სავალდებულო მოთხოვნად იქცა.

• **ა-12 სასწავლო გარემოსთან დაკავშირებული რეკომენდაციები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარება**

1. ტრენინგები უნდა დაეხმაროს მასწავლებლებს, რათა მათ გამოიყენონ სწავლების ახალი მეთოდები, არსებული მასალა და რესურსები ეფექტურად და არა მექანიკურად. ტრენინგებზე მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, თუ როგორ გამოიყენოს აქტიური სწავლების მეთოდები მრავალრიცხოვან ჯგუფში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქისა და ზოგიერთი სოფლის სკოლებში.
2. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების მთავარი მიზანი უნდა იყოს, რომ მასწავლებლებმა შეძლონ აქტიური სწავლების შესაბამისად გაკვეთილის დაგეგმვა დროის მოკლე მონაკვეთში. სასურველია, სამინისტრომ და სკოლებმა განიხილონ საგაკვეთილო დროის ხანგრძლივობის გაზრდის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებას.
3. აუცილებელია ჩატარდეს ტრენინგები მოსწავლეთა შეფასების 10-ქულიანი სისტემის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია კლასის სიდიდე, განსაკუთრებით ქალაქის სკოლებში. ამგვარი ტრენინგის ჩატარების საჭიროება იმდენად დიდია, რომ დაგეგმილი ტრენინგების რაოდენობა შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს.
4. გასათვალისწინებელია, რომ საპილოტე სკოლებში ახალი სასწავლო გეგმების ტრენინგებში ჩართულ მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი დრო ან უნდა იღებდნენ ჰონორარს/ანაზღაურებას დასვენების დღეებში გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებლად. სამუშაოში იგულისხმება სკოლებში კოლეგებისათვის (და შესაძლოა მეზობელი სკოლების მასწავლებლებისათვის) ტრენინგების ან მენტორული საქმიანობის ჩატარება. ამ რეკომენდაციის გათვალისწინებისას აუცილებლად უნდა განისაზღვროს შესაბამისი ხარჯები.
5. სასურველია, რეგიონალურ დონეზე სპეციალური ღონისძიებების/სემინარების ჩატარება, რომლებზეც განიხილავენ აქტიური სწავლების, შეფასებისა და სკოლების მასშტაბით ახალი სასწავლო პროგრამის დანერგვის წარმატებული პრაქტიკის მაგალითებს. ამისათვის

შესაძლებელია გამოიყენონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაო.

6. მიზანშეწონილია, დირექტორები და განათლების რესურსცენტრების აკადემიური პროფილის მქონე კადრები უფრო მეტად ჩაერთონ მასწავლებლების პროფესიული დონის ამაღლების ინიციატივებში. ამგვარად გაიზრდება მასწავლებელთა მხარდაჭერა, ჩატარებული ტრენინგებიც უფრო ეფექტური გახდება და სკოლის ადმინისტრაციაც მეტად იქნება ჩართული პროცესში.

7. სასურველია, მასწავლებლებისათვის გრძელვადიანი პროფესიული დონის ასამაღლებელი გეგმა ითვალისწინებდეს შესაბამისი მოტივაციის ელემენტებს. სამინისტრომ საჭიროა განუმარტოს მასწავლებლებს, თუ რომელი ტრენინგები დაეხმარება მათ დაგეგმილი ლიცენზირების პროცესში, ეს მოთხოვნები, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული.

8. მასწავლებელთა მომზადების ტრენინგებში ძირეული ცვლილებები ხორციელდება იმუცა ძალიან ნელა. ერთ-ერთი ალტერნატიული გზაა, უმაღლესი განათლების დაწესებულებების (უნივერსიტეტების) თანამშრომლობა იმ არასამთავრობო თუ კერძო ორგანიზაციებთან, რომლებიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე მუშაობენ. გარდამავალ ეტაპზე მყოფი სხვა სახელმწიფოების, ბალტიისპირეთისა და ბალკანეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს კონკრეტულ მაგალითებს, თუ როგორაა შესაძლებელი ამგვარი პროცესების დაჩქარება, რაც ამავედროულად ბოლონიის პროცესების მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

9. მნიშვნელოვანია, ქართულ ენაზე მომზადებული ტრენინგის მასალების გავრცელება. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს მასალები მათთვის ხელმისაწვდომია. ამ რეკომენდაციის განხორციელება, ხარჯებს გათვალისწინებით, გარკვეულ სირთულეებთანა არის დაკავშირებული. მოცემულ სიტუაციაში ერთ-ერთ ალტერნატიული გამოსავალი შეიძლება იყოს, „ირმის ნახტომით“ სკოლების ინტერნეტიზაციის პროცესის დასრულება, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი მასალების გავრცელებას მნიშვნელოვნად ნაკლები დანახარჯებით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასწავლებლებს ნაკლებად აქვთ ტექნიკური უნარ-ჩვევები, ამ ეტაპზე, ყველაზე მისაღებ ალტერნატივად რჩება ბეჭდვითი მასალების მიწოდება და გავრცელება.

10. იმ შემთხვევაში, თუ არსებული საგანმანათლებლო რესურსცენტრების ერთ-ერთ უმთავრესი ფუნქცია მასწავლებელთა პროფესიული ტრენინგების ორგანიზების ხელშეწყობაა, მნიშვნელოვანია ახლად გარემონტებული რესურსცენტრების უკეთესად აღჭურვა მასწავლებლებისთვის გამოსადეგი წიგნებითა და სხვა მასალებით.

11. მნიშვნელოვანია, შეძლებისდაგვარად, სასკოლო ქსელის მასშტაბების გაფართოებაზე ზრუნვა. გასათვალისწინებელია, ამ ინიციატივის უკვე მიღწეული წარმატებული შედეგები.

ა-13 სასწავლო გარემო: სოციალური და ფიზიკური გარემო

საბაზისო კვლევების ანგარიშები მიუთითებს, რომ საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების ადრეულ ეტაპზე, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება და რეაბილიტაცია სერიოზულ პრობლემად იქცა. წლების მანძილზე არსებული მდგომარეობა უარყოფითად აისახა სწავლისა და სწავლების პროცესზე. სამინისტროს მიერ სკოლების კონსოლიდაციისა და რეაბილიტაციის პროცესების დაწყებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო არსებული პირობების გაუმჯობესებას, რაც რეფორმის ერთ-ერთ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. ამ პრობლემების გადასაჭრელად, კერძოდ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არსებული რიგი სკოლების ფიზიკური რეაბილიტაციისა და უწყვეტი კონსოლიდაციის პროცესის განსახორციელებლად მხოლოდ მსოფლიო ბანკის დაფინანსება საკმარისი არ არის. რეაბილიტაციის პროცესი გეგმის მიხედვით კიდევ 1000 სკოლას მოიცავს და განხორციელდება დამტკიცებული კრიტერიუმის მიხედვით.

ძირითადი მიზნები სკოლების სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებით:

1. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლების ელექტროენერგიით მომარაგება. თუმცა, კვლევაში ჩართული სკოლების დაახლოებით ნახევარში საკლასო ოთახების განათება არ არის საკმარისი.

2. აქტიური სწავლისა და სწავლების პროცესის განსახორციელებლად ერთ-ერთ პრობლემა დიდი ზომის კლასებია, ქალაქის სკოლების მაგალითზე; ამასთანავე, მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შეუსაბამო მცირე ზომის მერხები/ავეჯი საკლასო ოთახების უმეტესობაში ხელისშემშლელ ფაქტორია (განსაკუთრებით ქალაქის სკოლებში); მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი ცუდი ამინდის პირობებში, განსაკუთრებით მთიან რეგიონში, ტრანსპორტირების საშუალებების სიმცირით არის განპირობებული.

3. კლასებზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, კლასების მეოთხედ ნაწილს, ანუ მოსწავლეთა დიდ რაოდენობას არ გააჩნია სახელმძღვანელოები.

4. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები შედარებით პოზიტიურად აფასებენ ახლად შექმნილ მასწავლებელთა სახელმძღვანელოებს, ვიდრე წარსულში, რესპოდენტი მასწავლებლების მეოთხედი მოითხოვს, რომ გაკვეთილის გეგმა უფრო მეტი მოცულობით მიეწოდოს. რესპოდენტი მასწავლებელთა 40% აცხადებს, რომ მასწავლებელთა სახელმძღვანელოები მათთვის არ არის ხელმისაწვდომი. ბუნდოვანია მასწავლებლის სახელმძღვანელოების სიმცირის მიზეზი.

5. სკოლებში დამატებითი სასწავლო მასალების მნიშვნელოვანი სიმცირე აღინიშნება.

6. გამოკითხული სკოლების მხოლოდ ნახევარი უზრუნველყოფს კლასგარეშე ინიციატივებს მოსწავლეებისათვის. კლასგარეშე აქტივობა, ხარისხიანი განათლების ერთ-ერთ ხელშემწყობი ფაქტორია. ქალაქის სკოლებში, კლასგარეშე აქტივობებისათვის დაწესებულმა გადასახადებმა, შესაძლოა, დააბრკოლოს მოსწავლეები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

7. კერძო გაკვეთილების (რეპეტიტორის) წლიური საშუალო საფასური 250-1000 ლარს შეადგენს, რაც სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს და მოსწავლეებს განათლების მისაღებად არათანაბარ პირობებს უქმნის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლების ბიბლიოთეკის პროგრამის განხორციელების შედეგად გარკვეულწილად გაუმჯობესდა და გაფართოვდა სოფლის სკოლების ბიბლიოთეკებში ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსები. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი შედეგების მისაღწევად ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილი სივრცე და რესურსები კვლავაც პრობლემაა, განსაკუთრებით ქალაქის სკოლებში, სადაც მასწავლებლები არსებულ რესურსებს სისტემატურად არ იყენებენ.

პროექტი „ირმის ნახტომის“ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს სკოლებში სასწავლო დღის დასრულების შემდეგ მასწავლებლებთან მიერ კომპიუტერებისა და ინტერნეტს უფრო ხშირი გამოყენება. მათ, ვისაც პროგრამის ფარგლებში საბაზისო ტრენინგი ჩაუტარდათ, ახლა შედარებით მეტად სარგებლობენ არსებული ტექნოლოგიებით, ვიდრე ადრე. მასწავლებლები ხშირად მიმართავენ საინფორმაციო მენეჯერს დახმარებისათვის. უმრავლესობა თვლის, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია დამატებითი ტრენინგები ტექნიკური უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებისათვის. სკოლებში კომპიუტერების რაოდენობა კვლავაც შეზღუდულია. მდგომარეობა შედარებით უკეთესია პროექტი „ირმის ნახტომში“ ჩართულ სკოლებში. თუ ზოგადად, არსებულ მდგომარეობას განვიხილავთ, კომპიუტერების და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა კვლავაც მცირეა სკოლების უმეტეს ნაწილში. ქალაქის

სკოლებთან შედარებით მძიმე სურათია სოფლის სკოლებსა და იმ სკოლებში, რომლებსაც "ირმის ნახტომის" კომპიუტერიზაციის პროგრამა ჯერ არ შეხებია. სკოლებს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს კომპიუტერების მოვლისათვის აუცილებელი ბიუჯეტი, მანამ, ვიდრე სკოლა კომპიუტერებით მომარაგდება.

ა-13 სასწავლო გარემოს რეფორმა: რეკომენდაციები სოციალური და ფიზიკური გარემოს შესახებ

შეფასების პროცესში გამოვლენილი სირთულეების და აღმოჩენების საფუძველზე, მე-5 ქვეთავში წარმოდგენილია დამატებითი რეკომენდაციები. მათ შორისაა:

1. სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროგრამები სკოლების დამატებითი სასწავლო მასალებით აღსაჭურვად არასაკმარისი აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ეტაპზე დღის წესრიგში სხვა საგანმანათლებლო პრიორიტეტებია. მიზანშეწონილია, სკოლებმა გაითვალისწინონ დამატებითი სასწავლო მასალების შექმნის საკითხი საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას. შესაძლოა, სამინისტრომ და მიმდინარე ეტაპზე მოქმედმა ცენტრებმა გააგრძელონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ დაწყებული სამუშაო. კერძოდ, აკადემიურ პერსონალს მიაწოდონ ინფორმაცია ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსების გამოიყენების შესახებ. ამასთანავე, გამოიყენონ სხვა ქვეყნების გამოცდილება მეტი ინფორმაციის მისაღებად. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სპეციალური გვერდი (Development Experience Clearinghouse) არსებული რესურსების განსათავსებლად ერთ-ერთი ალტერნატიულ ვარიანტია.

2. ბიბლიოთეკების ორგანიზება და განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. რეფორმის პროცესში ჩართული მხარეები უნდა დაეხმარონ სკოლებს, რათა მათ გააცნობიერონ ბიბლიოთეკების საჭიროება. მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; შესაძლოა, განხილულ იქნას ბიბლიოთეკების კომპიუტერულ ლაბორატორიებთან გაერთიანების პერსპექტივა. დიდი ფართობის მქონე სკოლებს შეუძლიათ გამოყონ დამატებითი საკლასო ოთახი, რომელიც ღია ბიბლიოთეკის ფუნქციას შეასრულებს. იმ სკოლებისათვის, რომელთაც ფართობი არ აძლევს ბიბლიოთეკისათვის სივრცის გამოყოფის საშუალებას, მიზანშეწონილია სატელიტური ბიბლიოთეკების ამოქმედება ან ისეთი მცირე სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბება, რომლითაც რამდენიმე სკოლა ერთად ისარგებლებს. რეფორმის პროცესის ეფექტური განხორციელების გეგმის შესამუშავებლად რეკომენდებულია საერთაშორისო ან რეგიონალური საკონსულტაციო დახმარების გამოყენება.

3. მნიშვნელოვანია, სკოლებმა ბიბლიოთეკების წიგნებით და დამატებითი სასწავლო მასალებით აღჭურვაში მხარდაჭერის/დახმარების მიღების მიზნით ითანამშრომლონ მშობლებთან, ადგილობრივი თემისა და ბიზნესის წარმომადგენლებთან. სამინისტროსა და ცენტრებს შეუძლიათ მოიძიონ საერთაშორისო დონორები, რომლებიც ინგლისურ, ან სხვა უცხო ენებზე არსებულ მასალას მიაწვდიან.

4. სკოლის ადმინისტრაციას უნდა განუმარტონ, რომ ბიბლიოთეკის მასალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მასწავლებლისათვის. შეიძლება თითოეული მათგანი ფლობდეს საკუთარ პერსონალურ გასაღებს. სკოლის ადმინისტრაციამ უნდა გააცნობიეროს, რომ უმჯობესია ბიბლიოთეკის მასალა გამოყენების შედეგად იყოს დაზიანებული, ან შეღახული, ვიდრე სკოლის ბაზაზე არსებობდეს დაცული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებსაც რეალურად არავინ იყენებს.

5. სკოლების მხარდაჭერა სხვადასხვა კლასგარეშე ინიციატივების განსახორციელებლად ხელს შეუწყობს სწავლისა და სწავლების დონის ამაღლებას და გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრებას. სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის, განათლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ უნდა წაახალისოს სკოლები და შესთავაზოს დაფინანსება (სტიპენდია, გრანტი, ჰონორარი) კლასგარეშე საქმიანობებისათვის,

იმ შემთხვევაში თუ მსგავსი ინიციატივა უსასყიდლოდ ვერ ხორცილდება და ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს.

6. წინამდებარე დოკუმენტის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები სახელმძღვანელოების შესახებ. ეროვნული სასწავლო გეგმის და შეფასების ცენტრს შეუძლია აამოქმედოს ელექტრონული გვერდი(ვებ-გვერდი), სადაც მასწავლებლებსა და დირექტორებს საშუალება ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მოსაზრება სახელმძღვანელოების დადებით და უარყოფით მხარეებზე. შენიშვნები უნდა გაითვალისწინონ ახალი სახელმძღვანელოების რედაქტირებისას ან მისცენ სკოლებს სახელმძღვანელოს არჩევის უფლება.

7. ეროვნული სასწავლო გეგმის და შეფასების ცენტრმა მიზანშეწონილია მიმართოს მასწავლებელთა სახელმძღვანელოს ავტორებს, რათა მათ გაზარდონ შესაბამისი საგაკვეთილო გეგმების რაოდენობა. ეს დაეხმარება მასწავლებლებს უკეთესად გააცნობიერონ აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების გზები. სკოლებს სახელმძღვანელოები უნდა მიაწოდონ სასწავლო წლის დაწყებამდე. რეკომენდებულია, მომავალში ჩატარდეს კვლევა, თუ რატომ არ გააჩნია მასწავლებელთა 40%-ს მასწავლებლის სახელმძღვანელო, მაშინ, როდესაც მათ კლასებში უკვე ახალი სახელმძღვანელოები გამოიყენება.

8. სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი პირობაა კერძო რეპეტიტორობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასწავლებელი საკუთარ მოსწავლეს ამეცადინებს. მიზანშეწონილია, ლიცენზირებულ მასწავლებელთა ჯგუფების შექმნა, ან სხვა ალტერნატიული ვარიანტების განხილვა, თანხების მოცულობის და მომსახურების პირობების სტანდარტიზაციის მიზნით.

9. კომპიუტერები კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მასწავლებლებისათვის. ამასთანავე, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი ყოველთვის მზად უნდა იყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების ტექნიკური დახმარებისა და უნარ-ჩვევების ასამაღლებლად.

ა-2.0 რეფორმები მართვისა და ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის

ა-2.1 მიზნები სკოლის მართვის და ფინანსური შესაძლებლობების კონტექსტში

სამინისტრომ მასშტაბური სისტემური რეფორმა განახორციელა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მართვის და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული პროცესი განხორციელების შუალედურ ეტაპზეა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ამ პროცესის, როგორც წარმატებული მხარე, ასევე ის პრობლემებიც, რომელთა დაძლევა აუცილებელია საბოლოო მიზნების მისაღწევად. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს სკოლების დაფინანსებაში სრულიად ახალი პრინციპების დანერგვა, რაც ამცირებს კორუფციის საფრთხეს და უზრუნველყოფს სკოლების მიერ საბიუჯეტო ფონდების ეფექტურად მართვას. ვინაიდან, მოცემული ქვეთავი საკითხების ფართო სპექტრს აერთიანებს, მიღწევები და სირთულეები მოკლე პუნქტების ჩამონათვალის სახით არის წარმოდგენილი.

ძირითადი მიღწევები მართვის, ფინანსური შესაძლებლობების და ინფორმაციის მართვის საკითხებში მდგომარეობს შემდეგში:

- ჩართული მხარეები ნათლად აცნობიერებენ და დადებითად აფასებენ სკოლებისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხს ბიუჯეტის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების ასპექტებში. საბიუჯეტო საკითხების განხილვაში მასწავლებელთა ჩართულობა უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და გადაწყვეტილებების მიღების მონაწილეობით ხასიათს.

- წარმატებული დასაწყისია საქართველოს სკოლებში სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბება და რიგ სკოლებში მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა.

სკოლებში სამეურვეო საბჭოების ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, სამინისტრომ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლის ბაზაზე დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ვინაიდან, ახლად შექმნილი სამეურვეო საბჭოები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების აქტუალურ პროცესებში. აგრეთვე, სამეურვეო საბჭოების ფუნქციონირებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს კორუფციის შემცირებას სკოლის ბაზაზე. მიზნის მისაღწევად, აუცილებელია, სამეურვეო საბჭოებისათვის მათი შესაძლებლობების და უფლებამოსილების განსაზღვრა.

- *მშობლების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში*

მშობლები ახლა უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი და ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, ვიდრე რეფორმამდელ პერიოდში. ეს პირველ რიგში სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბებამ განაპირობა. მშობლები გამოსატყვევებენ საკუთარ მოსაზრებებს 10-ქულიანი შეფასების სისტემის შესახებ.

- *რიგ სკოლებში გამოვლინდა ბიუჯეტის და მართვის, ინფორმაციის მოპოვებისა და სტრატეგიული დაგეგმარების შესაძლებლობები*

აღსანიშნავია, რომ თბილისის №51 და კახათის საჯარო სკოლებმა საბიუჯეტო საკითხების დაგეგმვა და მართვა ეფექტურად განახორციელეს. საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის დაგეგმილ ტრენინგებზე ეს გამოცდილება შეიძლება სამაგალითო მოდელად გამოიყენონ. სკოლების უმეტესობას ამ თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, რაც რეფორმის სუსტ მხარედ ითვლება.

- *დადებითი განწყობა საგანმანათლებლო რესურსცენტრების მიმართ და მოტივირებული რესურსცენტრების თანამშრომლები*

საგანმანათლებლო რესურსცენტრი სკოლის დამხმარე ორგანიზაციაა, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასა და სამინისტროს შორის შუალედური ინსტიტუტის ფუნქციას ასრულებს. სკოლები დადებითად აფასებენ ახალ ცენტრებს, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ადრე არსებული რაიონული ცენტრებისაგან. აღსანიშნავია, რომ რესურსცენტრების ხელმძღვანელები საკმაოდ მოტივირებულნი და დაინტერესებულნი არიან.

კვლევისას გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- *დირექტორების, სკოლის ადმინისტრაციული კადრების, სამეურვეო საბჭოების წევრებისა*

და საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის ტრენინგების აუცილებლობა

სამეურვეო საბჭოებისათვის ჩატარებული ტრენინგების სიმცირე, სკოლის ადმინისტრაციასთან გაურკვეველობების და ზოგ შემთხვევაში, უსაფუძვლო კონფლიქტების მიზეზი ხდება. სამეურვეო საბჭოებისათვის ტრენინგების ორგანიზება ხელს შეუწყობს მათი ვალდებულებების ეფექტურად განხორციელებას სკოლის მართვისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად. ეს მომავალში სკოლებისათვის აკრედიტაციის მისაღებად ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნება.

- არასაკმარისად აქტიური და მომზადებული სამეურვეო საბჭოები სკოლებში, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებში.

სამეურვეო საბჭოების საქმიანობა და მიღწევები სკოლების მიხედვით განსხვავდება. დამატებითი ტრენინგები საბჭოს წევრებს დაეხმარება ეფექტურად გამოიყენონ მინიჭებული უფლებამოსილება და შეასრულონ ვალდებულებები, როგორც სკოლის მართვის, ასევე სასწავლო გარემოს გაუმჯობესების პროცესში.

- ინფორმაციის გაზიარების/გავრცელების შეზღუდული შესაძლებლობები და რიგ სკოლებში გადაწყვეტილებების მიღების არადემოკრატიული პრინციპები

ზოგადად, დირექტორთა არჩევნების სისტემის დადებითი შეფასებების მიუხედავად, რესპოდენტთა აზრით, გასათვალისწინებელია უარყოფითი შედეგებიც. ზოგიერთი დირექტორის და სკოლის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლების აზრით, ახალი სქემით არჩეულ ზოგიერთ დირექტორს ადგილობრივ თემთან ისეთი მჭიდრო კავშირები და ურთიერთობები არ აქვს, როგორც წარსულში. (სამინისტროს მიერ მოწოდებული განმარტების მიხედვით, მოცემული მოსაზრება შესაძლოა გაზვიადებულად მივიჩნიოთ, ვინაიდან სკოლები გაერთიანდა ტერიტორიულ ერთეულებში, მათ შორის მანძილის გათვალისწინებით). მოცემული სქემის მიხედვით კორუფციასთან ბრძოლას შეიძლება დირექტორთა შესაძლებლობების შეზღუდვა მოჰყვეს, ვინაიდან ისინი ადგილობრივი ფონდების მოძიებას შეეცდებიან.

- მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ფუნქციები და ვალდებულებები, რაც დირექტორებსა და სამეურვეო საბჭოებს შორის გაუგებრობების და უსარგებლო კონფლიქტების მიზეზი ხდება.

- სკოლების კონსოლიდაციის მიზნები და კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მთელ სკოლაზე ვრცელდება.

ა-22 რეფორმები მართვისა და ფინანსური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად

რეკომენდაციები მართვის, ფინანსური შესაძლებლობებისა და ინფორმაციის მოპოვების გასაუმჯობესებლად:

1. სამინისტრომ საჭიროა განსაზღვროს ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოებისათვის ტრენინგების შედარებით ხანგრძლივი ციკლის ორგანიზებას. შესაძლებელია, სხვა (მსგავსი მასშტაბების) ქვეყნების გამოცდილების გამოყენება.

ხარჯების შემცირების და არჩევანის მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მიზნით მაკედონიის განათლების სამინისტრომ მიმართა „თავისუფალი ბაზრის“ მიდგომას ღირეპტორების სამომავლო ტრენინგების, ან უწყვეტი პროფესიული განვითარების განსახორციელებლად. კერძოდ, მოცემული ინიციატივების განხორციელება არასამთავრობო ორგანიზაციების, ან უნივერსიტეტების ფუნქციად განისაზღვრა. სლოვაკეთის მოდელით მთავრობის მიერ ლიცენზირებული ცალკეული ტრენინგ-ორგანიზაცია ემსახურება ღირეპტორების და საბჭოების საჭიროებებს. (შესაძლებელია, საგანმანათლებლო რესურსცენტრების საჭიროებების გათვალისწინება).

2. სამეურვეო საბჭოების რეგიონალური და ეროვნული მასშტაბების ქსელების შექმნა ხანგრძლივმოქმედი საჭიროებების განსაზღვრის და დაკმაყოფილების მიზნით.

სხვა ქვეყნების და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გათვალისწინებით, სკოლების საბჭოების ეროვნული ასოციაციის შექმნა ხელს შეუწყობს საბჭოებს შორის ღია კომუნიკაციის დამყარებას და შემდგომ პროფესიულ განვითარებას. რეგიონალური ასოციაციების ჩამოყალიბება და სპეციალური სახელმძღვანელოების შემუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ქვეყნების მოდელების გათვალისწინებით.

3. სამეურვეო საბჭოების პროფესიული დონის ამადლების ხელშეწყობა

სასურველია, სამეურვეო საბჭოს საქმიანობის მეტი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, მის ფარგლებში შეიქმნას ქვეკომიტეტები, რომელთა შეხვედრების ძირითადი თემა იქნება განათლების საკითხები. ამგვარი პრაქტიკა ეფექტური აღმოჩნდა სხვა ქვეყნებში – მსგავსი შეხვედრები ტარდებოდა სამეურვეო საბჭოების პროფესიული ცნობიერების ამადლებისა და საკუთარი ფუნქციების უკეთესად გააზრების მიზნით. საწყის ეტაპზე ამ ტიპის შეხვედრები წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერ ეწყობა. შემდგომში სამეურვეო საბჭოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ფუნქციონირების გაუმჯობესების და აკრედიტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების გზებს.

4. სკოლების ძირითადი სირთულეები 2009-2011 წლებში დაგეგმილ აკრედიტაციის პროცესებთან იქნება დაკავშირებული

ვინაიდან, დამოუკიდებელი მმართველი ორგანოები ჯერ კიდევ სუსტია, აუცილებელია კარგად დაგეგმილი ინტენსიური კურსი, რათა სკოლები გაუმკლავდნენ აკრედიტაციის პროცედურებთან დაკავშირებულ სირთულეებს. სამინისტროს შეიძლება დასჭირდეს სპეციალური გამოკვლევის ჩატარება 2008-2009 წლისათვის, რათა გაარკვიოს, რეალურია თუ არა აკრედიტაციისათვის განსაზღვრული თარიღები.

ა-23 რეფორმები სკოლების მართვის და ფინანსური შესაძლებლობების ასამდლებლად:

ფინანსურ შესაძლებლობებისა და რესურსებთან დაკავშირებით ძირითადი მიღწევები:

- ვაუჩერული ¹ დაფინანსების ფორმულის ეფექტური განხორციელება

ვაუჩერული დაფინანსების სისტემის დანერგვამ გადაჭრა დიდი ხნის განმავლობაში

¹ ვაუჩერი – სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გაიცეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად

არსებული კრიტიკული პრობლემა, კერძოდ მასწავლებელთა სახელფასო დავალიანება და თანხების ჩარიცხვის დაგვიანება. ეს ახლადამოქმედებული სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა.

- ვაუჩერული დაფინანსების სქემის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მაღალკონტიგენტიანი და მაღალმთიანი რაიონების სკოლების ბიუჯეტი; საშუალო ზომის სკოლებში ამ ფორმულამ მნიშვნელოვანი ფინანსური ზრდა არ განაპირობა.

ვაუჩერული დაფინანსების სისტემამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სოფლის და მაღალმთიანი რეგიონების სკოლების ფინანსური მდგომარეობა, ვინაიდან, მოცემული სკოლების ბიუჯეტი გარკვეულწილად გაუთანაბრდა ქალაქის სკოლებისას, რაც თავის მხრივ, რეფორმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. ქვემოთ წარმოგიდგენთ მონაცემებს, რომელსაც ეს დასკვნები ემყარება.

- სახელფასო განაკვეთის დაანგარიშების გამჭვირვალე სისტემა

ანგარიშწორების ახალმა სისტემამ უზრუნველყო მასწავლებელთა სახელფასო განაკვეთების ეფექტური გადაანგარიშება. კვლევისას არ გამოიკვეთა რესპოდენტთა უკმაყოფილება სახელფასო განაკვეთის დაანგარიშების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

- რესურსების განთავსება სკოლების შენახვისა და რეაბილიტაციისათვის

კაპიტალური სარემონტო სამუშაოების, მაგალითად, საკლასო ოთახების შესაკეთებლად, ხარჯების დასაფარად სკოლების უმეტესობას ვაუჩერული დაფინანსება არ ჰყოფნის, თუმცა მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით გასულ წლებთან შედარებით წინსვლა ნამდვილად შეინიშნება.

- მასწავლებლებისათვის პრემიების დაწესება მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თანდათან მიღებულ პრაქტიკად მკვიდრდება. დირექტორები პრემიას წახალისების ერთ-ერთ საუკეთესო ფორმად მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები უკმაყოფილოები არიან დაბალ ხელფასებით, მათი მონაცვლეობის მაჩვენებელი დაბალია.

- კრიტიკულია მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი, რასაც ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეები განაპირობებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ სკოლებისათვის, რომელებისთვისაც კონსოლიდაციის შემდეგ ავტობუსები არ გადაუციათ. დირექტორები (აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ სოფლის სკოლების დირექტორები) კვლავაც დაინტერესებულები არიან კონსოლიდაციის პროცესებით.

ქვემოთ წარმოგიდგინებთ სკოლების რესურსებთან და ფინანსებთან დაკავშირებული ძირითადი სირთულეები და რეკომენდაციები:

- მცირეკონტიგენტიანი სკოლების მძიმე ფინანსური მდგომარეობა
- სკოლების კონსოლიდაციის მიუხედავად ადამიანური რესურსების მართვის მხრივ უმნიშვნელო პროგრესი

მცირეკონტიგენტიანი სკოლების ფინანსური მდგომარეობა კვლავაც მძიმეა. ამგვარი სკოლები, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთა სასარგებლოდ მცირე სუბსიდირება ხორცილდება და

კონსოლიდაციის პროცესში არ არიან ჩართულნი, მძიმე ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ამასთანავე, ამ სკოლებისათვის სუბსიდიები სრულყოფილად არ ხორციელდება. სასურველია, ვაუჩერული დაფინანსების ფორმულაში გათვალისწინებულ იქნას მცირე ზომის სკოლების დაფინანსების საკითხი მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სოფლის და მაღალმთიანი რაიონების სკოლები ბიუჯეტის შესავსებად გარე ფონდების მოძიებაში აქტიურები არ არიან და სათანადო მხარდაჭერას და დახმარებას საჭიროებენ.

სკოლების კონსოლიდაციის და ოპტიმიზაციის პროცესები ფართო მასშტაბებით ხასიათდება. მოცემული ინიციატივის განხორციელებას სკოლების რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება მოჰყვა. აგრეთვე, შემცირდა იმ სკოლების რიცხვიც, რომლებიც სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდნენ. შეფასებისას, დადებითი შედეგი გამოვლინდა კონსოლიდაციის შედეგად ადამიანური რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით, რაც, შესაძლოა, აიხსნას იმ ფაქტით, რომ სკოლების დიდი ნაწილი მხოლოდ ადმინისტრაციულად გაერთიანდა, ხოლო ფიზიკურად კონსოლიდირებული სკოლების დირექტორებს არ სურთ, მოახდინონ აკადემიური კადრების რესტრუქტურირება. ეს ვრცელდება განსაკუთრებით სოფლის და მაღალმთიანი რეგიონების სკოლებზე, სადაც ადგილობრივი მცირერიცხოვანი თემის პირობებში ახალი კადრების დაქირავების პერსპექტივა მცირეა. ამასთანავე, კონსოლიდაციის დადებითი შედეგები აშკარაა ფიზიკური რესურსების ეფექტურობის მხრივ, მაგალითად, მოსწავლე/კლასის საშუალო თანაფარდობა კონსოლიდირებულ სკოლებში.

- *ზუსტად არ არის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსცენტრების ფუნქციები და ვალდებულებები;*
- *საგანმანათლებლო რესურსცენტრებში ადამიანური, ფიზიკური და ფინანსური რესურსები არაადექვატურია, რესურსცენტრებისათვის მინიჭებული ავტონომია კი არასაკმარისი;*
- *სკოლების დიდ ნაწილს მონაცემთა შეგროვებისა და გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობები აქვს;*

თუ მოცემული ერთეულების სიდიდეს და რესურსებს გავითვალისწინებთ, საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვს მინიჭებული. თუმცა სასურველია, განისაზღვროს პრიორიტეტები რესურს-ცენტრების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ადამიანური, ფიზიკური და ფინანსური რესურსების სიმცირე ხელს უშლის ცენტრების ეფექტურ მუშაობას. და ბოლოს, ცენტრების მუშაობას მნიშვნელოვნად აფერხებს დაწესებული საკანონმდებლო მოთხოვნა, რაც გულისხმობს ნებართვას თუნდაც მცირე საბიუჯეტო ხარჯვებთან დაკავშირებით. ეს კი რეფორმების დემოკრატიული ხასიათის ფონზე უკიდურესად ბიუროკრატიული მიდგომაა.

სკოლების უმეტესობას მონაცემთა შეკრების და მიწოდების შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ამის გამო იზრდება ცენტრების სამუშაო დატვირთვა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებს ხშირ შემთხვევაში ნაკლებად რეალისტური ინფორმაცია მიეწოდებათ. გაურკვეველია, მრავალი საბიუჯეტო პროცესისა და პრინციპის საკითხი, რაც შესაძლოა, მოგვარდეს რესურსცენტრებისათვის ორგანიზებული შემდგომი ტრენინგების მეშვეობით.

- *მასწავლებლებისათვის გაზრდილი, მაგრამ კვლავაც არასაკმარისი სახელფასო განაკვეთი. რესპოდენტთა აზრით, კლასის ზომის კოეფიციენტი სახელფასო დაანგარიშების ფორმულაში არ შეესაბამება იმ პედაგოგთა სამუშაო დატვირთვას, რომელთაც დიდი ზომის კლასებთან უხდებათ მუშაობა.*

- კონსოლიდაციის შედეგად წარმოიშვა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც მოსწავლეების დასწრებაზე უარყოფითად აისახება; ამასთანავე, გაიზარდა კლასების სიდიდე.

ა-24 რეფორმები – მართვის და ფინანსური შესაძლებლობების გააუმჯობესებლად

რეკომენდაციები რესურსებთან და ფინანსებთან დაკავშირებით მდგომარეობს შემდეგში:

1. საჭიროა, განისაზღვროს პრიორიტეტები საგანმანათლებლო რესურსცენტრების ვალდებულებებსა და ფუნქციებს შორის. ამ მიზნით შესაძლებელია მათთვის სპეციალური სემინარის ორგანიზება. სემინარზე ისინი შეძლებენ შეთანხმდნენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე. მოსაგვარებელია, საგანმანათლებლო რესურსცენტრების საკადრო გაფართოების საკითხიც.

2. სამინისტრომ მეტი ავტონომია და მოქნილობის საშუალება უნდა მისცეს ცენტრებს და ამგვარად ხელი შეუწყოს ფინანსური მართვის და ადგილობრივი საჭიროებების განკარგვის ალტერნატიულ გზების განსაზღვრას.

3. სასურველია, მასწავლებლის სახელფასო განაკვეთის დაანგარიშებისას კლასის ზომის გათვალისწინება, რაც ამ ეტაპზე არ ხდება.

4. უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად ეფექტურია კონსოლიდაციის პროცესი კონკრეტულ შემთხვევებში – მაგალითად, ურბანულ დასახლებებში. კერძოდ, უნდა განისაზღვროს კრიტერიუმი სასწავლო გარემოსა და სწავლის შედეგებზე კონსოლიდაციის პროცესის ზემოქმედებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მოსწავლე/მასწავლებლის და მოსწავლე/ადმინისტრაციული ერთეულის მოსალოდნელი თანაფარდობა. მაღალკონტიგენტიანი სკოლების პირობებში ერთ-ერთ მიდგომა არის სკოლების დეცენტრალიზაცია ერთ სკოლაში. კონსოლიდირებულ სკოლებს, რომლებსაც გადასცეს სასკოლო ავტობუსები, ნაკლები პრობლემები აქვთ მოსწავლეების დასწრებასთან დაკავშირებით. (18) ამიტომ, პრიორიტეტული უნდა გახდეს კონსოლიდირებული სკოლებისათვის ავტობუსების გადაცემა.

5. სასურველია განვითარდეს სკოლებს შორის თანამშრომლობის უფრო მეტი საშუალება ფონდების მოძიების, საპროექტო წინადადებების შედგენის, მონიტორინგის, შეფასების და სხვა საკითხებში გამოცდილების გაზიარების მიზნით. შესაძლებელია, საგანმანათლებლო რესურსცენტრების გამოყენება სკოლების რეგიონალური ქსელების ჩამოყალიბებისა და ინფორმაციის, თუ გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით. სკოლების ქსელის რეგიონალურ მოდელებად შესაძლებელია წარმატებული სკოლების გამოყენება.

6. ვაუჩერის ფორმულის დაანგარიშებისას სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს მცირეკონტიგენტიანი სკოლებისა და ინკლუზიური განათლების საჭიროებები. მცირეკონტიგენტიანი სკოლებისათვის სახელმწიფო სუბსიდირების უზრუნველყოფის მიუხედავად, სკოლები აღნიშნავენ, რომ მოცემული თანხა საკმარისია მხოლოდ სახელფასო ბიუჯეტის დასაფარად. ეს კი ამცირებს მათ შესაძლებლობებს გააუმჯობესონ სხვა ოპერაციული ასპექტები. ერთ-ერთ ალტერნატიული ვარიანტია, ვაუჩერული დაფინანსების დაანგარიშებისას კრიტერიუმად განსაზღვრონ სკოლის სიდიდე. ვინაიდან კონკრეტული პრაქტიკა მეტ დანახარჯებს მოითხოვს, ვაუჩერული დაფინანსების ფორმულა უფრო ეფექტური იქნება, თუ განისაზღვრება ინკლუზიური განათლების საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის დაფინანსების განსხვავებული განაკვეთი.

ა-30 რეკომენდაციები შემდგომი კვლევისათვის

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია შემდეგი რეკომენდაციები:

- მოცემული კვლევის შედეგები უნდა გადაისინჯოს ორი-სამი წლის შემდეგ;
- კვლევის შედეგების ეროვნული მასშტაბით განზოგადების მიზნით, მსგავსი კვლევა უნდა ჩატარდეს კონფლიქტურ ზონებში და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;
- ჩატარდეს დამატებითი კვლევა იმ მონაცემების გამოყენებით, რომელიც ამ კვლევის ფარგლებში შეგროვდა;
- დამატებით უნდა შეისწავლონ კონსოლიდაციის შედეგები, რათა განსაზღვროს დაინტერესებული მხარეებისათვის მისაღები კონსოლიდაციის კრიტერიუმები, რაც თავის მხრივ ეფექტურ შედეგს განაპირობებს;
- უნდა შემუშავდეს მარეგულირებელი დოკუმენტი მასწავლებლთა მიერ საკუთარ მოსწავლეების კერძოდ მომზადების საკითხებზე (რეპეტიტორობასთან დაკავშირებული საკითხები);
- უნდა ჩატარდეს მშობლების გამოკითხვა აქტიურ სწავლებასთან, აკადემიური მოსწრების პრობლემებთან, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის, სკოლის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შესახებ;
- აუცილებელია ტრენინგები განსაკუთრებით სამეურვეო საბჭოებისათვის;
- უნდა განხორციელდეს კვლევა სკოლის მართვის საუკეთესო პრაქტიკის განსასაზღვრად. კერძოდ, იმ კონკრეტული სკოლების შესარჩევად, რომელიც გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარების მიზნით გაერთიანდება რაიონულ/რეგიონალურ სასკოლო სამოდელო ქსელში;
- გამოსაკვლევი მიზეზები არის გამოც მასწავლებლთა უმეტესობისათვის მასწავლებლის სახელმძღვანელო არ არის ხელმისაწვდომი.
- ახლად შექმნილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების გამოყენების ეფექტურობისა და რისკის შესწავლა. ამასთანავე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებიდან განათლების პოლიტიკის ასპექტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მონაცემთა განსაზღვრა და მიმდინარე ეტაპზე შეკრებილი ინფორმაციის დამუშავება;
- აუცილებელია სკოლებს შორის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად საერთაშორისო მოდელების შესწავლა;
- უნდა ჩატარდეს კვლევა ახალი დირექტორების საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით;
- იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც მცირეკონტიგენტიანი სკოლების საბიუჯეტო პრობლემებს განაპირობებს და გაუჩერული დაფინანსების ფორმულაში მათი უშუალო გათვალისწინება;
- მომავალში მიზანშეწონილია კვლევის ჩატარება საგნობრივ-სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შესასწავლად, სასწავლო პროგრამებში საინფორმაციო-კომუნიკაციის და ტექნოლოგიების ინტეგრაციის, სერტიფიცირების პროცესების, სამეურვეო საბჭოების და დირექტორების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის განსასაზღვრად;
- სასურველია, სკოლების ხარჯებსა და შემოსავლებზე გამჭვირვალე მონაცემთა სისტემის შექნა, რათა შესაძლებელი იყოს წინამდებარე კვლევის შედეგების შედარება იმ კვლევის შედეგებთან, რომელიც მომავალში ჩატარდება.

10 შესავალი და წინაპირობა

11 შესავალი

საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს განათლების სისტემის რეფორმას. რეფორმის მიზანია ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც უკეთესად იქნება მომზადებული საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ (სამინისტრო) განათლების სისტემის რეფორმირების მიზნით განახორციელა პროექტი „ილია ჭავჭავაძე“.

მას შემდეგ, რაც საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა, აუცილებელი გახდა განათლების სისტემის გარკვეულწილად შეცვლა. სწრაფად ცვალებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განათლების სისტემა დაეხმარება მოსწავლეს ჩამოყალიბდეს სრულყოფილი, ინოვაციური და კრიტიკული აზროვნების მქონე პიროვნებად. განათლების რეფორმის პროგრამა 2001 წელს დაიწყო და სამ ეტაპად ხორციელდება. პროგრამის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა შემდეგი მიმართულებების განხორციელებას: ა) სისტემის ამოცანების ეფექტური რეფორმირებისათვის განათლების პოლიტიკისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება; ბ) მოცემული ამოცანების დასაკმაყოფილებლად შესაბამისი შესაძლებლობების განვითარება და ფიზიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსების უფრო ნაყოფიერი და ეფექტური მართვა.

მსოფლიო ბანკის და სამინისტროს მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი „ილია ჭავჭავაძე“ გახდებულ ნაბიჯებს დგამს მზარდი მასშტაბების რეფორმირების ინიციატივების განსახორციელებლად. სამომავლო საქმიანობაში შედის სათანადო შესწორებები საერთაშორისო გამოცდილებისა და გარე ექსპერტების შეფასების ანგარიშების მონაცემების გათვალისწინებით. წარმოდგენილი შეფასების ანგარიში რეფორმის რვა ძირითადი მიმართულების სხვადასხვა ასპექტს ასახავს.

სასწავლო გარემო:

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში მასწავლებელთა მოსამზადებელი ტრენინგები;
- „ირმის ნახტომის“, საინფორმაციო კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების ტრენინგები, სკოლების კომპიუტერებითა და ინტერნეტით აღჭურვა;
- დამატებითი სასწავლო მასალების მიწოდება;
- სასკოლო ქსელის პროგრამა.

მართვა, მართვის შესაძლებლობები და ფინანსები

- დეცენტრალიზაციის სტრუქტურა, საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესაძლებლობები;
- სკოლების ოპტიმიზაცია და კონსოლიდაცია;
- ახალი დაფინანსების და ვაუნერული დაფინანსების სისტემა;
- მასწავლებლებისათვის ახალი სახელფასო ანგარიშსწორების სისტემა.

12 ანგარიშის სტრუქტურა

I ნაწილი, რომელშიც რეფორმის წინაპირობაა წარმოდგენილი, მოიცავს ორ ქვეთავს: სასწავლო გარემო და მართვისა და ფინანსური შესაძლებლობები. II ნაწილში მოცემულია კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია, კვლევის ფორმატი, შერჩევის პრინციპი, შენიშვნები მოძიებულ მონაცემებზე, მონაცემთა ბაზების აღწერილობა და კვლევის მასშტაბები. თითოეული ნაწილი დაყოფილია თემატურ პუნქტებად, რომელიც ინდიკატორების შესაბამის მტკიცებულებებს მოიცავს. მოცემულია, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი ინფორმაცია. რესპოდენტებისგან მიღებული ძირითადი რაოდენობრივი ინფორმაცია განზოგადებულია ეროვნულ დონეზე და წარმოდგენილია ცხრილების სახით, რომელიც გვიჩვენებს სანდოობის ინტერვალს. ანგარიშს თან ერთვის შედეგები, რომელიც შედარებულია კატეგორიების მიხედვით და განთავსებულია ცხრილებში ხი-კვადრატის ან თი-ტესტის მაჩვენებლებით (იხილეთ ქვეთავი 2.6). თითოეული დიდი ქვეთავის (მაგ, 3.1, 3.2 და ა.შ) ბოლოს მოცემულია დასკვნები. V ნაწილი აერთიანებს დასკვნების და რეკომენდაციების სრულ ჩამონათვალს და ბოლოს, წარმოდგენილია რეკომენდაციები დამატებითი კვლევების ჩატარებასთან დაკავშირებით.

13 სასწავლო გარემო

13.1 სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის ქ-ნ. მარინა ჟვანიას ინფორმაციით, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა შეიმუშავეს უცხოელ კონსულტანტებთან თანამშრომლობის (1999 წელი) და კვლევის ფარგლებში 10 შერჩეული სკოლის საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე. მოცემულმა ანგარიშმა და 1999 წელს ჩატარებულმა კვლევის (შაჰრიარი, 1999) შედეგებმა ცხადყო, რომ სწავლის და სწავლების პროცესი იმ დროისათვის ორინტირებული იყო მხოლოდ მასწავლებელზე, ემყარებოდა სწავლების დიდაქტიკურ მეთოდებს და არ გულისხმობდა გაკვეთილის პროცესში მოსწავლის ჩართვასა და მონაწილეობას. სწავლის და სწავლების პროცესი “დახეპირებას” და “გამეორებას” გულისხმობდა და ვერ ავითარებდა ანალიზის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევებს. სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროგრამა ძირითადად მიზნად ისახავდა ეფექტური სწავლის და სწავლების გარემოს, მონიტორინგისა და შეფასების, კლასის მართვის შესაძლებლობების განვითარებას. 2003-2005 წლებისათვის შერჩეული მოდელი ითავალისწინებდა ასი კვალიფიციური ექსპერტის მიერ თითოეულ სკოლაში თვეში ორჯერ სუთი (2004-05 წლებში) ან ათი-თხუთმეტი (2003-04 წლებში) სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარებას.

ტრენინგებზე წარმოადგენდნენ აქტიური სწავლების პრაქტიკის მოდელირებას. თითოეული სესიის მსვლელობისას მასწავლებლებს აძლევდნენ სპეციალურ პრაქტიკულ დავალებასა და მასალას საკლასო ოთახში გამოსაყენებლად. შემდგომში მასწავლებლები უნდა დახმარებოდნენ სხვა პედაგოგებს შესწავლილი მეთოდის პრაქტიკულ გამოყენებაში ღია გაკვეთილებზე დასწრების და მასალების გაზიარების გზით. სხვადასხვა დისციპლინების მასწავლებლებს არჩევდნენ სკოლის დირექტორები. ცენტრის წარმომადგენელთა აზრით, შერჩევის მექანიზმი არ აღმოჩნდა საკმარისად დახვეწილი და გარკვეულ შემთხვევებში პროფესიულ ტრენინგებში ყველა საგნის მასწავლებლის ჩართვა ვერ მოხერხდა.

ტრენინგების ციკლი სხვადასხვა სკოლებში პარალელურად მიმდინარეობდა, რაც ემსახურებოდა მასწავლებლების პროფესიული დონის ამაღლებას და სკოლებს შორის

თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. პროფესიული განვითარების ტრენინგებში სულ 1800 სკოლის მასწავლებელი მონაწილეობდა.

ტრენინგები სხვადასხვა საკითხს მოიცავდა. მაგალითად, თეორიები სწავლის და სწავლების შესახებ, კლასის მართვა, ეფექტური საკლასო ოთახის გარემოს შექმნა, მონიტორინგი და შეფასება, მასალები და რესურსები აქტიური სწავლისათვის, კლასგარეშე რესურსები და საკლასო ვიზიტები, დაგეგმვა და ა.შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზუსტად არ განსაზღვრულა მასწავლებელთა იმ ნაწილის გადამზადების მექანიზმი, რომლებიც ტრენინგებში არ იყვნენ ჩართულნი. ცენტრის წარმომადგენლების აზრით, მოცემულმა სტრუქტურამ გარკვეული პრობლემები შეუქმნა ტრენინგებში ჩართულ მასწავლებლებს, ვინაიდან, არ განსაზღვრულა არც ანაზღაურება და არც დრო მათ მიერ სკოლის ბაზაზე სხვა პედაგოგებისათვის ინფორმაციის გასაზიარებლად. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება რეგიონალური კონფერენცია. პროფესიული განვითარების ციკლში ჩართულ მასწავლებლებს შეუძლიათ მიღებული გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკის მაგალითები გაუზიარონ პროექტის მონაწილე თუ სხვა მასწავლებლებს. ტრენინგების შემდეგ, ყველა მონაწილე სკოლამ მიიღო ტრენინგებისას გამოყენებული მასალების ასლები. დირექტორებს ტრენინგებში მონაწილეობა არ მოეთხოვებოდათ.

132 სასკოლო ქსელი

სასკოლო ქსელის პროგრამა, როგორც სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროგრამის ნაწილი, შემუშავდა და განხორციელდა სკოლებს შორის თანამშრომლობის და ინფორმაციის გაზიარების ხელშეწყობის მიზნით. ინიციატივის განხორციელებისას გაითვალისწინეს, რომ საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე საშუალო სკოლები ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულნი იყვნენ. სკოლები, რომელმაც წარმატებულად მიიღეს მონაწილეობა სასკოლო გრანტების პროგრამის პირველ ეტაპში, ჩაერთვნენ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ციკლსა და სასკოლო ქსელის პროგრამაში. ინიციატივის მიზანი იყო სკოლაში და სკოლებს შორის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. კერძოდ, შერჩეული ორი სკოლის წარმომადგენლებს უნდა განესაზღვრათ სწავლის და სწავლების პროცესთან დაკავშირებული პრობლემები. ამის შემდეგ, სკოლების ქსელის წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ არსებული პრობლემის გადაჭრის გზების და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განსაზღვრად. სკოლები დამოუკიდებლად ადგენდნენ შეხვედრების სიხშირეს.

პროგრამის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა კომუნიკაციის და ინფორმაციის გაზიარების მიზნით, სასკოლო ქსელში რაც შეიძლება მეტი მასწავლებლის ჩართვა. პროგრამა გრძელდებოდა ერთი წლის განმავლობაში. პროგრამის განხორციელების ვადების გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე ჩართული სკოლების რიცხვი არ გაზრდილა; ამასთანავე, არ შემუშავებულა სამომავლო საქმიანობის გეგმა. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ეტაპზე არსებობს ზოგიერთი სკოლის მოცემული ფორმატით თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითები.

სასკოლო გრანტების პროგრამა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა სკოლაში სწავლის და სწავლების პროცესის ხელშეწყობას. კონკურსში გამარჯვებულ სკოლას გადაეცემოდა გრანტი სწავლის და სწავლების პროცესის და სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა გაითვალისწინა, რომ სკოლებს საპროექტო წინადადებების განვითარებაში დახმარება ესაჭიროებოდათ. საგრანტო პროგრამის პირველ ეტაპზე კონკურსში გამარჯვებულმა 210 სკოლამ მოიპოვა გრანტი 1000 აშშ დოლარის ოდენობით; ხოლო პროგრამის მეორე ეტაპზე დამატებით 213 სკოლამ მიიღო გრანტები

3000 აშშ დოლარის ოდენობით. გრანტის საშუალებით სკოლას შეეძლო გაეუმჯობესებინა სწავლის და სწავლებისათვის საჭირო მასალების ხარისხი. ცენტრის წარმომადგენლების აზრით, სკოლების საგრანტო პროგრამის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების შემდეგ პროექტში ჩართულმა სკოლებმა და მასწავლებლებმა კარგად გაიაზრეს სკოლის განვითარების, სწავლის და სწავლების ხარისხის ამაღლების მნიშვნელობა. შეფასების მოცემულ ანგარიშში არ არის დეტალური ინფორმაცია სასკოლო გრანტების პროგრამის შესახებ, ვინაიდან მსოფლიო ბანკმა დამოუკიდებლად ჩაატარა პროგრამის სიღრმისეული კვლევა.

133 ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების შემდეგ ტრენინგები ახალ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით ჩატარდა. ამ ეტაპზე, მასწავლებლებს უკვე აქვთ შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები, გამოიმუშავებული პროფესიული განვითარების ციკლის შემდეგ. ეს ტრენინგები მეტ ინფორმაციას აძლევს მასწავლებელს სწავლის თეორიების, შეფასების, ცალკეული საგნობრივი სტანდარტების, მოსწავლეთა პორტფოლიოების და შედეგზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების პროცესების შესახებ.

ტრენინგისათვის შერჩეული მოდელი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების ფორმატის მსგავსია, მცირეოდენი განსხვავებებით. ტრენინგების ფორმატის მიხედვით განისაზღვრა საპილოტე და არასაპილოტე სკოლები. 100 საპილოტე სკოლიდან 51 მონაწილეობდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში, ყოველწლიურად ხუთი სხვადასხვა საგნის ძირითადი მასწავლებელი ჩაერთო ტრენინგების ციკლში. 2005-2006 წლებში ტრენინგები ითვალისწინებდა I, VII და X კლასის მასწავლებლების მომზადებას ახალ სასწავლო გეგმაში. შემდგომი წლების ტრენინგთა ციკლი შემუშავდა მომდევნო ოთხი ასაკობრივი ჯგუფისათვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ანალოგიურად, სკოლებს უნდა განესაზღვრათ შედარებით შემოქმედებითი და სიახლეების შესასწავლად მოტივირებული მასწავლებლები. მონაწილეებს მხოლოდ დღიურ სამივლინებო და სატრანსპორტო ხარჯების უნაზღაურებდნენ.

გასულ წელს საპილოტე ტრენინგები ოთხი მოდულით განხორციელდა:

- ა) ახალი სასწავლო გეგმის სტანდარტები საგნობრივი დისციპლინების მიხედვით (ფოკუსირებული თითოეულ საგანზე);
- ბ) შეფასების ახალი სისტემა;
- გ) საკლასო პროექტები;
- დ) პრაქტიკული გამოყენება.

ტრენინგებში მონაწილეებს დაურიგდათ სპეციალური სახელმძღვანელოები, ხოლო შესაბამისმა სკოლებმა მიიღეს ოთხი დამატებითი სახელმძღვანელო. პროგრამის ჩარჩოს მიხედვით, მონაწილე მასწავლებლებს სკოლაში სხვა აკადემიური კადრებისათვის საკუთარი პრაქტიკა და მიღებული გამოცდილება უნდა გაეზიარებინათ. ინფორმაციის გაზიარების სხვადასხვა ინიციატივები განხორციელდა სკოლებს შორისაც. ტრენინგ პროგრამა ითვალისწინებდა ერთი სემინარის ჩატარებას თვეში (შაბათ-კვირას) სხვადასხვა მონაწილე სკოლებისათვის საქართველოს 70 რაიონიდან. მოცემული სემინარები ეძღვნებოდა სკოლების მიერ მიღებული გამოცდილების და არსებული პრობლემების გაზიარებას. ყოველთვიური სემინარები ძირითადად საპილოტე სკოლებისათვის იყო ორგანიზებული, მაგრამ არასაპილოტე სკოლების მასწავლებლებს, სურვილისამებრ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. ჩვენი აზრით, საპილოტე სკოლის არსი ისაა, რომ ახალ სასწავლო გეგმაში ცვლილებების

შესატანად რეკომენდაციების საშუალებას გვაძლევს, რაც მომდევნო წელს პროგრამის სხვა სკოლებში წარმატებულად დანერგვას განაპირობებს.

არასაპილოტე სკოლები ტრენინგების განსხვავებულ მოდელში არიან ჩართულნი. პროექტის ფარგლებში ყველა მასწავლებელს შეუძლია ტრენინგებში მონაწილეობა თვეში ერთხელ (გამონაკლისი, დეკემბერი და იანვარი), მაგრამ ჩატარებული სესიები არ არის საპილოტე წელს ჩატარებულის სესიის მსგავსი; მონაწილეებს არ მიეწოდებათ სრული მასალა, არამედ მხოლოდ ხუთი-ექვს გვერდიანი სამუშაო მასალა ძირითადი საქმიანობის ამსახველი. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის კოორდინატორის ქ. ნანა დალაქიშვილის ინფორმაციით, არასაპილოტე სკოლების მასწავლებლების 20% ესწრება ამ სესიებს. შეფასების ჯგუფს არა გააჩნია სხვა ქვეყნებში მსგავსი ფორმატის ტრენინგების გამოცდილების მაგალითი, მაგრამ ზოგადად ცნობილია, რომ უფასო, არაანაზღაურებადი ტრენინგები მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია საპილოტე და არასაპილოტე სკოლების ჯგუფების ანალიზი. კვლევის ძირითად მიზანს არ წარმოადგენდა იმის შესწავლა, თუ რამდენად ფართო და ღრმა იყო ტრენინგები საპილოტე თუ არასაპილოტე სკოლებში, არამედ იმის გარკვევა, თუ რა ზეგავლენა ჰქონდა ტრენინგებს ორივე შემთხვევაში.

ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გეგმავენ 2013 წლის მასწავლებელთა ლიცენზირების პროცესისათვის აუცილებელ მოთხოვნად ჩართონ პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობა, რაც გარკვეულწილად, გაზრდის ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლების რაოდენობას. ეს კარგი მოტივაციაა და ხელს შეუწყობს ტრენინგების გავლენისა და მასშტაბების გაზრდას, მითუმეტეს თუ ცენტრი ტრენინგის ორგანიზაციების აკრედიტაციასაც მოითხოვს. ამასთანავე, ცენტრი გეგმავს ხელი შეუწყოს სკოლებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ანიჭებს რა საკრედიტო ქულებს იმ სკოლების, რომლებიც საგანმანათლებლო რესურსცენტრების დახმარებით ამ ინიციატივაში მიიღებენ მონაწილეობას. შეფასების ჯგუფის აზრით, აკრედიტაციისათვის მოთხოვნების ჩამოყალიბება გარკვეულწილად ერთჯერადი ინიციატივაა და მიზანშეწონილია მხარეების მეტი დაინტერესება.

134 დამხმარე სასწავლო მასალების გამოფენა

გაითვალისწინეს რა სკოლებში დამხმარე სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის სიმცირე, განათლების პროგრამის ფარგლებში მოეწყო სასწავლო მასალების გამოფენა. პრობლემის გადაჭრის მიზნით 2003 და 2004 წლებში ჩატარდა დამატებითი სასწავლო მასალების ორი გამოფენა. გამოფენის ძირითად მიზანს სკოლების იმ დამატებითი სასწავლო მასალებით აღჭურვა წარმოადგენდა, რომელიც დაეხმარებოდა სკოლას აქტიური სწავლების პროცესის განხორციელებაში. სპეციალურმა კომისიამ განსაზღვრა საგნობრივი დისციპლინების მიხედვით საჭირო მასალები, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალი მეთოდების დანერგვას და დააკმაყოფილებდა ხანგრძლივი მოხმარების მოთხოვნებს. შესაბამისი მასალების კატალოგები დაურიგდა ყველა სკოლას. სკოლის წარმომადგენლებს შეეძლოთ დასწრებოდნენ გამოფენებს. გამოფენების მეორე ეტაპისათვის, თითოეული სკოლისათვის გამოჰყვეს სპეციალური ბიუჯეტი - 200 აშშ დოლარი და დამატებით 2 აშშ დოლარი მოსწავლეზე. გამოფენების პირველ ეტაპზე შედგენილი ნუსხა მხოლოდ დაბეჭდილი მასალებით შემოიფარგლებოდა. მეორე გამოფენისას გათვალისწინებულ იქნა მასალები ყველა სავალდებულო საგნის სწავლებისათვის. მაგალითად, პლაკატები, აუდიო-ვიდეო კასეტები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, მიკროსკოპები, საგნობრივი თვალსაჩინოებები, აღჭურვილობა სპორტული დარბაზებისათვის და სხვა. სკოლის წარმომადგენლები დაესწრნენ გამოფენებს და წარადგინეს შერჩეული მასალების ნუსხები. შეკვეთა და მიწოდება შეფერხდა 71 უცხოელი მომწოდებლის მიზეზით – შეკვეთილი მასალის სიმცირის გამო ინვენტარის

საქართველოში ტრანსპორტირება შეუძლებელი აღმოჩნდა.

უმეტესად, შერჩეული მასალა, მათი დაბალი ღირებულებიდან გამომდინარე, იყო პლასტიკები, წიგნები, საგანმანათლებლო თამაშები და რუკები. შედარებით ნაკლებად თუმცა დიდი რაოდენობით (10 000-ზე მეტი) ირჩევდნენ სპორტული აღჭურვილობას, თემატურ პორტფოლიოებს, ლაბორატორიის აღჭურვილობას, ლექსიკონებს, თვალსაჩინოებებს, საღებავებსა და ხელსაწყოებს.

135 პროექტ „ირმის ნახტომის“ ტრენინგ-პროგრამა

პროგრამის წარმომადგენლების ინფორმაციით, „ირმის ნახტომის“ ფარგლებში განხორციელებული ტრენინგები საწყის ეტაპზეა. პროგრამა სამ ეტაპად განხორციელდება. პირველი ეტაპი ითვალისწინებს საბაზისო კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარებას და სულ 24 საათს მოიცავს. იგულისხმება კომპიუტერის მოხმარების საწყისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას – კომპიუტერის ჩართვა და გამოყენება, ფაილების გადაგზავნა, ძირითადი პროგრამების გამოყენება, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება. ტრენინგების დონე დამოკიდებულია მონაწილე ჯგუფების შესაძლებლობებზე და იცვლება ტრენინგის დინამიკის მიხედვით, რაც თავის მხრივ ფასილიტაციის კარგ უნარს საჭიროებს. პროგრამის მიზანია მასწავლებლების 70%-ის ტრენინგებში ჩართვა.

ტრენინგების მეორე ეტაპი დაიწყება სექტემბრიდან. ძირითადი მიზანია ტრენინგებში ჩართული მასწავლებლების 10%-ის მიერ საინფორმაციო კომუნიკაციების და ტექნოლოგიების სწავლების კურსში და სკოლის სასწავლო პროგრამაში ჩართვის უნარ-ჩვევების განვითარება. ტრენინგების მეორე ეტაპი 40 საათს მოიცავს, თითო სესია გრძელდება ორ საათის განმავლობაში და ტარდება ორ დღეში ერთხელ. ტრენინგ კურსი შედგენილია ამერიკული „In Tech“ მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც გულისხმობს საინფორმაციო კომუნიკაციების და ტექნოლოგიების სასწავლო პროგრამაში ინტეგრაციას. მესამე ეტაპი მიზნად ისახავს სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას, რომლისთვისაც „ირმის ნახტომი“ უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას და კონსულტაციებს, მაგრამ არა ტრენინგებს.

„ირმის ნახტომი“ ამზადებს ტრენინგ-პროგრამას სკოლების ახალი დირექტორებისათვის სკოლის ადმინისტრირების პროცესებში კომპიუტერის გამოყენების შესახებ. ტრენინგები მოიცავს 24 საათს ერთი თვის განმავლობაში. ტრენინგ-პროგრამაში მონაწილე დირექტორების დონე შეფასდება სემინარების დაწყებამდე, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამაში შესაბამისი შესწორებების შეტანა.

მოცემულ ეტაპამდე განხორციელებულ ტრენინგებში წინასწარ არ იყო გათვალისწინებული მონაწილე მასწავლებლების ტექნიკური უნარ-ჩვევები. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტრენინგები ძირითადად ქალაქის სკოლებში ჩატარდა. ამიტომ, სოფლის და მთიანი რაიონების სკოლების შეფასების შედეგები, შეგვიძლია გამოვიყენოთ საბაზისო კვლევად „ირმის ნახტომის“ ფარგლებში.

„ირმის ნახტომის“ პროგრამა სხვა ტრენინგების მსგავსი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. კერძოდ, ტრენინგების მონაწილეთა შერჩევა ამ შემთხვევაშიც დირექტორებმა განახორციელეს. ამგვარად შერჩეული მასწავლებელი შეიძლება სულაც არ იყოს საკმარისად მოტივირებული, ვინაიდან დირექტორები სხვადასხვა პრინციპით არჩევენ მათ. ტრენინგ-პროგრამა იყენებს ადგილობრივ მწვრთნელებს უმეტეს ქალაქებში და მობილურ მწვრთნელებს იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი კადრი ხელმისაწვდომი არ არის.

136 სკოლების ბიბლიოთეკების აღჭურვის პროგრამა

მიუხედავად იმისა, რომ სკოლების უმეტესობას აქვს ბიბლიოთეკები, რეფორმის პროექტის წარმომადგენლების აზრით, ბიბლიოთეკებში არსებული მასალა აქტიური სწავლების

პროცესისათვის მოძველებული და შეუფერებელია. ამ პრობლემის მოსაგვარებლად დაიწყო ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგება. პროგრამის ფარგლებში წიგნები გადაეცა სოფლის სკოლებს. პროგრამის საწყის ეტაპზე 600 სკოლა მომარაგდა რესურსებით. დაგეგმილია პროცესში სოფლის ახალი სკოლების ჩართვა. სპეციალურმა კომისიამ განსაზღვრა კრიტერიუმი ბიბლიოთეკის მასალების შესარჩევად დაბეჭდვის თარიღის, ხარისხის, საგანმანათლებლო ღირებულებისა და ფასის გათვალისწინებით.

14 მართვა და ფინანსები

14.1 დეცენტრალიზაცია და მართვა

2003 წლის შემდეგ, დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაფინანსების და მართვის სისტემაში ძირეული ცვლილებები განიცადა. განათლების სისტემის რეფორმამ სრულიად შეცვალა დაფინანსების და მართვის ფორმები. ამ საკითხების დეტალური ანალიზი ქვემოთ არის წარმოდგენილი. განხორციელდა განათლების სისტემის მართვის სტრუქტურის დეცენტრალიზაცია, ჩამოყალიბდა სამეურვეო საბჭოები და საგანმანათლებლო რესურსცენტრები, დაინერგა ვაუჩერული დაფინანსების ფორმულა, გაიზარდა მასწავლებელთა სახელფასო განაკვეთი და შეიცვალა დაანგარიშების ფორმულა.

ყველა სკოლას (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) მიენიჭა იურიდიული პირის სტატუსი და ავტონომიურ ერთეულებად გადაიქცა. მიმდინარე ეტაპზე საჯარო სკოლები სამინისტროს პირდაპირი დაფინანსების ქვეშ იმყოფება. მათ აქვთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება. გაუქმდა ადგილობრივი თვითმართველობების მიერ სკოლებისათვის ბიუჯეტის დამტკიცების და განთავსების უფლებამოსილება. წელიწადში ორჯერ განათლების და მეცნიერების სამინისტროდან სკოლებს საბანკო ანგარიშზე ერიცხებათ ერთიანი თანხა ვაუჩერული დაფინანსების ფორმულით. საბანკო გადარიცხვებზე გადასვლამ პროცესი უფრო გამჭვირვალე და სწრაფი გახადა. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ სკოლები დამოუკიდებლად განკარგავენ საბიუჯეტო ხარჯებს, საჭიროებათა შესწავლის და პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლას უფლება აქვს შემოსავლების გაზრდის მიზნით მოიძიოს ფონდები, შემოწირულობები, ჩაერთოს კომერციული საქმიანობაში. არ არსებობს არავითარი შეზღუდვა, თუ ეს უარყოფითად არ აისახება მოსწავლეებზე და შემოსავლები სკოლის საკეთილდღეოდ არის მიმართული. (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 51).

დეცენტრალიზაციის ინიციატივის ერთ-ერთ მიზანია, სკოლის მართვასა და სასწავლო გარემოში აქტიურად ჩართოს ადგილობრივი თემი. სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბება, რომელიც შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისაგან (ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლიც) მნიშვნელოვანი ნაბიჯია ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად. სამეურვეო საბჭო, წარმოადგენს რა უმაღლეს ადმინისტრაციულ ერთეულს სკოლის დონეზე, პასუხისმგებელია სკოლის ბიუჯეტის, ყოველწლიური გეგმების, შინაგანაწესის, სკოლის სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე, ზედამხედველობს მასწავლებელთა საბჭოების მიერ სახელმძღვანელოების შერჩევასა და დამტკიცებას. საბჭო უფლებამოსილია, განახორციელოს სკოლის ადმინისტრაციის მიერ სასკოლო ბიუჯეტის განკარგვის მონიტორინგი და კონტროლი.

მეორე მნიშვნელოვანი ინიციატივა სკოლების დეცენტრალიზაციის პროცესში არის საგანმანათლებლო რესურსცენტრების ჩამოყალიბება. ისინი ჩაენაცვლენ ადრე არსებულ განათლების რაიონულ ცენტრებს. საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმოადგენს შუალედურ რგოლს სკოლების საქმიანობის გაზიარების, ადმინისტრაციული ინფორმაციის მიწოდების, მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინიციატივების ორგანიზებისა და ხელშეწყობისათვის; რესურსცენტრი უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დეპარტამენტისათვის.

142 ვაუჩერული დაფინანსების ფორმულა

ძირეული ცვლილებები განხორციელდა საჯარო სკოლების საფინანსო სისტემაში. 2005 წლის 1 ოქტომბერს ვაუჩერული მოდელის დანერგვის შემდეგ, სკოლა დაფინანსებას თითოეულ მოსწავლეზე იღებს. ამ ცვლილების მიზანი სხვადასხვა კატეგორიის სკოლებისათვის ბიუჯეტის განსაზღვრაში სამართლიანობის და თანასწორობის დაცვა იყო. ამგვარად იზრდება სკოლის დაინტერესება შეიმუშავოს მრავალფეროვანი და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები მოსწავლეების მოსახიდად. მიმდინარე ეტაპზე ვაუჩერული დაფინანსების ფორმულა მხოლოდ ერთ მარტივ კრიტერიუმს ეფუძნება – სკოლების გეოგრაფიულ განთავსებას. ქალაქის სკოლები ვაუჩერული დაფინანსების ყველაზე დაბალ განაკვეთს იღებენ, სოფლის სკოლები, საშუალო და მაღალმთიანი რაიონების სკოლები კი ყველაზე მაღალს. მოცემული სახის დიფერენციაცია მიზნობრივად განხორციელდა, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მდებარე სკოლებს შორის თანაბარი და დაბალანსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ვინაიდან, ვაუჩერული დაფინანსების ფორმულა არ ითვალისწინებს სკოლების კონტიგენტის სიდიდეს, დაბალკონტიგენტიანი სკოლები სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ და მიზანშეწონილია, დამატებითი სუბსიდიის განსაზღვრა ვაუჩერული დაფინანსების ფორმულის შესავსებად.

143 მასწავლებელთა სახელფასო ანგარიშწორების ახალი სქემა

ვაუჩერული დაფინანსების ფორმულის განხორციელების პარალელურად სამინისტრომ შეიმუშავა მასწავლებელთა სახელფასო განაკვეთის დაანგარიშების ახალი ფორმულა, რის შედეგადაც განხორციელდა ხელფასების განაკვეთის მნიშვნელოვანი, საშუალოდ ორჯერ, ზრდა. მინიმალური სახელფასო განაკვეთი გაუთანაბრდა სახელმწიფო მოხელის მინიმალური ხელფასის ოდენობას. ახალი ფორმულა სამ კოეფიციენტს ეფუძნება: პროფესიული გამოცდილება, კვალიფიკაცია, კლასების სიდიდე. ფორმულა გამოიყენება მინიმალური სახელფასო განაკვეთის დაანგარიშებისათვის თითოეული მასწავლებლისათვის და შესაბამისად ყველა სკოლა ვალდებულია დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნა. მოცემული მინიმალური განაკვეთის ზემოთ სკოლას უფლება აქვს განსაზღვროს ანგარიშსწორების შედარებით მაღალი ზღვარი, ან პრემიები საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

144 ოპტიმიზაცია

სკოლების ოპტიმიზაცია ანუ კონსოლიდაცია განხორციელდა ზოგადი განათლების სისტემაში ადამიანური, ფიზიკური და ფინანსური რესურსების ეფექტურობის გაზრდის მიზნით. პროცესი მოიცავდა ორ ეტაპს: პირველი რიგში გაითვალისწინეს სოფლის ან მცირეკონტიგენტიანი სკოლები; მეორე ეტაპზე კი შეეცადნენ სკოლების დაინტერესებას, რათა ისინი ჩართულიყვნენ ოპტიმიზაციის პროცესებში. კონსოლიდაციისათვის შემდეგი კრიტერიუმები იქნა გათვალისწინებული: სკოლის კაპიტალი, მასწავლებელი-მოსწავლის თანაფარდობა და მანძილი სკოლებს შორის. როგორც შეფასების ჯგუფისთვის არის ცნობილი, არ განსაზღვრულა კონკრეტული სამიზნე სკოლები და რაიონები.

ორ ეტაპად განხორციელებული ოპტიმიზაციის შედეგად სკოლების რაოდენობა დაახლოებით 1000-ით შემცირდა და შეადგინა 2300. უკანასკნელი წლების განმავლობაში მოსახლეობის მზარდმა დემოგრაფიულმა გადაადგილებამ სკოლების შენობა-ნაგებობების შეუფერებელი გამოყენება განაპირობა. კერძოდ, სკოლების შენობა-ნაგებობები მოსწავლეების გაცილებით მაღალ კონტიგენტზე იყო განსაზღვრული, რაც ოპტიმიზაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. ზოგ შემთხვევაში, სადაც ფიზიკურმა კონსოლიდაციამ

ტრანსპორტირების პრობლემები განაპირობა, სამინისტრომ სკოლებს გადასცა სასკოლო ავტობუსები, რომლებიც უსასყიდლოდ უზრუნველყოფენ მოსწავლეების ტრანსპორტირებას. მოცემულ ეტაპზე, ადმინისტრაციული ოპტიმიზაცია, რომლის ფარგლებშიც სკოლები შეინარჩუნებენ არსებულ შენობას, მაგრამ ერთი სკოლის მმართველობითი ორგანოს ადმინისტრირების ქვეშ ექცევიან, ოპტიმიზაციის ყველაზე ფართოდ მიღებულ მეთოდს წარმოადგენს.

2.0 კვლევის ფორმატი და სტრუქტურა

21 შესწავლილი საკითხები

ტექნიკურ დავალებაში წარმოდგენილი შეფასების კითხვების სიღრმისა და რაოდენობის სათანადო შეფასებისათვის დიდი დრო იყო საჭირო. დეტალურად უნდა განხილულიყო შეფასების კითხვები და ინდიკატორები, უნდა შემუშავებულიყო კვლევის ინსტრუმენტები და მომხდარიყო მათი პილოტირება, ჩატარებულიყო სავსე სამუშაოები და ბოლოს, მომზადებულიყო სრულყოფილი ანგარიში, როგორც, ჩვეულებრივ, კვლევისას ხდება. ვინაიდან, სასწავლო წელი მთავრდებოდა და თვით რეფორმის პროექტის ვადა იწურებოდა, კვლევის განსახორციელებლად მხოლოდ ორი თვე განისაზღვრა.

ამის გათვალისწინებით, შეფასების ჯგუფმა მუშაობის დაწყებამდე დეტალურად განიხილა შემდეგი საკითხები: 1) რეფორმით გათვალისწინებული საქმიანობის სიღრმე; 2) კვლევის მასშტაბები და რესპოდენტების ტიპები მონაცემთა შემდგომი განზოგადებისათვის; 3) მონაცემთა მოცულობა და მრავალფეროვნება რეფორმის პროგრამის სხვადასხვა საქმიანობასთან მიმართებაში. საკონსულტაციო ჯგუფმა განიხილა სხვადასხვა პრინციპი და მეთოდოლოგია. დროის სიმცირის გამო, შეფასების ჯგუფმა შეათანხმა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებსაც შეისწავლიდნენ და შედეგებს შეძლებისდაგვარად განაზოგადებდნენ. კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა:

სასწავლო გარემო:

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში მასწავლებელთა ტრენინგები;
- პროექტი „ირმის ნახტომი“ და ტრენინგები საინფორმაციო კომუნიკაციებსა და ტექნოლოგიებში, კომპიუტერებითა და ინტერნეტით აღჭურვა;
- დამატებითი სასწავლო მასალების მიწოდება;
- სასკოლო ქსელის პროგრამა.

მართვა, მართვის შესაძლებლობები და ფინანსები

- დეცენტრალიზაციის სტრუქტურა, საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესაძლებლობები;
- სკოლების ოპტიმიზაცია და კონსოლიდაცია;
- ახალი დაფინანსების და გაუჩერული დაფინანსების სისტემა;
- მასწავლებლებისათვის ახალი სახელფასო ანგარიშსწორების სისტემა.

შემუშავდა 200 ახალი ინდიკატორი მოცემული რვა საკითხის შესასწავლად. თუმცა, წინამდებარე ანგარიში თემატურად არის აგებული, და არა ინდიკატორების მიხედვით. ამასთანავე, ზოგიერთ ინდიკატორს მისი აქტუალურობიდან გამომდინარე მეტი ყურადღება ექცევა.

22 კვლევის მეთოდოლოგია

ჩატარდა შედარებითი ანალიზი საწყისი კვლევების ანგარიშებში მოცემული რეფორმამდელ

პერიოდის პირობებთან შედარებით. რიგ შემთხვევებში რეფორმის პროცესი მხოლოდ საწყის ან ადრეულ ეტაპზეა. ამიტომ, მოცემული შემთხვევების გათვალისწინებით, კვლევა შეაფასებს რეფორმის პროცესების გავლენას ან წარმოადგენს საბაზისო კვლევას, რაც სამომავლოდ განხორციელებული ცვლილებების შედარებით ანალიზის საშუალებას იძლევა.

პროექტის საკოორდინაციო ცენტრთან შეთანხმებით განისაზღვრა მონაცემთა შეგროვების საშუალებები:

- ა. ხელმისაწვდომ მონაცემთა წყაროების და საწყისი კვლევების მასალების მოძიება;
- ბ. ინტერვიუები ძირითად ჩართულ მხარეებთან;
- გ. ფოკუს-ჯგუფების ორგანიზება 15 რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან.

ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს 14 რაიონის რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა: ბათუმი, ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ისან-სამგორი, მთაწმინდა-კრწანისი, სიღნაღი, ახმეტა, მარნეული, მცხეთა. ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრებზე განიხილეს შემდეგი საკითხები: რესურსცენტრებში არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსები, ტექნიკური აღჭურვილობა, სკოლების ახალი სახელმძღვანელოებით მომარაგების საკითხები, ცენტრების მხარდაჭერა/დახმარება სკოლების მართვასა და სამეურვეო საბჭოების ფუნქციონირებაში, რესურსცენტრების ახალი სტრუქტურის დადებითი და უარყოფითი მხარეები, არსებული პრობლემები და ა.შ. (იხილეთ, დანართი ფოკუს-ჯგუფების დეტალური ინფორმაციისათვის).

ასიღრმისეული კონტექსტური კვლევა

ბ) ინტერვიუები სკოლის დირექტორებთან

ჩატარდა 15 სკოლის დირექტორების გამოკითხვა თბილისის, სამეგრელოს და კახეთის რეგიონებიდან. რესპოდენტებისათვის დასმული შეკითხვები ძირითადად ახალი დირექტორების და სამეურვეო საბჭოების ფუნქციებსა და ვალდებულებებს, ფინანსურ საკითხებს, ტრენინგებს, კონსოლიდაციის პროცესს, ახალი სასწავლო პროგრამების განხორციელებასა და დამატებით სასწავლო მასალებს ეხებოდა.

გ) მასწავლებლების ფოკუს ჯგუფები

ჩატარდა 12 ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან. ათი სკოლა შეირჩა სამეგრელოს და კახეთის რეგიონებიდან, თბილისიდან კი – 2. ფოკუს-ჯგუფების განხილვის საგანს წარმოადგენდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები, შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და საჭიროებები, რესურსცენტრების მხარდაჭერა, მასწავლებლების მიერ სახელმწიფო განათლების მიზნების ცოდნა, სწავლის შედეგები, მასწავლებლების მონაწილეობა სკოლის მართვაში, სასწავლო პროგრამები და სხვა.

ფოკუს-ჯგუფები რამდენიმე სკოლის სამეურვეო საბჭოსთან ქალაქის და სოფლის სკოლებში სკოლის დირექტორების დაუსწრებლად

მოეწყო ფოკუს-ჯგუფი შვიდ სამეურვეო საბჭოსთან, დირექტორების დაუსწრებლად. განიხილეს მათი ფუნქციები და ვალდებულებები, სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, შეხვედრების სიხშირე, სკოლის დირექტორებთან

კომუნიკაციის საშუალებები და გზები და სხვა. სკოლის დირექტორების გარეშე ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრამ ხელი შეუწყო სამეურვეო საბჭოებთან ღია დიალოგის წარმართვას.

ა) კითხვარები დირექტორებისა და სკოლის ადმინისტრატორებისათვის

კითხვარების საშუალებით შესაძლებელი გახდა რეფორმის სხვადასხვა ინიციატივების შესახებ სკოლის დირექტორების მოსაზრების გაცნობა და ფაქტობრივი ინფორმაციის მოკრება. კითხვარი ღია და დახურულ შეკითხვებს შეიცავდა. გაცემული პასუხების მიხედვით, შეფასების ჯგუფი თვლის, რომ შეკითხვები დირექტორებისათვის ნათლად და გასაგებად იყო ფორმულირებული. იმ შემთხვევაში თუ კითხვარი სრულად არ იყო შევსებული, ინფორმაციის სრულყოფის მიზნით შეფასების ჯგუფი უკავშირდებოდა შესაბამის დირექტორს.

ბ) კითხვარები მასწავლებლებისათვის

კითხვარები მასწავლებლებისათვის გაიგზავნა ყველა შერჩეულ სკოლაში. კითხვები ისე იყო ფორმულირებული, რომ მასწავლებლებს შესძლებოდათ საკუთარი დამოკიდებულება გამოეხატათ ახალი სასწავლო გეგმის, სახელმძღვანელოების, მასწავლებლის სახელმძღვანელოს, შეფასების სისტემის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და ახალი სასწავლო გეგმის ტრენინგებთან დაკავშირებით. ზოგიერთი შეკითხვა ეხებოდა კონკრეტულად იმ პრობლემას, რომლის მოგვარებაც მასწავლებელს საკუთარ პრაქტიკაში უხდებოდა და ბოლოს, კითხვარების საშუალებით შევაგროვეთ მონაცემები ისეთ ინიციატივებზე, როგორცაა სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა, მასწავლებელთა დამოკიდებულება დეცენტრალიზაციის პროცესის და მისი შედეგების მიმართ, სამეურვეო საბჭოების და საგანმანათლებლო რესურსცენტრების როლის და ფუნქციების გაცნობიერება.

კითხვარი მოიცავს შეკითხვებს ძირითადად ოთხი ალტერნატიული პასუხით. ამგვარი სპეციფიკა უზრუნველყოფს პასუხების მეტ სანდოობასა და სისწორეს. კითხვარი მოიცავდა განხორციელებული ინტერვენციების ფართო სპექტრს. იგი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, რესპოდენტს თითოეული კითხვარის შესავსებად მხოლოდ 30 წუთი ჰქონდა. რამაც მიღებული პასუხების მეტი სანდოობა და კითხვარის შედარებით სრულად შევსება განაპირობა.

გ) ვიზიტები სკოლის ფიზიკური გარემოს შეფასების მიზნით

შერჩეულ დამკვირვებლებს ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგი, რათა მათ შემუშავებული დაკვირვების ფორმით შეეფასებინათ სკოლების ფიზიკური გარემო.

დ) ხანმოკლე დაკვირვება საკლასო ოთახის გარემოზე

შეფასებისას ვერ განხორციელდა საკლასო ოთახის გარემოზე სიღრმისეული დაკვირვება, ვინაიდან კვლევისათვის განსაზღვრული მცირე დრო არ იძლეოდა დამკვირვებელთა სათანადოდ მომზადების საშუალებას. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, ამ ტიპის დაკვირვებისას, მასწავლებლები საჩვენებელ გაკვეთილს ატარებენ დამკვირვებლისათვის. ეს კი რეალური სურათის არ ასახავს. მიუხედავად ამისა, მონაცემთა შემგროვებლებმა ყველა შერჩეული სკოლის 5-6 კლასში ჩაატარეს 15 წუთიანი დაკვირვება. დაკვირვების მიზანი იყო საკლასო პრაქტიკის დინამიკის, სწავლის და სწავლების პროცესში მოსწავლეებისა და მასწავლებლის ჩართვის, სახელმძღვანელოების და დამატებითი სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის შეფასება. დამკვირვებლებისათვის მომზადდა სპეციალური ფორმები, რომლის საშუალებით აქტიური თუ პასიური სწავლების მეთოდების გამოყენების შესახებ ზოგადი ინფორმაციას მივიღებდით.

23 შერჩევა

კვლევისას გამოყენებული იყო კითხვარები, სკოლასა და საკლასო ოთახზე დაკვირვების ფორმები და სხვადასხვა დონეებზე კატეგორიებად დაჯგუფების პრინციპები. ამგვარი კვლევა მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებას იძლევა, კონფლიქტურ ზონების და ეთნიკური უმცირესობების რეგიონების გამოკლებით. მონაცემები დაჯგუფებულია რაიონების მიხედვით, ვინაიდან ასე უფრო მეტ სკოლაში იყო შესაძლებელი დაკვირვების განხორციელება. რაიონები და სკოლები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის გზით. შერჩევის სამი ეტაპი დეტალურად არის წარმოდგენილი მეთოდოლოგიურ დანართში. შერჩევის პირველი ეტაპი წარმოადგენს რაიონების შემთხვევითი შერჩევის მოდელს ფართო გეოგრაფიული არეალის დაფარვის მიზნით. მეორე ეტაპი გულისხმობს სკოლების შემთხვევით შერჩევას რაიონის ფარგლებში. მესამე კი მასწავლებლების და კლასების შემთხვევით შერჩევას სკოლებში. ამ პრინციპით შევარჩიეთ 110 სკოლა.

24 განხილული კატეგორიები, ინდექსების შემუშავება და კომენტარები კითხვარებზე

შეფასების ჯგუფი შეეცადა შეეფასებინა ისეთი რთული საკითხები, როგორცაა ახალი მეთოდებისადმი დამოკიდებულება და ახალი მეთოდების გამოყენება. ამ მიზნით კითხვარები შედგება შეკითხვებისა და ალტერნატიული პასუხებისაგან. მაგალითად, მასწავლებლის კითხვარში 1. წარმოდგენილია ექვსი შეკითხვა აქტიური სწავლების მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულების შესასწავლად. თითოეულ შეკითხვას ოთხი ალტერნატიული პასუხი აქვს. თითოეული შეფასდა ახალ მეთოდებთან მათი შესაბამისობის საფუძველზე 0-3 ქულით. საშუალო ქულობრივი მაჩვენებლის გამოსათვლელად ქულები შეჯამდა თითოეული მასწავლებლისათვის და გაიყო შეკითხვების რაოდენობაზე. ამგვარად განისაზღვრა მასწავლებლების მიერ სწავლის და სწავლების ახალი მეთოდების და შეფასების ფორმების გამოყენების სიხშირე.

კონკრეტულ შეკითხვაზე შედარებები და ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში. მონაცემთა ანალიზი არ ჩატარებულა გენდერული ნიშნით, მამრობითი სქესის მასწავლებელთა დაბალი პროპორციის გათვალისწინებით.

შეფასებისას განვსაზღვრეთ სხვადასხვა ზღვარი სკოლების კონტიგენტთან მიმართებაში რეალური სტატისტიკური შედარების და დაბალ თუ მაღალკონტიგენტიანი სკოლების მაჩვენებლის განსაზღვრად. ანალიზისას სკოლა 100 მოსწავლით ითვლება მცირეკონტიგენტიან სკოლად, ხოლო 555-750 მოსწავლით მაღალკონტიგენტიან სკოლად. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების მონაცემთა ბაზის მიხედვით, სკოლები 555 მოსწავლით შეადგენდა ყველა სკოლების 75%-ს. სკოლა მოცემული მაჩვენებელით მრავალი ქვეყნების სტანდარტების მიხედვით არ განიხილება, როგორც მაღალკონტიგენტიანი. ამიტომ, 750 განისაზღვრა იმ რაოდენობად, რომლის შემთხვევაშიც სხვა ქვეყნებში მიზანშეწონილად მიიჩნევენ ადმინისტრაციულ სტრუქტურებში ცვლილებების განხორციელების საჭიროებას.

კითხვარები შესაძლებლობას აძლევდა რესპოდენტ მასწავლებლებს აერჩიათ სპეციალიზაციის ერთზე მეტი საგანი, მაგრამ ეს შემთხვევა მხოლოდ რამდენიმეჯერ დაფიქსირდა. სტატისტიკურმა ტესტმა (კლიმოვი, სმირნოვი) ცხადყო, რომ არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლების პასუხებს შორის, ამიტომ მოცემული საგნების მასწავლებლები გაერთიანდა ერთ კატეგორიაში. საგნობრივი დისციპლინების მიხედვით კატეგორიების რაოდენობის შემცირების მიზნით, განხორციელდა შემდეგი დაჯგუფება: 1) მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და კომპიუტერული მეცნიერებები; 2) ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები; 3) დაწყებითი კლასები. მონაცემთა შეყვანისას

დაშვებული შეცდომების გამო, საგნობრივი კლასიფიკაცია მხოლოდ რესპოდენტების ნახევარზე ნაკლები რაოდენობისთვის მოხერხდა. შეფასებისათვის განსაზღვრული მცირე დროის გამო ხარვეზების შესწორება ვერ მოხერხდა.

ანგარიშში გამოყენებულია პერიოდული ათწილადების სისტემა, რომლითაც ხელმძღვანელობს მსოფლიო ბანკი ანგარიშების მომზადებისას.

2.5 მონაცემთა ბაზების აღწერილობა

მოცემული ქვეთავი წარმოადგენს შერჩეული რესპოდენტების კატეგორიების ძირითად აღწერილობას ეროვნული მასშტაბით შეწონვამდე და შეწონვის შემდეგ, გამონაკლისს წარმოადგენს კონფლიქტური ზონები და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები. მონაცემთა ანალიზისას აღმოჩენილი თითქმის ყველა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, რომელიც წარმოდგენილია ქვეთავებში სამი და ოთხი, ემსახურება შეკითხვების და პუნქტების სანდოობის გაზრდას.

2.5.1 სკოლების შემთხვევით შერჩევითი მოდელის აღწერილობა

შერჩეული სკოლების მოდელი აერთიანებს 105 სკოლას. ცხრილში 2.1-2.4 წარმოდგენილია სკოლები ადგილმდებარეობის მიხედვით შეწონვამდე და შეწონვის შემდეგ. შერჩეული სკოლების მოდელი მოიცავს უფრო მეტად ქალაქის და სოფლის და ნაკლებად მთიანი რეგიონების სკოლებს. 29 სკოლა კონსოლიდირებულია ძირითადად ადმინისტრაციული გზით, 26 კი იღებს სახელმწიფო სუბსიდიას.

ცხრილი 2.1 სკოლის ტიპი

| სკოლის ტიპი | სიხშირე (შეუწონავი) | შეწონილი (%) |
|-------------|---------------------|--------------|
| ქალაქის | 42 | 29 |
| სოფლის | 42 | 43 |
| მაღალმთიანი | 20 | 28 |

ცხრილი 2.2 სკოლების კონსოლიდაცია

| სკოლების კონსოლიდაცია | სიხშირე (შეუწონავი) | შეწონილი (%) |
|-----------------------|---------------------|--------------|
| ღიას | 29 | 20 |
| არა | 72 | 79 |

ცხრილი 2.3 ფიზიკური და ადმინისტრაციული კონსოლიდაცია

| კონსოლიდაციის ტიპი | სისშირე (შეუწონავი) | შეწონილი (%) |
|------------------------------|---------------------|--------------|
| ფიზიკური კონსოლიდაცია | 7 | 22 |
| ადმინისტრაციული კონსოლიდაცია | 23 | 74 |
| ფიზიკური და ადმინისტრაციული | 1 | 3 |
| არაკონსოლიდირებული | 70 | |

ცხრილი 2.4 დაფინანსება მცირეკონტიგენტური სკოლებისათვის

| მცირეკონტიგენტური სკოლის სუბსიდია | სისშირე (შეუწონავი) | შეწონილი (%) |
|-----------------------------------|---------------------|--------------|
| დიახ | 26 | 31 |
| არა | 78 | 69 |

2.52 რესპოდენტი მასწავლებლების შერჩევითი მოდელის აღწერილობა

რესპოდენტი მასწავლებლები ძირითადად წარმოდგენილია მდედრობითი სქესით და საშუალოდ 31-60 ასაკობრივი ჯგუფით. უმრავლესობას გააჩნია 10 წელზე მეტი პედაგოგიური გამოცდილება და სამუშაო კლასების სიდიდე შეადგენს 25 მოსწავლეს. რესპოდენტი მასწავლებლები სხვადასხვა საგნობრივი სპეციალიზაციის არიან და ძირითადად მუშაობენ მოსწავლეების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან. იხილეთ, ცხრილი 2.5-2.10.

ცხრილი 2.5 მიუთითებთ თქვენი სქესი

| სქესი | სისშირე | შეწონილი (%) |
|------------|---------|--------------|
| მამრობითი | 201 | 16 |
| მდედრობითი | 1,082 | 84 |

ცხრილი 2.6 თქვენი ასაკობრივი ჯგუფი?

| | სისშირე | შეწონილი (%) |
|-------|---------|--------------|
| 30 | 186 | 12 |
| 31-40 | 329 | 23 |
| 41-50 | 396 | 30 |
| 51-60 | 303 | 22 |
| 61 | 200 | 13 |

ცხრილი 2.7 საშუალო განათლების რომელ საფეხურზე მუშაობთ?

| | სისშირე | შეწონილი (%) |
|----------------------|---------|--------------|
| დაწყებითი | 68 | 4 |
| საშუალო | 1,285 | 92 |
| პროფესიული განათლება | 71 | 4 |

ცხრილი 2.8 რამდენი წლის პედაგოგიური გამოცდილება გაქვთ?

| | სიხშირე | შეწონილი (%) |
|---------|---------|--------------|
| 0-5 | 191 | 12 |
| 6-10 | 169 | 12 |
| 11-20 | 402 | 28 |
| 21 წელი | 644 | 48 |

ცხრილი 2.9 რომელ საგნებს ასწავლით?

| | სიხშირე | შეწონილი (%) |
|---------------------------|---------|--------------|
| მათემატიკა | 96 | 9 |
| საბუნებისმეტყველო | 263 | 22 |
| პუმანიტარული | 332 | 30 |
| სოციალური მეცნიერებები | 152 | 13 |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები | 81 | 6 |
| დაწყებითი კლასები | 207 | 17 |
| სხვა | 24 | 4 |

ცხრილი 2.10 დაახლოებით რა სიდიდის კლასებს ასწავლით?

| | სიხშირე | შეწონილი (%) |
|---------------|---------|--------------|
| 15 ან ნაკლები | 577 | 32 |
| 16-24 | 574 | 44 |
| 25-29 | 308 | 26 |
| 30-34 | 116 | 10 |
| 35-39 | 44 | 04 |
| 40 ან მეტი | 18 | 01 |

ცხრილი 2.11 რომელ კლასებს ასწავლით?

| | სიხშირე | შეწონილი (%) |
|-------|---------|--------------|
| 1-4 | 427 | 29 |
| 5-6 | 653 | 44 |
| 7-9 | 907 | 62 |
| 10-12 | 619 | 44 |

26 კვლევის მასშტაბები

ანგარიში და მონაცემთა მოძიება მასშტაბური იყო, თუმცა კვლევამ მოიცვა მხოლოდ ქართულენოვანი სკოლები, კონფლიქტურ ზონებისა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლების მდგომარეობა გათვალისწინებული არ ყოფილა. ტრენინგების ანალიზისას არ არის განსაზღვრული თითოეულ რესპოდენტზე მოცემული ინტერვენციის გავლენის დონე, რაც ეფუძნება შემდეგ ინფორმაციას 1) სკოლამ მიიღო თუ არა კომპიუტერები, ან ჩაუტარდა თუ არა ტრენინგები; ან 2) რესპოდენტი მასწავლებლის ანგარიში იმის შესახებ, თუ რამდენად იყო ჩართული ამ პროგრამის ტრენინგში. ამგვარი ანგარიში შეიძლება ნაკლებად სანდო იყოს.

და ბოლოს, ერთ-ერთი პრობლემა კვლევის მომზადებისა და განხორციელებისათვის განსაზღვრული მოკლე ვადა (სასწავლო წლის ბოლო) იყო. რიგი შეკითხვების ფორმულირება უკეთესად განხორციელდებოდა მეტი დროის ან პილოტირებისათვის საკმარისი ვადების შემთხვევაში. ამასთანავე, უმჯობესი იქნებოდა, თუ ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების პროცესებს შორის შესაბამისი ინტერვალი იქნებოდა. ანგარიშის ბოლო ქვეთავში წარმოდგენილია რეკომენდაციები დამატებითი კვლევების ჩატარების შესახებ მოცემული აღმოჩენების უკეთესად გაცნობიერების მიზნით.

3.0 შედეგები: სასწავლო გარემო

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ორი ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები და ტრენინგები ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში. აგრეთვე, ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში და შეფასების პროცესში განხორციელებული ცვლილებები. მოცემულია ახალი სასწავლო გეგმის მოკლე აღწერა და ძველ სასწავლო გეგმასთან მიმართება. მეორე ქვეთავი მოიცავს რეფორმის პროცესების მიმოხილვას სკოლის ფიზიკურ და სოციალურ კონტექსტში და ინფორმაციას ზოგადი განათლების მიზნების მისაღწევად მასალებით უზრუნველყოფის შესახებ.

3.1 ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩო, სახელმწიფო მიზნები და შედეგები

ამ ქვეთავში განხილულია, თუ რამდენად შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა სახელმწიფო მიზნებს ძველ სასწავლო გეგმასთან და ტრადიციულად დამკვიდრებულ მეთოდებთან შედარებით. შეფასებაში ეს საკითხი განხილულია აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების შესწავლის დონეზე და არა ცალკეულ საგანში სასწავლო პროგრამის განხორციელების მაგალითზე. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ მოსწავლეების სწავლის შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვის შედეგად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, შეფასების ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს უფრო სიღრმისეული კვლევის ჩატარებას საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად.

სამინისტროს მიმართულება შეესაბამება საერთაშორისო ლიტერატურას სწავლის და სწავლების პროცესის ეფექტურად განხორციელების შესახებ. PIRLS-ის მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნება კითხვის უნარ-ჩვევებში ქულობრივი ზრდა, რაც აშკარად არ ვრცელდება სხვა შემთხვევებზე. აღნიშნული მონაცემები არ იყო ხელმისაწვდომი მოცემული შეფასების განსახორციელებლად.

რესპოდენტ მასწავლებელთა (მასწავლებელთა კითხვარები) და მშობლების (სამეურვეო საბჭოებთან ფოკუს-ჯგუფები) აზრით, რეფორმის ინიციატივების განხორციელების შედეგად ამაღლდა მოსწავლეების სწავლის დონე. მასწავლებლების 87% ეთანხმება, რომ მოსწავლეების სწავლის დონე გაუმჯობესდა სწავლების ახალი მეთოდების გამოყენების შედეგად. მიუხედავად ამისა, პასუხების უმრავლესობა არ არის „სრულიად ვეთანხმები“.

ცხრილი 3.1 მეთოდები, რომელსაც გავეცანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში დამეხმარა მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|------------------------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად არ ვეთანხმები | 5 | 2 | 7 |
| არ ვეთანხმები | 9 | 6 | 11 |
| ვეთანხმები | 72 | 67 | 77 |
| მთლიანად ვეთანხმები | 15 | 10 | 20 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-2 მეთოდები, რომელსაც გავეცანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში დამეხმარა მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში..

| რესპოდენტის კატეგორია | სრულიად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები | χ ² ცვლადი | ალბათობა |
|---|-----------------------|---------------|------------|--------------------|-----------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 4 | 9 | 71 | 15 | 0.74 | 0.90 |
| სოფლის სკოლა | 5 | 8 | 72 | 14 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 3 | 7 | 78 | 13 | 0.62 | 0.640 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 5 | 9 | 72 | 15 | | |
| ქალაქის სკოლა | 4 | 9 | 72 | 15 | 5.04 | 0.645 |
| სოფლის, მაგრამ არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | | | | | | |
| სოფლის სკოლა | | | | | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | | | | | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 4 | 2 | 87 | 7 | 3.31 | 0.208 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 5 | 9 | 71 | 15 | | |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 5 | 9 | 72 | 14 16 | 1.65 | 0.776 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 4 | 8 | 72 | 16 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 6 | 9 | 72 | 14 | 1.96 | 0.74 |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 3 | 8 | 72 | 16 | | |
| 40 ან ნაკლები ასაკის | 1 | 8 | 73 | 18 13 | 10.76 | 0.067 |
| 41 ან მეტი | 6 | 9 | 72 | | | |
| 50 ან ნაკლები ასაკის | 4 | 8 | 70 | 18 10 | 8.38 | 0.120 |
| 51 ან მეტი | 6 | 9 | 75 | | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 1 | 10 | 72 | 17 14 | 6.46 | 0.229 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 6 | 8 | 72 | | | |
| საშუალო ან ორივე | 3 | 7 | 73 | 17 14 | 1.57 | 0.704 |
| დაწყებითი საფეხურის მხოლოდ | 5 | 9 | 72 | | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება კლასების დიდ ნაწილში/ყველა კლასში | 5 | 12 | 70 | 12 | 6.40 | 0.249 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება იშვიათად ან არასდროს | 4 | 7 | 76 | 16 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება საშუალოდ ან მცირედ | 5 | 12 | 70 | 12 | 12.74 | 0.119 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი | 4 | 5 | 74 | 18 | | |

რესპოდენტ მასწავლებელთა აზრით,ახალი მეთოდის შედეგად მოსწავლეები სწავლის და სწავლების პროცესში უფრო მეტად არიან ჩართულები. მასწავლებლების 71% თვლის, რომ მოსწავლეების უფრო მეტად არიან ჩართულები გაკვეთილის პროცესში; 18% სრულიად ეთანხმება და 10% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. (იხილეთ, ცხრილი).

ცხრილი 3-3: მოსწავლეები მეტად არიან ჩართულები გაკვეთილის პროცესში იმ მეთოდის დახმარებით,რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში გავეცანი

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|-----------------------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად არ ეთანხმები | 2 | 1 | 3 |
| არ ეთანხმები | 8 | 4 | 12 |
| ვეთანხმები | 71 | 67 | 76 |
| მთლიანად ეთანხმები | 18 | 14 | 22 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-4: მოსწავლეები მეტად არიან ჩართულები გაკვეთილის პროცესში იმ მეთოდის დახმარებით, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში გავეცანი

| რესპოდენტის კატეგორია | მოლიანად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | მოლიანად ვეთანხმები | χ ² ცვლადი | ალბათობა |
|---|------------------------|---------------|------------|---------------------|-----------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 3 | 12 | 70 | 16 | 13.85 | 0.042 |
| სოფლის სკოლა | 2 | 4 | 73 | 21 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 0 | 5 | 73 | 23 | 1.52 | 0.414 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 2 | 8 | 71 | 18 | | |
| ქალაქის სკოლა | 2 | 5 | 71 | 21 | 15.15 | 0.269 |
| სოფლის, მაგრამ არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | | | | | | |
| სოფლის სკოლა | | | | | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | | | | | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 1 | 11 | 53 | 36 | 6.17 | 0.060 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 2 | 8 | 72 | 18 | | |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 3 | 9 | 72 | 16 21 | 3.16 | 0.413 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 2 | 7 | 71 | | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 3 | 9 | 71 | 17 | 1.78 | 0.597 |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 2 | 7 | 72 | 19 | | |
| 40 ან ნაკლები ასაკის | 1 | 7 | 69 | 23 | 8.07 | 0.150 |
| 41 ან მეტი | 3 | 9 | 73 | 16 | | |
| 50 ან ნაკლები ასაკის | 2 | 10 | 67 | 21 | 17.20 | 0.002 |
| 51 ან მეტი | 3 | 4 | 80 | 13 | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 1 | 6 | 68 | 25 | 6.64 | 0.196 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 3 | 9 | 72 | 16 | | |
| საშუალო ან ორივე | 2 | 9 | 73 | 16 | 0.72 | 0.893 |
| დაწყებითი საფეხურის მხოლოდ | 2 | 8 | 71 | 19 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება კლასების დიდ ნაწილში/ყველა კლასში | 3 | 12 | 70 | 16 | 5.84 | 0.244 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება იშვიათად ან არასდროს | 2 | 7 | 72 | 19 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება საშუალოდ ან მცირედ | 2 | 11 | 72 | 15 | 7.57 | 0.243 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი | 2 | 5 | 71 | 22 | | |

მშობლების აზრით, მოსწავლეები უფრო მეტად არიან მოტივირებული და მათი სწავლის შედეგიც გაუმჯობესდა. მასწავლებელთა კითხვარებით მიღებული პასუხები ამყარებს ამ მოსაზრებას. მასწავლებლების უმრავლესობა (81%) თვლის, რომ მოსწავლეების სწავლის შედეგები გაუმჯობესდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ახალი სასწავლო გეგმის შედეგად. პასუხები არ განსხვავდება სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით. რესპოდენტი მასწავლებლები ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლებიდან შედარებით პოზიტიურად აფასებენ სწავლის შედეგებში მომხდარ ცვლილებებს, ვიდრე არასაპილოტე სკოლების წარმომადგენლები. მაშინ როდესაც, მნიშვნელოვნად განსხვავებული დამოკიდებულება არ აქვთ იმ მასწავლებლებს რომლებიც მონაწილეობდნენ და მათ, ვინც არ მონაწილეობდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში.

ცხრილი 3-5 ბოლო 2 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა სწავლის შედეგები ახალი სასწავლო გეგმის განხორციელების შედეგად

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|---------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| დიახ | 81 | 77 | 84 |
| არა | 9 | 6 | 13 |
| არ ვიცი | 10 | 7 | 13 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-6: ბოლო 2 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა სწავლის შედეგები ახალი სასწავლო გეგმის განხორციელების შედეგად

| რესპოდენტის კატეგორია | ღიახ% | t ან χ2 კვადრატის ცვლადი | ალბათობა |
|---|-------|--------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 90 | 0.17 | 0.764 |
| სოფლის სკოლა | 89 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 93 | 0.37 | 0.420 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 89 | | |
| ქალაქის სკოლა | 90 | 0.22 | 0.912 |
| სოფლის, მაგრამ არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | 90 | | |
| სოფლის სკოლა | 90 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 88 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 99 | 2.26 | 0.004 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 89 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 90 | 0.00 | 0.959 |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 90 | | |
| 40 ან ნაკლები ასაკის | 90 | 0.10 | 0.852 |
| 41 ან მეტი | 89 | | |
| 50 ან ნაკლები ასაკის | 90 | 0.90 | 0.584 |
| 51 ან მეტი | 88 | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 90 | 0.05 | 0.895 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 89 | | |
| დაწყებითი საფეხური სმასწავლებელი | 89 | 1.15 | 0.344 |
| საშუალო ან ორივე | 92 | | |
| მეცნიერებები/მათემატიკა | 91 | 0.19 | 0.871 |
| ჰუმანიტარული | 92 | | |
| დაწყებითი | 93 | | |

ახალი სასწავლო გეგმის განხორციელებისას გასათვალისწინებელია მცირეკონტიგენტის, განსაკუთრებით მაღალმთიანი სკოლების სპეციფიკა. მათი კონსოლიდაციის ალბათობა მცირეა. ახალი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სასწავლო პროგრამის განხორციელებას წლების მიხედვით და არა ფაზური სასწავლო პროგრამის სახით. მცირეკონტიგენტის, განსაკუთრებით მაღალმთიანი რაიონების სკოლებისათვის მიზანშეწონილია ფაზური სასწავლო გეგმის განხორციელება, რამდენიმე კლასში ყოველწლიურად და სხვადასხვა კლასების სწავლება ერთი საკლასო ოთახის გარემოში. ეს პრინციპი რიგ შემთხვევებში შეიძლება გამოიყენონ, როგორც კონსოლიდაციის ალტერნატიული ვარიანტი. (კონსოლიდაციის საკითხი ფართოდ არის განხილული ქვეთავში 4). მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის დირექტორი აღნიშნავს, რომ ახალი სასწავლო გეგმა მოქნილია

მცირეკონტიგენტის სკოლებთან მიმართებაში, ზოგადად ეს ალტერნატიული ვარიანტი საქართველოს სკოლებისათვის არ განიხილება. ზოგიერთი სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში და რიგი განვითარებადი ქვეყნები მიმართავენ „ფაზური“ სასწავლო გეგმის გამოყენებას სასწავლო გეგმის მრავალფეროვნების და მოქნილობის უზრუნველსაყოფად. სპეციალური სწავლების კურსის შემოთავაზების მაგივრად შემესტრუადა, ან ყოველწლიურად, სასწავლო კურსები მოსწავლეების მცირე რაოდენობისათვის შესაძლოა დაიგეგმოს ყოველ ორ წელიწადში. მეორე პრინციპი არის მცირეკონტიგენტის სკოლებისათვის ერთი საგნობრივი სპეციალიზაციის მასწავლებლების (ხშირ შემთხვევაში მუსიკის, ფიზიკის, ქიმიის მასწავლებლები და ა.შ.) გაზიარება. ეს შესაძლოა გამოიყენონ სამეურვეო საბჭოებმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა, ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრმა და სამინისტრომ.

ამასთანავე, ზოგიერთი მასწავლებლის და მშობლის აზრით, ის ფაქტი, რომ მაღალ კლასებში მოსწავლეები მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად სწავლობენ, ცუდი ტენდენციაა. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, თუ აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებელი, ან აკადემიური მიღწევის სხვა ზოგადი ინდიკატორი განისაზღვრება მისადები გამოცდის ჩასაბარებელ აუცილებელ მოთხოვნად. შესაძლოა, სამინისტრომ მოისურვოს ამ პრინციპის დანერგვა.

32 მასწავლებლების ტრენინგები და პროფესიული განვითარება

ეს პუნქტი წარმოგიდგენთ, თუ რამდენად უწყობს ხელს ჩატარებული ტრენინგები მასწავლებლებს ეფექტური სწავლის და სწავლების გარემოს შექმნაში. ქვემოთ მოცემული ახალი სასწავლო გეგმის განხილვა ორ მიზანს ემსახურება: 1) ახალი სასწავლო გეგმის განსახორციელებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მასწავლებლების დამოკიდებულება და მათი მზადყოფნა და 2) ახალი სასწავლო გეგმის მთავარი მიზანია როგორც საგნობრივი სწავლების მეთოდის შეცვლა, ასევე სასწავლო მასალის კონტექსტური ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა ანალიზის განხორციელებისას შეფასების ჯგუფმა სცადა, განეცალკეებინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და ახალი სასწავლო გეგმის ტრენინგების გავლენა, ზოგიერთი შეკითხვა მოცემული დიფერენციაციის საშუალებას არ იძლევა. რეკომენდაციები ყველა ქვეპუნქტზე წარმოდგენილია აღნიშნული პუნქტის ბოლოს.

321 ტრენინგების შესაბამისობა და გავლენა

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე განხილულია ტრენინგების შედეგები. ვინაიდან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასწავლო გეგმების მასწავლებელთა ტრენინგების გავლენის მაჩვენებელი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა, მათი ანალიზიც ერთად არის წარმოდგენილი. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, ახალი სასწავლო გეგმის და პროექტ „ირმის ნახტომის“ ფარგლებში განხორციელებული ტრენინგები განხილულია შესავალ ნაწილში.

3211 ტრენინგების შესაბამისობა

ეს ქვეპუნქტი განიხილავს, თუ რამდენად ეფექტურია ტრენინგები აქტიურ სწავლებაში ცვლილებების განსახორციელებლად. ამის დასადგენად, პირველ რიგში აუცილებელია მასწავლებელთა პასუხების შესწავლა, კითხვაზე “თვლით თუ არა თავს ტრენინგების შემდეგ

სათანადოდ მომზადებულად”. კვლევის შედეგების მიხედვით, მასწავლებელთა უმრავლესობა უკმაყოფილოა აქტიური სწავლების და ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში სწავლების პროცესის შესახებ მიწოდებული მატერიალითა და მოდელებით.

ფოკუს-ჯგუფების განხილვისას, ახალი სასწავლო გეგმის ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს მოცემული ტრენინგების მაღალი პროფესიონალური დონე. ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლები გამოხატავენ მოტივაციას და დაინტერესებას გაუზიარონ პრაქტიკული სამუშაოს წარმატებული შედეგები სხვა მასწავლებლებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეფასებას ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლები (საპილოტე სკოლებიდან) ამზადებდნენ, შესაძლოა, რომ სხვა მასწავლებლებმა ნეგატიური დამოკიდებულების უბრალოდ არ გამოხატეს.

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობასთან დაკავშირებით მასწავლებელთა პასუხების ანალიზისას, აღსანიშნავია ორი გაურკვეველობა: 1) კითხვაზე – რომელ ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა – მასწავლებლები ვერ ახერხებენ სხადასხვა ტრენინგების განსხვავებას; ან 2) ნაკლებად აქვთ უარყოფითი პასუხის დაფიქსირების გამოცდილება. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებლებს აქვთ კითხვარებთან მუშაობის გამოცდილება, შეკითხვა პასუხის გარეშე არ განიხილება. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებლებს კითხვარებთან მუშაობის მცირე გამოცდილება აქვთ, უპასუხოდ დატოვებული შეკითხვა, შესაძლოა განვიხილოთ, როგორც უარყოფითი პასუხი. თუ აღნიშნული რესპოდენტი მასწავლებლების შემთხვევას განვიხილავთ როგორც უარყოფით პასუხს, მივიღებთ, რომ მასწავლებელთა მხოლოდ 44%-მა მიიღო მონაწილეობა ტრენინგებში, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების დაბალი პროცენტული მაჩვენებლით. თუ, იმ რესპოდენტ მასწავლებლებს გამოვრიცხავთ, რომლებსაც პასუხი არ გაუციათ ამ შეკითხვაზე, მნიშვნელოვნად (61%-მდე) გაიზარდება ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლების პროცენტული მაჩვენებელი.

1 ცხრილი 3-7: აღნიშნეთ, თუ მივიღიათ მონაწილეობა ქვემოთ წარმოდგენილ რომელიმე ტრენინგში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები განხორციელებული განათლების სამინისტროს მიერ (შეკითხვა პასუხის გარეშე განხილულია, როგორც პასუხი „არა“)

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|--------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| დიახ | 44 | 38 | 50 |
| არა | 56 | 50 | 62 |
| სულ | 100 | | |

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები განხორციელებული განათლების სამინისტროს მიერ (შეკითხვა პასუხის გარეშე არ არის გათვალისწინებული)

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|--------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| დიახ | 61 | 55 | 66 |
| არა | 39 | 34 | 45 |
| სულ | 100 | | |

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები განხორციელებული განათლების სამინისტროს მიერ (შეკითხვა პასუხის გარეშე განხილულია, როგორც პასუხი „არა“)

| რესპოდენტის კატეგორია | დიახ | არა | ხი-კვადრატი | ალბათობა |
|--|------|-----|-------------|----------|
| სოფლის სკოლა | 42 | 58 | 2.56 | 0.322 |
| ქალაქის სკოლა | 46 | 54 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 49 | 51 | 0.86 | 0.592 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 44 | 56 | | |
| სოფლის სკოლა | 41 | 59 | 5.20 | 0.372 |
| ქალაქის სკოლა | 45 | 55 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 50 | 50 | | |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 42 | 58 | 2.54 | 0.453 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 46 | 54 | | |
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი | 42 | 58 | 10.89 | 0.0006 |
| საშუალო ან ორივე | 53 | 47 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება კლასების უმეტეს ნაწილში ან მუდმივად | 43 | 57 | 4.80 | 0.121 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება იშვიათად ან არასდროს | 51 | 49 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება საშუალოდ ან მცირედ | 47 | 53 | 3.57 | 0.023 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი | 55 | 45 | | |

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები განხორციელებული განათლების სამინისტროს მიერ (შეკითხვა პასუხის გარეშე არ არის გათვალისწინებული)

| რესპოდენტის კატეგორია | ღიბ | არა | ხი-კვადრატი | აღბათობა |
|--|-----|-----|-------------|----------|
| სოფლის სკოლა | 62 | 38 | | |
| ქალაქის სკოლა | 60 | 41 | 0.362 | 0.530 |
| მაღალმთიანი რაიონი | 60 | 40 | 1.80 | 0.371 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 69 | 31 | | |
| სოფლის სკოლა | 59 | 41 | | |
| ქალაქის სკოლა | 64 | 36 | 2.47 | 0.404 |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 60 | 40 | | |
| სკოლის-ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 57 | 43 | 9.01 | 0.111 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 66 | 34 | | |
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი | 58 | 42 | 12.77 | 0.005 |
| საშუალო ან ორივე | 71 | 29 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება კლასების უმეტეს ნაწილში/ ყველა კლასში | 62 | 38 | 2.59 | 0.234 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება იშვიათად ან არასდროს | 56 | 44 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება საშუალოდ ან იშვიათად | 51 | 49 | 3.06 | 0.043 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი | 58 | 42 | | |

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები არ განხორციელებულა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. იმ დროისათვის, როდესაც ტრენინგების დაგეგმილი იყო რეგიონის მასშტაბით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების ფორმატი შეიცვალა და ახალი მეთოდოლოგიის და პრინციპების ინტეგრაცია ახალი სასწავლო გეგმის ტრენინგებში შეითავსა. გარდა აღნიშნული შემთხვევისა, ტრენინგები თანაბრად გადანაწილდა სხვადასხვა რეგიონებსა და სკოლებს შორის.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საბაზისო კვლევის მიხედვით, მასწავლებლები წლების განმავლობაში მოკლებული იყვნენ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, რაც აისახა სწავლების ტრადიციულ, დიდაქტიკურ პრაქტიკაში. პრობლემის მოსაგვარებლად მუშაობა რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო დონეზე ორგანიზებული ტრენინგებით დაიწყო. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ეტაპზე რესპოდენტი მასწავლებლების დაახლოებით ნახევარი მიიჩნევს, რომ აქტიური სწავლების მეთოდების პრაქტიკაში დამკვიდრებისას ერთ-ერთი უდიდესი სირთულე თანამედროვე მეთოდიკის შესახებ ტრენინგების სიმცირეა. მასწავლებლებელთა უმრავლესობა, რომელიც მიუთითებს არასაკმარისი ტრენინგების პრობლემაზე, ქალაქის სკოლებს (ახალი სასწავლო გეგმის ტრენინგებში ჩართული სკოლები) წარმოდგენენ და ძირითადად დაწყებითი სკოლის საფეხურზე მუშაობენ. ამის მიუხედავად, დამოკიდებულება ტრენინგების ადექვატურობის მიმართ უმნიშვნელოდ განსხვავდება ახალი სასწავლო პროგრამის ტრენინგებში მონაწილე თუ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობე მასწავლებლებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ რეფორმის ფარგლებში ჩატარებული და მიმდინარე ტრენინგები ემსახურება იმ მნიშვნელოვანი

დანაკლისის შევსებას – ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ტრენინგების არარსებობას. ამგვარად შეიძლება აიხსნას ტრენინგების რაოდენობის/მოცულობის შესახებ რესპოდენტი მასწავლებლების შეფასება.

ცხრილი 3-11. ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომელი მიგაჩნიათ სწავლების პროცესის ხელისშემშლელ პირობად? კლასში სწავლების ახალი მეთოდების შესახებ მასწავლებელთა პროფესიული ტრენინგები არასაკმარისია. (ყველა მასწავლებელი)

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|--------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არა | 51 | 42 | 60 |
| დიახ | 49 | 40 | 58 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-12: კლასში სწავლების ახალი მეთოდების შესახებ მასწავლებელთა პროფესიული ტრენინგები არასაკმარისია.

| რესპოდენტების კატეგორია | დიახ | თი-ტესტის ცვლადი | ცვლადი |
|--|------|------------------|--------|
| ქალაქის სკოლა | 58 | 2.83 | 0.013 |
| სოფლის სკოლა | 39 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 56 | 0.48 | 0.638 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 49 | | |
| არამაღალმთიანი რაიონის სოფლის სკოლა | 39 | -2.08 | 0.055 |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 43 | | |
| ქალაქის სკოლა | 57 | | |
| სოფლის სკოლა | 39 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 43 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 71 | 2.49 | 0.025 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 48 | | |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 53 | 1.59 | 0.134 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 44 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა (training school) | 54 | 1.94 | 0.134 |
| განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 42 | | |
| 40 ან ნაკლები ასაკის | 45 | 1.18 | 0.255 |
| 41 ან მეტი | 51 | | |
| 50 ან ნაკლები ასაკის | 48 | 0.71 | 0.491 |
| 51 ან მეტი | 51 | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 47 | 0.96 | 0.353 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 50 | | |
| დაწყებითი საფეხური | 48 | -0.16 | 0.878 |
| საშუალო ან ორივე | 49 | | |
| მეცნიერებები/მათემატიკა | 47 | 7.71 | 0.117 |
| ჰუმანიტარული | 48 | | |
| დაწყებითი | 65 | | |

ცხრილი 3-13: ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომელი მიგაჩნიათ სწავლების პროცესის ხელისშემშლელ პირობად? კლასში სწავლების ახალი მეთოდების შესახებ მასწავლებელთა პროფესიული ტრენინგები არასაკმარისია. (მხოლოდ იმ რესპოდენტების პასუხები, რომლებიც მონაწილეობდნენ სკოლის-ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში)

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის კოეფიციენტი | |
|--------|-----------------------|----------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არა | 48 | 36 | 59 |
| დიახ | 52 | 41 | 64 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-14: ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომელი მიგაჩნიათ სწავლების პროცესის ხელისშემშლელ პირობად? კლასში სწავლების ახალი მეთოდების შესახებ მასწავლებელთა პროფესიული ტრენინგები არასაკმარისია. (მხოლოდ იმ რესპოდენტების პასუხები, რომლებიც მონაწილეობდნენ ახალი სასწავლო გეგმის ტრენინგებში)

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის კოეფიციენტი | |
|--------|-----------------------|----------------------------|--------------|
| | | ზედა ზღვარი | ქვედა ზღვარი |
| არა | 54 | 44 | 64 |
| დიახ | 46 | 36 | 56 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-15: ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომელი მიგაჩნიათ სწავლების პროცესის ხელისშემშლელ პირობად? კლასში სწავლების ახალი მეთოდების შესახებ მასწავლებელთა პროფესიული ტრენინგები არასაკმარისია (მხოლოდ იმ რესპოდენტების პასუხები, რომლებიც მონაწილეობდნენ ახალი სასწავლო გეგმის ტრენინგებში)

| რესპოდენტის კატეგორია | დიახ | თი-ცვლადი | ალბათობა |
|--------------------------------------|------|-----------|----------|
| ახალი სასწავლო გეგმის საბილოტე სკოლა | 68 | 3.73 | 0.074 |
| აარსაბილოტე სკოლა | 45 | | |

ტრენინგების ძირითად შესაფასებელ საშუალებას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და ცოდნის მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულებაა. რეფორმის პროცესის მიუხედავად, მასწავლებლების ნაწილი კვლავაც არ არის დარწმუნებული საკუთარი პროფესიული განვითარების და ცოდნის პროგრესში. ეს დასკვნა მასწავლებელთა კითხვარში წარმოდგენილ შეკითხვაზე გაცემული პასუხებიდან გამომდინარეობს. რესპოდენტი მასწავლებლების ნახევარზე მეტი თვლის, რომ მათი პროფესიული ცოდნის დონე ამაღლდა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში; ხოლო 42% არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. სამიზნე კატეგორიებს შორის მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ გამოვლენილა.

ცხრილი 3-16: გთხოვთ მიუთითოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას: მოსწავლეთა ცოდნის დონე გაიზარდა ბოლო 5 წლის განმავლობაში

| რესპოდენტის კატეგორია | სრულიად არ ეთანხმები | არ ეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ეთანხმები | თი ან χ^2 ცვლადი | აღბათობა |
|---|----------------------|--------------|------------|-------------------|-----------------------|----------|
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 9 | 23 | 50 | 18 | 8.15 | 0.155 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 6 | 36 | 51 | 7 | | |
| შკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 6 | 37 | 51 | 6 | 4.64 | 0.554 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 6 | 33 | 51 | 10 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 6 | 37 | 51 | 6 | 4.83 | 0.514 |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 6 | 33 | 51 | 10 | | |
| მეცნიერები/მათემატიკა | 8 | 40 | 47 | 5 | 5.134 | 0.597 |
| ჰუმანიტარული | 8 | 35 | 48 | 9 | | |
| დაწყებითი | 4 | 37 | 48 | 11 | | |

მოცემული ცხრილი არ ასახავს რესპოდენტების დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტულ ტრენინგის მიმართ. შემდგომ ქვეთავებში მოცემულია მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად მართებული იყო ესა თუ ის ტრენინგი, როგორ იცვლება მასწავლებელთა დამოკიდებულება სწავლების და შეფასების ახალი მეთოდებისადმი, საინფორმაციო კომუნიკაციებსა და ტექნოლოგიებისადმი და როგორ იყენებენ მათ სწავლების პრაქტიკაში.

322 მასწავლებლების დამოკიდებულება სწავლების ახალი მეთოდების მიმართ და მათი გამოყენება

სწავლების მეთოდიკაში სიახლეების დასანერგად ჩატარებულმა ტრენინგებმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებლებს გაიზარონ ახალი მეთოდიკა და მათი გამოყენების პრინციპები. სწორედ ახალი მეთოდიკისადმი მასწავლებლის დამოკიდებულება განაპირობებს მის ფართო და მართებულ გამოყენებას პრაქტიკაში. დასკვნები ქვეპუნქტებზე მოცემულია ამ პუნქტის ბოლოს.

3221 სწავლების ახალი მეთოდებისადმი მასწავლებლების დამოკიდებულება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და ეროვნული სასწავლო გეგმის და შეფასების ცენტრის დირექტორები თვლიან, რომ მასწავლებლების გარკვეული კატეგორიისათვის ტრენინგები ეფექტურად ჩატარდა. ახალი სასწავლო გეგმა შედარებით წარმატებულად განხორციელდა იმ სკოლებში, რომლებიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში იყვნენ ჩართულნი. ორივე ტრენინგში მონაწილე სკოლებიდან მასწავლებელთა ნაწილი უკეთესად იცნობს ახალ პრინციპებს და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამების განხორციელებისას ახალი მეთოდოლოგიას იყენებს.

კითხვარების და საკლასო ოთახზე დაკვირვების შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებლები იყენებენ ახალ მეთოდებს და მზად არიან სიახლეებისათვის. ეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინტერვენციების მნიშვნელოვანი წარმატების მაჩვენებელია. ამასთანავე, მასწავლებლების უმრავლესობა დადებითად აფასებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების შედეგად შესწავლილ მეთოდებს და სწავლების ტექნიკას. მასწავლებლების 89% ეთანხმება მოსაზრებას, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე წარმოდგენილი მეთოდოლოგია დაესმარა მათ სწავლების ხარისხის ამაღლებაში. მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ გამოვლინდა საპილოტე და არასაპილოტე სკოლების მასწავლებლებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, მასწავლებლები 50 წლის ან მეტი ასაკობრივი ჯგუფიდან, ნაკლებად პოზიტიურად აფასებენ იმ ცვლილებებს, რომელიც ტრენინგების შედეგად შესწავლილი მეთოდების პრაქტიკული გამოყენების შედეგს წარმოადგენს. რესპოდენტი მასწავლებლები, რომლებიც ხშირად იყენებენ აქტიური სწავლების მეთოდებს შედარებით პოზიტიურად აფასებენ სკოლის-ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებს, ვიდრე მასწავლებლები, რომლებიც იშვიათად მიმართავენ ამ მეთოდების გამოყენებას.

ცხრილი 3-17: მასწავლებლების მიერ სკოლის-ბაზაზე პროფესიული განვითარების ტრენინგების შეფასების ინდექსი

| რესპოდენტების კატეგორია | საშუალო | t ან χ^2 კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|---|---------|--------------------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 8.8 | -1.02 | 0.324 |
| სოფლის სკოლა | 9.1 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 9.3 | 1.84 | 0.085 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 8.9 | | |
| ქალაქის სკოლა სოფლის მაგრამ არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | 8.8 | 1.04 | 0.313 |
| სოფლის სკოლა | 9.1 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 9.2 | | |
| სოფლის არა მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 9.1 | -0.21 | * |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 9.2 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 9.2 | 0.53 | 0.603 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 8.9 | | |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 8.9 | -1.03 | 0.321 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 9.1 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 8.9 | -0.93 | 0.367 |
| განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა (training school) | | | |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 9.1 | | |
| 50 ან ნაკლები | 9.1 | -1.94 | 0.071 |
| 51 ან მეტი | 8.7 | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 9.4 | -2.7 | 0.017 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 8.8 | | |
| დაწყებითი საფეხური | 8.9 | 0.35 | 0.728 |
| საშუალო ან ორივე | 9.0 | | |
| მეცნიერებები/მათემატიკა | 9.0 | -1.25 | 0.231 |
| ჰუმანიტარული | 8.8 | | |

ცხრილი 3-18: მეთოდები, რომლებსაც გავეცანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, დამეხმარა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|------------------------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად არ ვეთანხმები | 3 | 1 | 5 |
| არ ვეთანხმები | 8 | 5 | 10 |
| ვეთანხმები | 71 | 64 | 78 |
| მთლიანად ვეთანხმები | 18 | 13 | 23 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-19 მეთოდები, რომელსაც გავეცანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში დამეხმარა, სწავლების და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში

| რესპონდენტების კატეგორია | მოლიანად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | მოლიანად ვეთანხმები | თი ან სი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|---|------------------------|---------------|------------|---------------------|---------------------------|----------|
| სოფლის სკოლა | 3 | 5 | 75 | 16 | 5.99 | 0.266 |
| ქალაქის სკოლა | 3 | 9 | 67 | 20 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 0 | 3 | 79 | 18 | 2.31 | 0.1596 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 3 | 8 | 71 | 18 | | |
| ქალაქის სკოლა მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 3 | 9 | 67 | 20 | 8.97 | 0.409 |
| სოფლის სკოლა | 4 | 6 | 73 | 17 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1 | 6 | 82 | 12 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 1 | 4 | 77 | 18 | 1.08 | 0.383 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 3 | 8 | 71 | 18 | | |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 4 | 5 | 71 | 20 | 4.52 | 0.415 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 3 | 9 | 71 | 17 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა (training school) | 3 | 9 | 71 | 16 | 5.08 | 0.373 |
| განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | | | | | | |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 4 | 5 | 71 | 21 | | |
| 50 ან ნაკლები | 4 | 10 | 76 | 11 | 14.20 | 0.010 |
| 51 ან მეტი | 3 | 6 | 68 | 22 | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 4 | 8 | 71 | 17 | 5.30 | 0.193 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 2 | 5 | 71 | 23 | | |
| დაწყებითი საფეხური სმასწავლებელი | 3 | 8 | 70 | 18 | 3.27 | 0.374 |
| საშუალო ან ორივე | 3 | 4 | 73 | 20 | | |
| კლასის ზომა 25 ან მეტი | 2 | 9 | 71 | 17 | 2.60 | 0.443 |
| კლასის ზომა 24-ზე ნაკლები | 4 | 7 | 71 | 19 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება კლასების დიდ ნაწილში/ყველა კლასში | 4 | 5 | 70 | 21 | 24.12 | 0.003 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება იშვიათად ან არასდროს | 2 | 14 | 73 | 11 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება საშუალოდ ან მეტრედ | 4 | 6 | 67 | 23 | 9.33 | 0.107 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი | 2 | 8 | 75 | 15 | | |

მასწავლებელთა №1 კითხვარში წარმოდგენილია ექვსი შეკითხვა აქტიური სწავლების ფორმების შესახებ მასწავლებელთა დამოკიდებულების შესასწავლად. თითოეულ შეკითხვაზე პასუხი მოცემულია ცხრილების სახით:

ცხრილი 3-20: საგაკვეთილო პროცესი ყველაზე ეფექტურია, როდესაც მასწავლებელი ატარებს ძირითადად ლექციის ტიპის გაკვეთილს

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|------------------------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად ვეთანხმები | 2 | 1 | 4 |
| ვეთანხმები | 21 | 15 | 27 |
| არ ვეთანხმები | 63 | 57 | 69 |
| მთლიანად არ ვეთანხმები | 13 | 10 | 17 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-21: როდესაც მოსწავლე დავალებას დამოუკიდებლად ასრულებს, მასწავლებელს ზუსტად შეუძლია განსაზღვროს მისი ცოდნის დონე

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|------------------------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად ვეთანხმები | 30 | 25 | 35 |
| ვეთანხმები | 64 | 60 | 68 |
| არ ვეთანხმები | 3 | 2 | 4 |
| მთლიანად არ ვეთანხმები | 3 | 1 | 5 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-22: მასწავლებლები გაცილებით მეტ ცოდნას ფლობენ, ვიდრე მოსწავლეები, ამიტომ მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა მიაწოდონ მხოლოდ ინფორმაცია და ფაქტები

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|------------------------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად ვეთანხმები | 13 | 10 | 17 |
| ვეთანხმები | 50 | 45 | 54 |
| არ ვეთანხმები | 29 | 26 | 33 |
| მთლიანად არ ვეთანხმები | 8 | 5 | 10 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-23: გაკვეთილის მთავარი თემა უნდა იყოს პრობლემა, რომელზეც მოსწავლეს ადვილად შეუძლია ზუსტი და კონკრეტული პასუხი მოძებნა

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|------------------------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად ვეთანხმები | 17 | 13 | 21 |
| ვეთანხმები | 67 | 64 | 70 |
| არ ვეთანხმები | 13 | 11 | 15 |
| მთლიანად არ ვეთანხმები | 3 | 1 | 4 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-24: მოსწავლეები ხშირად აფერხებენ გაკვეთილების მსვლელობას, როდესაც გაკვეთილის შესახებ ერთმანეთში საუბრობენ

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის კოეფიციენტი | |
|------------------------|-----------------------|----------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად ვეთანხმები | 7 | 5 | 10 |
| ვეთანხმები | 35 | 30 | 40 |
| არ ვეთანხმები | 50 | 45 | 55 |
| მთლიანად არ ვეთანხმები | 8 | 5 | 11 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-25: მასწავლებლების შეფასება / შენიშვნები მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას.

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის კოეფიციენტი | |
|------------------------|-----------------------|----------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მთლიანად ვეთანხმები | 2 | 1 | 4 |
| ვეთანხმები | 2 | 1 | 4 |
| არ ვეთანხმები | 60 | 55 | 65 |
| მთლიანად არ ვეთანხმები | 35 | 31 | 40 |
| სულ | 100 | | |

მასწავლებლები ტრადიციული დამოკიდებულებას ყველაზე მეტად მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობასთან დაკავშირებით ინარჩუნებენ. კერძოდ, ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ გაკვეთილის მთავარი თემა უნდა იყოს პრობლემა, რომელზეც მოსწავლეს ადვილად შეუძლია ზუსტი და კონკრეტული პასუხის მოძებნა. მასწავლებლის ფუნქციაა მოსწავლეების სწავლის დონის ასამაღლებლად კომენტარის მიწოდება. რესპოდენტების პასუხები სწავლების დიდაქტიკურ მეთოდთან დაკავშირებით არათანაბრად არის გადანაწილებული.

მოცემული ექვსი შეკითხვის საფუძველზე ინდექსის განსაზღვრის მიზნით, მათი ახალ მეთოდიკასთან შესაბამისობის საფუძველზე თითოეულ შეკითხვას მიენიჭა კოდი 0-3. ამ შემთხვევაში, ყველა შეკითხვას მიენიჭა 0 ქულა სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეჯამდა ქულები თითოეული მასწავლებლის კითხვარიდან და გაიყო იმ შეკითხვების რაოდენობაზე, რომელსაც პასუხი გაეცა. ამგვარად გამოვითვალეთ ცალკეული მასწავლებლისათვის საშუალო ქულა. შესაძლო საშუალო ქულა 0-დან 3-მდე არის განსაზღვრული, მაღალი ქულები მიუთითებს მასწავლებლის დადებით განწყობაზე აქტიური სწავლების მეთოდების მიმართ. ყველა მასწავლებლისათვის საშუალო ქულა შეადგენს 1.48-ს.

ცხრილი 3-26: ახალი მეთოდების გამოყენებასადმი მასწავლებლების დამოკიდებულების ინდექსი

| რესპოდენტების კატეგორია | საშუალო | თი ან სი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|--|---------|---------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 1.49 | 0.83 | 0.421 |
| სოფლის სკოლა | 1.46 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 1.51 | 0.40 | 0.698 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 1.47 | | |
| ურბანული სკოლა | 1.49 | -1.43 | 0.173 |
| სოფლის მაგრამ არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1.51 | | |
| სოფლის სკოლა | 1.51 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1.38 | | |
| სოფლის არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1.51 | -1.36 | * |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1.38 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 1.33 | -2.36 | 0.032 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 1.48 | | |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 1.45 | -1.38 | 0.187 |
| სკოლას არ მოუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 1.50 | | |
| 40 წლის ან ნაკლები | 1.46 | 0.59 | 0.562 |
| 40 წლის ან მეტი | 1.48 | | |
| 50 წლის ან ნაკლები | 1.49 | -1.54 | 0.146 |
| 51 წლის ან მეტი | 1.44 | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 1.45 | 0.78 | 0.445 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 1.48 | | |
| დაწყებითი საფეხურის სმასწავლებელი | 1.46 | 2.55 | 0.022 |
| საშუალო ან ორივე | 1.54 | | |
| კლასის ზომა 25 ან მეტი | 1.48 | -0.07 | 0.944 |
| კლასის ზომა 24-ზე ნაკლები | 1.47 | | |

კვლევის შედეგების მიხედვით, უკანასკნელი წლების განმავლობაში მასწავლებლების დამოკიდებულება აქტიური სწავლების მეთოდებისადმი მნიშვნელოვნად შეიცვალა. საინტერესოა, რომ მასწავლებლების დამოკიდებულება საპილოტე სკოლებში შედარებით ნაკლები ქულით აღინიშნა, ვიდრე არასაპილოტე სკოლებში (1.33 და 1.48). მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ გამოვლინდა მასწავლებლებს შორის, რომლებსაც ჩაუტარდათ/ არ ჩაუტარდათ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ტრენინგები. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს ნაკლებად დადებითი დამოკიდებულება აქვთ აქტიური სწავლების მეთოდების მიმართ, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებს, ან ორივეს ერთად.

ზოგადად, მასწავლებლები დადებითად არიან განწყობილი აქტიური სწავლების მეთოდების მიმართ. მასწავლებლების 56% შესაძლებლად მიიჩნევს აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებას კლასში. მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ გამოვლენილა ქალაქის და სოფლის სკოლებს შორის. რესპოდენტი მასწავლებლები 50 წლამდე ასაკობრივი ჯგუფიდან შედარებით პოზიტიურად არიან განწყობილი ახალი სასწავლო გეგმის მიმართ, ვიდრე 50 წელს გადაცილებული მასწავლებლები. მასწავლებელთა დადებითი განწყობა ახალი მეთოდების მიმართ რეფორმის პროცესების ეფექტურ განხორციელებაზე მიუთითებს.

აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებისას პრობლემა შეიძლება წარმოიშვას, თუ მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ სწავლების ახალი პრაქტიკა არ შეესაბამება მათი საგნის სპეციფიკას და საკლასო ოთახის რეალობას. ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებელთა კითხვარში მოცემულია ორი კითხვა: პირველი, „რამდენად შესაძლებელია ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში აქტიური სწავლება?“ რესპოდენტი მასწავლებლების 56% თვლის, რომ აქტიური სწავლება სრულად შეიძლება განხორციელდეს ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში, მაშინ როდესაც 41% ნაწილობრივ ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას. მასწავლებლების მხოლოდ 3% თვლის, რომ აქტიური სწავლება შეუძლებელია ახალი სასწავლო გეგმის ჩარჩოს მიხედვით. საპილოტე სკოლებიდან მასწავლებლების 77% და 55% არასაპილოტე სკოლებიდან აქტიური სწავლების პრაქტიკის განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნევს. მასწავლებლების პასუხები არ განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების საფეხურების მიხედვით.

ცხრილი 3-27: რამდენად შესაძლებელია ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში აქტიური სწავლება?

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % კონფიდენციალურობის კოეფიციენტი | |
|-----------------------------|-----------------------|-------------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| საერთოდ არ არის შესაძლებელი | 3 | 1 | 5 |
| მეტწილად შესაძლებელია | 41 | 35 | 46 |
| შესაძლებელია | 56 | 51 | 61 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-28: რამდენად შესაძლებელია ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში აქტიური სწავლება?

| რესპოდენტების კატეგორია | საერთოდ არ არის შესაძლებელი | მეტ-ნაკლებად შესაძლებელია | შესაძლებელია | t ან χ2 კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|--|-----------------------------|---------------------------|--------------|--------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 3 | 41 | 56 | 0.1 | 0.961 |
| სოფლის სკოლა | 3 | 40 | 57 | | |
| სოფლის არა მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 3 | 39 | 57 | 0.08 | 0.990 |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 3 | 39 | 58 | | |
| სოფლის სკოლა | 3 | 40 | 57 | 0.24 | 0.993 |
| ქალაქის სკოლა | 3 | 39 | 57 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 3 | 39 | 58 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 6 | 17 | 77 | 6.63 | 0.124 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 3 | 42 | 55 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა (training school) | 4 | 41 | 56 | 1.55 | 0.511 |
| განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 2 | 40 | 57 | | |
| 50 წლის ან ნაკლები | 3 | 42 | 54 | 0.61 | 0.748 |
| 51 წლის ან მეტი | 3 | 40 | 57 | | |
| 11 წლის ან მეტი სამუშაო გამოცდილება | 2 | 44 | 54 | 12.63 | 0.016 |
| 10 წელზე მცირე სამუშაო გამოცდილება | 6 | 30 | 64 | | |
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი | 4 | 40 | 56 | 3.18 | 0.336 |
| საშუალო ან ორივე | 0 | 42 | 58 | | |
| კლასის ზომა 25 ან მეტი | 5 | 39 | 57 | 3.25 | 0.336 |
| კლასის ზომა 24-ზე ნაკლები | 2 | 42 | 56 | | |
| მეცნიერებები/მათემატიკა | 1 | 43 | 56 | 8.67 | 0.161 |
| ჰუმანიტარული მეცნიერებები | 2 | 44 | 54 | | |
| დაწყებითი კლასები | 4 | 27 | 69 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდები ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში | 3 | 36 | 62 | 2.72 | 0.614 |
| აქტიური სწავლების მეთოდები საშუალოდ/ იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში | 3 | 42 | 55 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება კლასების დიდ ნაწილში/ყველა კლასში | 2 | 33 | 65 | 47.44 | 0.0003 |
| აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება იშვიათად ან არასდროს | 5 | 59 | 37 | | |

კითხვარში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით ერთი, შედარებით ნეიტრალური კითხვა კვლავაც აქტიური სწავლების მეთოდების მიმართ მასწავლებლების დამოკიდებულების შესწავლას ითვალისწინებდა. „ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი მიგაჩნიათ სწავლების პროცესის ხელისშემშლელ პირობად? - სწავლების ახალი მეთოდები არ შეესაბამება მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკას კლასში“. შეკითხვის ამ სახით ფორმულირებისას, მასწავლებელთა 44% დაეთანხმა მოსაზრებას. ვინაიდან, მოცემულ შეკითხვაზე გაცემული პასუხების პროცენტული რაოდენობა ეწინააღმდეგება წინამდებარე შეკითხვის პასუხებს, შესაძლოა ჩაითვალოს, რომ მასწავლებლების დამოკიდებულება **აქტიური სწავლების ფორმების მიმართ მყარად არ არის ჩამოყალიბებული**. ამგვარი დამოკიდებულება დამახასიათებელია რეფორმის ადრეული ეტაპისათვის და პროცესების არასტაბილურ ხასიათზე მიუთითებს იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი საქმიანობა და პროფესიული მხარდაჭერა არ არის გათვალისწინებული.

ცხრილი 3-29: ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი მიგაჩნიათ სწავლების პროცესის ხელისშემშლელ პირობად? სწავლების ახალი მეთოდები არ შეესაბამება მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკას კლასში

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|--------|-----------------------|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არა | 56 | 50 | 61 |
| დაიხ | 44 | 39 | 50 |
| სულ | 100 | | |

3.2.2.2 მეთოდების გამოყენება

შეფასების შედეგების მიხედვით და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის და შეფასების ცენტრის ინფორმაციით, მასწავლებლები პრაქტიკაში გარკვეულწილად იყენებენ აქტიური სწავლების მეთოდებს, მაგრამ ტრადიციული, პასიური სწავლების მეთოდები კვლავაც აქტუალურია. ეროვნული სასწავლო გეგმის და შეფასების ცენტრის დანერგვის კოორდინატორთან, ქ-ნ ნანა დალაქიშვილთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ახალი მეთოდების ეფექტური გამოყენება სასწავლო პრაქტიკაში მიმდინარე ეტაპზე იწყება. ამასთანავე აღინიშნა, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი იყენებს ახალ მეთოდებს, თუმცა უფრო მექანიკურად, ვიდრე გააზრებულად. ამის ნათელი მაგალითია მოსწავლეების ჯგუფური მუშაობა მასალის დასახეპირებლად, რაც დამკვიდრებულ ტრადიციულ ფორმას წარმოადგენს. ეს ყველაფერი დამახასიათებელია რეფორმის ადრეული ეტაპისათვის და მასწავლებელთა შესაბამისი პროფესიული მომზადების აუცილებლობაზე მიუთითებს. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლები ვერ აცნობიერებენ აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას, რთულია დაარწმუნო ისინი სწავლების ამგვარი ფორმების დადებით მხარეში.

კითხვარში წარმოდგენილია შეკითხვები რესპოდენტი მასწავლებლების დამოკიდებულების შესასწავლად აქტიური სწავლების მეთოდების მიმართ. ზოგადად, მასწავლებლები დადებითად არიან განწყობილნი პრაქტიკაში აქტიური სწავლების ფორმების გამოყენებისადმი. რესპოდენტი მასწავლებლების 98% სხვადასხვა სიხშირით იყენებს აქტიური სწავლების მეთოდებს საკლასო ოთახში, შესაბამისი დასკვნა შესაძლოა გაკეთდეს საკლასო ოთახის პრაქტიკაზე დაკვირვების საფუძველზეც. მასწავლებლების 30% მხოლოდ ზოგიერთ კლასში იყენებს აქტიური სწავლების ფორმას, 16% ხშირად მიმართავს მოცემულ პრაქტიკას და 52%

კი თითქმის ყველა კლასში. მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ აღნიშნება საპილოტე და არასაპილოტე სკოლების რესპოდენტი მასწავლებლების პასუხებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, 50 წელზე ნაკლები ასაკის მასწავლებლები მეტად იყენებენ აქტიური სწავლების მეთოდებს, ვიდრე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. დაწყებითი კლასების მასწავლებლები შედარებით ხშირად სარგებლობენ ინტერაქტიული მეთოდოლოგიით პრაქტიკაში, ვიდრე მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების მასწავლებლები.

ცხრილი 3-30: რამდენ კლასში იყენებთ აქტიური სწავლების მეთოდს?

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95 %სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არცერთ კლასში | 2 | 0 | 3 |
| რამდენიმე კლასში | 30 | 24 | 36 |
| ბევრ კლასში | 16 | 13 | 19 |
| თითქმის ყველა კლასში | 52 | 47 | 57 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-31: რამდენ კლასში იყენებთ აქტიური სწავლების მეთოდს?

| რესპოდენტების კატეგორია | თითქმის ყველა კლასში | ზოგიერთ კლასში | ბევრ კლასში | თითქმის ყველა კლასში | ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|---|----------------------|----------------|-------------|----------------------|---------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 2 | 24 | 21 | 54 | 18.13 | 0.007 |
| სოფლის სკოლა | 2 | 37 | 11 | 50 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 2 | 37 | 7 | 54 | 2.56 | 0.361 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 2 | 30 | 17 | 52 | | |
| არამაღალმთიანი რაიონი | 2 | 30 | 17 | 52 | | |
| ქალაქის სკოლა | 2 | 24 | 21 | 54 | 25.20 | 0.005 |
| სოფლის მაგრამ არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | 2 | 41 | 11 | 46 | | |
| სოფლის სკოლა | 1 | 29 | 11 | 59 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 2 | 41 | 11 | 46 | 6.19 | |
| სოფლის არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1 | 29 | 11 | 59 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 0 | 24 | 32 | 45 | 5.53 | 0.379 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 2 | 30 | 16 | 52 | | |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 2 | 32 | 14 | 52 | 3.14 | 0.518 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 1 | 29 | 18 | 52 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 1 | 29 | 18 | 52 | 3.51 | 0.51 2 |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 3 | 31 | 14 | 52 | | |
| განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 1 | 28 | 17 | 54 | 1.09 | 0.8596 |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 2 | 31 | 16 | 51 | | |
| 40 წლის ან ნაკლები | 1 | 30 | 16 | 52 | 0.57 | 0.9099 |
| 50 წლის ან ნაკლები | 2 | 30 | 16 | 52 | | |
| 40 წლის ან მეტი | 1 | 24 | 17 | 58 | 4.41 | 0.536 |
| 51 წლის ან მეტი | 2 | 32 | 16 | 50 | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 2 | 30 | 13 | 54 | 18.78 | 0.012 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 0 | 30 | 27 | 43 | | |
| 40 წლის ან ნაკლები | 2 | 33 | 11 | 53 | 22.51 | 0.0398 |
| 40 წლის ან მეტი | 1 | 24 | 25 | 51 | | |
| კლასის ზომა: 25 ან მეტი მოსწავლე | 1 | 31 | 21 | 47 | 11.57 | 0.283 |
| კლასის ზომა: 24-ზე ნაკლები მოსწავლე | 3 | 31 | 15 | 51 | | |
| მეცნიერებები/მათემატიკა | 2 | 30 | 5 | 62 | | |
| პუმანიტარული მეცნიერებები | 3 | 35 | 17 | 45 | 19.28 | 0.033 |
| დაწყებითი კლასები | 0 | 23 | 17 | 59 | | |
| აქტიური სწავლების მეთოდები საშუალოდ/ იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში გამოიყენება | 3 | 35 | 17 | 45 | 19.28 | 0.033 |
| აქტიური სწავლების მეთოდები ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში | 0 | 23 | 17 | 59 | | |

მასწავლებელთა კითხვარში წარმოდგენილია საკითხები, რომლებიც მასწავლებლების მიერ პრაქტიკაში კონკრეტული აქტიური მეთოდების გამოყენების სიხშირეზე გვაწვდის ინფორმაციას. მასწავლებელთა კითხვარში № 1 წარმოდგენილია შეკითხვის ცხრა სხვადასხვა ვარიანტი გაკვეთილის პროცესში მოსწავლეების აქტიურობის შესახებ. მოცემული შეკითხვები უფრო მეტად არის ორიენტირებული მოსწავლის აქტიურობაზე, ვიდრე მასწავლებლის, რაც შედარებით ობიექტურ პასუხებს განაპირობებს რესპოდენტი მასწავლებლების მხრიდან. მოცემულ შეკითხვები სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლებისათვის არის შემუშავებული, ამიტომ შეფასების ჯგუფმა შეძლებისდაგვარად მარტივად მოახდინა მათი ფორმულირება. თითოეულ შეკითხვას ოთხი ალტერნატიული პასუხი აქვს. პასუხების საფუძველზე გამოთვლილი ინდექსი წარმოდგენილია ცხრილებში.

ცხრილი 3-32: მოსწავლეები უსმენენ და იწერენ შენიშვნებს გაკვეთილის მსვლელობისას

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 13 | 9 | 16 |
| თვეში 1-3 ჯერ | 55 | 50 | 61 |
| ხშირად | 12 | 7 | 16 |
| ძალიან ხშირად | 20 | 18 | 23 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-33: მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ თანატოლთა დისკუსიებსა და დებატებში

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 10 | 6 | 13 |
| თვეში 1-3 ჯერ | 12 | 9 | 14 |
| ხშირად | 60 | 56 | 64 |
| ძალიან ხშირად | 19 | 14 | 23 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-34: მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტებში, რომლებიც ერთ დღეზე მეტხანს გრძელდება

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 4 | 1 | 7 |
| თვეში 1-3 ჯერ | 15 | 13 | 18 |
| ხშირად | 26 | 21 | 31 |
| ძალიან ხშირად | 55 | 50 | 60 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-35: მოსწავლე კითხულობს ჩუმად

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 27 | 22 | 33 |
| თვეში 1-3 ჯერ | 7 | 4 | 10 |
| ხშირად | 56 | 49 | 63 |
| ძალიან ხშირად | 10 | 6 | 13 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-36: მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 11 | 9 | 14 |
| თვეში 1-3 ჯერ | 18 | 15 | 21 |
| ხშირად | 58 | 54 | 63 |
| ძალიან ხშირად | 12 | 8 | 16 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-37: მოსწავლეები აწეობენ საკლასო პრეზენტაციებს

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 19 | 14 | 25 |
| თვეში 1-3 ჯერ | 29 | 25 | 33 |
| ხშირად | 41 | 34 | 48 |
| ძალიან ხშირად | 10 | 5 | 15 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-38: მოსწავლეები მუშაობენ პრობლემატურ საკითხებზე

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 21 | 15 | 28 |
| თვეში 1-3 ჯერ | 21 | 15 | 27 |
| ხშირად | 50 | 44 | 56 |
| ძალიან ხშირად | 8 | 5 | 10 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-39: მოსწავლეები მონაწილეობენ გაკვეთილის პროცესში, სადაც ძირითადად მასწავლებელი საუბრობს

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 23 | 18 | 29 |
| თვეში 1-3 ჯერ | 9 | 6 | 11 |
| ხშირად | 58 | 53 | 63 |
| ძალიან ხშირად | 10 | 7 | 13 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-40: მოსწავლეები მონაწილეობენ მთელი კლასის დისკუსიაში, ძირითადად მოსწავლეები საუბრობენ

| პასუხი | განსაზღვრული პროცენტი | 95% სანდოობის ინტერვალი | |
|----------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| იშვიათად ან არასდროს | 11 | 8 | 15 |
| თვეში 1-3 ჯერ | 15 | 13 | 18 |
| ხშირად | 58 | 53 | 64 |
| ძალიან ხშირად | 15 | 11 | 20 |
| სულ | 100 | | |

შეკითხვების მიზანი იყო ერთიანი ინდექსის გამოთვლა. თითოეულ შეკითხვაზე პასუხი შეფასდა ქულობრივი მაჩვენებელით 0-3 იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შესაბამისია მოცემული პასუხი ახალ მეთოდებთან. ქულები შეჯამდა თითოეული კითხვარის მიხედვით და გაიყო იმ კითხვების რაოდენობაზე, რომელსაც მასწავლებელმა პასუხი გასცა. მაღალი ქულობრივი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მასწავლებელი პრაქტიკაში იყენებს აქტიური სწავლების მეთოდებს. ყველა მასწავლებლისათვის საშუალო ქულა შეადგენს 1.71-ს (0.7-2.5-ის ფარგლებში) და სტანდარტული გადახრა მხოლოდ 0.28-ს. აქედან გამომდინარე მასწავლებლები ახალ მეთოდებს საშუალოდ თვეში 1-3-ჯერ ან მეტჯერ იყენებენ. ერთადერთი განსხვავება, რომელიც მასწავლებელთა პასუხებში გამოიკვეთა (90% სანდოობის დონეზე) წარმოადგენს შედარებით მაღალი ქულები მასწავლებლებისათვის რამდენიმე წლის სამუშაო გამოცდილებით და დაბალი ქულები მასწავლებლებისათვის, რომლებიც დიდი ზომის კლასებთან მუშაობენ. მაგრამ, მოცემული სტატისტიკური განსხვავება უმნიშვნელოა. (იხილეთ, ცხრილი 3-41).

მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად, კვლევის ფარგლებში ჩატარდა საკლასო ოთახზე დაკვირვება და ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშის (2005-2006 წელი) შესწავლა. ქვემოთ წარმოდგენილია ცენტრის ანგარიშის მონაცემები ახალი მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით და საკლასო ოთახზე დაკვირვების შედეგები.

ეროვნული სასწავლო ცენტრის ანგარიშის მიხედვით, მასწავლებლები და მოსწავლეები პოზიტიურად არიან განწყობილი სასკოლო რეფორმის პროცესების მიმართ და იმედოვნებენ, რომ რეფორმა სწავლის და სწავლების პროცესში მრავალ საიხლეს დანერგავს. კერძოდ, გაუმჯობესდება მასწავლებლის სახელმძღვანელოები, მოსწავლეები იქნებიან უფრო მეტად მოტივირებულები, სკოლები შედარებით პრესტიჟული გახდება და ა.შ. მიუხედავად ამისა, მასწავლებლები და მოსწავლეები თვლიან, რომ ახალი მეთოდების შეზღუდული გამოყენება პრაქტიკაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემაა. მასწავლებლების 48% და მოსწავლეების 36% თვლის, რომ სწავლების ახალი მეთოდიკა არ ითვალისწინებს თითოეული საგნის სპეციფიკას და გაკვეთილის მიზნებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის და შეფასების ცენტრის მიერ მიმდინარე ეტაპზე ჩატარებული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ შემცირდა დიდაქტიკური და მონოლოგის ტიპის სწავლების მეთოდების გამოყენება და გარკვეულწილად გაიზარდა სწავლების ახალი მეთოდების გამოყენება. 2006 წლის ანგარიშის მიხედვით, სწავლების დიდაქტიკური მეთოდით შესწავლილი კლასების 37% სარგებლობდა „სოციალური“ მეთოდები, ანუ სოკრატული, პრაქტიკაზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესი და დამოუკიდებელი სამუშაო ხორციელდებოდა კლასების 17, 12, 11 და 10%-ში 2006 წლის მონაცემებით. კვლევა მიუთითებს აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების ეფექტურობის გაუმჯობესებაზე 2006 წელს 2005 წლის შედეგებთან შედარებით.

ცხრილი 3-41: სწავლების ახალი მეთოდების გამოყენების სიხშირის ინდექსი

| რესპოდენტების კატეგორია | საშუალო | თი ან სი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|---|---------|---------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 1.69 | -1.09 | 0.293 |
| სოფლის სკოლა | 1.71 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 1.72 | 0.63 | 0.541 |
| არამაღალმთიანი რაიონი | | | |
| არამაღალმთიანი რაიონი | 1.70 | | |
| ქალაქის სკოლა | 1.69 | 1.20 | 0.247 |
| სოფლის მაგრამ არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | | | |
| სოფლის სკოლა | 1.72 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1.71 | | |
| სოფლის არამაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1.72 | | |
| მაღალმთიანი რაიონის სკოლა | 1.71 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე სკოლა | 1.74 | 1.12 | 0.281 |
| ახალი სასწავლო გეგმის არასაპილოტე სკოლა | 1.70 | | |
| სკოლის-ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 1.69 | -0.75 | 0.465 |
| სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | 1.71 | | |
| ახალი სასწავლო გეგმის საპილოტე ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | 1.74 | 1.12 | 0.281 |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | | | |
| განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა (training school) | 1.70 | | |
| განვითარების ტრენინგებში ჩართული სკოლა | | | |
| არასაპილოტე სკოლა ან სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებში | | | |
| 50 წლის ან ნაკლები | 1.70 | 0.53 | 0.605 |
| 51 წლის ან მეტი | 1.71 | | |
| 10 ან ნაკლები სწავლების გამოცდილება | 1.67 | 1.80 | 0.092 |
| 11 ან მეტი სწავლების გამოცდილება | 1.71 | | |
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი | 1.70 | 1.49 | 0.158 |
| საშუალო ან ორივე | 1.73 | | |
| კლასის ზომა 25 ან მეტი | 1.72 | -1.79 | 0.094 |
| კლასის ზომა 24-ზე ნაკლები | 1.68 | | |

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით თითქმის ყველა მასწავლებელი იყენებს აქტიური სწავლების მეთოდებს კლასში იშვიათად მაინც, ხოლო 52% რესპოდენტი მასწავლებლებისა – თითქმის ყველა კლასში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მასწავლებლები შესაძლოა აზვიადებენ მეთოდების გამოყენების სიხშირეს. მოსწავლეების გამოკითხვა, ერთ-ერთი საშუალებაა მასწავლებელთა პასუხების სანდოობის შესამოწმებლად, რაც ამ შემთხვევაში ვერ განხორციელდა დროის სიმცირის გამო. ამასთანავე, მოცემული მარტივი კითხვებით შეუძლებელია შეფასდეს, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება აქტიური სწავლების პროცესი საკლასო ოთახში. თუმცა, მასწავლებელთა კითხვარის შედეგები მიუთითებს რესპოდენტი მასწავლებლების დადებით დამოკიდებულებაზე აქტიური სწავლების მეთოდების მიმართ წინა რეფორმის პერიოდთან შედარებით.

კვლევისათვის განსაზღვრული დრო არ გვაძლევდა კადრებისათვის ტრენინგების ჩატარების საშუალებას საგაკვეთილო პროცესზე სიღრმისეული დაკვირვების განსახორციელებლად. ეროვნული გეგმების და შეფასების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა კლასების მცირე რაოდენობაზე დაკვირვებით შემოიფარგლა. ამგვარად, არ გვაქვს განზოგადების საშუალება. ამიტომ, მიმდინარე კვლევის ფარგლებში განხორციელდა 15 წუთიანი დაკვირვება საკლასო ოთახზე, რათა მოგვეძიებინა მონაცემები საკლასო ოთახის გარემოზე, დამატებით სასწავლო მასალებზე, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობაზე და ა.შ. რესპოდენტთა პასუხების ანონიმურობის დაცვის მიზნით, საკლასო ოთახზე დაკვირვების მონაცემები არ არის დაკავშირებული რესპოდენტი მასწავლებლების პასუხებთან და არ გამოდგება ცალკეული მასწავლებლისა თუ სკოლის შესაფასებლად.

საკლასო ოთახზე დაკვირვების ფორმა მოიცავს მოსწავლეების 15 და მასწავლებლის 4 ტიპის საქმიანობას გაკვეთილის მიმდინარეობისას. ამასთანავე, საკლასო ოთახის ორგანიზაციული მოწყობის აღწერილობას. დამკვირვებელი შემოხაზავდა შესაბამის პუნქტს, რათა დაეფიქსირებინა ესა თუ ის მოქმედება საკლასო ოთახში. საკლასო ოთახზე დაკვირვების ფორმაში გაერთიანებულია 11 ტიპის საქმიანობა, რომელიც გულისხმობს სწავლების ტრადიციული მეთოდების გამოყენებას და 12 ტიპის საქმიანობა, რომელიც შეესაბამება სწავლების ახალ მეთოდებს; ერთიც, ნეიტრალური (მოსწავლეები წერენ ტესტს).

საკლასო ოთახზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ აქტიური სწავლების მეთოდების გამოსაყენებლად აქტივობის ფართო სპექტრი. რაც შეეხება საკლასო ოთახის მოწყობას, კლასების მხოლოდ 16% არის აქტიური სწავლებისათვის სათანადოდ ორგანიზებული. კერძოდ, მოსწავლეები სხედან ერთმანეთის პირისპირ, წრეში ან ნახევარ წრეში.

ცხრილი: 3.42 საკლასო ოთახის მოწყობა

| საკლასო ოთახის მოწყობა | კლასების % რაოდენობა რომელზეც დაკვირვება განხორციელდა | 95 % სანდოობის ინტერვალი | |
|---|---|--------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მერხები განლაგებულია რიგებად (ტრადიციული/ პასიური) | 74 | 67 | 81 |
| სკამები/მაგიდები განლაგებულია წრიულად ერთმანეთის პირისპირ (აქტიური) | 7 | 4 | 10 |
| სკამები განლაგებულია დიდი მაგიდის გარშემო ერთმანეთის პირისპირ (აქტიური) | 3 | 1 | 6 |
| სკამები განლაგებულია დიდ წრედ ან რკალისებური ფორმით (აქტიური) | 6 | 1 | 10 |

შეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ცალკე დაჯამებული მეთოდები და კლასის მოწყობის ფორმები აქტიური სწავლებისათვის და შესაბამისი ინდიკატორები პასიური სწავლებისათვის. საშუალოდ მასწავლებლები მეტად იყენებენ პასიური სწავლების ფორმებს, ვიდრე აქტიურს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკლასო ოთახები ტრადიციულადაა მოწყობილი, მაშინ დიდი განსხვავება პასიურ და აქტიურ მეთოდების გამოყენებას შორის არ არსებობს, რადგან საკლასო ოთახის ორგანიზაციული მოწყობა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს. დაკვირვების შედეგების მიხედვით, არ გამოკვეთილა მკვეთრი თანაფარდობა აქტიურ და პასიურ მეთოდებს შორის, გარდა ქვემოთმოყვანილი ორი გარემოებისა: მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს, თუ რა მოსაზრება აქვთ შესწავლილი მასალის შესახებ, როგორ გაიაზრეს მასალა, რა დაიმახსოვრეს (0,48); მასწავლებელი ატარებს ლექციის ტიპის გაკვეთილს (წერს დაფაზე ან საუბრობს) და სვამს შეკითხვებს მოცემულ საგანში მოსწავლეების ზოგადი ცოდნის შესამოწმებლად (0,33).

ცენტრის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ მასწავლებლებისთვის შეფასების ახალი და რთული კონცეფციის გააზრება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ისინი აღნიშნავენ, რომ მომდევნო წლის განმავლობაში ცენტრი ტრენინგებით დაეხმარება მასწავლებლებს რუბრიკების მომზადებასა და მოსწავლეებთან მუშაობაში. ამასთან ერთად, ყველა სკოლა და რესურსცენტრი მიიღებს საინფორმაციო ბროშურას, რესურსცენტრების მეშვეობით სკოლებში დარიგდება ჟურნალები ყოველთვიურად, რომლებშიც იქნება შეფასების რუბრიკის და/ან სხვა აქტიური სწავლების მეთოდების მაგალითები.

32.52. განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასება

კვლევის ფარგლებში ჩატარდა მასწავლებლების გამოკითხვა, რათა გაერკვიათ რამდენად აქტიურად იყენებენ ისინი შეფასების ახალ სისტემას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის თვითშეფასების ფორმებზე გაცემული პასუხები ზოგადი და არაზუსტია. ისინი მხოლოდ მასწავლებლის სუბიექტურ წარმოდგენას ეფუძნება. როგორც ჩანს, მასწავლებლები ცდილობენ დადებითად შეაფასონ საკუთარი თავი და ამიტომ პოზიტიურად პასუხობენ მსგავს შეკითხვებს. ამგვარად, მოცემული კვლევა მასწავლებლების მუშაობის ხარისხის შესაფასებლად არასრულყოფილია. ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრმა უფრო სიღრისეული კვლევა უნდა ჩატაროს რეალური სტატისტიკის მოსაპოვებლად. ქვემოთ წარმოდგენილი შედეგებიდან ჩანს, რომ მასწავლებლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა შეფასების ახალი სისტემის მიზნებსა და შინაარსზე და მხოლოდ ნაწილობრივ არიან მზად გამოიყენონ შეფასების ახალი 10-ქულიანი სისტემა. დირექტორებსაც და მშობლებსაც არ აქვთ კარგად გააზრებული შეფასების ახალი სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის თანახმად, მასწავლებლების უმეტესობა იყენებს აქტიური შეფასების სისტემას, ბევრს სავარაუდოდ არ ესმის შეფასების ახალი სისტემის პრინციპები. მათთვის აუცილებელია ტრენინგები, მაგალითები და ნიმუშები ცოდნის გასადრმაველად.

გამოკითხვის ფარგლებში მასწავლებლებს დაუსვეს 3 შეკითხვა, რათა გამოეფლინათ თუ რამდენად არიან ორიენტირებული კითხვა-პასუხით მასალის გამოკითხვის ტრადიციულ მეთოდზე. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ელის მოსწავლისგან მიიღოს “სწორი” პასუხი. ამას გარდა გამოკითხვის შედეგებს უნდა ეხვეწებინა, რამდენად აქტიურად იყენებენ მასწავლებლები კრიტიკული აზროვნების ხელშემწყობ მეთოდებს. ამ შემთხვევაში მოსწავლე ვალდებულია წარმოადგინოს “სწორი” პასუხი დამადასტურებელი არგუმენტებით. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების ანალიზი სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან კვლევაში გამოყენებულია მკაფიოდ ფორმულირებული მხოლოდ სამი შეკითხვა და, გარდა ამისა, არ გვაქვს გამოკითხვის შედეგების დამადასტურებელი დამატებითი მონაცემები (დაკვირვების შედეგად მიღებული).³ კვლევა მიზნად ისახავს, გამოავლინოს, რამდენად შეიცვალა მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შემდეგ (Sancho and Hernandez *et al.*; 1999, Sharhriari, 1999) შეფასების ახალი სისტემისადმი დამოკიდებულება. გამოკითხვის მთავარი მიზანი იყო გამოეფლინა, რაზეა ორიენტირებული შეფასების სისტემა – მხოლოდ “სწორ პასუხზე” თუ ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარებაზეც. სამი დამოუკიდებელი შეკითხვის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

3 სამი შეკითხვა არაა საკმარისი სანდო და თანმიმდევრული ანალიზისათვის და წინამდებარე კვლევაში ისინი გამოიყენება მხოლოდ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად.

ცხრილი 3-75. გაეიგო, იცინ თუ არა მოსწავლეებმა სწორი პასუხი (ფორმა 1 შ. 6ა)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|----------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასდროს | 40 | 31 | 47 |
| ზოგჯერ | 51 | 45 | 58 |
| ხშირად | 8 | 6 | 11 |
| ძალიან ხშირად ან ყოველთვის | 0 | 0 | 1 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-76. გაეიგო მოსწავლეების იდეები და აზრები (ფორმა 1 შ. 6ბ)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|----------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასდროს | 0 | 0 | 1 |
| ზოგჯერ | 5 | 3 | 7 |
| ხშირად | 47 | 43 | 51 |
| ძალიან ხშირად ან ყოველთვის | 47 | 43 | 51 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-77. მოსწავლეებმა დაასაბუთონ თავიანთი აზრი და იმსჯელონ (ფორმა 1 შ. 6გ)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|----------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასდროს | 0 | 0 | 1 |
| ზოგჯერ | 8 | 5 | 11 |
| ხშირად | 41 | 37 | 45 |
| ძალიან ხშირად ან ყოველთვის | 50 | 47 | 54 |
| სულ | 100 | | |

გამოკითხვის შედეგების თანახმად, მასწავლებლები ხშირად იმისთვის სვამენ შეკითხვას, რომ მოისმინონ მოსწავლის აზრი და მსჯელობა, იშვიათად კი იმის გასაგებად, იცის თუ არა მოსწავლემ კითხვაზე “სწორი” პასუხი. თუმცა, ფოკუს-ჯგუფების დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს ჯერ კარგად არ გაუცნობიერებიათ შეფასების ახალი სისტემა. სწორედ ამიტომ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაში არავითარი ცვლილება არ აღინიშნება. სუსტი მოსწავლეები ტრადიციულ ტესტებში კვლავაც არადაამაკმაყოფილებელ შეფასებას იღებენ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მასწავლებლები კვლავ შეფასების ტრადიციულ სისტემას იყენებენ და შეფასების ახალი სისტემის უკეთ გააზრებას საჭიროებენ. ეს არა-განზოგადებადი აღმოჩენა არ გამორიცხავს წინა დასკვნას, თუმცა, საერთო ჯამში, შეფასების ჯგუფის აზრით, წინამდებარე ანალიზი ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს თეორიულად ესმით შეფასების “სწორი” მეთოდები. წინამდებარე კვლევა

მაინც არ არის სრულყოფილი შეფასების ახალი სისტემის გამოყენების სიღრმისეულად შესაფასებლად.

კვლევის ფარგლებში, მასწავლებლებს ასევე ჰკითხეს, თუ რამდენად იყვნენ მომზადებული შეფასების ახალი 10-ქულიანი სისტემის გამოსაყენებლად. შედეგების მიხედვით, გამოკითხული მასწავლებლების 61% მხოლოდ ნაწილობრივად არის მომზადებული შეფასების ახალი სისტემის გამოსაყენებლად. ფოკუს-ჯგუფებიდან გამოვლინდა, რომ მასწავლებლების უმეტესობა საჭიროებს ტრენინგებს 10-ქულიანი შეფასების სისტემის გამოსაყენებლად, სასწავლო საგნის სპეციფიკის და მაღალკონტიგენტიანი კლასების გათვალისწინებით. როგორც აღმოჩნდა, ტრენინგი ესაჭიროება ყველა კატეგორიის მასწავლებელს. თუმცა, ახალი მასწავლებლები და ის პედაგოგები, რომლებიც ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს აქტიურად იყენებენ, თვლიან, რომ ამ მხრივ უკეთესად მომზადებული არიან.

ცხრილი 3-78. რამდენად კარგად ხართ მომზადებული შეფასების 10-ქულიანი სისტემის გამოსაყენებლად (მასწავლებლის ფორმა 1 შ 33)

| პასუხი | საგარეულო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|---------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| ძალიან კარგად | 36 | 30 | 41 |
| საშუალოდ | 61 | 56 | 67 |
| ცუდად | 3 | 2 | 5 |
| სულ | 100 | | |

ცხრილი 3-79. რამდენად კარგად ხართ მომზადებული შეფასების 10-ქულიანი სისტემის გამოსაყენებლად (მასწავლებლის ფორმა 1 № 33)

| რესპონდენტის კატეგორია | ძალიან კარგად | საშუალოდ | ცუდად | t ან χ^2 ცვლადი | ალბათობა |
|--|----------------|----------------|-------------|----------------------|----------|
| სოფლის სკოლა ქალაქის სკოლა | 39 32 | 59 63 | 2 4 | 2.37 | 0.331 |
| მაღალმთიანი რაიონი არამაღალმთიანი რაიონი | 30 36 | 68 61 | 2 3 | 1.01 | 0.435 |
| სოფლის სკოლა ქალაქის სკოლა სკოლა მთიან რეგიონში | 39 30 37 | 59 66 58 | 2 4 5 | 6.00 | 0.455 |
| სკოლა მთიან რეგიონში სკოლა სოფელში არამთიან რეგიონში | 37 30 | 58 66 | 5 4 | 1.91 | 0.421 |
| სასწავლო გეგმების საპილოტე სკოლა არასაპილოტე სკოლა | 28 36 | 66 61 | 6 3 | 1.38 | 0.388 |
| მასწავლებლების ტრენინგები სკოლის ბაზაზე სკოლა მასწავლებელთა ტრენინგის გარეშე | 39 32 | 58 65 | 3 4 | 4.18 | 0.412 |
| საპილოტე სკოლა ან სკოლა თრენინგები სკოლის ბაზაზე არასაპილოტესკოლა ან სკოლა მასწავლებელთა ტრენინგის გარეშე | 39 32 | 59 65 | 3 4 | 4.05 | 0.432 |
| 40 წლის ან უფრო ახალგაზრდა 41 წლის ან უფრო ასაკიანი | 40 33 | 58 63 | 2 4 | 4.33 | 0.261 |
| 50 წლის ან უფრო ახალგაზრდა 51 წლის ან უფრო ასაკიანი | 38 33 | 60 63 | 3 4 | 2.83 | 0.472 |
| 10 ან ნაკლები წლის სტაჟი 11 ან მეტი წლის სტაჟი | 46 33 | 50 64 | 4 3 | 10.35 | 0.070 |
| საშუალოს ან ორივე დონის მასწავლებელი დაწყებითი კლასების მასწავლებელი | 35 37 | 61 60 | 3 3 | 0.14 | 0.924 |
| კლასის კონტინგენტი 24 ან ნაკლები კლასის კონტინგენტი 25 ან მეტი | 35 37 | 62 60 | 3 2 | 0.90 | 0.575 |
| მეცნიერებები/მათემატიკა ჰუმანიტარი დაწყებითი | 34 39 24 | 65 58 72 | 2 3 4 | 7.05 | 0.435 |
| ახალი მასალების იშვიათი ან საშუალო გამოყენება ახალი მასალების ხშირი გამოყენება | 26 40 | 70 57 | 4 3 | 12.41 | 0.042 |
| ახალი მასალების გამოყენება რამდენიმე/არცერთ კლასში ახალი მასალების გამოყენება ბევრ/ყველა კლასში | 39 34 | 56 66 | 5 0 | 15.29 | 0.002 |

მასწავლებლები განსხვავებულად აფასებენ მათთვის მიწოდებულ აქტიური სწავლებისა და ჯგუფური მუშაობის შეფასების მაგალითებსა და ნიმუშებს. ისინი მეტწილად კმაყოფილი არიან შესაბამის სფეროში ჩატარებული ტრენინგებით, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრის წარდმომადგენლების აზრით, ამ მხრივ ბევრი რამაა გასაუმჯობესებელი. გამოკითხულ მასწავლებელთა 52% თვლის, რომ ნიმუშები დამაკმაყოფილებელია, 37% აზრით, ნიმუშები მეტწილად დამაკმაყოფილებელია, ხოლო 9% ნიმუშები არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. კატეგორიების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღინიშნება.⁴ ეროვნული სასწავლო

4 იმავე შეკითხვის გარშემო, სკოლის დირექტორები აცხადებენ, რომ მათი მასწავლებლების 40 პროცენტს ჩაუტარდა ტრენინგი შეფასების ახალი სისტემის გამოყენებაში. როგორც ჩანს, დირექტორებმა კითხვა გაანალიზეს როდენობრივ ჭრილში და პასუხშიც აქცენტი დატრენინგებული მასწავლებლების რაოდენობაზე და არა ახალ მეთოდებში ჩატარებულ ტრენინგებზე. დირექტორების 38 პროცენტი ფიქრობს,

გეგმისა და შეფასების ცენტრი ცდილობს გაავრცელოს შეფასების ახალი სისტემის რუბრიკა სამინისტროს გაზეთის მეშვეობით. გაზეთს ურიგებენ ყველა სკოლას, თუმცა თითოეულ სკოლაზე მხოლოდ ერთი გაზეთია გათვლილი, შესაბამისად, გაზეთი თითოეულ მასწავლებელს არ გადაეცემა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი გეგმავს მომდევნო წლის ტრენინგებში შეფასების სისტემაზე გაამახვილოს ყურადღება.

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ მასწავლებელთათვის, დირექტორებისა და მშობლებისათვის შეფასების 10-ქულიანი სისტემა მოუხერხებელია. სამუშაო ჯგუფს არ განუხილავს შეფასების სისტემა ფოკუს-ჯგუფებში ან დირექტორთა გამოკითხვებისას. თუმცა, ექვსმა დირექტორმა აღნიშნა, რომ შეფასების 10-ქულიანი სისტემა მშობლების სასკოლო პროცესებში აქტიური ჩაბმის ერთ-ერთ მოტივაციად იქცა. ეს პასუხი, ვფიქრობთ, ტენდენციაა, რადგან დასმული შეკითხვა ღია ტიპის იყო და შეფასების სისტემაზე მინიშნებას არ გულისხმობდა. ეს საკითხი წამოჭრა ერთ-ერთმა სამეურვეო საბჭომ ფოკუს-ჯგუფის განხილვის დროს, როდესაც საუბარი იყო რეფორმებისადმი მშობლების დამოკიდებულებაზე. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლების 44% აზრით, შეფასების 10-ქულიანი სისტემაში ძალიან ფართო მარჯაა. საინტერესოა, რომ იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომელთა აზრით შეფასების 10-ქულიანი სისტემაში ძალიან ფართო მარჯაა, უფრო დიდია საპილოტე სკოლებში (71%), ვიდრე არასაპილოტე სკოლებში (51%). იმის გათვალისწინებით თუ რომელი ტიპის სკოლებში ჩატარდა მეტი ტრენინგი შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, შეგვიძლია ორი რამ დავასკვნათ: ტრენინგის მეშვეობით რაც უფრო უკეთ ეცნობიან მასწავლებლები შეფასების ახალ სისტემას, მით მეტი კითხვა უჩნდებათ და გაცილებით მეტ პრობლემას ხედავენ, ან პირიქით. სკოლების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შეინიშნება.

ცხრილი 3-80. ფიქრობთ, რომ შეფასების ახალ სისტემაში ძალიან ფართოა (მასწავლებლის ფორმა 1 № 19)

| პასუხი | საგარეულო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| დიახ | 46 | 36 | 57 |
| არა | 53 | 42 | 64 |
| არ ვიცი | 1 | 0 | 2 |
| სულ | 100 | | |

რომ ტრენინგი დაეხმარა მასწავლებლებს, 62 პროცენტი ფიქრობს, რომ მხოლოდ ნაწილობრივ დაეხმარა. არც ერთი დირექტორი არ მიუთითებს ასეთი მხარდაჭერის არარსებობაზე.

ცხრილი 3-81 ფიქრობთ, რომ შეფასების ახალ სისტემაში ძალიან ფართო მარჯაა (მასწავლებლის ფორმა 1 ზ. 19)

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ | არა | არ ვიცი | თი - ან ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|--|----------------|----------------|-------------|-----------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა | 57 35 | 42 65 | 1 0 | 36.15 | 0.064 |
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა სკოლა მთიან რეგიონში | 56 27 52 | 42 73 48 | 1 0 3 | 47.22 | 0.021 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა სკოლა „ირმის ნახტომის“ პროგრამის გარეშე | 55 34 | 44 66 | 1 0 | 31.95 | 0.0697 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა სოფლად სკოლა სოფლად „ირმის ნახტომის“ პროგრამის გარეშე | 46 24 | 54 76 | 0 0 | 5.36 | 0.181 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა მთიან რეგიონში სკოლა მთიან რეგიონში „ირმის ნახტომის“ პროგრამის გარეშე | 45 53 | 53 47 | 2 0 | 2.03 | 0.451 |

საველე გასვლების და არაოფიციალური საუბრების დროს, ბევრი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ შეფასების 10-ქულიანი სისტემის ეფექტურად გამოსაყენებლად აუცილებელია შესაბამისი ტრენინგები. მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ ტრენინგების დროს აუცილებელია მაგალითები, რომლებშიც ნათლად ჩანს განსხვავებები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით და აგრეთვე რეკომენდაციები მაღალკონტიგენტიან კლასებში შეფასების სისტემის ეფექტური გამოყენებისთვის.

32.6. საპილოტე და საიმპლემენტაციო მოდელები

ზოგადად, საპილოტე და შემდგომში საიმპლემენტაციო სკოლების არსებობა გულისხმობს, რომ საპილოტე სკოლებში ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს ახალი მეთოდების დანერგვა და, შესაბამისად, მოსალოდნელია ყველაზე თვალსაჩინო შედეგების მიღწევა. საიმპლემენტაციო სკოლებში კი შედარებით ნაკლები უნდა იყოს რეფორმების გავლენა. სწავლების სისტემა განსხვავდება საპილოტე და საიმპლემენტაციო სკოლებში. საპილოტე სკოლის მიზანია გამოცადოს და ცვლილებები შეიტანოს სასწავლო გეგმებში. საპილოტე და საიმპლემენტაციო სკოლებში სწავლების განსხვავებული მეთოდები არაჩვეულებრივ შესაძლებლობას იძლევა ექსპერიმენტული კვლევის ჩასატარებლად. საპილოტე მოდელის სუსტი მხარეა ის რომ, ბუნდოვანია, რამდენად არიან ვალდებულები ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები მიღებული ცოდნა და ინფორმაცია გაუზიარონ სკოლის დანარჩენ მასწავლებლებს. საიმპლემენტაციო მოდელის სუსტი მხარე კი არის რომ, ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები არ არიან მოტივირებული, მათი დასწრება ნებაყოფლობითია და ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია დაესწროს ერთ ტრენინგ-სესიას და არ არის ვალდებული დაესწროს შემდეგ ტრენინგს.

მტკიცებულება იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის სკოლებია უკეთესი ხარისხის, საპილოტე თუ საიმპლემენტაციო, ტრენინგის თვალსაზრისით შერეულია. საპილოტე სკოლების მასწავლებლების უმეტესობა უფრო მეტადაა დარწმუნებული ახალი სასწავლო გეგმით სწავლების სისწორეში და ფიქრობს, რომ ახალი სასწავლო გეგმა საშუალებას აძლევს ეფექტურად ასწავლოს ყველა დონის მოსწავლეს. თუმცა, საპილოტე სკოლების მასწავლებლების დამოკიდებულება ამ შემთხვევაში არ შეესაბამება ახალი მეთოდების შესახებ მათგან მოპოვებულ სხვა მონაცემებს. საპილოტე სკოლების მასწავლებლები სხვა პრობლემებთან ერთად ტრენინგების ნაკლებობასაც ასახელებენ. კვლევამ დაადგინა, რომ ხშირ

შემთხვევაში მასწავლებლების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ არ ემთხვევა მათ მიერ შემოთავაზებულ პრაქტიკულ შეფასებებს, მაგალითად, მოსწავლის შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. საპილოტე სკოლებში იმ მასწავლებლების რაოდენობა, ვინც თვლის, რომ ტრენინგებზე წარმოდგენილი მაგალითები დამაკმაყოფილებელია, აქტიურად იყენებს აქტიური სწავლების მეთოდებს და ვინც ფიქრობს, რომ ახალი სასწავლო გეგმა ინტერაქტიული მეთოდების აქტიური გამოყენების საშუალებას იძლევა, იდენტური პასუხებით არ აღემატება საიმპლემენტაციო სკოლების მასწავლებლების რაოდენობას.

მიუხედავად იმისა, რომ საპილოტე სკოლების ეფექტურობა მხოლოდ ტრენინგების ხარისხით არ არის განპირობებული, შეფასების ჯგუფის აზრით საერთაშორისო გამოცდილებაში ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა არსებობს განსხვავებული სწავლების მეთოდიკა, მაგრამ ვერ ხერხდება უკეთესი მეთოდების გავრცელება და დანერგვა, იშვიათია შემთხვევები, როცა საპილოტე სკოლები ტრენინგების თვალსაზრისით უკეთესი არაა არა-საპილოტე სკოლებზე.

32.7. სწავლების მეთოდების გარდაქმნის მხარდაჭერა

მასწავლებლების ტრენინგები სკოლის ბაზაზე და ტრენინგები სასწავლო გეგმების შესახებ არსებითია. აუცილებელია სათანადო სტრუქტურის შექმნა და დიდი ძალისხმევა, რათა დაინერგოს მუდმივი პროფესიული განვითარების სისტემა. ეს ერთადერთი გზაა მდგრადი რეფორმის განსახორციელებლად. მომდევნო თავებში წარმოდგენილია ასეთი სტრუქტურების ანალიზი.

32.7.1 მოქმედი მასწავლებლების ტრენინგი (პროფესიას დაუფლებულ მასწავლებელთა მომზადება)

მოქმედი მასწავლებლების ტრენინგი დაგეგმა მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრმა და შემდეგ ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრმა, როგორც უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სწავლების მეთოდიკის გარდასაქმნელად. გრძელვადიანი ცვლილებების და მდგრადი რეფორმისთვის აუცილებელია გრძელვადიანი, მოქმედი მასწავლებლების ტრენინგები. სამინისტრო და ცენტრები კვლავ მუშაობენ გრძელვადიანი ტრენინგების დიზაინზე, მას შემდეგ, რაც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებლებს პირველადი ტრენინგით. შეფასების ჯგუფმა გამოავლინა, რომ მოსალოდნელია ტრენინგების სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა, თუმცა ამ იდეის რეალიზაცია ჯერ მხოლოდ სავარაუდოა. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია სთავაზობს მასწავლებლებს ტრენინგებს, რომელთა მიზანია, დაეხმაროს მასწავლებელს სერთიფიცირების პროცესში, თუმცა აღნიშნული ორგანიზაციები არალიცენზირებულია ან არასერთიფიცირებული და უმეტეს შემთხვევაში სტრუქტურულად არ შეესაბამება შიდასამსახურეობრივი ტრენინგების კონცეფციას.⁵

შეფასების ჯგუფმა გაარკვია, რომ ახლადდაარსებული საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები უშუალოდ არ უზრუნველყოფენ მასწავლებლებს პროფესიული განათლების ტრენინგებით, თუმცა მათ გარკვეული ორგანიზაციული ვალდებულებები დაეკისრებათ. ამდენად, შეფასების ჯგუფმა გამოკითხა დირექტორები საგანმანათლებლო რესურსცენტრების აქტიურობის შესახებ, როგორც სკოლის მენეჯმენტის, ასევე მასწავლებლების პროფესიული განვითარების საკითხებში. დირექტორების უმეტესობა (97%) აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები აქტიურად უჭერენ მხარს სკოლის მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. თუმცა, დასმული კითხვა ამ ორი სფეროს ცალ-ცალკე გამოკვლევის საშუალებას არ გვაძლევს. გამოკითხვის თანახმად, დირექტორების 78%-მა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრი დაეხმარა სკოლას ეროვნული

5 შეფასების ჯგუფს არ ჩაუტარებია მსგავსი ორგანიზაციების გამოკითხვა ან ამ საკითხის სიღრმისეული კვლევა

სასწავლო გეგმის დანერგვაში, ხოლო 41%-მა აღნიშნა, რომ ცენტრი დაეხმარა მათ საგანმანათლებლო მასალებით. შეფასების ჯგუფის ძირითადი ინფორმაცია განსხვავებულ სურათს გვაძლევს. ფოკუს-ჯგუფებში, რომლებიც 20 რაიონიდან წარმოდგენილი 20 საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელებისგან შედგებოდა, გამოვლინდა, რომ რესურსცენტრებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა საკმაოდ შეზღუდულია. უფრო მეტიც, საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ ცენტრის თანამშრომლები არ არიან სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი იმისათვის, რომ მასწავლებლებს მიმდინარე რეფორმის პროცესში დახმარება გაუწიონ.

3.2.7.2 მასწავლებელთა ტრენინგი (მასწავლებელთა მომზადება პროფესიის დაუფლების პროცესში)

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მასწავლებლების მობილობა დაბალია (იხილეთ ნაწილი 4), აუცილებელია შეიქმნას ახალი მასწავლებლებისთვის ტრენინგის სისტემა, რათა სწავლების ძირითადი მეთოდები ძველ სტილს აღარ დაუბრუნდეს. სამინისტრო ამჟამად მუშაობს ტრენინგების ბოლონის პროცესთან შესაბამისობაზე. ბოლონის პროცესი ითვალისწინებს, ევროპის სხვა ქვეყნების განათლების სისტემის მსგავსად, განათლების ორციკლიანი სისტემის დანერგვას, ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხის კვალიფიკაციით. შეფასების ჯგუფმა გაარკვია, რომ, ვინაიდან პედაგოგიკაში საუნივერსიტეტო დონეზე ღრმად არის გამჯდარი ინსტიტუციონალიზებული საბჭოთა სტილი, მასწავლებელთა მომზადება პროფესიის დაუფლების პროცესში სუსტია – არ ტარდება მასწავლებლების ტრენინგები ახალი პედაგოგიური თეორიებისა და მეთოდების შესახებ და ვერ ხერხდება ამ მეთოდების მოდელირება ინტერაქტიული სწავლების შესაბამისად. შეფასების ჯგუფისთვის ცნობილია, რომ ტრადიციულ საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში სწრაფი ცვლილებები შეუძლებელია და საწყისი ეტაპი ალბათ სამი-ხუთი წელიწადი გაგრძელდება. კვლევამ დაადგინა, რომ პროფესიის დაუფლების პროცესში მომზადება მჭირდო კავშირშია საუნივერსიტეტო განათლებასთან. ამიტომაც არის აუცილებელი ტრენინგის ტრადიციული სისტემის გარდაქმნა და საუნივერსიტეტო განათლების მონიტორინგი, რათა ამ სფეროში ეფექტური რეფორმა განხორციელდეს.

იგივე სირთულეებია სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებში, სადაც ხდება გარდაქმნა მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის მეთოდების. თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ აუცილებელია უმაღლესი განათლების სისტემის თანდათანობითი გარდაქმნა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ამ პროცესის შედეგებს სწავლების სისტემაში მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ თუ დაინახავთ, მანამდე კი მომავალი მასწავლებლები ისევ და ისევ სწავლების ტრადიციული მეთოდებს გამოიყენებენ. შეფასების ჯგუფმა ვერ მოიპოვა სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად იგეგმება ამ პროცესში ახალი პროფესორ-მასწავლებლების ჩაბმა საუნივერსიტეტო დონეზე, იგეგმება თუ არა მოქმედი პროფესორ-მასწავლებლების გადამზადება ან უცხოელი სპეციალისტების დაქირავება. ნებისმიერი ამ მიმართულების არჩევა და გახორციელება, ცხადია, დიდ დროს მოითხოვს. ალტერნატიული გზა, რომელმაც შესაძლოა უფრო სწრაფი შედეგები მოიტანოს, არის იმ ნიჭიერი კადრების გამოყენება, რომელთაც ამჟამად დოქტორის ხარისხი არ გააჩნიათ. აღნიშნული საკითხი განხილულია რეკომენდაციების ნაწილში.

3.2.7.3 მასწავლებლების ქსელი და კავშირები სკოლის შიგნით და სკოლებს შორის

მასწავლებლებს შორის კავშირები სკოლის შიგნით და სკოლებს შორის შეზღუდულია, თუმცა გასულ წლებთან შედარებით, საბჭოთა სისტემისა და დამოუკიდებლობის პირველი პერიოდისთვის დამახასიათებელმა იზოლაციამ აშკარად იკლო. ეროვნული სასწავლო

გეგმებისა და შეფასების ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და სამინისტროს წარმომადგენლების თანახმად, სკოლებს შორის იზოლაცია დამახასიათებელი იყო საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდისათვის. რეფორმის ფარგლებში განხორციელდა სკოლების ქსელების განვითარების პროექტი და ჩამოყალიბდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შიდასასკოლო მექანიზმები, რასაც ხელი უნდა შეეწყო სკოლებს შორის თანამშრომლობისათვის და შეემცირებინა იზოლაცია. გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ იზოლაცია კვლავ პრობლემაა, ხოლო შიდასასკოლო თანამშრომლობა ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა.

ეროვნული სასწავლო გეგმების პროექტების განხორციელების კოორდინატორმა აღნიშნა, რომ სკოლებში შეინიშნება კოორდინაციის ნაკლებობა, რაც ხელს უშლის პროფესიულ განვითარებაზე მზრუნველ მასწავლებელთა საზოგადოების ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, მასწავლებელთა ტრენინგების რეფორმის ეფექტურობას. შეფასების ჯგუფმა განიხილა აღნიშნული საკითხი. მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხედავენ ახლად შედგენილი საგნობრივი ფაკულტეტების შედეგს. საგნობრივი ფაკულტეტი ერთი და იგივე საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების აქტიურ თანამშრომლობას, ახალი მეთოდების და სასწავლო გეგმების ჯგუფურად განხილვას უწყობს ხელს. ფოკუს ჯგუფების დისკუსიებიდან გამოვლინდა, რომ სკოლებში ჩამოყალიბებულია საგნობრივი ფაკულტეტები, სადაც ყველა მასწავლებელი ჩართულია და აღნიშნული ფაკულტეტები ყოველკვირეულად ხვდებიან ერთმანეთს. თუმცა, ჩატარებული გამოკითხვები საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. გამოკითხვების მიხედვით, მასწავლებლები არ თანამშრომლობენ, ყოველ შემთხვევაში სწავლების საკითხებთან დაკავშირებით ისინი იშვიათად თანამშრომლობენ. გამოკითხული მასწავლებლებიდან, მხოლოდ 75%-მა განცხადა, რომ მათ სკოლებში ჩამოყალიბებულია საგნობრივი ფაკულტეტები. გამოკითხვებმა ასევე გამოავლინა, რომ ერთი და იგივე ფაკულტეტის მასწავლებლების 52% შეხვედრებს აწყობს თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად, ხოლო მასწავლებლების 12% ხვდება ყოველკვირეულად სწავლების მეთოდების განსახილველად. ამასთან ერთად, მასწავლებლების 52% აფიქსირებს, რომ ისინი თვეში მხოლოდ ერთხელ ან უფრო იშვიათად ხვდებიან სტუდენტური პროექტების განხილვის ან სტუდენტური პროექტების მაგალითების გასაზიარებლად. შეფასების ჯგუფს არ შეუსწავლია არსებობს თუ არა განსაკუთრებით აქტიური ფაკულტეტები, სადაც მასწავლებელთა ჩართულობის ნაკლებობაა.

ცხრილი 3-82. მსჯელობით თუ არა თქვენივე საგნობრივი ფაკულტეტის მასწავლებელთან, როგორ ასწავლოთ ესა თუ ის საკითხი კლასში (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35ა)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | 7 | 5 | 9 |
| იშვიათად | 28 | 24 | 31 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 52 | 48 | 57 |
| სულ მცირე კვირაში ერთხელ | 13 | 11 | 15 |
| სულ | 100 | | |

N=681

ცხრილი 3-83. მსჯელობით თუ არა თქვენივე საგნობრივი ფაკულტეტის მასწავლებელთან როგორ ასწავლოთ ესა თუ ის საკითხი კლასში (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35ა)

| რესპონდენტის კატეგორია | არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | იშვიათად | თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | სულ მცირე კვირაში ერთხელ | ხი-კვადრატი თი-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|--|--------------------------|----------|-------------------------------|--------------------------|------------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 10 | 26 | 52 | 11 | 18.57 | 0.073 |
| სოფლის სკოლა | 4 | 29 | 53 | 15 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 3 | 29 | 57 | 11 | 1.18 | 0.616 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 7 | 27 | 52 | 13 | | |
| სოფლის სკოლა | 3 | 29 | 52 | 16 | 12.53 | 0.275 |
| ქალაქის სკოლა | 10 | 26 | 52 | 11 | | |
| სკოლა მთიან რეგიონში | 5 | 25 | 59 | 11 | | |
| სკოლების ქსელის პროგრამაში ჩართული სკოლა | 5 | 19 | 64 | 12 | 3.96 | 0.29 |
| სკოლების ქსელის პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 7 | 28 | 51 | 13 | | |
| საშუალო დონის ან ორივე დონის მასწავლებელი | 8 | 19 | 50 | 11 | 8.90 | 0.124 |
| დაწყებითი კლასის მასწავლებელი | 7 | 30 | 63 | 13 | | |

ცხრილი 3-84. განიხილავთ თუ არა თქვენივე საგნობრივი ფაკულტეტის მასწავლებელთან ერთად მოსწავლეთა პროექტების იდეებს ან მაგალითებს (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35ბ)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | 17 | 14 | 21 |
| იშვიათად | 51 | 47 | 56 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 26 | 22 | 31 |
| სულ მცირე კვირაში ერთხელ | 5 | 3 | 6 |
| სულ | 100 | | |

N=681

ცხრილი 3-84. განიხილავთ თუ არა თქვენივე საგნობრივი ფაკულტეტის მასწავლებელთან ერთად მოსწავლეთა პროექტების იდეებს ან მაგალითებს (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35ბ)

| რესპონდენტის კატეგორია | არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | იშვიათად | თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | სულ მცირე კვირაში ერთხელ | ხი-კვადრეტი თი-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|--|--------------------------|----------|-------------------------------|--------------------------|------------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 16 | 51 | 28 | 4 | 2.61 | 0.575 |
| სოფლის სკოლა | 19 | 51 | 24 | 5 | | |
| მაკლამთიანი რაიონი | 17 | 69 | 13 | 1 | 5.66 | 0.005 |
| არამაკლამთიანი რაიონი | 17 | 50 | 27 | 5 | | |
| სოფლის სკოლა | 16 | 51 | 29 | 4 | 12.76 | 0.254 |
| ქალაქის სკოლა | 21 | 45 | 28 | 6 | | |
| სკოლა მთიან რეგიონში | 12 | 66 | 17 | 5 | | |
| სკოლების ქსელის პროგრამაში ჩართული სკოლა | 17 | 51 | 27 | 5 | 2.02 | 0.509 |
| სკოლების ქსელის პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 20 | 58 | 19 | 4 | | |
| საშუალო დონის ან ორივე დონის მასწავლებელი | 19 | 50 | 27 | 4 | 7.02 | 0.167 |
| დაწყებითი კლასის მასწავლებელი | 11 | 58 | 25 | 7 | | |

რესპოდენტებთან საუბრიდან გამოვლინდა, რომ სკოლების ქსელურმა პროგრამამ წარმატებით დააკავშირა რეგიონში სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები. რეფორმაში მონაწილე სკოლის მასწავლებლები კმაყოფილნი არიან ამ პროგრამით. ისინი იმედოვნებენ, რომ ამავე მიმართულებით გააგრძელებენ მუშაობას საგანმანათლებლო რესურსცენტრების დახმარებით. თუმცა, სკოლებისთვის ამ ინიციატივის განხორციელების გეგმა არ არსებობს. გამოკითხვა ნათლად გვიჩვენებს, რომ მასწავლებლები აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთთან არ თანამშრომლობენ, არც სკოლის შიგნით და არც სხვადასხვა სკოლებს შორის. გამოკითხული მასწავლებლების მხოლოდ 16-23% აღნიშნავს, რომ ისინი იკრიბებიან სხვა სკოლის მასწავლებლებთან ერთად სკოლების ქსელური პროგრამის ფარგლებში ან განათლების რესურსცენტრების მეშვეობით. შეფასების ჯგუფმა სკოლების ქსელურ პროგრამასთან დაკავშირებული 5 შეკითხვის შედეგები გააერთიანა და ერთიანი ინდექსი შეიმუშავა, რომლის საშუალო მაჩვენებელია 5.6 აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ხუთივე შეკითხვაზე მასწავლებლებმა უმეტეს შემთხვევაში შემოხაზეს პასუხი “იშვიათად”. შეფასების ჯგუფს არ აქვს წინა პერიოდის მონაცემები შედარებისთვის, მაგრამ, როგორც გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, მიღებული დაბალი მაჩვენებელიც კი დიდი წინსვლაა წინა პერიოდთან შედარებით. საინტერესოა, თუ რატომ არ განხორციელდა მომდევნო საქმიანობა ამ მიმართულებით.

ცხრილი 3-86. თანამშრომლობა სხვა სკოლის მასწავლებლებთან სკოლების ქსელური პროგრამის მეშვეობით (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35ც)

| პასუხი | საგარეულო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | 29 | 23 | 35 |
| იშვიათად | 55 | 50 | 60 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 14 | 10 | 18 |
| სულ მცირე კვირაში ერთხელ | 2 | 0 | 3 |
| სულ | 100 | | |

N=648

ცხრილი 3-87. თანამშრომლობა სხვა სკოლის მასწავლებლებთან სკოლების ქსელური პროგრამის მეშვეობით (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35ც)

| რესპონდენტის კატეგორია | არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | იშვიათად | თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | სულ მცირე კვირაში ერთხელ | თი -ან ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|--|--------------------------|----------|-------------------------------|--------------------------|----------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 36 | 53 | 9 | 2 | 2.4 | 0.022 |
| სოფლის სკოლა | 22 | 53 | 20 | 2 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 23 | 58 | 19 | 0 | 1.75 | 0.532 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 30 | 55 | 14 | 2 | | |
| ქალაქის სკოლა | 36 | 53 | 9 | 2 | 27.36 | 0.036 |
| სოფლის სკოლა | 24 | 54 | 20 | 2 | | |
| სკოლა მთიან რეგიონში | 18 | 58 | 23 | 0 | | |
| სკოლების ქსელის პროგრამაში ჩართული სკოლა | 35 | 56 | 9 | 0 | 2.50 | 0.652 |
| სკოლების ქსელის პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 29 | 55 | 15 | 2 | | |
| საშუალო დონის ან ორივე დონის მასწავლებელი | 30 | 54 | 14 | 2 | 2.51 | 0.556 |
| დაწყებითი კლასის მასწავლებელი | 24 | 58 | 17 | 1 | | |

ცხრილი 3-88. თანამშრომლობა სხვა სკოლის მასწავლებლებთან საგანმანათლებლო რესურსცენტრების მეშვეობით (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35დ)

| პასუხი | საგარეულო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | 34 | 24 | 45 |
| იშვიათად | 43 | 35 | 51 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 21 | 12 | 30 |
| სულ მცირე კვირაში ერთხელ | 2 | 1 | 3 |
| სულ | 100 | | |

N=658

ცხრილი 3-89. თანამშრომლობა სხვა სკოლის მასწავლებლებთან საგანმანათლებლო რესურსცენტრების მეშვეობით (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35დ)

| რესპონდენტის კატეგორია | არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | იშვიათად | თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | სულ მცირე კვირაში ერთხელ | თი -ან ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|--|--------------------------|----------|-------------------------------|--------------------------|----------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 44 | 41 | 14 | 1 | 38.71 | 0.002 |
| სოფლის სკოლა | 24 | 45 | 28 | 3 | | |
| მაღალმთიანი რაიონი | 19 | 53 | 22 | 6 | 5.94 | 0.163 |
| არამაღალმთიანი რაიონი | 35 | 42 | 21 | 9 | | |
| ქალაქის სკოლა | 44 | 40 | 14 | 1 | 43.08 | 0.045 |
| სოფლის სკოლა | 27 | 46 | 24 | 3 | | |
| სკოლა მთიან რეგიონში | 17 | 45 | 36 | 2 | | |
| სკოლების ქსელის პროგრამაში ჩართული სკოლა | 33 | 45 | 23 | 0 | 1.39 | 0.634 |
| სკოლების ქსელის პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 35 | 43 | 21 | 2 | | |
| საშუალო დონის ან ორივე დონის მასწავლებელი | 36 | 42 | 20 | 2 | 3.27 | 0.373 |
| დაწყებითი კლასის მასწავლებელი | 29 | 46 | 24 | 1 | | |

ცხრილი 3-90. თანამშრომლობა სხვა სკოლის მასწავლებლებთან სხვა გზების მეშვეობით (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35ე)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | 27 | 19 | 34 |
| იშვიათად | 52 | 45 | 59 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 19 | 16 | 23 |
| სულ მცირე კვირაში ერთხელ | 2 | 0 | 4 |
| სულ | 100 | | |

N=656

ცხრილი 3-91. თანამშრომლობა სხვა სკოლის მასწავლებლებთან სხვა გზების მეშვეობით (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 35ე)

| რესპონდენტის კატეგორია | არასოდეს ან ვერ ვპასუხობ | იშვიათად | თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | სულ მცირე კვირაში ერთხელ | თი-ან ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|--|--------------------------|----------------|-------------------------------|--------------------------|---------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა | 32 20 | 49 55 | 17 22 | 2 2 | 12.81 | 0.132 |
| მაღალმთიანი რაიონი არამაღალმთიანი რაიონი | 25 27 | 46 52 | 26 19 | 3 2 | 1.18 | 0.550 |
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა სკოლა მთიან რეგიონში | 32 25 12 | 49 50 62 | 17 23 24 | 3 2 1 | 18.44 | 0.104 |
| სკოლების ქსელის პროგრამაში ჩართული სკოლა სკოლების ქსელის პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 26 27 | 58 51 | 16 20 | 1 3 | 1.46 | 0.493 |
| საშუალო დონის ან ორივე დონის მასწავლებელი დაწყებითი კლასის მასწავლებელი | 28 19 | 51 54 | 18 25 | 2 2 | 6.29 | 0.232 |

ცხრილი 3-92. ქსელურ თანამშრომლობაზე ხუთი შეკითხვის პასუხების ინდექსი (ფორმა 1. შ. 34 დ)

| რესპონდენტის კატეგორია | საშუალო მაჩვენებელი | თი-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|--|---------------------|------------------|----------|
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა | 5.2 6.1 | -2.80 | 0.014 |
| მაღალმთიანი რაიონი არამაღალმთიანი რაიონი | 5.6 5.6 | 0.07 | 0.946 |
| სკოლა მთიან რეგიონში სკოლა სოფლად არამთიან რეგიონში სკოლა | 6.2 6.2 | 0.11 | 0.883 |
| სკოლების ქსელის პროგრამაში ჩართული სკოლა სკოლების ქსელის პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 5.6 5.4 | -0.70 | 0.493 |
| ტრენინგები სკოლის ბაზაზე მასწავლებლებისთვის სკოლა მასწავლებელთა ტრენინგის გარეშე | 5.5 5.7 | -0.64 | 0.531 |
| 51 წლის ან უფრო ასაკიანი 50 წლის ან უფრო ახალგაზრდა | 5.9 5.5 | 1.72 | 0.106 |
| 11 ან მეტი წლის სტაჟი 10 ან ნაკლები წლის სტაჟი | 5.6 5.7 | -0.58 | 0.572 |
| დაწყებითი კლასების მასწავლებელი საშუალოს ან ორივე დონის მასწავლებელი | 5.5 6.1 | 1.97 | 0.068 |

32.8. მასწავლებელთა ტრენინგი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებში

კვლევის ამ ნაწილში განხილულია მასწავლებლების მიერ კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობები, საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მათთვის ორგანიზებული ტრენინგები. კერძოდ, შეფასების ჯგუფმა შეისწავლა “ირმის ნახტომის” ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები და ამ პროგრამაში გასაერთიანებელი სკოლების სტატუს-ქვო. “ირმის ნახტომის” ფარგლებში მასწავლებელთა ტრენინგი განხილულია ანგარიშის შესავალ ნაწილში. “ირმის ნახტომის” ფარგლებში სკოლების მომარაგება კომპიუტერებით და ინტერნეტით უზრუნველყოფა განხილულია 4.3. პუნქტში.

მასწავლებლები დადებითად არიან განწყობილი “ირმის ნახტომის” პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების მიმართ. ასევე კმაყოფილები არიან სკოლებში შექმნილი კომპიუტერული ლაბორატორიებით, რომლებიც ხელს უწყობენ მასწავლებლების მიერ კომპიუტერების გამოყენებას (ეს უკანასკნელი საკითხი განხილულია 3.3. პუნქტში). “ირმის ნახტომის” ტრენინგებში ჩართული მასწავლებლები გაცილებით უფრო მოხერხებულად იყენებენ კომპიუტერებს სკოლაში და სკოლის გარეთ, და უფრო ხშირად, ვიდრე მათი კოლეგები. მიუხედავად ამისა, სტატისტიკურად, მასწავლებლების დიდი უმრავლესობა, “ირმის ნახტომის” ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლების ჩათვლით, იშვიათად ან საერთოდ არ იყენებს კომპიუტერს სკოლაში ან სკოლის გარეთ. მათ არ იციან კომპიუტერზე მუშაობა ისე კარგად, რომ გამოიყენონ სასწავლო მიზნებისთვის და კარგად არ ესმით, როგორ შეიძლება ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოყენება.

სკოლები, სადაც ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, მონაწილეობენ “ირმის ნახტომის” პროგრამაში. გამოკითხული მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლებში კომპიუტერული ლაბორატორიების შექმნის შემდეგ, კომპიუტერების და ინტერნეტის მოხმარებით მოსწავლეები უფრო მეტად დაინტერესდნენ. ფოკუს-ჯგუფების განხილვებში ქალაქის სკოლების რამდენიმე მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ისინი იყენებენ კომპიუტერს ინტერნეტით ინფორმაციის მოსაძებნად. სოფლის სკოლების მასწავლებლები კი, აღნიშნავენ, რომ მათ არ აქვთ შესაძლებლობა ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციით გაამდიდრონ სწავლების პროცესი, რადგან ადგილობრივი ინტერნეტკავშირი არ არსებობს. ვინაიდან, ქალაქის ყველა სკოლა ჩართულია “ირმის ნახტომის” პროგრამაში, ამ პროგრამის გავლენის შედარებითი კვლევა შესაძლებელია მხოლოდ სოფლის სკოლებთან მიმართებით. კომპიუტერული ლაბორატორიები შეიქმნა ქალაქის ყველა სკოლაში, თუმცა ქალაქის სკოლების ყველა მასწავლებელს არ გაუვლია ტრენინგი. ამიტომ არ არის მიზანშეწონილი ქალაქის სკოლების კატეგორიზაცია ტრენინგების გავლენის შეფასებისას.

მასწავლებლები კმაყოფილები არიან “ირმის ნახტომის” ტრენინგებით. მასწავლებლების 82% თვლის, რომ ტრენინგები მათთვის პროდუქტიული იყო და შედეგად მათ მიერ სწავლებისა და, შესაბამისად, სწავლის პროცესი გაუმჯობესდა. ვინაიდან ტრენინგები ამ ეტაპზე მხოლოდ ელემენტარულ ტექნიკურ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას გულისხმობდა, მათში ჩართული მასწავლებლების 22% აცხადებს, რომ მათი ცოდნა მხოლოდ მცირედით გაიზარდა, 60% ფიქრობს, რომ მათი ცოდნა გაუმჯობესდა საშუალოდ, ხოლო 18% ამბობს, რომ მათი ცოდნა გაუმჯობესდა მნიშვნელოვნად. ამ კითხვაზე მასწავლებელთა პასუხებში მხოლოდ მარგინალური განსხვავებები აღინიშნება “ირმის ნახტომის” პროგრამაში ჩართულ სკოლებს შორის.

ცხრილი 3-93. რამდენად გაუმჯობესდა სწავლისა და სწავლების პროცესი “ირმის ნახტომის” პროგრამაში ჩართვის შედეგად. გამოკითხულ იქნა მხოლოდ „ირმის ნახტომის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების მონაწილე მასწავლებლები (ფორმა 2. უ. 23)⁶

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|---------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მცირედით | 27 | 19 | 34 |
| საშუალოდ | 52 | 45 | 59 |
| მნიშვნელოვნად | 19 | 16 | 23 |
| სულ | 100 | | |

N=163

ცხრილი 3-94. რამდენად გაუმჯობესდა სწავლისა და სწავლების პროცესი „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართვის შედეგად. „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლების ყველა მასწავლებელი (ფორმა 2. უ. 23)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|---------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| მცირედით | 28 | 22 | 34 |
| საშუალოდ | 59 | 48 | 67 |
| მნიშვნელოვნად | 12 | 8 | 20 |
| სულ | 100 | | |

N=241

შეფასების ჯგუფმა “ირმის ნახტომის” პროგრამის წარმატებად მიიჩნია ის, რომ მასწავლებლები სკოლებში კომპიუტერებს იყენებენ. წარმატების ინდიკატორი გულისხმობს, რომ მასწავლებელი მეტად კომფორტულად მუშაობს კომპიუტერთან და მისთვის კომპიუტერი ხელმისაწვდომია. მოსალოდნელია მასწავლებელთა ტრენინგებისა და კომპიუტერებით მომარაგების ასხალ ფაზაზე გადასვლა, თუმცა “ირმის ნახტომი” ამ მიმართულებით ერთადერთი ხელიშემწყობი პირობა როდია. გამოკითხვამ გეინვენა, რომ მასწავლებლების 65% არ იყენებს კომპიუტერს სახლში ან სკოლის გარეთ. სოფლის სკოლებში, რომლებიც “ირმის ნახტომის” პროგრამაში არ არიან ჩართულნი, კომპიუტერების გამოყენების ინდექსი გაცილებით დაბალია. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქის სკოლებში უფრო მაღალია იმ მასწავლებლების პროცენტული რაოდენობა (46 %), ვინც იყენებს კომპიუტერს სკოლის გარეთ. სოფლის სკოლებში ასეთი მასწავლებლების რაოდენობა 21 %-ია.

6 შეკითხვა დაიხვა “ირმის ნახტომის” კონტექსტში. დაუზუსტებელია, უპასუხა თუ არა იმ 23-მა მასწავლებელმა, რომელიც ჩართული იყო “ირმის ნახტომის” ტრენინგში, ამ შეკითხვას, რათა მიენიშნებინა ამ პროგრამაში გაუმჯობესების ელემენტების არარსებობაზე.

ცხრილი 3-95. იყენებთ თუ არა კომპიუტერს სახლში ან სკოლის გარეთ (ფორმა 2. შ. 17)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|--------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| დიახ | 65 | 60 | 70 |
| არა | 35 | 28 | 41 |
| სულ | 100 | | |

N=688

ცხრილი 3-96. იყენებთ თუ არა კომპიუტერს სახლში ან სკოლის გარეთ (ფორმა 2. შ. 17)

| რესპონდენტის კატეგორია | დღიას % | თი ან ზი კვადრატის ცვლადი | ალბათობა |
|--|----------------|---------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა | 46 21 | 44.42 | 0.000 |
| სოფლის სკოლა ქალაქის სკოლა სკოლა მთიან რეგიონში | 46 21 46 | 46.13 | 0.008 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა სოფლად სკოლა სოფლად „ირმის ნახტომის“ პროგრამის გარეშე | 25 5 | 31.11 | * |
| „ირმის ნახტომის“ ტრენინგებით „ირმის ნახტომის“ ტრენინგების გარეშე | 45 31 | 11.95 | 0.001 |

*N=23 სოფლად ან მთიან რეგიონში “ირმის ნახტომის” პროგრამაში ჩართული სკოლა, ალბათობის გამოთვლა, რომლის განზოგადებაც შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის მასშტაბით შეუძლებელი აღმოჩნდა.

მასწავლებლების მიერ კომპიუტერების გამოყენების პოტენციური ბარიერია ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების მეთოდების არაკმარისი ცოდნა. მასწავლებლების 47% აღნიშნა, რომ არ იციან, როგორ დაუკავშირონ ტექნოლოგიები თავიანთ საგნებს. გასაკვირია, რომ მასწავლებლების მხოლოდ 36% აფასებს საკუთარ თავს დაბალი მაჩვენებლით კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენებაში, ხოლო შედარებით დიდი რაოდენობა მასწავლებლებისა (49 %) თავს საშუალოდ აფასებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტერმინი “საშუალოს” განმარტებაც ალბათ განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში. საერთო ჯამში, ზოგადად ქალაქის სკოლის მასწავლებლები და ასევე “ირმის ნახტომის” პროექტში მონაწილე მასწავლებლები უფრო თავდაჯერებულად გრძნობენ თავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში, ვიდრე მათი კოლეგები სოფლის სკოლებში. საინტერესოა, რომ კვლევამ არ გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები “ირმის ნახტომის” პროგრამით მონაწილე და პროგრამაში არამონაწილე მასწავლებელთა პასუხებს შორის.

ცხრილი 3-97. როგორ შეაფასებდით კომპიუტერის მოხმარებაში თქვენს გაწაფულობას და უნარ-ჩვევებს? რამდენად შეგიძლიათ ინტერნეტის საშუალებით მოიძიოთ რესურსები, სტუდენტური პროექტების და იდეები? (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 24)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|--------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არც ისე კარგად | 36 | 29 | 44 |
| მეტნაკლებად კარგად | 49 | 42 | 56 |
| ძალიან კარგად | 14 | 9 | 20 |
| სულ | 100 | | |

N=443

ცხრილი 3-98. როგორ შეაფასებდით კომპიუტერის მოხმარებაში თქვენს გაწაფულობას და უნარ-ჩვევებს? რამდენად შეგიძლიათ ინტერნეტის საშუალებით მოიძიოთ რესურსები, სტუდენტური პროექტები და იდეები? (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 24)

| რესპონდენტის კატეგორია | არც ისე კარგად | მეტნაკლებად კარგად | ძალიან კარგად | χ2 ცვლადი | აღბათობა |
|--|----------------|--------------------|---------------|-----------|----------|
| ქალაქის სკოლა | 27 | 56 | 18 | 26.51 | 0.003 |
| სოფლის სკოლა | 50 | 40 | 10 | | |
| ქალაქის სკოლა | 26 | 59 | 18 | 41.10 | 0.003 |
| სოფლის სკოლა | 61 | 31 | 8 | | |
| სკოლა მთიან რეგიონში | 36 | 50 | 14 | | |
| სკოლა 100-ზე ნაკლები მოსწავლით | 41 | 48 | 11 | 4.52 | 0.508 |
| სკოლა 100-750 მოსწავლით | 39 | 47 | 14 | | |
| სკოლა 750 მოსწავლით | 30 | 53 | 17 | | |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა | 30 | 54 | 16 | 15.11 | 0.013 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 48 | 41 | 11 | | |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა | 65 | 41 | 11 | 3.87 | 0.354 |
| სოფლად ან მთიან რეგიონში | | | | | |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 48 | 41 | 11 | | |
| სოფლად ან მთიან რეგიონში | | | | | |
| 50 წლის ან უფრო ახალგაზრდა | 33 | 51 | 16 | 5.91 | 0.226 |
| 50 წლის ან უფრო ასაკიანი | 43 | 46 | 11 | | |
| დაწყებითი კლასების მასწავლებელი | 39 | 48 | 13 | 3.66 | 0.475 |
| საშუალოს ან ორივე დონის მასწავლებელი | 29 | 53 | 18 | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 29 | 55 | 15 | 5.46 | 0.195 |
| „ირმის ნახტომის“ ტრენინგში მონაწილეობა არ მიუღია | 40 | 46 | 14 | | |

ამრიგად, მასწავლებლები ტექნოლოგიებს ჯერ კიდევ ვერ იყენებენ კომფორტულად და არ იციან, როგორ შეიძლება გამოიყენონ კომპიუტერი სწავლების პროცესში. ფოკუს-ჯგუფებში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა დამატებითი ტრენინგები კომპიუტერის ცოდნის გასაუმჯობესებლად. მასწავლებლების 63% აცხადებს, რომ კომპიუტერს მოხერხებულად ვერ იყენებს. ასეთი შედეგი აჩვენა “ირმის ნახტომში” არამონაწილე მასწავლებელთა 67%-მა და “ირმის ნახტომში” მონაწილე მასწავლებელთა 55%-მა. ეს მონაცემები “ირმის ნახტომის” პროგრამის წარმატებაზე მეტყველებს, ისევე როგორც კომპიუტერიზაციისა და ტრენინგების მზარდ საჭიროებებზე. პროგრამის ორგანიზატორებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ

მათ მიერ ორგანიზებული ტრენინგები მხოლოდ ელემენტარული ტექნიკური უნარ-ჩვევების შეძენაში ეხმარება მასწავლებლებს და რომ 24საათიანი კურსიც კი არ იქნება საკმარისი მასწავლებლებისათვის სათანადო ცოდნის მისაღებად, განსაკუთრებით კი იმ სკოლებში, რომლებიც კომპიუტერებით ჯერ არ არიან მომარაგებულნი.

ცხრილი 3-99. არ ვიცი კომპიუტერის გამოყენება ისე კარგად, რომ სასწავლო მიზნებისთვის გამოვიყენო. გამოიკითხა ყველა მასწავლებელი (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 21დ)

| პასუხი | საგარეო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|--------|--------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არა | 37 | 31 | 42 |
| დიახ | 63 | 58 | 69 |
| სულ | 100 | | |

“ირმის ნახტომის” პროგრამის დადებითი გავლენა გაიზრდება მას შემდეგ, რაც პროგრამის მხარდაჭერით ყველა სკოლა აღჭურვილი იქნება კომპიუტერებით. “ირმის ნახტომის” ფარგლებში იგეგმება ტრენინგები, რომლებიც სკოლის ბაზაზე მოამზადებს მასწავლებელთა პატარა ჯგუფს და ასწავლის, როგორ უნდა გამოიყენონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სასწავლო გეგმის ფარგლებში. აღნიშნული ტრენინგები დაეფუძნება უკვე ჩატარებულ პირველად ტრენინგებს და ჩართავს მასწავლებლების შეზღუდულ რაოდენობას, რათა მიადწიოს სამინისტროსა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიზანს – საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო გეგმებში ინტეგრირებას. თუმცა, იმთავითვე მიზნებში გათვალისწინებული არაა მასწავლებელთა საყოველთაო მომზადება ამ სფეროში. რეკომენდებულია, “ირმის ნახტომის” პროგრამის ფარგლებში დაინერგოს დისტანციური სწავლების მეთოდები, რაც ადგილობრივი ტრენინგებისგან განსხვავებით, გაცილებით უფრო მეტი მასწავლებლისთვის იქნება ხელმისაწვდომი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მეთოდის დანერგვამ შესაძლოა კონკურენცია გაუწიოს “ირმის ნახტომის” ფარგლებში უკვე დაგეგმილ მცირემასშტაბიან ტრენინგებს. წინამდებარე კვლევა მიზნად არ ისახავს ამ ორი მეთოდის ხარჯებისა და ეფექტურობის შესწავლას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რესურსების გამიზნულად ხარჯვას (მაგ: “ტექტრენინგები”) მნიშვნელოვან საჭიროებებზე ჩვეულებრივ უფრო დადებითი შედეგი აქვს.

ცხრილი 3-100. არ ვიცი კომპიუტერის გამოყენება ისე კარგად, რომ სასწავლო მიზნებისთვის გამოვიყენო. გამოიკითხა ყველა მასწავლებელი (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 21დ)

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ | t-ცვლადი | აღბათობა | № |
|--|------|----------|----------|-----|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა სოფლად ან მთიან რეგიონში | 71 | 0.06 | * | 167 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სკოლა სოფლად ან მთიან რეგიონში | 74 | | | |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა მთიან რეგიონში | 87 | 11.69 | * | 90 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სკოლა არამთიან რეგიონში | 43 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 55 | 6.91 | 0.103 | 511 |
| „ირმის ნახტომის“ ტრენინგში მონაწილეობა არ მიუღია | 67 | | | |

*აღბათობის გამოთვლა ქვეყნის მასშტაბით განსახოგადებლად შეუძლებელი აღმოჩნდა

ისევე როგორც სხვა საკითხების კვლევისას, შეფასების ჯგუფი ამ შემთხვევაშიც არ ეყრდნობა ერთი კითხვის პასუხებს და მასწავლებლებს უსვამს 6 კითხვას, რათა მათ მიერ კომპიუტერის პროფესიული მიზნებისთვის გამოყენების საკითხი სიღრმისეულად გამოიკვლიოს და ერთიანი ინდექსი გამოიყვანოს. ინდივიდუალურ შეკითხვებზე გაცემული პასუხები წარმოდგენილია ქვემოთ.

ცხრილი 3-101. ვიყენებ კომპიუტერს ან ინტერნეტს ინსტრუქციების თანახმად (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 20ა)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს | 70 | 62 | 77 |
| წელიწადში ერთხელ | 5 | 2 | 7 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 17 | 12 | 22 |
| თვეში ერთზე მეტჯერ | 9 | 6 | 11 |
| სულ | 100 | | |

შენიშვნა N=443

ცხრილი 3-102. გამზადებ მასალებს მოსწავლეებისთვის კომპიუტერის გამოყენებით (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 20ბ)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს | 57 | 49 | 65 |
| წელიწადში ერთხელ | 6 | 3 | 10 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 18 | 15 | 22 |
| თვეში ერთზე მეტჯერ | 18 | 12 | 24 |
| სულ | 100 | | |

შენიშვნა N=616

ცხრილი 3-103. გამზადებ ტექსტს ან დავალებას მოსწავლეებისთვის კომპიუტერის გამოყენებით (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 20ც)

| პასუხი | სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს | 58 | 50 | 67 |
| წელიწადში ერთხელ | 5 | 3 | 5 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 21 | 16 | 25 |
| თვეში ერთზე მეტჯერ | 16 | 12 | 21 |
| სულ | 100 | | |

შენიშვნა N=618

ცხრილი 3-104. ვიყენებ ელექტრონულ ფოსტას პროფესიული მიზნებისთვის (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 20დ)

| პასუხი | საგარეულო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს | 83 | 76 | 87 |
| წელიწადში ერთხელ | 4 | 2 | 6 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 9 | 6 | 11 |
| თვეში ერთზე მეტჯერ | 4 | 3 | 6 |
| სულ | 100 | | |

შენიშვნა N=598

ცხრილი 3-105. ვიყენებ კომპიუტერს ან ინტერნეტს სასწავლო რესურსების მოსაძიებლად (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 20ე)

| პასუხი | საგარეულო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს | 66 | 60 | 72 |
| წელიწადში ერთხელ | 6 | 4 | 8 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 14 | 9 | 18 |
| თვეში ერთზე მეტჯერ | 14 | 12 | 17 |
| სულ | 100 | | |

შენიშვნა N=609

ცხრილი 3-106. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს ისეთ დაეალებას, რომელიც კომპიუტერის ან ინტერნეტის გამოყენებას საჭიროებს (მასწავლებლის ფორმა 2. შ. 20ვ)

| პასუხი | საგარეულო პროცენტული მაჩვენებელი | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|-------------------------------|----------------------------------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| არასოდეს | 74 | 70 | 79 |
| წელიწადში ერთხელ | 4 | 3 | 6 |
| თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად | 14 | 10 | 17 |
| თვეში ერთზე მეტჯერ | 8 | 5 | 10 |
| სულ | 100 | | |

შენიშვნა N=605

იმისათვის, რომ ზუსტად გაგვეჩვენოს რამდენად იყენებენ მასწავლებლები კომპიუტერს ან ინტერნეტს პროფესიული მიზნებისთვის, შეფასების ჯგუფმა გააერთიანა ამ ექვსი შეკითხვის პასუხები ერთ ინდექსად. თითოეული ერთეულისთვის 0 აღნიშნავს პასუხს “არასოდეს”, 1 – წელიწადში ერთხელ 2 – თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად 3 – თვეში ერთზე მეტჯერ. მაჩვენებლების ჯამი გაყოფილია ექვსზე, ანუ შეკითხვების რაოდენობაზე. კომპიუტერის გამოყენების საშუალო

ცხრილი 3-190. არის თუ არა საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი თქვენს სკოლაში (მასწავლებლების ფორმა 2 შ18ა)

| რესპონდენტის კატეგორია | ლიახ | არა | არ ვიცი | თი - ან სი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|---|----------------|----------------|-------------|------------------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა | 57 35 | 42 65 | 1 0 | 36.15 | 0.064 |
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა სკოლა მთიან რეგიონში | 56 27 52 | 42 73 48 | 1 0 3 | 47.22 | 0.021 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 55 34 | 44 66 | 1 0 | 31.95 | 0.0697 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის სკოლა „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის სკოლა | 46 24 | 54 76 | 0 0 | 5.36 | 0.198 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული მაღალმთიანი სკოლა „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე არამაღალმთიანი სკოლა | 45 53 | 53 47 | 2 0 | 2.03 | 0.450 |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი „ირმის ნახტომის“ ტრენინგი არ გაუვლია | 48 46 | 51 54 | 2 0 | 4.15 | 0.213 |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი და მუშაობს „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართულ სკოლაში ყველა დანარჩენი | 55 44 | 55 42 | 2 0 | 13.06 | 0.090 |

ამ სკოლების მაგალითზე, “ირმის ნახტომის” პროგრამის შედეგები თვალნათლივ ჩანს. თუმცა, სკოლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის შტატის გამოყოფა ამ პროგრამის ოფიციალურ ნაწილს არ წარმოადგენს. ჩვენს მიერ შერჩეული სკოლების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ “ირმის ნახტომის” პროგრამაში ჩართულ მაღალმთიან სკოლებში, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერები მეტ დახმარებას უწევენ მასწავლებლებს (“ირმის ნახტომის” პროგრამაში ჩართული მასწავლებლების 35% აცხადებს, რომ მათ არასაკმარისი მხარდაჭერა აქვთ საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის მხრიდან. იმ სკოლებში, რომლებიც არ მონაწილეობდნენ “ირმის ნახტომის” პროგრამაში იგივეს მასწავლებელთა 70% აცხადებს). ასევე, გამოვლინდა, რომ ის მასწავლებლები უფრო მეტ დახმარებას იღებენ საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერისგან, ვინც “ირმის ნახტომის” პროგრამის ფარგლებში კომპიუტერული ტრენინგები გაიარა (საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერისგან არასაკმარისი მხარდაჭერა აქვს იმ მასწავლებლების 41%-ს, ვინც “ირმის ნახტომის” პროგრამის ფარგლებში კომპიუტერული ტრენინგები გაიარა და იმ მასწავლებლების 53%-ს, ვისაც აღნიშნული ტრენინგები არ გაუვლია). იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილები.

მასწავლებლების უმეტესობა აღნიშნავს, რომ სკოლებში კომპიუტერების რაოდენობა საკმარისი არაა, ინტერნეტის დაბალი ან უხარისხო კავშირია, ზოგ შემთხვევაში ინტერნეტ კავშირი და კომპიუტერული პროგრამები საერთოდ არ არსებობს. ყოველივე ეს ხელს უშლის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო მიზნებისთვის. არაადეკვატური პროგრამების და მოძველებული კომპიუტერული ტექნოლოგიების პრობლემას ხაზს უსვამს “ირმის ნახტომში” ჩართული სკოლების მასწავლებლების შედარებით მცირე ნაწილი. ასევე, “ირმის ნახტომში” მონაწილე სკოლების შედარებით ცოტა მასწავლებელს არ აქვს კომპიუტერების ცოდნის ზოგადი უნარები, არ იცის ტექნოლოგიების სასწავლო მიზნით გამოყენება და განიცდის საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის მხარდაჭერის ნაკლებობას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია მასწავლებლების პასუხები კომპიუტერის სასწავლო მიზნებით გამოყენების ხელისშემშლელი პირობებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არის კომპიუტერის სასწავლო მიზნებისთვის გამოყენების ხელისშემშლელი პირობა?

ცხრილი 3-191 კომპიუტერული ლაბორატორიები ნაკლებად ხელმისაწვდომია (მასწავლებლების ფორმა 2. შ21ა)

| რესპონდენტის კატეგორია | დაახ. | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წ. |
|---|-------|------------------------------------|----------|------|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 53 | -1.23 | 0.236 | 267 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 41 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 43 | 2.29 | 0.259 | 517 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 50 | | | |

ცხრილი 3-192 ინტერნეტ კავშირის დაბალი სიხშირე ან ინტერნეტ კავშირის უქონლობა (მასწავლებლების ფორმა 2. შ21ბ)

| რესპონდენტის კატეგორია | დაახ. | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წ. |
|---|-------|------------------------------------|----------|------|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 81 | -1.02 | 0.323 | 278 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 71 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 56 | 4.15 | 0.055 | 522 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 65 | | | |

ცხრილი 3-193 კომპიუტერების შეზღუდული რაოდენობა მოსწავლეებისთვის (მასწავლებლების ფორმა 2. შ21ც)

| რესპონდენტის კატეგორია | დაახ. | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წ. |
|---|-------|------------------------------------|----------|------|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 80 | -1.04 | 0.316 | 249 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 69 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 55 | 14.76 | 0.013 | 490 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 72 | | | |

ცხრილი 3-194. კომპიუტერის არასაკმარისი ცოდნა (მასწავლებლების ფორმა 2 შ21დ)

| რესპონდენტის კატეგორია | ღიახ | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წ |
|---|------|------------------------------------|----------|-----|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 64 | 1.18 | 0.258 | 257 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 78 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 55 | 6.91 | 0.103 | 511 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 67 | | | |

ცხრილი 3-195. საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერს არ შეუძლია ადეკვატური დახმარების გაწევა ახალი სასწავლო გეგმისა და ლექციის მომზადებისას (მასწავლებლების ფორმა 2 შ21ე)

| რესპონდენტის კატეგორია | ღიახ | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წ |
|---|------|------------------------------------|----------|-----|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 52 | 0.94 | 0.360 | 220 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 62 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 40 | 6.04 | 0.010 | 442 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 53 | | | |

ცხრილი 3-196. არ ვიცი, როგორ გამოვიყენო საინფორმაციო ტექნოლოგიები ჩემი საგნის სწავლების მიზნების შესაბამისად (მასწავლებლების ფორმა 2 შ21ფ)

| რესპონდენტის კატეგორია | ღიახ | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წ |
|---|------|------------------------------------|----------|-----|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 47 | 0.01 | 0.960 | 226 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 46 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 35 | 5.73 | 0.068 | 451 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 47 | | | |

ცხრილი 3-197. კომპიუტერები არაადეკვატურია ან მოძველებული (მასწავლებლების ფორმა 2 შ21გ)

| რესპონდენტის კატეგორია | ღიახ | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წ |
|---|------|------------------------------------|----------|-----|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 07 | -6.05 | 0.000 | 198 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 43 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 10 | 16.34 | 0.003 | 416 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 28 | | | |

ცხრილი 3-198. კომპიუტერული პროგრამები არაადეკვატურია ან ცუდად მუშაობს (მასწავლებლების ფორმა 2 შ21ბ)

| რესპონდენტის კატეგორია | ღიახ | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წ |
|---|------|------------------------------------|----------|-----|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 25 | -3.00 | 0.015 | 199 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 51 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 23 | 7.81 | 0.010 | 409 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 37 | | | |

ცხრილი 3-198. კომპიუტერული პროგრამები არაადეკვატურია ან ცუდად მუშაობს (მასწავლებლების ფორმა 2. შ21ბ)

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წი |
|---|------|------------------------------------|----------|------|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 25 | -3.00 | 0.015 | 199 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 51 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 23 | 7.81 | 0.010 | 409 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 37 | | | |

ცხრილი 3-199. სკოლაში არ არის პრინტერი, ან პრინტერი ხშირად არ მუშაობს, პრინტერში არ არის ფურცელი ან მელანი (მასწავლებლების ფორმა 2. შ21ი)

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ | თი - ან ხი- კვადრატის ცვლადი | აღბათობა | ნ.წი |
|---|------|------------------------------------|----------|------|
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 52 | -2.87 | 0.025 | 256 |
| „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სოფლის ან მაღალმთიანი სკოლა | 73 | | | |
| გაიარა „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 45 | 9.65 | 0.005 | 256 |
| არ გაუვლია „ირმის ნახტომის“ ტრენინგი | 60 | | | |

* აღბათობის ცვლადის გამოთვლა ქვეყნის მასშტაბით განსაზოგადებლად შეუძლებელია

შესწავლილი სკოლებიდან მხოლოდ 25%-ს აქვს ინტერნეტკავშირი. ქალაქის სკოლების პროცენტული წილი გაცილებით უფრო მაღალია (55%) სოფლის სკოლებთან შედარებით (8%). ეს სავსებით მოსალოდნელი იყო “ირმის ნახტომის” პროგრამის განხორციელების ციკლის (პირველი წლის განმავლობაში ურბანული სკოლების ათვისება) გათვალისწინებით. საერთო ჯამში, ინტერნეტკავშირი აქვს “ირმის ნახტომის” პროგრამაში ჩართული სკოლების 34%-ს და იმ სკოლების მხოლოდ 13%-ს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პროგრამაში. შედეგები ნათლად გვაჩვენებს, რომ “ირმის ნახტომის” პროგრამის განხორციელების ამ ადრეულ ეტაპზე ინტერნეტკავშირის მქონე სკოლების რიცხვი ჯერ კიდევ ძალიან მცირეა. “ირმის ნახტომის” პროგრამაში ჩართული სკოლების მასწავლებლების 56% აცხადებს, რომ ინტერნეტკავშირის უქონლობა ან მისი დაბალი სიჩქარე კომპიუტერების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორია. ამავე პრობლემის წინაშე დგას იმ სკოლების უმრავლესობა (84%), რომლებიც “ირმის ნახტომის” პროგრამაში ამ ეტაპზე არ არიან ჩართული. სკოლებს შორის, რომელთაც აქვთ ინტერნეტ კავშირი, 55% აქვს ძალიან დაბალი სიჩქარის ინტერნეტი (1 მგ ბიტი/წამში ან უფრო ნელი).

ცხრილი 3-200. მასწავლებლების თანახმად, არის თუ არა სკოლაში ინტერნეტკავშირი? (სასკოლო დათვალიერების ფორმა 2. შ51)

| პასუხი | დიახ | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|--------|------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| დიახ | 25 | 16 | 34 |
| არა | 75 | 66 | 84 |
| სულ | 100 | | |

N=67

ცხრილი 3-201. მასწავლებლების თანახმად, არის თუ არა სკოლაში ინტერნეტ კაშინი? (სასკოლო დათვალიერების ფორმა 2. შ51)

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ % | ხი-კვადრატის ან თი-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|---|----------|----------------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა | 55 8 | 5.95 | 0.000 |
| მაღალმთიანი რაიონი არამაღალმთიანი რაიონი | 0 27 | -5.69 | 0.000 |
| სკოლა 555 ან მეტი მოსწავლელით სკოლა 555-ზე ნაკლები მოსწავლელით | 67 12 | 5.45 | 0.000 |
| სულ მცირე 10 მოსწავლე ერთ მასწავლებელზე 10-ზე ნაკლები მოსწავლე ერთ მასწავლებელზე | 26 0 | 5.86 | 0.000 |
| სოფლის ან მაღალმთიანი რაიონის „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლა | 19 | 0.91 | 0.560 |
| სოფლის ან მაღალმთიანი რაიონის „ირმის ნახტომის“ პროგრამაში არამონაწილე სკოლა | 6 | | |

შესწავლილი სკოლების ნახევარს აქვს კომპიუტერების ტექნიკური მომსახურებისთვის საკმარისი ბიუჯეტი. ბიუჯეტს კომპიუტერების ტექნიკური მომსახურებისთვის გამოყოფს ქალაქის სკოლების 86% და სოფლის სკოლების 31%. სოფლის და მცირეკონტიგენტიანი სკოლების ფინანსური მდგომარეობა დეტალურადაა განხილული კვლევის მე-4 ნაწილში.

ცხრილი 3-202. გამოყოფს თუ არა სკოლა ბიუჯეტს კომპიუტერების ტექნიკური მომსახურებისთვის? (სასკოლო დათვალიერების ფორმა შ52)

| პასუხი | დიახ | 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი | |
|--------|------|---------------------------------|-------------|
| | | ქვედა ზღვარი | ზედა ზღვარი |
| დიახ | 50 | 29 | 71 |
| არა | 50 | 29 | 71 |
| სულ | 100 | | |

N=67

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ % | ხი-კვადრატის ან თი-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|---|----------|----------------------------------|----------|
| ქალაქის სკოლა სოფლის სკოლა | 86 31 | 3.71 | 0.003 |
| მაღალმთიანი რაიონი არამაღალმთიანი რაიონი | 47 51 | -0.13 | 0.901 |
| სკოლა 555 ან მეტი მოსწავლელით სკოლა 555-ზე ნაკლები მოსწავლელით | 85 39 | 3.78 | 0.002 |
| სოფლის ან მაღალმთიანი რაიონის სკოლა, რომელიც ჩართულია „ირმის ნახტომის“ პროგრამაში | 60 | 1.82 | 0.110 |
| სოფლის ან მაღალმთიანი რაიონის სკოლა, რომელიც არ არის ჩართული „ირმის ნახტომის“ პროგრამაში | 28 | | |

3.34. სასწავლო და დამატებითი მასალები, სკოლის ფიზიკური და სოციალური გარემო: დასკვნები

1. გამოკითხვამ გვაჩვენა, რომ სკოლების მხოლოდ ნახევარი სთავაზობს მოსწავლეებს კლასგარეშე აქტივობებს – უმეტესად ქალაქის სკოლები, რომლებიც ხშირად აწესებენ გადასახადს ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ღარიბი ფენების მოსწავლეების ჩართვას.

2. სწავლების/სწავლის პროცესისთვის ხელისშემშლელი პირობებია მაღალკონტიგენტიანი კლასები ქალაქის სკოლებში, არასათანადო ან არასაკმარისი ავეჯი საკლასო ოთახებში (განსაკუთრებით ქალაქის სკოლების პატარა ზომის კლასებში), არადამაკმაყოფილებელი დასწრება, არახელსაყრელი კლიმატური პირობები ან სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობა მაღალმთიან რაიონებში.

3. კერძო რეპეტიტორის საშუალო წლიური ღირებულება მერყეობს 250 ლარიდან 1000 ლარამდე (რეგიონების მიხედვით). თუ გავითვალისწინებთ, რომ უფასო სასკოლო განათლება არაა საკმარისი, ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან განათლების მიღების არათანაბარ პირობებში არიან.

4. წინა კვლევების შედეგებთან შედარებით, დღესდღეობით მასწავლებლები უფრო დადებითად აფასებენ ახალ სახელმძღვანელოებს და უფრო აქტიურად იყენებენ მათ. მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის და ნაწილობრივ საკლასო დაკვირვებების შედეგების თანახმად, კლასების დაახლოებით მეოთხედ ნაწილში, მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს ან არ აქვს სახელმძღვანელოები ან იზიარებენ თანაკლასელების სახელმძღვანელოებს.

5. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა უნდა მოითხოვოს მასწავლებლების გზამკვლევებში გაკვეთილების გეგმების ნიმუშების უფრო მეტი რაოდენობის შეტანა და აქტიური სწავლების მეთოდების უკეთესი ახსნა. სახელმძღვანელოები უნდა დაურიგდეს მასწავლებლებს, თუნდაც სამუშაო ვარიანტის სახით, სასწავლო წლის დაწყებამდე მნიშვნელოვანი პერიოდით ადრე. სამომავლოდ რეკომენდებულია ჩატარდეს კვლევა იმის დასადგენად, თუ რატომ არ აქვს მასწავლებლების 40%-ს სახელმძღვანელოები მაშინ, როცა სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

6. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ზოგიერთი მასწავლებელი ფიქრობს, რომ ახალ სახელმძღვანელოებში შეტანილი ახალი სასწავლო მასალა რთულია მათი მოსწავლეებისთვის. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ფაქტები გამოკითხვებში ნაკლებად დაფიქსირდა.

7. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ახალი სახელმძღვანელოები ხელს უწყობს ახალი სასწავლო გეგმების მიზნების შესაბამისად სწავლებას, თუმცა მასწავლებლების მეოთხედ ნაწილს სურს გაეცნოს მეტ გაკვეთილის გეგმას. ასევე, მასწავლებლების 40% აცხადებს, რომ მათთვის არ არის ხელმისაწვდომი ახალი სახელმძღვანელოები მას შემდეგაც კი, როცა ისინი კლასებში უკვე დარიგებულია.

8. საერთო ჯამში, ჯერ კიდევ აღინიშნება დამატებითი სასწავლო მასალების ნაკლებობა სხვადასხვა საგნის სწავლებისთვის, მიუხედავად იმისა რომ, რეფორმის ადრეულ ეტაპზე მოეწყო დამატებითი სასწავლო მასალების გამოფენა.

9. სკოლების დიდ ნაწილს აქვს ბიბლიოთეკა ან ცალკე გამოყოფილი ოთახი სასწავლო რესურსებისთვის. თუმცა მცირეკონტიგენტის სკოლებში ბიბლიოთეკები პატარაა და მოსწავლეებისათვის არაადეკვატური სამუშაო პირობებია. მასწავლებლების აზრით, ბიბლიოთეკის რესურსები, როგორც წესი, მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა. სასკოლო ბიბლიოთეკების პროგრამაში ჩართული სოფლის სკოლების მასწავლებლები უფრო დადებითად აფასებენ რესურსების ხარისხს. მასწავლებლები ვერ იყენებენ ბიბლიოთეკებს რეგულარულად, რადგან ზოგიერთი სკოლა, ცდილობს რა დაიცვას წიგნები დაზიანებისაგან, როგორც ჩანს, ზღუდავს რესურსების გამოყენებას.

10. კვლევამ დაადგინა, რომ სკოლების ელექტრონული მომარაგება შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა კლასების ადეკვატური განათება პრობლემაა მაღალკონტიგენტის სკოლების ნახევარში.

11. კანალიზაციის და სანიტარული კვანძების ხარისხი კვლავ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლების ნახევარზე მეტს აქვს ფუნქციონირებადი სავარჯიშო დარბაზი, მათგან თითქმის ნახევარი არასაკმარისად აღჭურვილი და გამოყენებულია. სოფლის სკოლების ნახევარზე მეტს არ აქვს სავარჯიშო დარბაზი.

12. “ირმის ნახტომის” პროგრამის განხორციელების შედეგად სკოლებში გაიზარდა მოსწავლეებისა და კომპიუტერების თანაფარდობა, კომპიუტერების ხარისხი, გაჩნდა ინტერნეტკავშირი და გაიზარდა მოსწავლეების მიერ კომპიუტერის გამოყენების სიხშირე გაკვეთილების განმავლობაში და გაკვეთილების შემდეგ.

13. მასწავლებლები, რომლებმაც გაიარეს “ირმის ნახტომის” კომპიუტერული ტრენინგი ელემენტარულ საკითხებში უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს კომპიუტერთან, უფრო ხშირად იყენებენ მათ, უფრო ხშირად იღებენ კონსულტაციებს სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერისგან, თუმცა ამ მასწავლებლების უმეტესობა გამოხატავს დამატებითი ტრენინგების საჭიროებას. “ირმის ნახტომის” პროგრამაში ჩართული სკოლების მასწავლებლების გარდა მასწავლებლების მიერ კომპიუტერული ლაბორატორიების გამოყენების შესაძლებლობები ღიმიტირებულია.

14. საერთო ჯამში, კომპიუტერები და ინტერნეტკავშირი ბევრ სკოლაში შეზღუდულია. ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა ქალაქის სკოლებში სოფლის სკოლებთან შედარებით. კომპიუტერების და ინტერნეტკავშირის არსებობა განსაკუთრებით ღიმიტირებულია სკოლებში, რომლებიც ჩართული არ არიან “ირმის ნახტომის” პროგრამაში.

15. მასწავლებლების უმეტესობამ – მათ შორის “ირმის ნახტომის” პროგრამის ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლებმა – არ იციან, როგორ უნდა გამოიყენონ საინფორმაციო ტექნოლოგიები სასწავლო მიზნებისთვის ან არ იციან კომპიუტერთან მუშაობა. სკოლების თითქმის ნახევარში, მასწავლებლები ვერ იღებენ სათანადო დახმარებას საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერისგან.

16. სკოლების ნახევარზე მეტისთვის პრიორიტეტი პროგრამირების (ინფორმატიკის) შესწავლაა და არ არსებობს სასწავლო კურსი, რომელიც უფრო შესაბამისი იქნებოდა ახალი მეთოდებთან.

17. კომპიუტერების შეზღუდული რაოდენობა, ინტერნეტკავშირის უქონლობა ან დაბალი სიჩქარე კომპიუტერების სასწავლო მიზნებისთვის გამოყენების ძირითადი ხელისშემშლელი პირობებია. სოფლის სკოლების ძალიან მცირე ნაწილს აქვს ბიუჯეტი კომპიუტერების ტექნიკური მომსახურებისთვის.

4.0 შედეგები: მმართველობის ეფექტურობა და ფინანსები

4.1 დეცენტრალიზაცია და მმართველობა

4.1.1 ზოგადი მიდგომა სკოლის ავტონომიისადმი

ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი სარეფორმო ინიციატივათაგან ერთ-ერთი უმთავრესია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ავტონომიის მინიჭება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილება სულ ახლახანს შედარებით მოკლე პერიოდში განხორციელდა, ყველა დაინტერესებული მხარე - დირექტორები, პედაგოგები და საბჭოს წევრები დადებითად აფასებენ სკოლის ავტონომიას. გასაუბრების დროს ყველა დირექტორი ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა. მათი აზრით, დირექტორებმა და პედაგოგებმა ყველაზე კარგად იციან, რა სჭირდება მათ სკოლას. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რეფორმამდელი პერიოდისაგან განსხვავებით, ახლა უკვე სკოლებს შეუძლიათ საკუთარი ხარჯების თავისუფლად განკარგვა. უწინ, სკოლებისათვის ბიუჯეტის გამოყოფა ხდებოდა ადგილობრივი მმართველობების თანხმობით და ნებისმიერ დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით ნებართვის მისაღებად სკოლებს სპეციალურად უნდა მიემართათ ადგილობრივი მმართველობისათვის. ახლა სკოლებს თავად შეუძლიათ პრიორიტეტების მიხედვით გამოყონ სკოლის ბიუჯეტი და ამისათვის მათ ბიუროკრატიული პროცედურების გავლა აღარ უწევთ. ამ მოსაზრებას რაოდენობრივი მაჩვენებელიც ადასტურებს. ყველა გამოკითხული დირექტორი მხარს უჭერს სასკოლო ავტონომიის რეფორმას (30%: მთლიანად მხარს უჭერს; 70% მხარს უჭერს).

საკითხი, რაზეც დირექტორები ყურადღებას ამახვილებდნენ, არის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მათ აღნიშნული რეფორმის შემდეგ ეკისრებათ. თუმცა ამას დირექტორები პრობლემად არ მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ ამოცანას სირთულეების გარეშე გაართმევენ თავს. საერთო ჯამში, პედაგოგებიც მხარს უჭერენ სასკოლო ავტონომიის რეფორმას, თუმცა მათი მხარდაჭერა დირექტორებთან შედარებით ოდნავ უფრო სუსტია (იხ. ცხრილი 4.1).

ცხრილი 4.1 დირექტორებისა და პედაგოგების მიდგომა დეცენტრალიზაციის და სასკოლო ავტონომიის საკითხისადმი

| | მთლიანად უჭერს მხარს | მხარს უჭერს | მხარს არ უჭერს | საერთოდ არ უჭერს მხარს | რაოდენობა |
|-------------|----------------------|-------------|----------------|------------------------|-----------|
| დირექტორები | 30% | 70% | 0% | 0% | 106 |
| პედაგოგები | 70% | 70% | 9% | 0% | 686 |

სამეურვეო საბჭოც დადებითად აფასებს სკოლის ავტონომიას. ფოკუს-ჯგუფებში საბჭოს წევრების მიერ საკითხის განხილვისას, საბჭოს წევრების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ მათი აზრით, ახლა სკოლებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა და მოვალეობები ეკისრებათ სკოლის მართვისა და ფინანსების თვალსაზრისით. თუმცა, სკოლის საბჭოები ბოლომდე მზად არ არიან მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები და ამტკიცებენ, რომ ახლა სკოლები ყველა პრობლემის გადაწყვეტაზე თვითონვე აგებენ პასუხს და სწორედ ეს არის სასკოლო ავტონომიის უარყოფითი მხარე.

4.12 სკოლებისა და დირექტორების შესაძლებლობები დეცენტრალიზებულ გარემოში

სკოლის დირექტორებსა და ადმინისტრაციულ თანამშრომლებს განსაკუთრებული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობა უნდა გააჩნდეთ იმისათვის, რომ თავი გაართვან დეცენტრალიზებული მართვის გარემოში მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს. წინამდებარე პუნქტში აღწერილია, თუ როგორ ესმით სკოლის დირექტორებს ახალი როლი და ფუნქციები, რა სახის სწავლებაა საჭირო დირექტორებისა და ადმინისტრატორებისათვის მათ მიერ ახალი ფუნქციების ეფექტურად და კვალიფიციურად შესრულებისათვის. ასევე განხილულია, თუ რა პოტენციული გააჩნიათ ამჟამად სკოლებს იმისათვის, რომ მიიღონ გადაწყვეტილებები მონაცემების საფუძველზე; გარდა ამისა, წინამდებარე პუნქტში აღნიშნულია, თუ რა დონეზე გამოიყენება ინფორმაცია, რომელიც სკოლის მასშტაბით ცნობილია სხვადასხვა დაინტერესებული მხარისათვის; აღწერილია ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის საკითხი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4.12.1 დირექტორთა მიერ საკუთარი როლის და პასუხისმგებლობების გააზრება

დირექტორები აცხადებენ, რომ მათთვის ცნობილია იმ ახალი როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რომელიც თავად მათ და მათ ადმინისტრაციას ეკისრება დეცენტრალიზებული მართვის პირობებში. ეს შეფასების ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრების დროსაც დადასტურდა. გამოკითხულ დირექტორთა უმეტესობამ (93%) აღნიშნა, რომ ცვლილებებამდე მათ უკვე იცოდნენ ახალი პასუხისმგებლობების შესახებ. თუმცა, გასაუბრების დროს აშკარა გახდა, რომ დირექტორებს მაინც ესაჭიროებათ მათი უფლებამოსილების, ფუნქციებისა და უფლებების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტება და მითითებები, რათა სათანადოდ გაიაზრონ და შეასრულონ ახალი ფუნქცია და პასუხისმგებლობები. დასმულ შეკითხვაზე, თუ რამდენად ინფორმირებულები იყვნენ, დირექტორთა მხოლოდ 45%-მა უპასუხა, რომ სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდა ახალი როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, 50%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ ფლობდა ინფორმაციას, ხოლო 5%-მა აღიარა, რომ არაფერი იცოდა საკუთარი პასუხისმგებლობების შესახებ. ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ დირექტორთა გარკვეული რაოდენობა კვლავაც მიმართავს სამინისტროს ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მათი უფლებამოსილების სფეროში მოქცეული პრობლემების გადასაჭრელად ან საკითხების დასაზუსტებლად, მათი მოვალეობების შესახებ უფრო დეტალური მითითებებისა და ახსნა-განმარტებების მიღება ესაჭიროებათ ადმინისტრაციულ თანამშრომლებსაც. როგორც ეს ცხრილიდანაც ჩანს, სწავლება, რომელიც დირექტორებს აქვთ გავლილი, დაკავშირებულია მათი როლისა და პასუხისმგებლობების უკეთესად გააზრებასთან, მაგრამ ზოგადად თუ შევაჯამებთ, სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

ცხრილი 4.2 საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობის გააზრება იმ დირექტორთა მიერ, რომელთაც გაველილი აქვთ/არ აქვთ სწავლება

| რესპონდენტის კატეგორია | სრულად | ნაწილობრივ | არანაირად | არ იცის | ნი-კვადრატის ცვლადი | ალბათობა |
|---------------------------|--------|------------|-----------|---------|---------------------|----------|
| სწავლება გაველილი აქვს | 58 | 38 | 0 | 2 | 7.1178 | 0.1695 |
| სწავლება გაველილი არ აქვს | 37 | 61 | 0 | 1 | | |

რაოდენობა = 99

4.122. სწავლების კურსი დირექტორებისათვის

ყველა დირექტორი აღიარებს, რომ მას და მის ადმინისტრაციულ თანამშრომლებს ესაჭიროებათ სასწავლო კურსების გაველა, როგორც მათი სამუშაოს მასშტაბების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ასევე მათი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად. გასაუბრების დროს დირექტორთა უმეტესობა აცხადებდა, რომ პედაგოგების დიდი ნაწილი სწავლების კურსებს გადის პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ დირექტორებისა და ადმინისტრატორების საჭიროებებს სასწავლო კურსებში ყურადღება არ ექცევა.

დირექტორებსა და მათ ადმინისტრაციულ თანამშრომლებს, დირექტორებისვე მითითებით, სწავლების კურსები ესაჭიროებათ შემდეგ საკითხებში: მართვა და ფინანსური ანგარიშგაღებულება, შესყიდვების პროცედურა და ფსიქოლოგია. გამოკითხულ დირექტორთა 46%-მა აღნიშნა, რომ წარსულში გაველილი აქვთ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო დაწესებულებების მიერ ორგანიზებული კურსები სკოლის მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

4.123 სკოლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა

უმეტეს შემთხვევაში, დირექტორები და ადმინისტრაცია აცხადებენ, რომ ისინი გადაწყვეტილებებს იღებენ მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის საფუძველზე. შესწავლილ სკოლებში, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ ისინი გადაწყვეტილების მიღებისას მოპოვებულ მონაცემებს ითვალისწინებენ: სკოლების 98% აგროვებს მონაცემებს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შესახებ; სკოლების 75% აწარმოებს ოქმებს მოსწავლეების დისციპლინარული პრობლემების შესახებ; სკოლების 66% აწარმოებს ოქმებს მოსწავლეების კლასგარეშე აქტივობის შესახებ; და სკოლების 63% აგროვებს ინფორმაციას პედაგოგთა კვალიფიკაციის შესახებ. ზოგიერთმა სკოლამ განაცხადა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაციასა და უნარ-ჩვევებს საკუთარი კრიტერიუმებით აფასებს, შეფასებას კი იყენებს საუკეთესო მოსწავლეებისა და მოსწავლეებისათვის წამახალისებელი პრემიისა და სტიპენდიების გადანაწილებისას.

თითქმის ყველა სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ქმნის სასკოლო გეგმას: სკოლების დირექტორების 98% ადგენს სკოლის სტრატეგიულ გეგმას ან ამოცანებს, სკოლების დირექტორების 95% კი ადგენს საკუთარ წლიურ სამოქმედო გეგმას. შეფასების ჯგუფმა ვერ შეძლო მონაცემების შეგროვების პროცესში განესაზღვრა აღნიშნული გეგმების მნიშვნელობა მათ მიერ სკოლის საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

სკოლების 81%-ს ჰყავს პერსონალი, რომელსაც სკოლის ფიზიკური რესურსების კონტროლი ევალება. მეორეს მხრივ, სკოლების მხოლოდ 14%-ს ჰყავს პერსონალი, რომელიც შრომითი რესურსების მართვას განაგებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ უმეტეს შემთხვევაში

დირექტორები არიან პასუხისმგებელი შრომითი რესურსების მართვაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი აღნიშნული სფერო სპონტანურად იმართება.

ამავე დროს ზოგიერთმა დირექტორმა შეფასების ჯგუფთან გასაუბრების დროს გამოთქვა აზრი, რომ საერთო ჯამში სკოლის დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოების შესაძლებლობები დაგეგმვის თვალსაზრისით არასაკმარისი იქნება სკოლების მომავალი აკრედიტაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ვინაიდან გეგმის მიხედვით სკოლების აკრედიტაცია 2009 წელს დაიწყება და დასრულდება 2011 წელს, დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოების მომზადება აკრედიტაციისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს.

შეფასების ჯგუფმა სკოლის მართვის ერთ-ერთი სამაგალითო პრაქტიკა №51 სკოლაში აღმოაჩინა. აქ დაწესებულია მოსწავლეებისა და პედაგოგების საქმიანობასთან, სკოლაში სასწავლო გარემოსთან, ფიზიკურ სასკოლო აღჭურვილობასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან, ასევე მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების ეფექტური და კვალიფიციური პროცედურა. მონაცემების შეგროვება და განახლება რეგულარულად და სისტემატურად ხდება. შეფასების ჯგუფმა შეიტყო, რომ აქ არსებობს სკოლის დირექტორთა ქსელი, რომლის საშუალებითაც დირექტორები ერთმანეთს უზიარებენ ინოვაციურ იდეებსა და სათანადო პრაქტიკას, როგორც არის, მაგალითად, მონაცემების შეგროვების ფორმატი, მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და ა.შ. ეს პრაქტიკა შეიძლება სასარგებლო იყოს სხვა სკოლებისათვისაც არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც.

ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასების შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლები სრულ მზადყოფნაში არიან დეცენტრალიზებული გარემოს მისაღებად და გააჩნიათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების ჯგუფი ასეთ დადებით შედეგს არ მოელოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდგომი კვლევა უფრო დეტალური ინფორმაციის მიღების საშუალებას მოგვცემს, რაც, სასარგებლო მასალა იქნება სკოლის ადმინისტრატორებისა და სამეურვეო საბჭოებისათვის სასწავლო კურსის დასაგეგმად.

4.12.4 სკოლების შესაძლებლობები დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების საკითხებში

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის სკოლის მართვისა და მოსწავლეთა აქტივობის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მასშტაბები გაიზარდა დეცენტრალიზაციის რეფორმების განხორციელების შემდეგ. პედაგოგებს და მშობლებსაც ახლა უკვე მეტი შესაძლებლობა აქვთ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში.

სკოლების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მოსწავლეების აქტივობისა და სკოლის მართვის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, ესენი არიან: პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები. სკოლების უმეტესობა (95%) აღნიშნავს, რომ მშობლებისათვის მოსწავლეების აქტივობისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის გააჩნია გარკვეული სახის სტრუქტურირებული რეგულარული პროცედურა. რაც შეეხება სკოლის მართვის შესახებ მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ამისათვის ყველაზე ხშირად გამოიყენება მშობლებისა და სამეურვეო საბჭოს კრების მეთოდი. ზოგიერთი სკოლა, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობა, იყენებს კომუნიკაციის წერილობით ფორმებს, როგორცაა სკოლის გაზეთი, ფორმალური წერილები, სკოლის განცხადებების დაფა.

ცხრილი №4.3 გვიჩვენებს, რომ სკოლის დირექტორთა უმეტესობა პედაგოგებთან მოლაპარაკების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო გარემოს, ბიუჯეტისა და სკოლის მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

ცხრილი 4.3: პედაგოგების პასუხები იმის შესახებ, განიხილავს თუ არა დირექტორი პედაგოგებთან ქვემოთ მოცემული საკითხებს გადაწყვეტილებების მიღების წინ

| | დიახ | არა | რაოდენობა |
|---|------|-----|-----------|
| სკოლისათვის დამატებითი სახსრების მისაღებად ღონისძიებების დაგეგმვა | 78 | 22 | 659 |
| ფინანსური რესურსების გამოყენების გზა | 79 | 20 | 637 |
| კლასების და საგნების განაწილება მასწავლებლებს შორის | 93 | 7 | 682 |
| სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შერჩევა | 88 | 12 | 668 |
| მასწავლებლების პროფესიული განვითარება (სასწავლო კურსების გაგება) | 94 | 6 | 689 |
| თანამშრომლობა ადგილობრივ საზოგადოებასთან | 84 | 11 | 656 |

მონაცემებიდან ჩანს, რომ უფრო დაბალია იმ მასწავლებლების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საშუალება აქვთ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები სკოლის ადმინისტრაციასთან (60% სრულად ეთანხმება, 34% ნაწილობრივ ეთანხმება, ხოლო 7% არ ეთანხმება). და მაინც, მასწავლებლების 39% მიიჩნევს, რომ დეცენტრალიზაციის შემდეგ უფრო მეტი თავისუფლება აქვთ სკოლის მართვასთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმისას. მასწავლებლების აზრით, გადაწყვეტილებების მიღებაში მათი როლი შემოიფარგლება სწავლებასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხებით. ფოკუს-ჯგუფში მასწავლებლების მიერ გაკეთებული შენიშვნების თანახმად ბიუჯეტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები საერთოდ ერთპიროვნულად სკოლის დირექტორების და სამეურვეო საბჭოების მიერ მიიღება. მაგრამ, როგორც მასწავლებლები აცხადებენ, სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი დღესდღეობით უფრო გამჭვირვალე გახდა. მოთხოვნისამებრ, მასწავლებლებსა და მშობლებს შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ ბიუჯეტთან დაკავშირებული გეგმებისა და ყოველი საბიუჯეტო ერთეულის ანგარიშის შესახებ.

მასწავლებლების უმეტესობა აცხადებს, რომ თავისი სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების საქმის კურსშია. გამოკითხულ მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას საკუთარი სკოლის სტრატეგიული ამოცანების და სამოქმედო გეგმების არსებობის შესახებ (16% და 14% შესაბამისად). აგრეთვე, გამოკითხულ მასწავლებელთა მხოლოდ 14%-მა არ იცის, თუ როგორ ნაწილდება უფლებები და პასუხისმგებლობები დირექტორს, ადმინისტრაციულ თანამშრომლებსა და სამეურვეო საბჭოს შორის.

სამეურვეო საბჭოთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ამჟამად ადმინისტრაციულ და სკოლასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მხოლოდ სკოლის დირექტორებისა და ადმინისტრატორებისაგან იღებს. ასე, რომ შესაძლებელია, დირექტორებმა განზრახ ან უნებურად არასწორი ინფორმაცია მიაწოდონ სამეურვეო საბჭოს წევრებს. სამეურვეო საბჭოს გამოკითხულ წევრთაგან მხოლოდ 23%-მა აღნიშნა, რომ მათი დირექტორები სკოლას დემოკრატიულად არ მართავენ.

4.13 დირექტორის არჩევნების სისტემა

დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობის აზრით, ახალი დირექტორის არჩევა უკეთესია, ვიდრე დირექტორების დანიშვნა (ადრინდელი პრაქტიკა). არჩევნები კვალიფიცირებულ კანდიდატებს საშუალებას აძლევს განაცხადი შეიტანონ დირექტორის ვაკანსიაზე. სკოლის დირექტორები უმეტესად დადებითად აფასებენ დირექტორის არჩევნებს. მათი აზრით, ეს უფრო პროფესიონალური (89%) და გამჭვირვალე (88%) მეთოდია. მაგრამ მათ არჩევნების უარყოფით შედეგებზეც გაამახვილეს ყურადღება. ზოგიერთი დირექტორი წუხს იმაზე, რომ ახალი სქემის გათვალისწინებით დაკარგავს კავშირს ადგილობრივ საზოგადოებასთან.

მათ ასევე აწუხებთ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი გამოცდილი დირექტორი, რომელსაც კომუნიკაციის ბრწყინვალე უნარი და სხვა გამორჩეული თვისებები აქვს, ვერ შეძლებს გამოცდებზე მაღალი ქულების მიღებას და დირექტორის თანამდებობას დაკარგავს. ასევე ზოგიერთ დირექტორს არჩევნების უარყოფით მხარედ მიაჩნია ის ფაქტი, რომ დირექტორს სამეურვეო საბჭოს წევრები ირჩევენ - არჩევნების პროცესში შეიძლება პირადი კავშირები იყოს გადამწყვეტი. სრულიად შესაძლებელია, რომ სამეურვეო საბჭოს წევრებმა განზრახ უარყონ პოტენციურად წარმატებული კანდიდატი; მათ მიაჩნიათ, რომ უკეთესი იქნება, თუ სამინისტრო ჩაატარებს დირექტორობის კანდიდატების გამოცდას და გასაუბრებას, შემდეგ კი კვალიფიციურებულ დირექტორებს პირდაპირ დანიშნავს სკოლებში სამეურვეო საბჭოს მიერ ხმის მიცემის გარეშე. არჩევნებისადმი დირექტორები უფრო დადებითად არიან განწყობილები, ვიდრე მასწავლებლები. მასწავლებელთა მხოლოდ 47%-ს აქვს დადებითი დამოკიდებულება არჩევნებისადმი. მაგრამ მასწავლებლები, რომლებიც კარგად იცნობენ დირექტორთა არჩევნების პროცედურას, მხარს უჭერენ ახალ სქემას (89%). აღნიშნული პასუხები მიღებულ იქნა 2007 წელს დირექტორთა დანიშვნამდე.

4.14 სამეურვეო საბჭოების ეფექტურობა და აქტიურობა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამეურვეო საბჭოები დაწესებულ იქნა წარმომადგენლობითი ორგანოების სახით, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის დონეზე გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობასა და სკოლის მართვაში საერთო მონაწილეობაზე, ასევე სკოლაში სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე. წინამდებარე პუნქტში აღწერილია ამ მიზნების მისაღწევად დღემდე არსებული წინსვლა; ასევე მითითებულია, თუ რამდენად ემორჩილება სამეურვეო საბჭო დემოკრატიულ პრინციპებს საკუთარი საქმიანობით; გარდა ამისა, წარმოდგენილია შეფასება, თუ რამდენად ეფექტურად იყენებენ სამეურვეო საბჭოები საკუთარ რესურსებსა და შესაძლებლობებს. მოცემულ პუნქტში ასევე დადგენილია სამეურვეო საბჭოს საქმიანობის შესაძლო გაუმჯობესების სფეროები, ძირითადი სასწავლო კურსების საჭიროება და სამეურვეო საბჭოების წინაშე მდგარი მთავარი პრობლემები.

4.14.1 დემოკრატიული პრინციპების დაცვა

უმეტეს შემთხვევაში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სამეურვეო საბჭოს არჩევნები სათანადოდ ჩატარდა მნიშვნელოვანი პრობლემების გარეშე. მაგრამ ზოგიერთ სკოლაში მხოლოდ მშობლების მცირე პროცენტმა მიიღო მონაწილეობა სამეურვეო საბჭოს არჩევნებში. იმ მშობლების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სამეურვეო საბჭოს არჩევნებში, უფრო მაღალია სოფლებსა და მთიან რაიონებში, ვიდრე ქალაქში (64 და 65% სოფლებსა და მაღალმთიან რაიონებში და 50% ქალაქში).

ზოგიერთ შემთხვევაში გამოკვლევამ აჩვენა, რომ დირექტორმა გავლენა მოახდინა სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევნებზე.

ცხრილი 4.4: სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილე მშობელთა პროპორცია

| რესპონდენტის კატეგორია | მშობლების საშუალო % | სანდოობის ინტეგრალის 95% | | თი ან სი-კვადრატი | ალბათობა |
|------------------------|---------------------|--------------------------|----|-------------------|----------|
| ქალაქი | 50 | 36 | 64 | 1.47 | 0.164 |
| სოფელი | 64 | 50 | 79 | | |
| მთიანი რაიონი | 65 | 49 | 82 | | |

რაოდენობა = 95

უმეტეს შემთხვევაში ხმების მიცემა მოხდა კანონის დაცვით. სამეურვეო საბჭოს წევრი ზოგიერთი პედაგოგი აცხადებს, რომ არის შემთხვევები, როდესაც სამეურვეო საბჭო კენჭისყრით არ იღებს გადაწყვეტილებას. სამეურვეო საბჭოს წევრები, რომლებიც ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებში მონაწილეობდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ზოგჯერ, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, სამეურვეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს წევრებს შორის ერთხლოვანი შეთანხმებით.

გამოკითხულ საბჭოს წევრ მასწავლებელთაგან მხოლოდ 23% მიიჩნევს, რომ მათი ღირებულებები სკოლას დემოკრატიული პრინციპით არ მართავენ.

4.14.2 ეფექტიანობა

უმეტეს შემთხვევაში, სამეურვეო საბჭო მოწადინებულია, რომ გააუმჯობესოს სკოლის მართვა და სასწავლო გარემო. სკოლების 88%-ში სამეურვეო საბჭოს სხდომების სიხშირე შესაბამისი მოთხოვნის მინიმუმს აკმაყოფილებს ან აღემატება (მთლიანად საშუალოდ წელიწადში 4.78 -ჯერ). დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქალაქის სკოლებში სამეურვეო საბჭოს სხდომები უფრო იშვიათად ტარდება. სოფლებსა და მთიანი რაიონების სკოლებში საბჭოს სხდომა საშუალოდ წელიწადში 5 ან 6-ჯერ ტარდება, ქალაქის სკოლებში კი ეს მაჩვენებელი 3.7 უტოლდება. ღირებულებების აზრით, სამეურვეო საბჭოს სხდომათა სიხშირე საკმარისია. თუმცა, მეორეს მხრივ, მიაჩნიათ, რომ უკეთესი იქნება, თუ საბჭოს სხდომა უფრო ხშირად ჩატარდება. გარდა ამისა, მასწავლებლები, რომლებიც სამეურვეო საბჭოს წევრები არიან, უფრო მეტად უჭერენ მხარს სამეურვეო საბჭოს სხდომების რაოდენობის ზრდას, ვიდრე ღირებულებები, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები. სხვა ქვეყნებში ძალიან ბევრ სამეურვეო საბჭოს დაწესებული აქვს სხდომები, სადაც საგანმანათლებლო საკითხები განიხილება. ასეთი სხდომები ხშირად საქმიან შეხვედრებს შორის ტარდება.

ცხრილი 4.5 საბჭოს სხდომების სიხშირესთან დაკავშირებით ღირებულებებისა და მასწავლებლების მოსაზრებების შედარება

| | საკმარისია | არასაკმარისია | არ ვიცი | რაოდენობა |
|---------------|------------|---------------|---------|-----------|
| ღირებულებები | 78 | 22 | 0 | 103 |
| მასწავლებლები | 57 | 30 | 13 | 233 |

საბჭოს წევრები, განსაკუთრებით კი სოფლებში, როგორც ერთი დამატევი საზოგადოების წევრები, ხშირად არაფორმალურ შეხვედრებს იყენებენ სკოლის საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად.

სამეურვეო საბჭოების საქმიანობა სხვადასხვა სკოლებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან; საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, სამეურვეო საბჭოს წევრებს შორის მასწავლებლები უფრო აქტიურები არიან, ვიდრე მშობლები.

ზოგიერთ სკოლას სამეურვეო საბჭოს წევრების უმოქმედობის პრობლემა აქვს, რაც გამოწვეულია იმით, რომ საბჭოს წევრები დაკავებულები არიან და თანაც ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებენ აღნიშნული საკითხისადმი. როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია ნაჩვენები, შესაძლოა, სოფლის სკოლებში სამეურვეო საბჭოები უფრო ნაკლებად აქტიურები არიან, ვიდრე ქალაქისა და მთიანი რეგიონის სკოლებში.

ცხრილი 4.6 არიან თუ არა სამეურვეო საბჭოში წევრები, რომლებიც საკმარის აქტიურობას არ იჩენენ?

| რესპონდენტის კატეგორია | დას (%) | ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|---------|---------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 39 | 12.3750 | 0.0305 |
| სოფლის სკოლა | 55 | | |
| მთიანი რეგიონის სკოლა | 14 | | |

რაოდენობა = 103

ცხრილი 4.7 გასულ წელს სკოლებში სამეურვეო საბჭოს კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა

| რესპონდენტის კატეგორია | საშუალოდ | 95 სანდოობის ინტერვალი | |
|------------------------|----------|------------------------|-----|
| ქალაქის სკოლა | 5.7 | 3.8 | 7.5 |
| სოფლის სკოლა | 4.9 | 3.8 | 5.9 |
| მთიანი რეგიონის სკოლა | 5.8 | 3.1 | 8.6 |

რაოდენობა = 89

ზოგიერთ სამეურვეო საბჭოში (57%) დაწესებულია ქვე-კომიტეტები. მათი გავრცელება სხვადასხვა სკოლაში ასევე არათანაბარია:

ცხრილი 4.8: სკოლებში სამეურვეო საბჭოების მიერ დაწესებული კომიტეტების არსებობა

| რესპონდენტის კატეგორია | დას (%) | ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|---------|---------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 71 | 3.9687 | 0.4783 |
| სოფლის სკოლა | 48 | | |
| მთიანი რეგიონის სკოლა | 54 | | |

რაოდენობა = 103

მიუხედავად სამეურვეო საბჭოებში ქვეკომიტეტების და საბჭოების არსებობისა, გამოკვლევამ აჩვენა, რომ მოვალეობები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არ არის განაწილებული ქვეკომიტეტებსა და სამეურვეო საბჭოებს შორის და რომ სამეურვეო საბჭოები თავად ხშირად ყველა საკითხს წყვეტენ როგორც ერთ მთლიანს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ამა თუ იმ კონკრეტული საკითხისათვის, მაგ., მოსწავლეთა დისციპლინარულ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალური ქვეკომიტეტი გააჩნიათ.

სამეურვეო საბჭოები, როგორც წესი, უფრო მეტად არიან ჩართულები ბიუჯეტის დაგეგმვაში და ანგარიშგების საკითხებში, ვიდრე სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ, არაერთი საბჭო ასევე ცდილობს განახორციელოს საკუთარი ინიციატივა, რომელიც სკოლის მართვის ფარგლებს სცილდება, მაგ., ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის: სკოლის გათბობის სისტემა, სპორტული მოედნები, აღჭურვილობის შესყიდვა, წამახალისებელი ჯილდო მასწავლებლებისათვის, მოსწავლეთა დასწრების საკითხი და ა.შ. შესწავლილი სკოლების 42%-ში დირექტორებმა აღნიშნეს, რომ სამეურვეო საბჭოები ხშირად ახორციელებენ სკოლაში სასწავლო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, ხოლო სკოლების 44%-ში დირექტორების განცხადებით სამეურვეო საბჭო ხანდახან გამოდის ასეთი ინიციატივით. ისევ და ისევ, ქალაქისა და მთიანი რეგიონების სკოლები ამ თვალსაზრისით აქტიურობით გამოირჩევიან, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები. შეფასების გუნდმა ვერ შეძლო განესაზღვრა სოფლის სკოლებში აქტიურობის ამკარად დაბალი დონის მიზეზი.

ცხრილი 4.9. სხვადასხვა ტიპის სკოლებში საკუთარი ინიციატივით მოქმედების სიხშირის შედარება

| რესპონდენტის კატეგორია | ხშირად | ზოგჯერ | იშვიათად | არასოდეს | თ-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|--------|--------|----------|----------|-----------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 50 | 25 | 23 | 2 | 1.57 | 0.139 |
| სოფლის სკოლა | 26 | 58 | 16 | 0 | | |
| მთიანი რეგიონის სკოლა | 58 | 41 | 1 | 0 | 3.52 | 0.004 |

შეფასების ჯგუფი კვლევის დროს ეწვია გორის №6 საშუალო სკოლას, სადაც სამეურვეო საბჭოს მნიშვნელოვანი როლი აქვს; მასწავლებლები და მშობლები თანაბრად არიან ჩართულები სამეურვეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და საქმიანობაში. ისინი ხშირად იჩენენ ინიციატივას სკოლაში სასწავლო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სამეურვეო საბჭომ თავისი ინიციატივით უზრუნველყო სკოლა სპეციალური აღჭურვილობით ინვალიდი ბავშვებისათვის. სამეურვეო საბჭო ასევე აქტიურობს ფონდისათვის ფულადი სახსრების შეგროვების საკითხში. საბჭოს წევრი მშობლები სხვა მშობლებს რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას სკოლასთან დაკავშირებით და შესაბამისად, საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში. სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს წევრებს შორის ინტენსიური თანამშრომლობა მათ საკუთარი ფუნქციების უკეთესად შესრულებაშიც ეხმარება.

4.14.3 სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებანი

სამეურვეო საბჭოები ჯერჯერობით სრულად არ იყენებენ საკუთარ შესაძლებლობებს, რამდენადაც ისინი ახლად დაარსებულ ორგანოებს წარმოადგენენ. დირექტორები სამეურვეო საბჭოს უპირველესად განიხილავენ როგორც ორგანოებს, რომელთანაც პასუხისმგებლობები უნდა გაიზიარონ და ითანამშრომლონ, და მას არ განიხილავენ როგორც ოპოზიციურ ძალას. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს დაბნეულობას სკოლის ადმინისტრაციასა და სამეურვეო საბჭოს შორის როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებასთან დაკავშირებით, რაც ხშირად სკოლის მართვის საკითხებთან დაკავშირებით უკიდურეს დაძაბულობისა და კონფლიქტების წარმოშობას განაპირობებს. გამოკვლეულ სკოლათა სამეურვეო საბჭოს წევრების 77% აღნიშნავს, რომ სრულ ინფორმაციას ფლობს სამეურვეო საბჭოში საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ, 15% აცხადებს რომ კარგად არ იცნობს საკუთარ პასუხისმგებლობებს, ხოლო 6%-მა არაფერი იცის ამის შესახებ.

სამეურვეო საბჭოების დაახლოებით 60%-ს ტრენინგი აქვს გავლილი, მაგრამ ეს საბჭოს მხოლოდ რამდენიმე წევრზე თუ აისახება. ასევე, საკითხების ფართო სპექტრის ირგვლივ ტრენინგს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ორგანიზაცია ატარებდა.

რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სამეურვეო საბჭოს წევრები დამატებით ტრენინგებს საჭიროებენ. გამოკითხულ საბჭოს წევრ მასწავლებელთა 43% მიიჩნევს, რომ ტრენინგები მათთვის საკმარისი არ იყო, 38% თვლის, რომ სწავლება საკმარისი იყო, ხოლო 19%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი მათთვის არის სწავლება მათი როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ. სამეურვეო საბჭოებს სურთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ოფიციალური ტრენინგები ჩაატაროს მათი მოვალეობებისა და უფლებამოსილების უკეთესად გაცნობის მიზნით. მნიშვნელოვანია, სამეურვეო საბჭოს როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაცია და მითითებები ერთნაირად მიეწოდოს დირექტორებსა და საბჭოს წევრებს, რათა თავიდან ავიცილოთ მათ შორის კონფლიქტები და გაუგებრობა. მაგალითად, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას სხვა მასწავლებლებთან ერთად სკოლის ბიუჯეტის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით, რამდენადაც სკოლის ადმინისტრაციამ ეს ქმედება კანონისა და პროტოკოლის დარღვევად მიიჩნია.

მშობლების გარდა, ადგილობრივი საზოგადოების სხვა წევრების მონაწილეობა სამეურვეო საბჭოში საკმაოდ დაბალია: შესწავლილი სკოლების მხოლოდ 29%-ს ჰყავს სამეურვეო საბჭოში ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები.

4.14.4 პრობლემატური საკითხები

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის პრობლემები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა სამეურვეო საბჭო სკოლის მართვის საქმეში ჩართვის დროს. ზოგიერთ სკოლაში დაძაბულობა და კონფლიქტები, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებაში არსებობს, ასევე აისახება სამეურვეო საბჭოზე და ეს ხშირად აბრკოლებს სამეურვეო საბჭოს კვალიფიციურ ფუნქციონირებას.

აგრეთვე, ერთ-ერთი სკოლის სამეურვეო საბჭოში, საბჭოს წევრმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ როგორც მასწავლებლები, დირექტორის ზეწოლისა და შეურაცხყოფისაგან დაუცველები იყვნენ. მიუხედავად იმისა რომ, როგორც სამეურვეო საბჭოს წევრები, ტექნიკურად საბჭოს წევრი მასწავლებლები დირექტორის დონეზე დგანან, ისინი მაინც დირექტორს ექვემდებარებიან როგორც მასწავლებლები და დირექტორს შეუძლია მათი სამსახურიდან გათავისუფლება ან ხელახლა გადაწვევა. სამეურვეო საბჭომ აღნიშნა, რომ დირექტორი მასწავლებლებს გათავისუფლებით დაემუქრა, როდესაც დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. საბჭოს წევრების აზრით უნდა არსებობდეს იურიდიული დაცვის მექანიზმები, რომლებიც საბჭოს წევრი მასწავლებლების უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

4.15 მშობლების მონაწილეობა სკოლის მართვასა და სწავლის პროცესში

დირექტორებთან და სამეურვეო საბჭოსთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით მშობლების მიერ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის ფლობის დონე გარკვეულწილად გაუმჯობესდა, მაგრამ გაუმჯობესების მაჩვენებელი არც თუ ისე დიდია. გამოკითხულ დირექტორთა 42%-ის აზრით, მშობლები უფრო არიან ინფორმირებულნი მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და პრობლემების შესახებ, ვიდრე რეფორმამდე. დირექტორთა 40% მიიჩნევს, რომ მშობლები ოდნავ უკეთესად არიან ინფორმირებულნი, 14% ფიქრობს, რომ არანაირი ცვლილება არ არის, ხოლო 4%-ის განცხადებით მშობლები ახლა უფრო ნაკლებად ინფორმირებულნი არიან.

რაც შეეხება მშობელთა მონაწილეობას სკოლის მართვის საქმეში, რაც სამეურვეო

საბჭოს აქტიურობაში გამოიხატება, რაოდენობრივი მაჩვენებელი ადასტურებს, რომ მშობლები გარკვეულწილად აქტიურობენ. იმ მშობლების საერთო რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სამეურვეო საბჭოს არჩევნებში საშუალოდ 60%-ია; მშობლების 6% საბჭოს წევრობის კანდიდატი იყო. როგორც დადგინდა, მშობლების მონაწილეობის მაჩვენებელი ქალაქში უფრო ნაკლებია, ვიდრე სოფელსა და მთიან რეგიონებში, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები:

ცხრილი 4.10: იმ მშობელთა პროპორცია, რომელნიც სამეურვეო საბჭოს კენჭისყრაში მონაწილეობდნენ

| რესპონდენტის კატეგორია | საშუალო (%) | 95% სანდოობის ინტერვალი | | თი-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|-------------|-------------------------|----|------------------|----------|
| ქალაქი | 50 | 36 | 64 | 1.47 | 0.164 |
| სოფელი | 64 | 50 | 79 | | |
| მთიანი რეგიონი | 65 | 49 | 82 | - | - |

რაოდენობა = 94

ცხრილი 4.11: იმ მშობლების ხვედრითი წილი, რომლებიც სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატები იყვნენ

| რესპონდენტის კატეგორია | საშუალო (%) | 95% სანდოობის ინტერვალი | | თი-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|-------------|-------------------------|----|------------------|----------|
| ქალაქი | 25 | 12 | 38 | 3.44 | 0.004 |
| სოფელი | 8 | 4.5 | 11 | | |
| მთიანი რეგიონი | 7 | 2.4 | 12 | - | - |

რაოდენობა = 96

დირექტორები ყველაზე ხშირად აკადემიურ საკითხებში მშობლების მონაწილეობის გაუმჯობესებას სამეურვეო საბჭოს სისტემის შემოღებას მიაწერენ. მათი აზრით, ახლა მშობლები გრძნობენ, რომ უფრო მეტად არიან პასუხისმგებელი და უფრო დიდ როლს ასრულებენ თავიანთი შვილების სწავლის პროცესში. სასწავლო პროგრამის რეფორმამ (ინდივიდუალური მიდგომა და შეფასების 10-ქულიანი სისტემა), მნიშვნელოვნად გაზარდა მშობლების დაინტერესება საკუთარი შვილების აკადემიურ მოსწრებითა და პრობლემებით. მშობლების მხრიდან ნაკლები დაინტერესება, როგორც ამას დირექტორთა უმეტესობა აღნიშნავს, სასკოლო ცხოვრებაში მათი პასიური მონაწილეობის უმთავრესი მიზეზი იყო.

4.16 საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინსტიტუციონალური უფლებამოსილება

საგანმანათლებლო რესურსცენტრების დაარსება მნიშვნელოვან ამოცანასთანაა დაკავშირებული- ისინი სკოლებს უნდა დაეხმარონ სკოლის მართვისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაში. საგანმანათლებლო რესურსცენტრებსაც იგივე პრობლემები აქვთ, რაც ამ ბოლო დროს დაარსებულ ყველა ორგანოს, მაგრამ პროგრესი მაინც აშკარაა. ამ პუნქტში განხილულია საგანმანათლებლო რესურსცენტრების ამჟამინდელი შესაძლებლობები და ძლიერი მხარეები, ასევე წარმოდგენილია მათი სუსტი მხარეები და მათთან დაკავშირებული რისკი. მოცემული კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალში საგანმანათლებლო რესურსცენტრების პროგრესისა და საქმიანობის განსასაზღვრად და შესაფასებლად.

4.16.1 საგანმანათლებლო რესურსცენტრების ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები

საგანმანათლებლო რესურსცენტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლებში სასწავლო გარემოს გაუმჯობესებასა და სკოლის მართვის საქმეში; მათ დადებითად აფასებენ დირექტორები და მასწავლებლები. დირექტორები კმაყოფილები არიან საგანმანათლებლო რესურსცენტრების დაარსებით იმდენად, რამდენადაც მათი საშუალებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლის ადმინისტრაციას ადმინისტრაციული სწავლებას და ბიუროკრატიულ ინფორმაციას აწვდის. გამოკითხულ დირექტორთა 93% მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები მათ რაიონებში საკმაოდ აქტიურობენ მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და სკოლების მართვის საქმეში. მაგრამ მასწავლებლები ამ საკითხის მიმართ ნაკლებად არიან დადებითად განწყობილნი: გამოკითხულ მასწავლებელთა მხოლოდ 15% ეთანხმება სრულად იმ აზრს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები საკმაოდ აქტიურობენ სკოლის მართვის საკითხებში, 34% ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას, 28% კი ფიქრობს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები საკმარისად არ აქტიურობენ, ხოლო 24%-მა განაცხადა, რომ საკითხთან დაკავშირებით არაფერი იცის. მეორეს მხრივ, მასწავლებლების უფრო მეტი რაოდენობა (53%) თვლის, რომ მათი რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი საკმაოდ აქტიურია და ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

თითქმის ყველა სკოლის დირექტორი თვლის, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრის პერსონალს საკმარისი უნარი და შესაძლებლობა გააჩნია იმისათვის, რომ სკოლებს სათანადოდ დაეხმაროს.

დირექტორები დადებითად აფასებენ საგანმანათლებლო რესურსცენტრების საქმიანობას ძველ რაიონულ საგანმანათლო სამმართველოებთან შედარებით. მასწავლებლების დამოკიდებულება კი კვლავაც ნაკლებად დადებითია (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი)

ცხრილი 4.12: დირექტორებისა და მასწავლებლების მიერ საგანმანათლებლო რესურსცენტრებისგან მიღებული დახმარების დონის შეფასება რაიონულ სამმართველოებთან შედარებით (%-ში)

| რესპონდენტები | საგანმანათლებლო რესურს ცენტრები გაცილებით მეტ დახმარებას უზრუნველყოფენ | დახმარება უფრო მეტია | განსხვავება არ არის | დახმარება ნაკლებია | დახმარება გაცილებით ნაკლებია | არანაირი დახმარება | რაოდენობა |
|---------------|--|----------------------|---------------------|--------------------|------------------------------|--------------------|-----------|
| დირექტორები | 85 | 12 | 0 | 0.3 | 3 | 0 | 104 |
| მასწავლებლები | 18 | 29 | 29 | 14 | 3 | 6 | 166 |

საგანმანათლებლო რესურსცენტრს ყველა დაინტერესებული მხარე აღიქვამს, როგორც სკოლის ადმინისტრაციასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის შუამავალ დაწესებულებას, რომელიც პასუხისმგებელია სკოლებისათვის დახმარების უზრუნველყოფაზე და არა სკოლების კონტროლსა და ინსპექტირებაზე.

საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა დირექტორებისა და მასწავლებლების დადებითი დამოკიდებულება საგანმანათლებლო რესურსცენტრების მიმართ. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს უკეთესი კომუნიკაცია და ურთიერთობა აქვთ სკოლებთან, ისევე როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან; კორუფცია მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგიერთი საგანმანათლებლო რესურსცენტრი განახლდა და ახლა უკეთესი აღჭურვილობა აქვს იმისათვის, რომ სკოლებს სათანადოდ დაეხმაროს. რაც მთავარია, კვლევის დროს საზოგადოდ იქნა აღიარებული, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელთა

და წევრთაგან ძალიან ბევრი საკმაოდ მოტივირებულია საკუთარი მოვალეობების კარგად შესრულებისთვის. გარდა ამისა, თავად საგანმანათლებლო რესურსცენტრის წევრები აღიარებენ, რომ მათ კვლავაც ესაჭიროებათ დამატებითი ტრენინგები და რესურსები; მათთვის არ არის უხერხული ამ ფაქტის აღიარება. ზოგიერთმა წევრმა კი აღნიშნა, რომ მათ ჩამოყალიბებული აქვთ საგანმანათლებლო რესურსცენტრების სუსტად დაკავშირებული რეგიონალური ქსელი, რომლის საშუალებითაც ახერხებენ ერთმანეთისათვის აზრების გაზიარებას და პრობლემებზე მსჯელობას. რეგიონალური და ეროვნული ასოციაციების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო რესურსცენტრებს შორის ამ სახის თანამშრომლობას ხელი უნდა შეეწყოს მათი ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით.

4.162 საგანმანათლებლო რესურსცენტრების სისტემის სუსტი მხარეები და მათთან დაკავშირებული საფრთხე

საგანმანათლებლო რესურსცენტრებისაგან დაინტერესებული მხარეები მრავალი ამოცანის შესრულებას მოელოან, თუმცა, როგორც ჩანს, რესურსცენტრების ფიზიკური და შრომითი რესურსები ამ ამოცანების შესასრულებლად საკმარისი არ არის. საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან ფოკუს-ჯგუფის განხილვებიდან ცხადი გახდა, რომ რესურსცენტრებს უფრო მეტი კადრი, მეტი და უკეთესი აღჭურვილობა და არსებული პერსონალის შესაძლებლობების ზრდა ესაჭიროებათ. დირექტორთა მხოლოდ 30% მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები საკმარისად არიან აღჭურვილნი იმისათვის, რომ სკოლებს დაეხმარონ, 51% ფიქრობს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები მხოლოდ ნაწილობრივ არიან აღჭურვილნი.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც საგანმანათლებლო რესურსცენტრების საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა, ერთის მხრივ, არის არასაკმარისი კავშირი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ – საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და სკოლებს შორის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგანმანათლებლო რესურსცენტრი ძველ რაონულ სამმართველოებთან შედარებით გაუმჯობესებული დაწესებულებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კომუნიკაციის უკმარისობა ამ უპირატესობას ჩრდილავს. ეს საგანმანათლებლო რესურსცენტრების ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა, რომელიც სხვა მრავალ პრობლემასაც წარმოშობს. კომუნიკაციის არასაკმარისი დონე უმეტესწილად ფიზიკური რესურსების ნაკლებობით არის განპირობებული. იგულისხმება ისეთი ფიზიკური რესურსების ნაკლებობა, როგორც არის ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტი, ავტომანქანები და ბენზინი. ეს ის საერთო პრობლემაა, რომელზეც საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელთა უმეტესობა ამახვილებდა ყურადღებას ცენტრალურ ჯგუფთან ერთად საკითხის განხილვისას. მაგრამ ეს პრობლემები გადაწყვეტას ექვემდებარება და უმეტესწილად, ალბათ, მოგვარდება კიდევ საგანმანათლებლო რესურსცენტრების განახლებასა და აღჭურვასთან ერთად, მითუმეტეს, რომ აღნიშნული პროცესები უკვე მიმდინარეობს. შეფასების მიმდინარეობისას, 19 ახალი რესურსცენტრი გაიხსნა და სრულად აღიჭურვა. დანარჩენი 25 საგანმანათლებლო რესურსცენტრის განახლება უახლოეს მომავალში დასრულდება. როდესაც ყველა რესურსცენტრის განახლება და სათანადოდ აღიჭურვება და როდესაც სკოლები ინტერნეტითა და კომპიუტერის მოხმარების სათანადო ცოდნით იქნება უზრუნველყოფილი „ირმის ნახტომის“ პროგრამის ფარგლებში, კომუნიკაციის პრობლემაც მეტნაკლებად მოგვარდება.

საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები უმეტეს შემთხვევაში საკუთარ ოფისებში ხვდებიან სკოლის ადმინისტრატორებს. როგორც მასწავლებლებთან ფოკუს-ჯგუფებში გასაუბრების შედეგად გაირკვა, უმეტეს შემთხვევაში, ერთადერთი პირი, ვინც რესურსცენტრში მიდის, დირექტორია. მასწავლებლებს რესურსცენტრებთან უმეტესწილად პირდაპირი კავშირი არ აქვთ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ დიდ დროს ხარჯავენ იმ მონაცემების გაცხრილვასა და დამუშავებაზე, რომელსაც იღებენ სკოლებიდან და აწვდიან განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების ცენტრს. უმეტეს შემთხვევაში დირექტორები აღნიშნავენ, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები სკოლებიდან სტატისტიკურ მონაცემებს დროულად აგროვებენ. თუმცა მონაცემების შეგროვების სიხშირე ყველა სკოლაში განსხვავებულია. ეს კი მიუთითებს, რომ არ არსებობს მონაცემების შეგროვების სტანდარტიზებული პროცესი. ყველაზე ხშირად მონაცემების შეგროვებასა და გადაცემასთან დაკავშირებულ პრობლემად სკოლები ამ ამოცანის შესასრულებლად მიცემული დროის სიმცირეს ასახელებენ. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ანგარიშის ინფორმაციის ელექტრონული ვერსიის შენახვა ჯერ კიდევ იშვიათად ხდება, განსაკუთრებით კი სოფლებში. საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელებმა ასევე აღნიშნეს, რომ სკოლების მიერ მომზადებული მონაცემების ხარისხი ზოგჯერ ძალიან დაბალია. ამის მიზეზი კი ანგარიშის მომზადებისა და მონაცემების არასათანადო ცოდნაა. ეს მდგომარეობა საგანმანათლებლო რესურსცენტრებს ურთულებს მონაცემების შეგროვებასა და გადამუშავებას. სკოლების სამომავლო კომპიუტერიზაციისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წყალობით სირთულეები გარკვეულწილად უნდა აღმოიფხვრას.

ზოგიერთი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ რესურსცენტრისათვის ბიუჯეტის შედგენის პროცედურა პრობლემურია, რადგანაც მათ არ აქვთ საკუთარი ბიუჯეტის შედგენის უფლება. ამიტომ ხელმძღვანელები იძულებულნი არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სთხოვონ ნებართვა თითოეულ დანახარჯთან დაკავშირებით, რაც მათ მოქნილობას მნიშვნელოვნად ამცირებს. მათი აზრით, საგანმანათლებლო რესურსცენტრებს უფრო მეტი ავტონომია უნდა მიეცეთ ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხში.

საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებსა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ დადგენილი კიდევ ერთი პრობლემური საკითხი დაკავშირებულია რესურსცენტრების როლსა და პასუხისმგებლობებთან. საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელებს არ მოსწონთ მათი დაწესებულების როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან დაკავშირებული ბუნდოვანი მდგომარეობა. ისინი აცხადებენ, რომ არცერთ კანონში არ არის დეტალურად ჩამოყალიბებული მათი მოვალეობები და ფუნქციები და ამიტომ ზოგჯერ სკოლის დირექტორებს ვერ გაურკვევიათ, რა საკითხთან დაკავშირებით უნდა მიმართონ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს. ზოგიერთი დაინტერესებული მხარე აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მრავალი ფუნქცია აქვს კონკრეტული პრიორიტეტების გამოკვეთის გარეშე. რესურსცენტრების ახალი ვალდებულებები ისეთ მოვალეობებსაც კი მოიცავს, რომელიც მათ ფუნქციას და პასუხისმგებლობების ფარგლებს სცილდება.

4.17 სკოლის შესაძლებლობები ბიუჯეტის შედგენის სფეროში

ბიუჯეტის დაგეგმვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ ფუნქციათა შორის, რომელიც დეცენტრალიზაციის შემდეგ სკოლებს დაეკისრათ. რეფორმამდე სკოლებს ბიუჯეტის შედგენის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, ვინაიდან ადგილობრივი მმართველობები გამოჰყოფდნენ სახსრებს სკოლებისათვის. წინამდებარე პუნქტში განხილულია, თუ რამდენად შეუძლიათ სკოლებს ბიუჯეტის შედგენა. მითითებულია, რა სახის პროცედურებს იყენებენ სკოლები ბიუჯეტის შედგენის პროცესში და რამდენად გამჭვირვალეა ეს პროცესი. აქვე წარმოდგენილია მთავარი პრობლემები, რომელსაც დაინტერესებული მხარეები გამოჰყოფენ სკოლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

თითქმის ყველა სკოლის დირექტორმა იცის, ფორმულის გამოყენებით, როგორ გამოითვლება მისი სკოლის ბიუჯეტი ერთ მოსწავლეზე. რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე გამოირკვა, რომ უმთავრესად დირექტორები გეგმავენ სკოლის ბიუჯეტს.

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცედურა, როგორც წესი, შემდეგი ელემენტებისაგან შედგება: საჭიროებების შეფასება, ხარჯთაღრიცხვა და პრიორიტეტების გამოყოფა. ზოგიერთ შემთხვევაში სამეურვეო საბჭოები მონაწილეობას იღებენ საჭიროებათა შეფასებაში და პრიორიტეტების გამოყოფაში, ისინი პასუხისმგებელი არიან ბიუჯეტის დამტკიცებაზე. ყველაზე ხშირად გამოიყენება მეთოდი, როდესაც ჯერ დირექტორი და ადმინისტრაციული თანამშრომლები ადგენენ ბიუჯეტის გეგმას, შემდეგ კი დამტკიცების მიზნით მას განიხილავს სამეურვეო საბჭო. ბიუჯეტის დაგეგმვა და დამტკიცება საბჭოს წევრების მიერ განიხილება როგორც მათი უმთავრესი პასუხისმგებლობა. თუმცა ზოგიერთ სკოლაში დაწესებულია ბიუჯეტის დაგეგმვის უფრო ეფექტური პროცედურა.

მაგალითად, ზუგდიდის რაიონში, სოფელ კახათის სკოლაში, რომელსაც შეფასების ჯგუფი კვლევის დროს ეწვია, ყოველი საგნობრივი ჯგუფის წევრები განსაზღვრავენ იმ საჭიროებებს, რომელიც მათ მომდევნო წლისათვის გააჩნიათ. მათ მიერ შედგენილი პრიორიტეტების ჩამონათვალი გადაეცემა სკოლის დირექტორს. ამავე დროს დირექტორი და ადმინისტრაციული თანამშრომლები, ისევე როგორც სამეურვეო საბჭოს წევრები, ადგენენ სკოლის საერთო საჭიროებების ჩამონათვალს. ამის შემდეგ, დირექტორი ბუღალტერთან ერთად ამოწმებს სახსრების არსებობას დადგენილი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის და გამოყოფს პრიორიტეტებს საგნების ჯგუფების ხელმძღვანელებსა და სამეურვეო საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე. ასეთი პროცედურის გამოყენებით სკოლა უზურუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობას პროცესში და ერთის მხრივ თავიდან იცილებს პოტენციურ დაძაბულობას სახსრების მართვასთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ კი უზურუნველყოფს არსებული სახსრების ეფექტურ ხარჯვას. შესაძლოა, ეს მაგალითი პროცესის მოდელადაც დავასახელოთ სხვა სკოლებისათვის.

სკოლის დირექტორები აღნიშნავენ, რომ რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით, მათ ახლა უკეთესად შეუძლიათ პერსონალის ხელფასების გარდა სხვა ხარჯების ბიუჯეტიც შეადგინონ და უფრო მეტი თავისუფლებაც გააჩნიათ სკოლის საჭიროებების საფუძველზე ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დირექტორები დადებითად არიან განწყობილნი და მხარს უჭერენ ბიუჯეტის შედგენის ახალ პროცედურას, რამდენადაც ეს მათ საშუალებას აძლევს თანხების ხარჯვისთვის გამოყონ პრიორიტეტები და განსაზღვრონ სახსრები სკოლის გაუმჯობესების ინიციატივებისათვის. მაგალითად, ხელფასების გარდა, სკოლები მასწავლებლებს დამატებით ანაზღაურებას და წამახალისებელ პრემიებს სთავაზობენ, საკუთარი მოვალეობების განსაკუთრებულად შესრულების და სამუშაოს მასშტაბების გათვალისწინებით. მათ ასევე შეუძლიათ მცირე სტიპენდიები გადაუხადონ საუკეთესო მოსწავლეებს. არაერთ სკოლას აქვს შესაძლებლობა დააფინანსოს საკუთარი მასწავლებლების პროფესიული განვითარება (სასწავლო კურსები მასწავლებლებისათვის). მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დირექტორებმა არ იციან, აქვთ თუ არა უფლება სახსრები გამოყონ სკოლის ბიუჯეტის სპეციფიკური საკითხებისათვის (როგორც არის ტრენინგები სკოლის მართვასთან დაკავშირებით თავად მათთვის და მათი ადმინისტრაციული თანამშრომლებისათვის), ან რა პროცედურით უნდა დაამტკიცონ ასეთი სახის ხარჯები. უმეტეს შემთხვევაში სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭოები ჩართულნი არიან წამახალისებელი პრემიის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

სკოლები აღნიშნავენ, რომ სკოლის ადმინისტრაციიდან ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ძირითადად მშობლებისა და მასწავლებლების კრების მოწვევის საშუალებით ხდება. ამდენად, ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ უმეტეს შემთხვევაში კრების შემდეგ იოლად ხელმისაწვდომი არ არის. მასწავლებლების ფოკუს-ჯგუფებში საუბრისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები, რომლებიც სამეურვეო საბჭოს წევრები არ არიან, ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებენ ბიუჯეტისა და ფინანსური საკითხებისადმი და ამასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმაც ნაკლებად აინტერესებთ. ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიაჩნიათ, რომ მასწავლებლის აზრს, თუ იგი საბჭოს წევრი არ არის, არავინ ითვალისწინებს.

თითქმის ყველა სკოლაში არიან თანამშრომლები, რომელთა მოვალეობა ანგარიშგების დოკუმენტებისა და ოქმების მართვაა; მათ ასევე უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ფინანსური ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ადმინისტრატორებისათვის. ანგარიშგების მონაცემების ელექტრონული სახით შენახვის პრაქტიკა ჯერ კიდევ რამდენიმე სკოლის მასშტაბით (12%) შემოიფარგლება. სკოლების მეოთხედზე ნაკლებს გააჩნია კომპიუტერები ადმინისტრატორებისათვის (20%). მაგრამ დიდ სკოლებს შორის (სადაც 750-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს), ანგარიშგების ინფორმაციის შესანახად კომპიუტერის გამოყენების მაჩვენებელი 75%-ია. აგრეთვე, იმ სკოლების უმეტესობა, რომელიც ანგარიშგების მონაცემებს ელექტრონულად ინახავს, კონცენტრირებულია ქალაქებში. საგანმანათლებლო რესურსცენტრებს პრობლემები ექმნებათ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების ცენტრისთვის წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული ვერსიის შექმნისას.

418 დეცენტრალიზაცია და მართვა: დასკვნები

- სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელდა, ზოგადად შესაბამისია სრულიად დეცენტრალიზებული და დემოკრატიული განათლების მართვის გარემოს შესაქმნელად;
- დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობა მხარს უჭერს საგანმანათლებლო სისტემის დეცენტრალიზაციას და დემოკრატიზაციას, ასევე რეფორმებს, რომელიც დღემდე განხორციელდა;
- სკოლები დეცენტრალიზებულ გარემოში ეფექტური და კვალიფიციური მართვის სხვადასხვა დონეს გვიჩვენებენ;
- ზოგადად სკოლები ჯერ მზად არ არიან ბოლომდე გამოიყენონ შესაძლებლობები, რომელსაც მათ დეცენტრალიზებული გარემო სთავაზობს;
- ზოგიერთ სკოლაში დაწესებულია ყველა ტიპის მონაცემის/ინფორმაციის შეგროვებისა და შენახვის ეფექტური პროცედურა; აღნიშნულ სკოლებს გააჩნიათ რეალური მოდელი, რომელიც შეიძლება სხვა სკოლებმაც გამოიყენონ;
- სკოლის მართვისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების საკითხების შესახებ მშობლებისა და მასწავლებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების პროცედურა გამარტივებულია, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მონაცემი და ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი არ არის;
- მასწავლებლები, რომლებიც სამეურვეო საბჭოს წევრები არ არიან, ცუდად არიან ინფორმირებულები სკოლის მართვისა და ბიუჯეტის შედგენის შესახებ;
- სკოლების უმეტესობაში დირექტორები და ადმინისტრატორები ადგენენ ბიუჯეტის გეგმას, ხოლო სამეურვეო საბჭოები მხოლოდ ამტკიცებენ მას. მაგრამ ზოგიერთ სკოლაში არსებობს საჭიროებათა შეფასების, პრიორიტეტების გამოყოფისა და ბიუჯეტის დაგეგმვის ძალიან ეფექტური და კვალიფიციური პროცედურები, რომლებიც შეიძლება მოდელის სახით სხვა სკოლებმა გამოიყენონ.
- სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ თანამშრომლებსა და სამეურვეო საბჭოს წევრებს აუცილებლად სჭირდებათ დაწვრილებითი ახსნა-განმარტებები და მითითებები მათი პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების შესახებ;
- სკოლის დირექტორებსა და ადმინისტრაციას ესაჭიროება ინტენსიური სწავლება სპეციალური ცოდნის მისაღებად ზოგიერთ კრიტიკულ სფეროსთან დაკავშირებით, როგორცაა ფინანსური ანგარიშგება, მონაცემების შეგროვება და დამუშავება;
- რამდენადაც სამეურვეო საბჭოები ახლად დაწესებულ ორგანოებს წარმოადგენენ, მათ საკმარისი ორგანიზაციული შესაძლებლობა არ გააჩნიათ იმისათვის, რომ კვალიფიციურად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა (მაგ., ამოცანების განაწილება ქვე-კომიტეტებს შორის);
- ქალაქის სკოლები (ადმინისტრაცია, ისევე როგორც სამეურვეო საბჭოები) (და

სავარაუდოდ მაღალმთიანი რეგიონის სკოლები) უფრო მეტ აქტიურობას და სურვილს ამჟღავნებენ ავტონომიური მართვის უპირატესობების გამოყენებასთან დაკავშირებით;

- საგანმანათლებლო რესურსცენტრები სკოლებს უკეთესად ეხმარებიან ვიდრე ძველი რაიონული სამმართველოები;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრებს უამრავი ამოცანა ეკისრებათ და მათი ფიზიკური და შრომითი რესურსები ყველა ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის საკმარისი არ არის;
- არსებობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და სკოლებს შორის კომუნიკაციის პრობლემა.

4.2 ვაუჩერული დაფინანსება და სკოლის ფინანსური მდგომარეობა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ვაუჩერული დაფინანსება დაწესდა სკოლებისათვის თანხების გამოყოფის პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების, ასევე თანხების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით. ვაუჩერული დაფინანსება ასევე უზრუნველყოფს სკოლების ფინანსური მდგომარეობის მათ მოცულობასა და ტიპთან შესაბამისობას. წინამდებარე პუნქტში აღწერილია ვაუჩერული დაფინანსების მოქნილობა და ეფექტიანობა, გაანალიზებულია, რამდენად საკმარისია სკოლის ბიუჯეტი სკოლის საჭიროებებისა და მატერიალური მდგრადობის შენარჩუნების ხარჯების დასაფარად. გარდა ამისა, მოცემულ პუნქტში აღწერილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფინანსური მდგომარეობა მათი ადგილმდებარეობისა და მოცულობის გათვალისწინებით; ასევე წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეების მიერ გამოყოფილი პრობლემები და სფეროები, რომელთა გაუმჯობესებაც აუცილებელია.

ვაუჩერული დაფინანსება საკმაოდ მოქნილ პროცედურად არის მიჩნეული შედარებით დიდ სკოლებში, სადაც გარდა თანამშრომელთა ხელფასებისა, არსებობს დამატებითი სახსრებიც. მაგრამ პატარა სკოლებში, ასეთ დაფინანსებას მოქნილად ვერ გამოვიყენებთ, რადგან აქ თითქმის მთელი ბიუჯეტი მხოლოდ ხელფასებზე იხარჯება. სკოლის დირექტორთა 78%-ს მიაჩნია, რომ ვაუჩერული დაფინანსება საკმაოდ მოქნილი პროცედურაა. დირექტორთა ის ნაწილი, რომელიც ასე არ ფიქრობს, წუხს იმაზე, რომ მოსწავლეების მცირე რაოდენობის გამო მათ მიერ მიღებული დაფინანსება არასაკმარისია.

ცხრილი 4.13: დირექტორთა მიდგომა ვაუჩერული დაფინანსების მოქნილობის საკითხისადმი

| სკოლის ტიპი | მოქნილია | არ არის მოქნილი | სი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|--------------------------------|----------|-----------------|---------------------|----------|
| სკოლა მცირე სუბსიდიას იღებს | 46 | 55 | 31.39 | 0.000 |
| სკოლა მცირე სუბსიდიას არ იღებს | 94 | 6 | | |

თითქმის ყველა შემთხვევაში (96%), სკოლები ვაუჩერულ დაფინანსებას იღებენ სრულად, ყოველგვარი დაკავების გარეშე. ისინი მასწავლებლებსაც დროულად უხდიან ხელფასებს. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით და რეფორმების ფინანსური ასპექტის უმთავრეს წარმატებას წარმოადგენს.

ამჟამად სკოლებს შეუძლიათ უფრო მეტი თანხა დახარჯონ სკოლის მომსახურებაზე. სკოლების მიერ გახარჯული კაპიტალური ხარჯების რაოდენობა ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიზარდა. გაუმჯობესება განსაკუთრებით აშკარაა სოფლებისა და მთიანი რეგიონების სკოლებში. მაგრამ უმეტეს შემთხვევებში სკოლის ბიუჯეტი მაინც არ არის საკმარისი სკოლის სარემონტო ხარჯების დასაფარად. სარემონტო ქალაქისა და მაღალმთიანი რეგიონის სკოლებთან შედარებით, სოფლის სკოლებს უფრო აწუხებს

ბიუჯეტის სიმცირე. სკოლებს მხოლოდ მცირე სარემონტო სამუშაოებისათვის შეუძლიათ თანხის გამოყოფა, მაგრამ კაპიტალური რემონტისათვის, როგორც წესი, ისინი იაკობ გოგებაშვილის პროგრამაზე არიან დამოკიდებული. სარემონტო სამუშაოებისათვის რეზერვის თვალსაზრისით, მაღალმთიან რეგიონებში სახსრების სიმცირის მწვავე პრობლემა დგას (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი).

ცხრილი 4.14: რამდენი სკოლის მიმდინარე ფიზიკური მომსახურების ხარჯები იფარება სკოლის ბიუჯეტით (%-ში)

| რესპონდენტის კატეგორია | იფარება ყველა საჭიროება | იფარება საჭიროებათა უმეტესობა | იფარება საჭიროებათა დაახლოებით ნახევარი | იფარება საჭიროებათა მცირე ნაწილი | საჭიროებები საერთოდ არ იფარება | ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|-------------------------|-------------------------------|---|----------------------------------|--------------------------------|---------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 34 | 33 | 0 | 18 | 15 | 16.0493 | 0.1980 |
| სოფლის სკოლა | 16 | 8 | 6 | 42 | 28 | | |
| მთიანი რეგ. სკოლა | 31 | 40 | 0 | 25 | 5 | | |

რაოდენობა = 66

ცხრილი 4.15: აქვს თუ არა თქვენს სკოლას საკმარისი სახსრები (მათ შორის ვაუჩერული დაფინანსება, მცირე სასკოლო სუბსიდიები, ადგილობრივი მმართველობის დაფინანსება, მშობლების/საზოგადოების შემოწირულობა, იაკობ გოგებაშვილის პროგრამა, სპონსორები) იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს სკოლის სარემონტო საჭიროებები? (%-ში)

| რესპონდენტის კატეგორია | ყველა საჭიროებას აკმაყოფილებს | საჭიროებათა უმეტესობას | საჭიროებათა დაახლოებით ნახევარს | საჭიროებათა მცირე ნაწილს | არანაირ საჭიროებას | ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|-------------------------------|------------------------|---------------------------------|--------------------------|--------------------|---------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 26 | 13 | 23 | 21 | 17 | 18.4879 | 0.1602 |
| სოფლის სკოლა | 9 | 8 | 6 | 43 | 34 | | |
| მთიანი რეგ. სკოლა | 6 | 2 | 0 | 49 | 44 | | |

რაოდენობა = 81

მცირეკონტიგენტიანი სკოლებისათვის (სკოლები, რომლებიც მცირე სასკოლო სუბსიდიებს იღებენ) დაფინანსება საკმარისი არ არის. მათი ფინანსური მდგომარეობა გარკვეულწილად გაუმჯობესდა, თუმცა არც ისე მნიშვნელოვანად.

ვაუჩერული დაფინანსების სამი სხვადასხვა დონის შემოღებამ (ქალაქის, სოფლისა და მაღალმთიანი სკოლებისათვის) დადებითი შედეგები აჩვენა, რამდენადაც არასახელფასო ხარჯების კოეფიციენტი მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდა სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონების სკოლებში. სკოლებისა და მთიანი რეგიონების სკოლების ფინანსური მდგომარეობა რეფორმამდე პერიოდთან შედარებით უფრო მეტად მიუახლოვდა ქალაქის სკოლების ფინანსურ მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სკოლები საშუალოდ ჯერ კიდევ უკეთეს არა-სახელფასო ხარჯების კოეფიციენტს ინარჩუნებს.

არა-სახელფასო ხარჯების კოეფიციენტების შეუსაბამობა სკოლების მოცულობის მიხედვით (რომელიც მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად განისაზღვრება: მცირეკონტიგენტიანი სკოლა = 100 მოსწავლეზე ნაკლები, საშუალო ზომის სკოლა = 101 - 750 მოსწავლე, მაღალკონტიგენტიანი სკოლა = 750-ზე მეტი მოსწავლე) ასევე მნიშვნელოვანწილად შემცირდა. მიუხედავად ამისა, დიდ სკოლებს მაინც არასახელფასო ხარჯების უფრო მაღალი რესურსი

გააჩნიათ, ვიდრე პატარა და საშუალო ზომის სკოლებს. ამავე დროს მნიშვნელოვანი სხვაობა რჩება მცირეკონტიგენტის და საშუალო ზომის სკოლებს შორისაც.

ცხრილი 4.16: არა-სახელმწიფო/სახელმწიფო ხარჯების (საშუალო) კოეფიციენტი სკოლების გეოგრაფიული ტიპის მიხედვით

| რესპონდენტის კატეგორია | 2005 | 2006 | 2007 |
|------------------------|------|------|------|
| ქალაქის სკოლა | 23.7 | 23.4 | 19.2 |
| სოფლის სკოლა | 2.4 | 6.3 | 10.8 |
| მთიანი რეგ. სკოლა | 2.7 | 3.3 | 10.5 |

ცხრილი 4.17: არა-სახელმწიფო/სახელმწიფო ხარჯების (საშუალო) კოეფიციენტი სკოლების ზომის მიხედვით

| რესპონდენტის კატეგორია | 2005 | 2006 | 2007 |
|--------------------------------------|------|------|------|
| პატარა (100 მოსწავლეზე ნაკლები) | 2.4 | 3.7 | 6.3 |
| საშუალო (101-750 მოსწავლეზე ნაკლები) | 5.3 | 8.4 | 12.6 |
| დიდი (750 მოსწავლეზე მეტი) | 38.1 | 34.8 | 29.2 |

სკოლები სრულად არ იყენებენ შესაძლებლობას, განაცხადი გააკეთონ ვაუჩერული დაფინანსების გარდა სხვა შემოსავლების მოსაპოვებლად. მდგომარეობა სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონის სკოლებში უფრო უარესია, ვიდრე ქალაქის სკოლებში.

ცხრილი 4.18: გაუკეთებია თუ არა თქვენს სკოლას განაცხადი გამოყოფილი სახსრების გარდა სხვა სახსრების მოთხოვნით ბოლო სამი წლის განმავლობაში?

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ (%) | თი-ტესტის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|----------|------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 62 | 10.7924 | 0.0078 |
| სოფლის სკოლა | 41 | | |
| მთიანი რეგ. სკოლა | 16 | | |

რაოდენობა = 91

როგორც კვლევამ აჩვენა, ვაუჩერული დაფინანსების სისტემა წარმატებულია სკოლებს შორის კონკურენციის ხელშეწყობის თვალსაზრისით, რაც სკოლებს სტიმულს აძლევს უკეთესი საგანმანათლებლო მომსახურება შემოგვთავაზონ (უკეთესი პროგრამები, მეტი პროექტი, უკეთესი სწავლება). ყველა სისტემას აქვს უარყოფითი მხარეები – გამონაკლისი არც ვაუჩერული დაფინანსებაა. შეფასების დროს დადგინდა უარყოფით მხარეთა შორის ერთ-ერთია ზოგიერთი სკოლისთვის მოსწავლეებისა და დაფინანსების დაკარგვის საფრთხე. თუ ერთ-ერთ სკოლაში კონკურენტუნარიანი გარემოა შექმნილი უკეთესი შენობის, სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პრაქტიკის ხარჯზე, მისი მეზობელი ნაკლებად კონკურენტუნარიანი სკოლა აშკარად კარგავს მოსწავლეებს და შედეგად თანხასაც, რომელსაც ვაუჩერული დაფინანსებით იღებს. შესაბამისად, აღნიშნულ სკოლას უჭირს მასწავლებელთა მინიმალური ხელფასის გადახდა და სკოლის განვითარებისათვის ძალიან მცირე ფინანსური რესურსი რჩება. შედეგად, ერთგვარი მანკიერი წრე იკვრება. ვაუჩერული დაფინანსება ხელს

უწყობს კონკურენციას, მაგრამ მეორე მხრივ, აღარ არსებობს უსაფრთხო ქსელის მექანიზმი ნაკლებად სასურველი სკოლებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა ხელი უნდა შეუწყონ პროგრამის განვითარებას. მეორე საკითხი, რომელიც შეფასების ჯგუფმა აღნიშნა, არის ის, რომ მშობლები ხშირად თავიანთ უფლებებს აჭარბებენ და ცდილობენ გავლენა მოახდინონ სკოლის გადაწყვეტილებების მიღებაზე თავიანთ სასარგებლოდ. ისინი მოითხოვენ შვილების ამა თუ იმ მომსახურებით უზრუნველყოფას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში შვილების სკოლიდან გაყვანით იმუქრებიან. ასეთი მოთხოვნა, ცხადია, მიუღებელია.

4.21 გაუჩერული დაფინანსება და სკოლების ფინანსური მდგომარეობა დასკვნები

- გაუჩერული დაფინანსების სისტემის შემოღებამ დადებითი გავლენა მოახდინა სკოლების ფინანსურ მდგომარეობაზე;
- გაუჩერული დაფინანსება ზოგადი განათლების დაფინანსების ზრდასთან ერთად იქნა მიღებული. ამდენად, რთულია ამ სისტემის შედეგების განყენებულად შეფასება;
- სკოლები დაუბრკოლებლად იღებენ დაფინანსებას და ხელფასებიც დაყოვნების გარეშე გაიცემა;
- ძველ სისტემასთან შედარებით, სკოლებს ახლა უკვე აქვთ შესაძლებლობა უფრო მეტი არასახელფასო ხარჯები გაიღონ: ვთქვათ, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და სკოლის სარემონტო სამუშაოებისთვის;
- სკოლების უმეტესობა მასწავლებლებს წამახალისებელ პრემიებს ან მინიმალურ ხელფასზე მეტს აძლევს;
- ქალაქის, სოფლის, მაღალმთიანი რეგიონებისა და სხვადასხვა ზომის სკოლების სახელფასო/არასახელფასო ხარჯების კოეფიციენტები უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, სხვაობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია;
- მცირეკონტიგენტიანი სკოლები, რომლებიც მცირე სასკოლო სუბსიდიებს იღებენ, ერთ სულზე მიღებულ დაფინანსებას უმეტეს შემთხვევაში კვლავ თანამშრომლების ხელფასებზე ხარჯავენ. მათი ფინანსური მდგომარეობა სხვა დანარჩენი სკოლებისგან განსხვავებით არ გაუმჯობესებულა;
- სოფლისა და მთიანი რეგიონების სკოლები ნაკლებად გამოცდილნი არიან გარე წყაროებიდან სახსრების მიღების საქმეში;

4.3 მასწავლებლების ახალი ანაზღაურების სქემის ეფექტურობა

მასწავლებლები დიდი ხნის განმავლობაში იღებდნენ მწირ ხელფასს, რასაც თან ახლდა ანაზღაურების მიღების ხშირი და გაჭიანურებული დაყოვნება. რეფორმის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წარმოადგინა ყოველი მასწავლებლისათვის მინიმალური ანაზღაურების გამოთვლის ახალი ფორმულა, საქართველოში მასწავლებელთა ხელფასების ზოგადი დონის გაზრდის და კვალიფიციური და კომპეტენტური მასწავლებლების შენარჩუნების მიზნით. შეფასების ჯგუფისათვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით მინიმალური სახელფასო დონის განსაზღვრის მიზნით ნიშნულად გამოყენებულ იქნა საჯარო მოხელეთა მინიმალური ხელფასი - თვეში 115 ლარი. მაგრამ მინიმალურ ზღვარს ზემოთ მასწავლებელთა ხელფასები მთლიანად სკოლის ფინანსურ მდგომარეობაზე და მართვის პოლიტიკაზეა დამოკიდებული და იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა თანხის დამატება შეუძლია სკოლას ყოველი მასწავლებლის მინიმალურ ხელფასზე. შედეგად, მასწავლებელთა ხელფასების რეალური რაოდენობა სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვაა. საერთო ჯამში, რეფორმის შედეგად, მასწავლებლის ხელფასის დონე საშუალოდ გაორმაგდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებელთა ანაზღაურების გადახდა საგრძნობლად გაუმჯობესდა

ვაუჩერული დაფინანსების სისტემის შემოღების შედეგად. წინამდებარე პუნქტში განხილულია მასწავლებელთა მოსაზრებები და კმაყოფილება ახალ სახელფასო დონესთან დაკავშირებით. ასევე წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი სკოლების გეოგრაფიული ტიპის მიხედვით, წამახალისებელი სქემების შემოღების საკითხი, მასწავლებელთა დამატებითი სამუშაოს მიმოხილვა და ბოლო წლებში მასწავლებელთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია.

4.31 მასწავლებელთა მოსაზრებები ანაზღაურების ახალ სისტემასთან დაკავშირებით

მასწავლებელთა ხელფასები საშუალოდ გაორმაგდა ბოლოდროინდელი რეფორმების შედეგად და ანაზღაურების გაცემაც ყოველგვარი დაყოვნების გარეშე ხდება. მაგრამ როგორც კვლევამ აჩვენა, მასწავლებელთა უმეტესობა კვლავაც უკმაყოფილოა საკუთარი ხელფასის ოდენობით. ისინი მიიჩნევენ, რომ მათი ხელფასის დონე სხვა საჯარო მოხელეებთან შედარებით არასახარბიელოა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათთვის მეტწილად გასაგებია ხელფასის გამოთვლის ახალი ფორმულა, თუმცა, როგორც ჩანს, ხშირად მათ კარგად არ ესმით ამ ფორმულის პრინციპი.

გასაუბრებისას დირექტორებმა აღნიშნეს, რომ ხელფასის გამოთვლის ახალი ფორმულის ერთ-ერთი ნაკლოვანება ისაა, რომ იგი მხოლოდ მასწავლებლის განათლებას და პროფესიულ გამოცდილებას ითვალისწინებს და არა სწავლებისა და კლასის მართვის უნარს. ამდენად, 2008 წლისათვის დაგეგმილ მასწავლებელთა ტესტირების შედეგებში გათვალისწინებულ უნდა იყოს მასწავლებელთა ანაზღაურების სქემა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც მასწავლებლები ხაზს უსვამენ, არის მასწავლებლისათვის მიცემული კლასის მოცულობის საფუძველზე პოტენციური კონფლიქტი მასწავლებლებსა და დირექტორებს შორის: მასწავლებლებს სურვილი აქვთ ნაკლები მოსწავლე ჰყავდეთ კლასში, რამდენადაც ამჟამინდელი ანგარიშსწორების სქემის მიხედვით ეს დადებით როლს ასრულებს ხელფასის გამოთვლის დროს, რადგან კლასის რაოდენობრივი სიმცირე უფრო მაღალ კოეფიციენტთან არის დაკავშირებული და პირიქით. დირექტორებს სურთ მასწავლებლებმა უფრო დიდი მოცულობის კლასები მიიღონ, რათა გააუმჯობესონ შრომითი რესურსის კვალიფიციურობა თავიანთ სკოლებში. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ არ მოსწონთ ფორმულა, რომლის მიხედვითაც დიდი კლასების მასწავლებელმა უფრო ნაკლები ანაზღაურება უნდა მიიღონ, ვიდრე მცირე კლასების მასწავლებელმა. ზოგიერთ შემთხვევაში მშობლებს სურთ მათი შვილი ისეთ კლასში იყოს, რომელსაც მეტად კვალიფიციური მასწავლებელი ასწავლის. ამ ყველაფერს გამოუვალ მდგომარეობამდე მივყავართ. გამოდის, რომ მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, რომელსაც უფრო მეტი მოსწავლე ჰყავს, ნაკლებ ანაზღაურებას იღებს.

4.32 მასწავლებელთა სახელფასო დონის შედარება სხვადასხვა ტიპის სკოლებს შორის, რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ

მასწავლებელთა ხელფასებს შორის სხვაობა (საშუალო წლიური ხელფასი ერთ მასწავლებელზე და საშუალო წლიური ხელფასი ერთ აკადემიურ საათზე) ქალაქის, სოფლისა და მაღალმთიანი რაიონის სკოლებს შორის მნიშვნელოვანწილად შემცირდა. მასწავლებლის ხელფასის დონე მთელს ქვეყანაში მსგავსია. კიდევ უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ ცხოვრების სხვადასხვა ხარჯებს აღნიშნული გეოგრაფიული მდებარეობების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სოფლის სკოლებში მასწავლებლებს უკეთესი მდგომარეობა აქვთ, რაც პროგრამის ერთ-ერთი მიზანია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ხელფასის აბსოლუტური რაოდენობა ერთ მასწავლებელზე და ერთ აკადემიურ საათზე მნიშვნელოვანწილად გაიზარდა ყველა კატეგორიის სკოლაში. ხელფასების ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლისა და მთიანი რაიონის სკოლებში 2006 - 2007 წლებს შორის, რაც ვაუჩერული გამოთვლის ახალი

ფორმულის წარმოდგენას ემთხვევა. ამ ფორმულამ ხელი შეუწყო სოფლის და მაღალმთიანი რაიონის სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ცხრილი 4.19: მასწავლებლის საშუალო წლიური ხელფასი ერთ მასწავლებელზე ბოლო 3 წლის განმავლობაში

| რესპონდენტის კატეგორია | 2005 | 2006 | 2007 |
|------------------------|------|------|------|
| ქალაქის სკოლა | 1210 | 1248 | 1476 |
| სოფლის სკოლა | 1061 | 1072 | 1472 |
| მთიანი რეგ. სკოლა | 1030 | 1124 | 1512 |

ცხრილი 4.20: მასწავლებლის საშუალო წლიური ხელფასი კვირაში ერთ სამუშაო საათზე საათზე ბოლო 3 წლის განმავლობაში

| რესპონდენტის კატეგორია | 2005 | 2006 | 2007 |
|------------------------|------|------|------|
| ქალაქის სკოლა | 88 | 89 | 117 |
| სოფლის სკოლა | 73 | 80 | 112 |
| მთიანი რეგ. სკოლა | 74 | 89 | 111 |

4.3.3 წახალისების სქემა

საერთო შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლების დაახლოებით ერთი მესამედი (37%) მასწავლებლებს წამახალისებელ პრემიებს სთავაზობს. მაგრამ წამახალისებელი პრემიების გამოყენების პრაქტიკა სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვაა სკოლების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. სოფლის სკოლებში პრემიების სისტემა უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე ქალაქის სკოლებში (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი). არც ერთი სკოლას, რომელიც მცირე სასკოლო სუბსიდიებს იღებს, არ შეუძლია მისცეს მასწავლებლებს წამახალისებელი პრემია. ზოგიერთ სკოლას გააჩნია მასწავლებლების კლასიფიკაციის საკუთარი კრიტერიუმები, რომელსაც წამახალისებელი პრემიის გამოთვლისათვის იყენებს. დირექტორების უმეტესობა (68%) აღიარებს, რომ წამახალისებელი პრემია ეფექტურად უზრუნველყოფს მასწავლებელთა მოტივაციას.

ცხრილი 4.21: აძლევს თუ არა თქვენი სკოლა მასწავლებლებს წამახალისებელ პრემიას?

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ | ხი-კვადრატის ცვლადი | აღბათობა |
|------------------------|------|---------------------|----------|
| ქალაქის სკოლა | 46% | 3.6862 | 0.0341 |
| სოფლის სკოლა | 26% | | |
| მთიანი რაიონის სკოლა | 47% | - | - |

4.3.4 მასწავლებელთა შემოსავლის დამატებითი წყარო და რეპეტიტორობა

მასწავლებლის ხელფასი ხშირად საკმარისი არ არის საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად. კვლევის ჯგუფთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გარდა სკოლაში მუშაობისა, დამატებით სხვაგანაც მუშაობდნენ. მაგრამ დირექტორთა გამოკითხვის

მონაცემების მიხედვით სკოლების უმეტესობაში მასწავლებლების 25%-ზე ნაკლებს აქვს დამატებითი სამუშაო ხელფასით მიღებული შემოსავლის შესავსებად. გარდა ამისა, არსებობს საკუთარი კლასის მოსწავლეების კერძო მეცადინეობის პრაქტიკა, რაც კონფლიქტის პოტენციური მიზეზია. თუმცა, ეს პრაქტიკა არც თუ ისე მასშტაბურია. დირექტორთა 20%-ზე მეტს არ აღუნიშნავს, რომ მასწავლებლების მიერ მოსწავლეების კერძოდ მეცადინეობის პრაქტიკა ხშირი ან ძალიან ხშირია. ხელოვანი მშენებელი შედეგი მუდმივად არის მითითებული სასწავლო პროგრამების ანგარიშში. მაგრამ, შეფასების ჯგუფმა ვერ შეძლო ჯვარედინი გამოკითხვა ჩაეტარებინა მოსწავლეების გამოკითხვის გზით.

4.35 მასწავლებელთა კადრების გადინების ტენდენცია

ახალი ანაზღაურების სქემას თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონდა მასწავლებელთა კადრების გადინების კოეფიციენტზე. დირექტორთა მოსაზრებით, მასწავლებელთა კადრების გადინების კოეფიციენტი თითქმის უცვლელი დარჩა. თუმცა, როგორც კვლევა გვიჩვენებს, წლების განმავლობაში ოდნავი კლება აღინიშნა (საშუალოდ 6.7% 2005 წელს, 4.5% 2006 წელს და 4.1% 2007 წელს). მაგრამ მასწავლებლის პროფესიის მიტოვების უმთავრეს მიზეზად უმეტესად ხელფასი არ სახელდება. ყველაზე ხშირად მასწავლებლის კადრების გადინების მიზეზები, დირექტორების თქმით, მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: ოჯახური პრობლემა (21%), პენსიაში გასვლა (25%) და სხვა სამსახურში გადასვლა (19%), მაშინ, როდესაც დირექტორთა მხოლოდ 7%-მა აღნიშნა, რომ მასწავლებლის მიერ სკოლის დატოვების მიზეზი ხელფასი იყო.

4.36 მასწავლებლის ახალი ანაზღაურების სქემის ეფექტურობა. დასკვნები

- მასწავლებლის მინიმალური ხელფასის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა ანაზღაურების ახალი სქემის დაწესების პარალელურად. ამდენად, ძნელია მასწავლებლის ანაზღაურების გაუმჯობესება ახალი ანაზღაურების სქემის სისტემას მივაწეროთ;
- ქალაქისა და სოფლის სკოლების მასწავლებლები ფიქრობენ, რომ სხვა სახელმწიფო სექტორებთან შედარებით, მათი ანაზღაურების დონე ჯერ კიდევ დაბალი და არადაამაკმაყოფილებელია;
- არა ერთი სკოლა აძლევს მასწავლებლებს წამახალისებელ პრემიას და დამატებით ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს (კლასის ხელმძღვანელი, საგნობრივი ჯგუფის ხელმძღვანელი) და კვალიფიკაციის გათვალისწინებით;
- მიუხედავად დაბალი სახელფასო განაკვეთისა, მასწავლებლების კადრების გადინების კოეფიციენტი ძალიან დაბალია;
- ზოგიერთ მასწავლებელს დამატებითი შემოსავლისათვის სხვა სამუშაოს შესრულება უწევს, მაგრამ ასეთი პრაქტიკა ხშირი არ არის;
- მასწავლებელთა ხელფასების დიფერენციაცია კლასის მოცულობის მიხედვით ანაზღაურების ახალი სისტემის ის პრინციპია, რომელსაც ყველაზე ხშირად აკრიტიკებენ.

4.4 სკოლების ოპტიმიზაცია

ბოლო წლების განმავლობაში სკოლების ოპტიმიზაცია/კონსოლიდაცია განხორციელდა ფიზიკური, შრომითი და ფინანსური რესურსების გაუმჯობესების მიზნით, ქვეყანაში მოსწავლეთა კონტინენტის შემცირების ფონზე. შეფასების ჯგუფმა დაადგინა, რომ ოპტიმიზაცია ხორციელდება არა მარტო პატარა და დიდ სკოლებს შორის, არამედ დიდ სკოლებს შორისაც. სკოლების მდგომარეობა კონსოლიდაციამდე და გაერთიანების მეთოდები მნიშვნელოვნად განსხვავდება ოპტიმიზაციის ინდივიდუალურ შემთხვევებში

და ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უპირველესად ოპტიმიზაციის კომიტეტთან საკითხის განხილვის გზით მიიღება. მითითებები, რომელზე დაყრდნობითაც შესაბამისი კომიტეტი საკითხს განიხილავს, მოიცავს მხოლოდ სკოლის კონსოლიდაციის სასარგებლო და საწინააღმდეგო ზოგად კრიტერიუმებს, ამიტომ კონსოლიდაციის ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურად განიხილებოდა. შეფასების ჯგუფმა გამოარკვია, რომ სკოლის ოპტიმიზაციის პოლიტიკა არ ეფუძნება წარმატების კონკრეტულ კრიტერიუმებს და ამოცანებს.

წინამდებარე პუნქტში განხილულია კონსოლიდაციის გავლენა შრომითი, ფიზიკური და ფინანსური რესურსების მართვაზე, ასევე მოსწავლეების აკადემიურ აქტივობაზე; აქვე წარმოდგენილია ოპტიმიზაციის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები და ღირეპტორთა მოსახრებები კონსოლიდაციის შესახებ.

4.41 შრომითი, ფიზიკური და ფინანსური რესურსების კონსოლიდაციის გავლენა

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ორ ეტაპად განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულმასშტაბიანი ოპტიმიზაციის ძირითადი მიზანი იყო შრომითი, ფიზიკური და ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენების გაზრდა. წინამდებარე პუნქტში განხილულია, თუ რამდენად დადებითი გავლენა იქონია ამ ელემენტებზე სკოლების კონსოლიდაციამ.

კონსოლიდირებულ სკოლებში კოეფიციენტი - მოსწავლე/მასწავლებელი და კოეფიციენტი - მოსწავლე/არა-მასწავლებელი თანამშრომლები უფრო მაღალია ვიდრე არაკონსოლიდირებულ სკოლებში. კონსოლიდაციის შედეგად ცვლილებები არ განიცადა მოსწავლე/მასწავლებელი კოეფიციენტმა, მაგრამ გარკვეულწილად გაუმჯობესდა კოეფიციენტი მოსწავლე/არამასწავლებელი თანამშრომლები. კონსოლიდაციის ტიპებში უფრო გავრცელებულია ადმინისტრაციული კონსოლიდაცია და არა ფიზიკური კონსოლიდაცია. კონსოლიდაციის დროს განხორციელდა სკოლების არამასწავლებელი თანამშრომლების გარკვეული რესტრუქტურისაცია, რომელმაც სკოლის ხარჯების მცირე დანაწევრება განაპირობა. მეორეს მხრივ, მასწავლებლების რესტრუქტურისაციას საკმაოდ იშვიათია. კონსოლიდირებულ სკოლებში, ღირეპტორების აზრით, სკოლის მართვისათვის უფრო ეფექტური იქნებოდა კონსოლიდაციის დროს გაერთიანებული სკოლების მასწავლებლების გათავისუფლება სკოლებიდან, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ რეალურად ყველა მოსწავლე არ გადმოდის შემადგენელი სკოლებიდან. მაგრამ მასწავლებლების გათავისუფლება ძალიან დელიკატური საკითხია და ღირეპტორებს ამის გაკეთება არ სურთ. ზოგიერთ შემთხვევაში ღირეპტორები დარწმუნებულნი არ არიან, შეუძლიათ თუ არა მასწავლებლების გათავისუფლება. ასევე არ იციან, უნდა მიიღონ თუ არა კონსოლიდაციის დროს შემოერთებული სკოლების ყველა მასწავლებელი.

აკადემიური საათების საშუალო რაოდენობა 2007 წელს თითქმის იგივეა კონსოლიდირებულ და არაკონსოლიდირებულ სკოლებში. საათების რაოდენობა ზოგადად ოდნავ შემცირდა ორივე სახის სკოლაში.

კონსოლიდაციამ გარკვეულწილად გააუმჯობესა შრომითი რესურსების მართვა, მაგრამ არცთუ ისე მნიშვნელოვანად, რადგან კონსოლიდაციის შემდეგ სასწავლო პერსონალის რესტრუქტურისაცია არ მომხდარა.

ცხრილი 4.22: კოეფიციენტი მოსწავლე/მასწავლებელი

| სკოლის ტიპი | 2005 | აღბათობა (თი-ტესტი) | 2006 | აღბათობა (თი-ტესტი) | 2007 | აღბათობა (თი-ტესტი) |
|---------------------|------|------------------------|------|------------------------|------|------------------------|
| კონსოლიდირებული | 9 | 0.308 | 7.9 | 0.417 | 7.6 | 0.403 |
| არა-კონსოლიდირებული | 8.1 | | 7.2 | | 7.0 | |

ცხრილი 4.23: კოეფიციენტი მოსწავლე/არამასწავლებელი

| სკოლის ტიპი | 2005 | აღბათობა (თი-ტესტი) | 2006 | აღბათობა (თი-ტესტი) | 2007 | აღბათობა (თი-ტესტი) |
|---------------------|------|------------------------|------|------------------------|------|------------------------|
| კონსოლიდირებული | 73.1 | 0.332 | 79.1 | 0.204 | 89.2 | 0.153 |
| არა-კონსოლიდირებული | 63.1 | | 61.8 | | 65.9 | |

ცხრილი 4.24: აკადემიური საათების საშუალო რაოდენობა

| სკოლის ტიპი | 2005 | აღბათობა (თი-ტესტი) | 2006 | აღბათობა (თი-ტესტი) | 2007 | აღბათობა (თი-ტესტი) |
|---------------------|------|------------------------|------|------------------------|------|------------------------|
| კონსოლიდირებული | 14.8 | 0.920 | 12.1 | 0.007 | 13.0 | 0.684 |
| არა-კონსოლიდირებული | 14.7 | | 14.0 | | 13.4 | |

2005-2007 წლებს შორის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ აღინიშნება მოსწავლე/საკლასო ოთახი კოეფიციენტის თვალსაზრისით. მაჩვენებელი კონსოლიდირებულ სკოლებში არ გაზრდილა და თითქმის უცვლელი დარჩა 2005 და 2007 წლებს შორის, მაგრამ არაკონსოლიდირებულ სკოლებში აღნიშნული კოეფიციენტი შემცირდა იმავე პერიოდის განმავლობაში, რამაც მნიშვნელოვანი გახადა განსხვავება არაკონსოლიდირებულ და კონსოლიდირებულ სკოლებს შორის.

სკოლებისათვის ფიზიკური სასწავლო აღჭურვილობის გამოყოფასთან დაკავშირებით მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა. დირექტორების თითქმის 40% აცხადებს რომ ფიზიკური რესურსების მართვა კონსოლიდაციის შედეგად გაუმჯობესდა. კოეფიციენტი მერხი/მოსწავლე (მერხების რაოდენობა ერთ მოსწავლეზე) 2007 წელს კონსოლიდირებულ სკოლებში უფრო დაბალია ვიდრე არა-კონსოლიდირებულ სკოლებში. კონსოლიდირებული სკოლების დირექტორების 72% აცხადებს, რომ მათ ბიბლიოთეკებში კონსოლიდაციის შედეგად წიგნების რაოდენობა გაიზარდა. მაგრამ დირექტორების მხოლოდ 8%-მა განაცხადა, რომ ლაბორატორიული აღჭურვილობის რაოდენობა გაიზარდა, ხოლო 19%-ის თქმით, მათ კონსოლიდაციის შემდეგ უფრო მეტი სპორტული აღჭურვილობა აქვთ სკოლებში.

ცხრილი 4.25: მოსწავლე/საკლასო ოთახი საშუალო კოეფიციენტი

| სკოლის ტიპი | 2005 | აღბათობა (თი-ტესტი) | 2007 | აღბათობა (თი-ტესტი) |
|--------------------|------|------------------------|------|------------------------|
| კონსოლიდირებული | 19.6 | 0.314 | 19.3 | 0.087 |
| არაკონსოლიდირებული | 15.6 | | 13.6 | |

კონსოლიდირებულ სკოლებში ფინანსური მდგომარეობა თითქმის არაკონსოლიდირებული სკოლების გაუმჯობესების დონის თანასწორად უმჯობესდება. ნახევარზე მეტ შემთხვევაში დირექტორები აცხადებენ, რომ ფინანსური რესურსების ეფექტურობა კონსოლიდაციის შედეგად გაუმჯობესდა. მაგრამ არსებობს რამდენიმე შემთხვა, როდესაც ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

4.42 კონსოლიდაციის გავლენა მოსწავლეების სწავლაზე სასწავლო შესაძლებლობებსა და რეგისტრაციაზე

საგნობრივი კვალიფიკაციის მიხედვით მასწავლებლების დანიშვნის პრინციპი არ შეცვლილა. იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც ასწავლიან საგანს მაშინ, როდესაც სპეციალური კვალიფიკაცია არ გააჩნიათ, კონსოლიდაციამდე და მის შემდეგ უცვლელი რჩება.

სკოლის დირექტორები დარწმუნებულნი არიან, რომ კონსოლიდაციის შედეგად მიღებული კლასების სიდიდე უარყოფითად არ მოქმედებს მოსწავლეების აქტივობაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ მოსწავლეების აქტივობაზე კონსოლიდაციის უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით დიდ და საშუალო ზომის სკოლებზე აისახა. თითქმის ყველა ამგვარი სკოლის დირექტორს მიაჩნია, რომ კლასის სიდიდე უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ აქტივობაზე. ამავე დროს, მცირეკონტიგენტის სკოლების დირექტორები აცხადებენ, რომ კონსოლიდაციას მათზე ასეთი უარყოფითი გავლენა არ ჰქონია.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს სკოლაში, კონსოლიდირებული სკოლების დირექტორთა 54% აღნიშნავს, რომ კონსოლიდაციის შემდეგ მათ დამატებითი კლასგარეშე აქტივობები წარმოადგინეს. დირექტორთა 46%-ის მოსაზრებით ცვლილება საერთოდ არ მომხდარა. კონსოლიდაციამ დადებითი გავლენა იქონია მოსწავლეებისათვის არასაპროგრამო დონის ძიებების უზრუნველყოფაზე.

ცხრილი 4.26: კონსოლიდაციის შედეგად მიღებული დიდი ზომის კლასების გავლენა მოსწავლეების აკადემიურ აქტივობაზე სკოლების სიდიდის მიხედვით

| რესპონდენტის კატეგორია | ძალიან უარყოფითი გავლენა | უარყოფითი | არანაირი გავლენა | დადებითი გავლენა | ძალიან დადებითი |
|--|--------------------------|-----------|------------------|------------------|-----------------|
| პატარა სკოლა (100-ზე ნაკლები მოსწავლე) | 0 | 0 | 90.2 | 0 | 9.7 |
| საშუალო ზომის სკოლა (101 - 750 მოსწავლე) | 15.7 | 74.6 | 2.5 | 0 | 7 |
| დიდი სკოლა (750-ზე მეტი მოსწავლე) | 45.6 | 54.3 | 0 | 0 | 0 |

ცხრილი 4.27: კონსოლიდაციის შედეგად მიღებული დიდი ზომის კლასების გაგლეჩა მოსწავლეების აკადემიურ აქტიობაზე, სკოლების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით

| რესპონდენტის კატეგორია | ძალიან უარყოფითი გაგლეჩა | უარყოფითი | არანაირი გაგლეჩა | დადებითი გაგლეჩა | ძალიან დადებითი |
|------------------------|--------------------------|-----------|------------------|------------------|-----------------|
| ქალაქის სკოლა | 20.8 | 79.1 | 0 | 0 | 0 |
| სოფლის სკოლა | 18.3 | 47.9 | 16.8 | 0 | 16.8 |
| მთიანო რაიონის სკოლა | 6.9 | 30.1 | 56.0 | 0 | 6.9 |

კონსოლიდირებულ სკოლებს ასევე უფრო მეტი პრობლემა აქვთ მოსწავლეთა დასწრებასთან დაკავშირებით, რაც ტრანსპორტირების სირთულეებით არის გამოწვეული. სკოლების გეოგრაფიული ტიპების მიხედვით შედარების დროს სხვაობა ამასთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა. კონსოლიდირებული სკოლები, რომელსაც სასკოლო ავტობუსები არ ემსახურებიან, აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა დასწრება მათთან უფრო პრობლემურია, ვიდრე არაკონსოლიდირებულ სკოლებში, რომლებსაც სასკოლო ავტობუსები არ ჰყავთ და კონსოლიდირებულ სკოლებში, რომელთაც სასკოლო ავტობუსები ჰყავთ.

ცხრილი 4.28: არიან თუ არა სკოლაში მოსწავლეები, რომლებსაც დასწრების დაბალი მაჩვენებელი აქვთ ტრანსპორტირების სირთულის გამო?

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ | არა | ხი-კვადრატის ცვლადი | ალბათობა |
|------------------------|------|------|---------------------|----------|
| კონსოლიდირებული | 38.9 | 61.1 | 4.7837 | 0.0831 |
| არაკონსოლიდირებული | 15.7 | 84.3 | | |

ცხრილი 4.29: არიან თუ არა სკოლაში მოსწავლეები, რომლებსაც დასწრების დაბალი მაჩვენებელი აქვთ ტრანსპორტირების სირთულის გამო?

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ | არა | ხი-კვადრატის ცვლადი | ალბათობა |
|---|------|------|---------------------|----------|
| კონსოლიდირებული სკოლა ავტობუსის გარეშე | 46.2 | 53.8 | 5.5440 | 0.0964 |
| არაკონსოლიდირებული სკოლა ავტობუსის გარეშე | 16.0 | 84.0 | | |

ცხრილი 4.30: არიან თუ არა სკოლაში მოსწავლეები, რომლებსაც დასწრების დაბალი მაჩვენებელი აქვთ ტრანსპორტირების სირთულის გამო?

| რესპონდენტის კატეგორია | დიახ | არა | ხი-კვადრატის ცვლადი | ალბათობა |
|--|------|------|---------------------|----------|
| კონსოლიდირებული სკოლა ავტობუსით | 21.7 | 78.3 | * | * |
| კონსოლიდირებული სკოლა ავტობუსის გარეშე | 46.2 | 53.8 | | |

სკოლები აღნიშნავენ, რომ კონსოლიდაციამ უარყოფითად არ იმოქმედა სკოლასა და მშობლებს შორის თანამშრომლობაზე. კონსოლიდირებული სკოლების არც ერთ დირექტორს არ განუცხადებია, რომ კონსოლიდაციის შემდეგ სასკოლო საქმეებში მშობლების მონაწილეობა შემცირდა.

4.4.3 მხარეთა მიერ დასახელებული ძირითადი პრობლემები

შეფასების ჯგუფის მიერ კონსოლიდაციასთან დაკავშირებით დასახელებული ძირითადი პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს კონკრეტულად დასახელებული მიზნები და ამოცანები. ერთის მხრივ, აშკარაა, რომ პროცესის მიზანია ფიზიკური, შრომითი და ფინანსური რესურსების გაზრდა, მეორეს მხრივ კი, არ არსებობს კრიტერიუმები ისეთი პარამეტრებისათვის, როგორც არის: სკოლის სიდიდე, მოსწავლე/არამოსწავლელის კოეფიციენტი, კლასის ზომა, სკოლების საერთო რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი ფაქტორი, რომელიც კონსოლიდაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე ახდენს გავლენას და განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობისა და ქვეყნის რელიეფის გამო ყოველი შემთხვევა ინდივიდუალური და უნიკალურია, მაინც უნდა არსებობდეს პროგრესისა და წარმატების განსასაზღვრად დაწესებული მაჩვენებლები.

კონსოლიდირებული სკოლები სხვადასხვა პრობლემას აწყდებიან. ადმინისტრაციული კონსოლიდაციის შემთხვევაში, ზოგიერთი სკოლა აცხადებს, რომ პრობლემები აქვს მათ სკოლასთან შემოერთებული უფრო მცირე სკოლებისათვის სკოლის მოვლის ხარჯების დაფინანსებასთან დაკავშირებით (დასუფთავების, დაცვის და ა.შ. ხარჯები). ადმინისტრაციული კონსოლიდაციის ზოგიერთ შემთხვევაში გაერთიანებული ორი სკოლა ერთმანეთთან ძალიან შორს მდებარეობს და ეს სკოლის მართვას ართულებს.

ზოგიერთ შემთხვევაში კონსოლიდირებული სკოლების დირექტორებს პრობლემა აქვთ კონსოლიდაციის მეთოდთან დაკავშირებით. უმეტესად სკოლებში, სადაც მხოლოდ ადმინისტრაციული კონსოლიდაცია მოხდა, ფიზიკური კონსოლიდაცია უკეთეს ალტერნატივად მიიჩნევა.

შეფასების დროს ზოგიერთმა მთავარმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ საშუალო და დიდი ზომის სკოლების კონსოლიდაციას, განსაკუთრებით კი ქალაქებში, შეიძლება შედეგად მოჰყვეს ზედმეტად დიდი სკოლების შექმნა. ასეთ შემთხვევაში კონსოლიდაციას უარყოფითი გავლენა ექნება სკოლის მართვასა და მოსწავლეთა აქტივობაზე. საერთაშორისო კვლევა მხარს უჭერს მოსაზრებას სკოლების ზედმეტად დიდი ზომის უარყოფითი გავლენის შესახებ.

4.4.4 დირექტორთა მოსაზრებები ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით

ამჟამად დირექტორთა დაახლოებით 20% თვლის, რომ სხვა სკოლებთან კონსოლიდაცია მათი სკოლისათვის სასარგებლო იქნება შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით. მათ შორის, ვინც კონსოლიდაციას მისი სკოლისათვის სასარგებლო მიიჩნევს, დაახლოებით 40% კონსოლიდაციაში გასაერთიანებელ ერთეულებში კონკრეტულ სკოლებს გულისხმობს. სკოლების გეოგრაფიული მდებარეობის გავლენის თვალსაზრისით, ქალაქებში სკოლის დირექტორების დაახლოებით 30% ფიქრობს, რომ კონსოლიდაცია სასარგებლო იქნება მათი სკოლებისათვის, მაშინ როდესაც იგივე მოსაზრებას სოფლის სკოლების 10%-ის დირექტორები აფიქსირებენ (რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის). უკვე გაერთიანებულ სკოლებს შორის თითქმის ნახევარი (45%), რაც მნიშვნელოვნად მაღალი პროპორციაა საერთო კოეფიციენტთან (20%) შედარებით, მიიჩნევს, რომ შემდგომი კონსოლიდაცია სასარგებლო იქნება მათი სკოლისათვის. სკოლის ზომების მიხედვით სხვაობა არ დაფიქსირებულა.

ვაუჩერული დაფინანსების გათვალისწინებით, შესწავლილი კონსოლიდირებული სკოლების დირექტორთა უმეტესობა (63%) მიიჩნევს, რომ მათი სკოლის კონსოლიდაცია იყო კარგი გადაწყვეტილება. მაგრამ 23%-მა აღნიშნა, რომ მათი სკოლებისათვის კონსოლიდაცია კარგი გადაწყვეტილება არ იყო. დირექტორებთან ფოკუს-ჯგუფებში გამოვლინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური რესურსების მქონე სკოლის გაერთიანება მოხდა ისეთ სკოლასთან, რომელსაც მოსწავლეთა მცირე და მასწავლებელთა დიდი რაოდენობა ჰყავს, საერთო ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა. ქალაქის სკოლებს კონსოლიდაციას ვაუჩერულ დაფინანსებასთან მიმართებაში უფრო დადებითად აფასებენ, ვიდრე სოფლის სკოლებში. ასევე, სხვა სკოლებთან შედარებით, უფრო ხშირად დიდ სკოლები თვლიან, რომ კონსოლიდაცია იყო კარგი გადაწყვეტილება.

4.4.5 სკოლის ოპტიმიზაცია: დასკვნები

- შეფასების დროს დადგინდა, რომ სკოლის ოპტიმიზაციამ გავლენა არ მოახდინა მოსწავლე/მასწავლებელი კოეფიციენტზე;
- კონსოლიდირებული სკოლების დირექტორები სასწავლო სამუშაო ძალების რესტრუქტურისა და წინააღმდეგი არიან, თუმცა აღიარებენ, რომ ეს კვალიფიციურობის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს;
- კოეფიციენტი მოსწავლე/არა-მასწავლებელი თანამშრომლები გარკვეულწილად გაუმჯობესდა გაერთიანებულ სკოლებში;
- კონსოლიდაციამ ხელი არ შეუწყო მოსწავლე/საკლასო ოთახი კოეფიციენტის გაუმჯობესებას, თუმცა კონსოლიდაციის წყალობით არ მოხდა კოეფიციენტის გაუარესება სხვა არაკონსოლიდირებული სკოლების მსგავსად;
- კონსოლიდირებული სკოლების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება გაუმჯობესების ზოგადი ტენდენციისაგან;
- კონსოლიდაციამ გამოიწვია მოსწავლეთა დასწრების პრობლემის გამწვავება, განსაკუთრებით კი იმ სკოლებში, რომელთაც სასკოლო ავტობუსები არ ჰყავთ;
- დირექტორები გარკვეულწილად უკმაყოფილო არიან კონსოლიდაციის მეთოდითა და მისი განხორციელების გადაწყვეტილებით;
- მაინც შედარებით მაღალია დირექტორთა დაინტერესება კონსოლიდაციით;
- დირექტორთა უმეტესობა აღიარებს, რომ ვაუჩერული დაფინანსების სისტემის ქვეშ მათი კონსოლიდაცია სასარგებლო აღმოჩნდა ფინანსური ეფექტურობის თვალსაზრისით.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

5.1 სასწავლო გარემო

5.1.1 მასწავლებლების ტრენინგები. დასკვნები და რეკომენდაციები

5.1.1 მასწავლებლების ტრენინგები სკოლის ბაზაზე და სწავლებას ახალ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით

მიღებული შედეგები გვიჩვენებს მნიშვნელოვან წარმატებებს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა ტრენინგებისა და ახალ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული სწავლების თვალსაზრისით, თუ რამდენად დიდია პროგრესი სულ რამდენიმე წელიწადში. კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მასწავლებელთა სწავლების რეფორმის ფარგლებში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მაგალითად, მასწავლებელთა ორი მესამედი აღნიშნავს, რომ ახალ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით მათ ესაჭიროებათ ტრენინგები, მასწავლებლების ნახევარი კი თვლის, რომ ტრენინგები, რომელიც მათ გაიარეს აქტიური სწავლების სფეროში, საკმარისი არაა.

აქტიურ სწავლებასთან დაკავშირებით დამოკიდებულება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, მასწავლებლები ბოლომდე არ არიან დარწმუნებულნი, რომ ახალი მეთოდები მართებულია და კლასში სრულად შექმნენ მათ გამოყენებას. ამდენად, მასწავლებლები თავიანთ სასწავლო მეთოდებს ცვლიან, მაგრამ არასრულად და არასათანადოდ. ამას არა მარტო ჩვენი კვლევები, არამედ გამოკითხულთა მიერ მოწოდებული ინფორმაციაც ადასტურებს. შეფასების ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ იმ მოკლე პერიოდში, როდესაც გაკვეთილებზე დაკვირვება მიმდინარეობდა, მასწავლებელთა მოსალოდნელზე მეტი რაოდენობა იყენებდა როგორც ტრადიციულ (პასიურ), ასევე არატრადიციულ (აქტიურ) მეთოდებს. გაკვეთილი თითქმის ყოველთვის აგებულია ტრადიციული დიდაქტიკური ორგანიზების პრინციპით, რაც აქტიურ სწავლებას მინიმუმამდე ამცირებს. იმ შემთხვევაში, როდესაც გაკვეთილებზე დაკვირვება უფრო ხანგრძლივი დროით იყო შესაძლებელი, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ზოგჯერ ნამდვილად იყენებენ უახლეს მეთოდებს. ეს არის საკითხი, რომელიც ანალოგიურად ვითარდება სხვა ქვეყნებშიც, სადაც აღნიშნული მეთოდების დამკვიდრება ხდება. ეს გასაგებიც არის, თუ გავითვალისწინებთ სირთულეს, რომელიც მოდელისა და დიდი მხარდაჭერის გარეშე ახალი მეთოდების კონცეპტუალიზაციას ახლავს.

ძველი ტრადიციებიდან ახალ მიდგომაზე გადასვლა სირთულეებს წარმოშობს ანალოგიურ პროცესში ჩართულ სხვა ქვეყნების განათლების სისტემებშიც. რეფორმის მდგრადობა და წახალისება უნდა ესმარებოდეს გარდამავალი პერიოდის დაძლევას, მაგრამ ამჟამად არსებობს უფრო მოსახერხებელ ტრადიციულ მეთოდებზე მიჯაჭულობის საფრთხე.

აქტიური სწავლების და შეფასების მეთოდების გამოყენების მთავარი დაბრკოლებებია: მაღალკონტიგენტიანი კლასები, გაკვეთილების ხანგრძლივობის სიმცირე, ახალ მეთოდების პრაქტიკისთვის არასაკმარისი დრო მასწავლებლებისათვის და სკოლის გარემო, რომელშიც მასწავლებელი ვერ გრძნობს დირექტორის და კოლეგების მხარდაჭერას. მცირე სხვაობები, რომელიც გამოვლინდა სკოლების ტიპების მიხედვით, მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა ტრენინგების ფართომასშტაბიანი განხორციელება. სოფლის სკოლებში ტრენინგების გარდა დამატებით ღონისძიებების გატარებაც არის აუცილებელი.

როგორ გამოვიყენოთ აქტიური სწავლების მეთოდები დიდ კლასებში - ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ქალაქის სკოლებში და ზოგიერთი სოფლის სკოლაშიც. ერთ-ერთი მეთოდი დიდი კლასების ეფექტურად მართვისათვის არის ნახევრად

ავტონომიური ჯგუფების შექმნა. ამგვარად მოსწავლეებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სწავლაზე, მათ ექნებათ სწავლის საკუთარი ტემპი და სტილი. ეს ხელს შეუწყობს კლასისა და სწავლების უფრო მეტ ეფექტურობას. აუცილებელია, ჩატარდეს დამატებითი ტრენინგები საჩვენებელი მეცადინეობების წარმოდგენით. გაკვეთილების მოკლე ხანგრძლივობასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, ეროვნული სასწავლო გეგმის და შეფასების ცენტრმა ტრენინგების კურსში უნდა გაითვალისწინოს საკითხი, როგორ შეიძლება მასწავლებელმა მოარგოს აქტიური სწავლების მეთოდები გაკვეთილის ხანგრძლივობას. მეორეს მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სკოლებმა უნდა გაითვალისწინონ ის მეთოდები, როგორცაა, მაგალითად, გაკვეთილების გახანგრძლივება. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრმა მომავალ სასწავლო კურსებში უნდა გაითვალისწინოს, თუ ჯერ არ გაუთვალისწინებია, არის ტრენინგების ორგანიზება თემაზე – როგორ ასწავლოს მასწავლებელმა სხვადასხვა დონის მოსწავლეებს.

სკოლის ბაზაზე სასწავლო ტრენინგების კოორდინატორი დარწმუნებულია, რომ სასწავლო კურსებში თეორიული საგნები, როგორცაა, მაგალითად, სწავლების სტილი და სწავლების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობები, ნაკლებად იყო გათვალისწინებული. თუმცა, შეფასების ჯგუფი თვლის, რომ წარმოდგენილი სასწავლო მასალები უფრო მეტ ინფორმაციას მოიცავდა ვიდრე მსგავსი სასწავლო კურსები სხვა ქვეყნებში. არ არსებობს მასალა ქართულ ან რუსულ ენებზე, რთული განმავითარებელი შეფასების დანერგვა კი დამატებით თეორიული მასალას მოითხოვს. ამიტომ, აუცილებელია მასალის მომზადება განსაკუთრებით სწავლებისა და შეფასების სატრენინგო კურსისთვის. განსაკუთრებით პრიორიტეტული შეიძლება იყოს პრაქტიკული პრობლემები სხვადასხვა საგანში აქტიური სწავლების მაგალითებთან დაკავშირებით.

სტრუქტურულად, შერჩევის მექანიზმის გამოყენებამ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული სწავლების კურსში, რაც უფრო აქტიური მასწავლებლების შერჩევას გულისხმობს, შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სასწავლო გეგმების ტრენინგურსი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლებს საკმარისი დრო ან შესაძლებლობა მიეცემათ საკუთარი ცოდნა თავიანთ კოლეგებს გაუზიარონ. ამ მიზნის განსახორციელებლად შეიძლება შერჩეულ მასწავლებლებს დამატებითი ანაზღაურება დაენიშნოთ იმისათვის, რომ შაბათ-კვირას სწავლება ჩაუტარონ სხვა მასწავლებლებს უფრო ტრადიციული კასკადური მოდელის გამოყენებით; ასევე შეიძლება აღნიშნულ მასწავლებლებს დატვირთვა ოდნავ შევუძღვროთ იმის სანაცვლოდ, რომ მათ ადგილზე ჩაუტარონ სწავლება სხვა მასწავლებლებს ან თავიანთი ცოდნა საკლასო ოთახში ვიზიტის საშუალებით გაუზიარონ. ორივე მეთოდი საჭიროებს დამატებით ხარჯებს, რაც კიდევ ახალ პროგრამულ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ხარჯების ჩანაცვლება. ის ფაქტი, რომ მოსწავლე/მასწავლებელი კოეფიციენტი ხშირად კონსოლიდაციის მიუხედავად უცვლელი რჩება (იხ. პუნქტი 4), მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს შესაძლებლობა - არ შეიცვალოს რესურსები.

ბოლო პერიოდში განხორციელებული ტრენინგების ორგანიზაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ მასწავლებლების უმეტესობისათვის ქართულ ენაზე მასალები ხელმისაწვდომი არ არის. იდეალურ ვარიანტში, რეფორმის დროს უზრუნველყოფილი დამხმარე მასალები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ახალი მეთოდები, უნდა იყოს უფრო სრულყოფილი (უფრო მეტი ბროშურა და არა რამდენიმე გვერდასაგან შემდგარი თეზისები), რომლებიც უფრო მეტი რაოდენობით გამოიცემა და უფრო ფართოდ გავრცელდება. გავრცელებული წერილობითი მასალები შეიძლება მასწავლებლებმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ახალი მეთოდების მხარდაჭერად აღიქვან. ძალიან კარგი იქნება, თუ საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სკოლის ბიბლიოთეკებში უფრო

მეტი სასწავლო მასალა იქნება და ასევე მეტი მასალა მიეწოდება ყოველ მასწავლებელს. შეფასების ჯგუფი აღნიშნავს, რომ ეს დაკავშირებული იქნება ხარჯებსა და პროგრამულ ცვლილებებთან. ამ საკითხთან დაკავშირებით შეფასების ჯგუფს არ შეუძლია კონსულტაცია დამატებითი ინფორმაციის გარეშე.

ახალი მეთოდებისა და სასწავლო პროგრამებისადმი მასწავლებლების მიდგომის ჩამოსაყალიბებლად არა ერთი შესავალი ღონისძიება განხორციელდა. ამაში ადვილად დარწმუნდებით თუ შეადარებთ რეგისტრში მასწავლებელთა ადგილებს რეფორმისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ პასუხების შესაბამისად. მართალია ვერ ვიტყვით, რომ მასწავლებლების პასუხი დასაწყისში იყო ნული, მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევები (სანჩო და ჰერნანდესი, 1999; შაჰრიარი, 1999) გვჩვენებს, რომ დასაწყისში თითქმის ყველა მასწავლებელი რეგისტრში უფრო ქვემოთ დაიკავებდნენ ადგილს. მაგრამ რეფორმების ადრეული ეტაპებისა და მასშტაბების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ახალი მეთოდები გაითავისონ. ამას ადასტურებს ის, რომ არც თუ ისე მაღალი ქულები მიიღეს იმ მასწავლებლებმა, რომლებიც სკოლის ბაზაზე ჩატარებულ პროფესიული განვითარების ტრენინგებთან ან საცდელ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებში მონაწილეობდნენ.

საფრთხე, რომელიც სხვა ქვეყნებში მსგავსი მეთოდების დამკვიდრებისას არსებობდა, იყო ის, რომ დამატებითი სასწავლო კურსებისა და წარმატებული მაგალითების ან მასწავლებლებისათვის ახალი მეთოდების ღირებულების დამტკიცების გარეშე, მასწავლებელთა დამოკიდებულება ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უარყოფად შეცვლილიყო. მასწავლებელთა აქტიური სწავლების მაგალითების ჩვენების მოწყობა, რომელიც გამოიყენება, მაგალითად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა სწავლების პროგრამაში, ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. გარდა ამისა, მასწავლებლებს შეუძლიათ თავად შეისწავლონ აქტიური სწავლების მოდელები აქტიური სწავლების მიდგომების¹¹ გამოყენებით. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო შეფასების დროს, მაგრამ, მათ, ვინც ამ საქმეშია ჩართული, უნდა გაითვალისწინონ მოთხოვნა უწყვეტი წლიური პროფესიული განვითარების შესახებ, და არა ერთჯერადი მოთხოვნა. საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დატვირთვისა და ხარჯების შესამცირებლად აღნიშნული საკითხი შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებმა, უნივერსიტეტებმა ან კერძო პროვაიდერებმა მოაგვარონ ლიცენზიით სტანდარტიზებული ხარისხით, რაც ქმნის იმის გარანტიას, რომ საქმეში ჩართული პირები კვალიფიციურნი და გამოცდილნი იქნებიან მასწავლებელთა თანამედროვე სასწავლო რეფორმების განხორციელებაში. მაგრამ აღნიშნულმა პირებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება მასწავლებლებს დაეკისროთ; ხელფასების ზრდის მიუხედავად, იზრდება კონკურენცია, რადგან რაც შეიძლება მეტი ორგანიზაცია შეეცდება ლიცენზიის მოპოვებას.

პირებმა, რომელნიც ჩართულნი არიან სასწავლო კურსების მართვის საქმეში, ასევე დირექტორებმა და მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლებში ცვლილებების წარმატებით დანერგვაში მთავარი როლი დირექტორებს ეკისრებოდათ; ამას მასწავლებელთა გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებული განხილვებიც ადასტურებს. დირექტორი, რომელსაც კარგად ესმის რეფორმის არსი და ხელს უწყობს მის განხორციელებას, უმთავრეს ფუნქციას ასრულებს და ეს საგანმანათლებლო რეფორმის შესახებ არსებულ არაერთ საერთაშორისო ლიტერატურასა და სხვა ქვეყნების პროგრამებშია მითითებული. თუ დირექტორი არ იცნობს ინოვაციას და არ იცის როგორ განხორციელოს იგი, მან შეიძლება მოუქნელად იმოქმედოს სიახლეების დანერგვისას ან შეიძლება შეეწინააღმდეგოს ცვლილებას. ამრიგად, დირექტორებმა მასწავლებელთა მსგავსად უნდა გაიარონ ტრენინგები, მაგრამ ისინი უნდა

11 მაგრამ შეფასების ჯგუფმა დაადგინა, რომ არავითარი კავშირი არ არსებობს სკოლის ბაზაზე პროფესიულ განვითარებაში ჩართულ “მასწავლებელთა ინსტრუქტორებსა” და აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებას შორის.

ჩაერთონ მასწავლებლები შიდა-სამსახურეობრივ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ეფექტურობის ზრდას და თავიდან აგვაცილებს რეფორმის ჩაგრდნას ზოგიერთ სკოლაში. შეიძლება არც თუ ისე ჭკვიანური იყოს დაველოდოთ დირექტორების ფორმალურ ტრენინგებს მანამ, სანამ ახალი დირექტორების არჩევნების ხანგრძლივი პროცესი დასრულდება (როგორც პუნქტ 4-ში იყო აღნიშნული). განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხელიდან ძალიან კარგი შესაძლებლობა გაუშვა, მას შეეძლო ჩაეტარებინა ისეთივე სისტემატური ტრენინგები დირექტორებისთვისაც, როგორც მასწავლებლებს ჩაუტარა. ამ გზით იგი შეძლებდა უკეთესად დახმარებოდა მასწავლებლებს და ასევე მოემზადებინა დროებითი დირექტორები, რომელთაგან ძალიან ბევრი შემდგომში მუდმივი დირექტორი გახდებოდა. საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა აღნიშნეს, რომ დირექტორების ტრენინგები მომავალი წლისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტრენინგები საგანმანათლებლო რესურსცენტრის წევრებმაც უნდა გაიარონ (მათ მასწავლებელთა ზოგიერთ სასწავლო კურსშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა) კვალიფიციურობის ამაღლების და ასევე მასწავლებელთა საჭიროებების შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით.

რაც შეეხება ახლად დაარსებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს, აუცილებელია, მკაფიოდ განისაზღვროს მათი თანამშრომლების ფუნქცია-ვალდებულებები, მასწავლებელთა ტრენინგებში მათი მონაწილეობის წილი (ასევე სხვა პასუხისმგებლობებთან მიმართებაში - იხ. პუნქტი 5). ამ ეტაპზე, მასწავლებლები თვლიან, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრი მხოლოდ დირექტორთან უნდა იყოს პირდაპირ კავშირში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ინფორმაციის მიღების და სკოლებში მიმდინარე პროცესების კონტროლის მიზნით. თუ საგანმანათლებლო რესურსცენტრის პერსონალის ერთ-ერთი როლი მასწავლებლების გადამზადების რეფორმის მხარდაჭერაა, მაშინ რეაბილიტირებული საგანმანათლებლო რესურსცენტრები, რომლებსაც საგანმანათლებლო მასალებისათვის ბიბლიოთეკებისათვის გამოყოფილი ფართი აქვთ, საჭიროებენ უკეთესად აღჭურვას მასწავლებლებისათვის განკუთვნილი წყაროებითა და წიგნებით. ეს ხელს შეუწყობს პროფესიული კავშირების განვითარებას და ურთიერთობის დამყარებას საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და ადგილობრივ მასწავლებლებს შორის, რაც უფრო მეტია ვიდრე ურთიერთობა მხოლოდ დირექტორთა დონეზე.

პრობლემური საკითხი, რომელიც დამატებით კვლევას მოითხოვს, არის ზოგიერთი მასწავლებლისა და მშობლის მიერ იმის მტკიცება, რომ უფროსკლასელები, რომლებიც უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებიან, მხოლოდ უნივერსიტეტში შესასვლელად საჭირო მისაღები გამოცდის ტესტებით მეცადინეობენ. ეს საკითხი პრობლემატურია სხვა ქვეყნებშიც, რომელთაგან ბევრმა საკითხის გადასაწყვეტად უნივერსიტეტის მისაღები გამოცდის ფორმულის ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილად მუდმივი აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელი დააწესა. სასურველია, მომავალში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეს საკითხი განიხილოს.

5.112 ტრენინგები პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში

მასწავლებელთა ტრენინგები პროგრამა „ირმის ნახტომის“ სწავლების სხვა ღონისძიებებისაგან განსხვავებულად არის მოდელირებული. აღნიშნული ფორმატი ეფექტურია იმის გათვალისწინებით, რომ ზრდასრული ადამიანების ტრენინგი მეტად ინტენსიური უნდა იყოს კომპიუტერის გამოყენების სწავლებისა და ამ ცოდნის სხვებისთვის გადაცემისათვის. როგორც დღემდე დადასტურდა, „ირმის ნახტომის“ პროგრამა ადვილად შეთვისებადია და შესაბამისად, წარმატების მეტი შანსი აქვს.

კვლევის ადრეული შედეგები მიგვანიშნებს, რომ პროგრამაში „ირმის ნახტომი“ ჩართულ სკოლებში დღეისთვის მცირე წარმატება უკვე მიღწეულია, ყოველ შემთხვევაში ეს

ნათელია სოფლის სკოლების შედარების მაგალითზე მაინც. მაგრამ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მასწავლებლების მიერ პროფესიული მიზნებისათვის კომპიუტერების გამოყენების საკითხი კვლავაც გაუმჯობესებას საჭიროებს. კვლევა გვიჩვენებს, რომ პროგრამაში „ირმის ნახტომი“ ჩართული სკოლების მასწავლებელთა ტრენინგებმა განაპირობა მასწავლებელთა მიერ კომპიუტერების მოხმარების ზრდა, რაც განსაკუთრებით აშკარაა ქალაქის სკოლებში. მასწავლებლები თავისი ინიციატივით ერთვებიან პროგრამა „ირმის ნახტომის“ ტრენინგებში და მათი შემთხვევითი პრინციპით შერჩევა არ ხდება, ამიტომ გაურკვეველია, მასწავლებლების ინტერესის გაზრდა კომპიუტერისადმი ტრენინგების შედეგია თუ სწავლების კურსის გავლა იმ მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, რომელთაც კომპიუტერთან მუშაობა უკვე იცოდნენ და განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ სწავლებას შედეგი არ აქვს. უფრო მეტიც, მასწავლებელთა უმეტესობა – მათ შორის მასწავლებლები, რომელთაც „ირმის ნახტომის“ მიმდინარე პროგრამის ფარგლებში გაიარეს ტრენინგები, მაინც არასოდეს ან იშვიათად იყენებენ კომპიუტერს, რადგან ეს მათთვის მოსახერხებელი არ არის, არ იციან როგორ გამოიყენონ საინფორმაციო ტექნოლოგიები სასწავლო მიზნებისთვის ან უბრალოდ კომპიუტერის მოხმარების საშუალება არ აქვთ.

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა უმეტესობის აზრით, საჭიროა დამატებითი ტრენინგები, რათა კომპიუტერის მოხმარება უფრო მოსახერხებელი გახდეს მათთვის და ისწავლონ კომპიუტერი პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება. პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგები მიზნად არ ისახავს მასწავლებლების ამჟამინდელი საწყისი დონის გაუმჯობესებას და ამდენად, ვერ დააკმაყოფილებს მასწავლებელთა მოთხოვნას შემდგომი სწავლების შესახებ. პროგრამის მიზანი დამატებით ტრენინგებთან დაკავშირებით არის მასწავლებელთა ცოდნის დონის გაზრდა ისე, რომ მათ შეეძლოთ სკოლის ვებგვერდების შექმნა, წყაროების მოძიება და ა.შ. სწავლება არ არის დაგეგმილი კასკადური მოდელის სახით, რომელიც ალბათ საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხების ჩართვას მოითხოვს. ამდენად, გაურკვეველია პროექტის დასრულების დროისათვის პროგრამის ეს დონისძიებები საკმარისი იქნება თუ არა განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებისთვის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სკოლების სასწავლო პროგრამებში ინტეგრაციისათვის. მაგრამ წარმატება შედარებით მოკრძალებული მიღწევებითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ. „ირმის ნახტომის“ წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მომავალში მათ შეუძლიათ შექმნან დისტანციური სწავლების საშუალებები, რომელიც უფრო ხელმისაწვდომი, მაგრამ ნაკლებად ეფექტური იქნება, ვიდრე პირდაპირ სწავლება. შეზღუდული სახსრების გათვალისწინებით, ეს შეიძლება საუკეთესო გამოსავალი იყოს, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიძლება მოისურვოს ხელი შეუწყოს მასწავლებლებს, სკოლის დონეზე დაიწყონ კომპიუტერის გამოყენების თვითსწავლება, თუ „ირმის ნახტომი“ შეძლებს შექმნას სათანადო დისტანციური სწავლების შესაძლებლობები.

5.12 ახალი სასწავლო გეგმა: დასკვნები და რეკომენდაციები

განხორციელების შუალედური ეტაპზე წარმატების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს მასწავლებელთა და დირექტორთა ზოგადი კმაყოფილება ახალი სასწავლო გეგმის სტრუქტურით, ისევე, როგორც ახალი სახელმძღვანელოებით. კმაყოფილება გაცილებით დიდია ვიდრე ორი წლის წინ, როდესაც ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრმა ჩაატარა კვლევა. მასწავლებლები თვლიან, რომ საშუალო დონეზე არიან მომზადებულნი ახალი საგნების კურსის სწავლებისათვის. ეს შედეგი უფრო მეტია, ვიდრე მცირე რაოდენობა იმ მასწავლებლებისა, რომლებმაც სწავლება გაიარეს არაექსპერიმენტულ სკოლებშიც კი და რომლებიც ნელ-ნელა იწყებენ აქტიური სწავლების მეთოდების სათანადო გამოყენებას.

513 მუდმივი ცვლილების მხარდაჭერის სისტემა: დასკვნები და რეკომენდაციები

სწავლების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით წინასამსახურეობრივი ტრენინგების შეცვლა და უნივერსიტეტის ფაკულტეტის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების ჩართვა ნელი პროცესია, რომელიც ახალ მასწავლებლებს საშუალებას მისცემს სკოლაში მუშაობის დაწყებამდე გაიარონ ტრენინგები ახალ მეთოდებში, რომელსაც მხარს უჭერს კანონი განათლების შესახებ. თუ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ საჭიროა წინასამსახურეობრივი ტრენინგების რეფორმის ტრადიციული მეთოდები, მრავალი წელი იქნება საჭირო იმისათვის, რომ სათანადო ცვლილებებმა შეადგინოს ამ სისტემაში, იმის გათვალისწინებით, რომ რეფორმებს ასუსტებენ მომავალი მასწავლებლები, რომლებიც ინსტიტუტებში ტრადიციულ მეთოდებს სწავლობენ თუ ეცნობიან და ამ ცოდნით იწყებენ მუშაობას სკოლებში. არსებობს ალტერნატივა – რეფორმებში ჩართულმა პირებმა განიხილონ საკითხი და გადაწყვიტონ, როგორ შეიძლება უფრო სწრაფი პროგრესის მიღწევა.

ერთ-ერთი ალტერნატივაა წინასამსახურეობრივი ტრენინგების უზრუნველყოფის ნაკლებად ტრადიციული მოდელის დამკვიდრება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიოს ძველ მოდელს. მასწავლებლებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ანალოგიურად, შესაძლებელია უნივერსიტეტებმა სპეციალური სწავლებისათვის მოიწვიონ იგივე ტიპის არასამთავრობო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების კერძო პროვაიდერები. ხარისხის უზრუნველყოფა კვლავაც ბოლონის პროცესის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ საკითხს უნდა აკონტროლებდნენ პირები, რომელთაც სათანადო აკადემიური სწავლება აქვთ გავლილი თეორიული კომპონენტების ცოდნის გაღრმავების სფეროში. მაგრამ შესაძლებელია ბოლონის მოთხოვნების დაკმაყოფილება ისე, რომ არ დაველოდოთ ყველა სწავლებაგავლილი პირის მიერ სწავლების კურსის გავლას მესამე საფეხურის დონეზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეუძლია სხვა განვითარებულ ქვეყნებთან, მაგალითად, ბალკანეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად განიხილოს საკითხი, თუ როგორ დააჩქაროს ეს პროცესი.

514 შეფასება. დასკვნები და რეკომენდაციები

შეფასების მეთოდების შეცვლის ამბიციური გეგმები დასაფასებელია და როგორც ჩანს, შეფასების სისტემის შეცვლას სათანადო მიზეზები გააჩნია. შეფასების სისტემის ახალი განმავითარებელი შეფასების მიზნების შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ ყველასათვის გასაგები არ არის და აშკარაა, რომ ბევრ მასწავლებელს ესაჭიროება ტრენინგები იმის შესახებ, თუ როგორ შეადგინოს და გამოიყენოს შეფასების ახალი სისტემა. ბოლო დროს განხორციელებულ რეფორმაში ყურადღება ამ საკითხზე გაამახვილეს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ დამატებითი ხარჯები და ძალისხმევა, რომელიც უფრო ხშირ და ინტენსიურ წერილობითი ინფორმაციით უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული.

ასევე გამოვლინდა, რომ მასწავლებლები, მშობლები და დირექტორები 10-ქულიანი შეფასების სისტემას ჯერ კიდევ კარგად ვერ შეეჩვივნენ და მათთვის არც თუ ისე მოსახერხებელია ახალი სისტემის გამოყენება განმავითარებელი შეფასებისათვის. ეს გასაგებია, რადგან განმავითარებელი შეფასების პრინციპი სისტემაში სრულიად ახალია და ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ტრენინგები არ ყოფილა ფართომასშტაბიანი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ტრენინგები ზოგიერთ შემთხვევაში მაინც კონკრეტულად რომელიმე თემით უნდა შემოიფარგლებოდეს. მათი აზრით, ტრენინგების დროს წარმოდგენილი უნდა იყოს მაგალითები, თუ როგორ შეიძლება ქალაქის სკოლების მაღალკონტიგენტიან კლასებში ამ ტიპის შეფასების გამოყენება. პრობლემა ის არის, რომ მასწავლებლებმა, სათანადო ტრენინგის არარსებობის გამო, შესაძლოა ქულების შკალა შეზღუდონ და ტრადიციული

სტილით გამოიყენონ, რითაც შეამცირებენ ამ სისტემის, როგორც განმავითარებელი შეფასების საშუალების ღირებულებას.

შეფასების კუთხით ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურული საკითხია - უნდა დაინერგოს თუ არა ცვლილებები მანამ, სანამ განმავითარებელ შეფასებასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგები დასრულდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა შეიძლება იმ პრობლემებს დაუბრუნდეს, რომლის დასაძლევადაც ახალი შეფასების სისტემა შეიქმნა - ნიშნების ინფლაცია და შეფასების სისტემის შემჭიდროვება მცირე რაოდენობამდე. პრობლემის შექმნის საშიშროება პოტენციურად არსებობს, რამდენადაც საერთაშორისო კვლევაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეფასების სისტემის მომხმარებლებს უჭირთ განსხვავება გააკეთონ შვილის ზემოთ ქულებს შორის.

შეფასების ჯგუფი ასევე დარწმუნებულია, რომ შეფასებასთან დაკავშირებული სასწავლო მასალები, ისევე როგორც რეფორმის ფარგლებში ჩატარებული სხვა ტრენინგები საკმარისი არაა ასეთი რთული რეფორმის მხარდასაჭერად. შეფასების გუნდის განცხადებით იგი ამ და მსგავს შეფასებებს შეზღუდული ბიუჯეტის ბალანსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე აკეთებს და გადაწყვეტს, თუ რა მასალების შესყიდვაა საჭირო.

5.15 სკოლის ფიზიკური გარემო. დასკვნები და რეკომენდაციები

რეფორმამდელი უწყურადღებობის გამო, საქართველოს სკოლებში სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებით ბევრი მატერიალური პრობლემა არსებობს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მსოფლიო ბანკმა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ძალიან ბევრი გააკეთა შენობების სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. თუმცა, ფიზიკური ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი, სახურავიდან დაწყებული, სათანადო საკანალიზაციო სისტემის ჩათვლით. ასევე მოსაწესრიგებელია წყლის სისტემა, სანიტარული კვანძები და სააბაზანო მოწყობილობები. ელექტროენერჯის მოწოდების სტაბილურობის თვალსაზრისით მდგომარეობა გარკვეულწილად გაუმჯობესდა, მაგრამ დიდი სკოლების თითქმის ნახევარში არ მომხდარა საკლასო ოთახებში განათების რეგულირება. ინფრასტრუქტურის აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვერ დაეყრდნობა მხოლოდ მუდმივ სპონტანურ კონსოლიდაციასა თუ საგანგებო სიტუაციაში მსოფლიო ბანკის მიერ რამდენიმე ძირითადი სკოლის შეკეთებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს დაგეგმილი რეაბილიტაციის პროგრამას საგანგებო მდგომარეობაში მყოფი სხვა 1000 სკოლისათვის.

არაერთ ქვეყანაში ბიბლიოთეკები სკოლებში სასწავლო პროგრამების ბირთვს წარმოადგენს. სკოლების დიდ რაოდენობას აქვს ბიბლიოთეკა ან სპეციალურად გამოყოფილი ოთახი, რომელიც მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსებით არის აღჭურვილი, თუმცა შედარებით პატარა სკოლებში ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი ოთახები ძალიან პატარა ან არასათანადოდ მოწყობილია და არ ჰგავს ნამდვილი ბიბლიოთეკას. ბევრი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკის რესურსები არ არის მაღალი ხარისხის. მათი უმეტესობა სასკოლო ბიბლიოთეკების პროგრამას უფრო მაღალ შეფასებას აძლევს. რეკომენდირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მსოფლიო ბანკისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ბიბლიოთეკების დაარსებისა და გაუმჯობესების გაგრძელება, რამდენადაც ბიბლიოთეკა ყველა სკოლაში ის ადგილია, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ იმეცადინონ და მოიძიონ სხვადასხვა წყარო. სკოლებში, სადაც დიდი ფართი არსებობს, უნდა გაითვალისწინონ დამატებითი დიდი საკლასო ოთახის მოწყობა ბიბლიოთეკის სახით. ხოლო სკოლებში, სადაც ფართი შეზღუდულია, შეიძლება მოეწიოს თანამგზავრული ბიბლიოთეკები ან მცირე სასწავლო ცენტრები, რომელიც შეიძლება საერთო იყოს რამდენიმე ახლომდებარე სკოლისათვის. საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს შეუძლია კონსულტაციისათვის დაიქირავოს რეგიონალური ან საერთაშორისო კონსულტანტები, რომლებიც რეკომენდაციებს შეიმუშავენ აღნიშნული საკითხის შესახებ. შეიძლება უფროსკლასელებს დაევალოთ სასწავლო ცენტრების ან ბიბლიოთეკის კონტროლი, რაც ხარჯებს შეამცირებს (თუ ამ ფუნქციის მასწავლებლებისათვის დაკისრება შეუძლებელია) და ასევე ხელს შეუწყობს სწავლაზე პასუხისმგებლობის გაზრდას – ეს კი ქვეყნის უმთავრესი მიზანია. ბიბლიოთეკაში საკმარისი ფართი უნდა იყოს, რათა მოსწავლეებმა ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებად შეძლონ მუშაობა პროექტებზე ან უბრალოდ გამოიყენონ ის საკითხავ დარბაზად. უნდა გაითვალისწინოთ ასევე დიდი კომპიუტერული ლაბორატორების კომბინირება ბიბლიოთეკებთან, რაც უზრუნველყოფს კომპიუტერების გამოყენებას პრიორიტეტის მიხედვით და მოსწავლეთა მიერ მის, როგორც ინტელექტუალური კვლევის საშუალების აღქმას. თავად სკოლებს შეუძლიათ მშობლების, საზოგადოების წევრების და სხვადასხვა კომპანიისაგან მასალების სახით მიიღონ შემოწირულობა ბიბლიოთეკებისათვის და ზოგადად დამატებითი სასკოლო მასალებისათვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან ეროვნულ ცენტრებს შეუძლიათ განიხილონ საკითხი, თუ როგორ მოიძიონ საერთაშორისო დონორები, რომლებიც ინგლისურ ან სხვა ენაზე არსებული მასალებით მაინც დაეხმარებიან სკოლებს.

ბიბლიოთეკების არსებობას არანაირი სარგებელი არ ექნება, თუ მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის მასალები მუდმივად ხელმისაწვდომი არ არის. ჩვეულებრივ, მრავალ ქვეყანაში სკოლის ადმინისტრაცია ახალი რესურსების გამოყენების შეზღუდვით ცდილობს დაიცვას ისინი დაზიანების ან დაკარგვისაგან. ამიტომ, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის მასალები ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის თანამშრომლებმა, ალბათ უფრო საგანმანათლებლო რესურსცენტრების საშუალებით, სკოლის ადმინისტრაციას უნდა განუმარტონ, რომ ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკის რესურსები იოლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკის გასაღები ან ბიბლიოთეკა მუდმივად ღია უნდა იყოს სამუშაო საათებში.

ამჟამად მსოფლიო ბანკი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩართული არიან სპეციალური ფიზიკური ინფრასტრუქტურის საკითხებში მოსწავლეებისათვის ახალი მერხების უზრუნველყოფის მიზნით. რეკომენდებულია ამ მრავალწლიანი გეგმის გაგრძელება ყველა მოსწავლისათვის სათანადო მერხისა და ავეჯის უზრუნველსაყოფად. თუმცა ეს საკითხი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს. ილია ჭავჭავაძის პროგრამის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაინტერესებული არიან სათანადო სტანდარტების მიზნებითა და განვითარებით. შეფასების ჯგუფის რეკომენდაციის მიხედვით კარგი იქნებოდა მსოფლიო ბანკის სხვა ოფისებთან დაკავშირება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განვითარებული სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. ასევე, მოსწავლეებისათვის საჭიროა სათანადო განათება. რეკომენდირებულია ამ საკითხის მოგვარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საკლასო ოთახებში სათანადო სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით. რაც შეეხება სპორტულ დარბაზებს, შესწავლილი სკოლების ნახევარზე მეტს აქვს სპორტული დარბაზისათვის საჭირო აღჭურვილობა, მაგრამ მათგან თითქმის ნახევარი საკმარისად არ არის აღჭურვილი ან სათანადოდ ვერ იყენებს არსებულ აღჭურვილობას. სოფლის სკოლების ნახევარზე მეტს არ აქვს სპორტული დარბაზი. რამდენადაც საქართველოს უმეტეს ნაწილში ამინდის გამო ძალიან რთულია ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების შენობის გარეთ ჩატარება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შემდგომ სამუშაოებში უნდა გაითვალისწინოს სპორტული დარბაზების სარემონტო სამუშაოები ყველა სკოლისათვის, რაც მოსწავლეებს მთელი წლის განმავლობაში მისცემს ფიზიკური ვარჯიშის საშუალებას. გარდა ამისა, მაღალმთიან რეგიონებში აღინიშნება დასწრების პრობლემა, რაც ამინდით ან სატრანსპორტო საშუალებების არარსებობით არის გამოწვეული. ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

სპორტი სასწავლო გეგმების ერთ-ერთი დამატებითი აქტივობაა, რომელიც ხელს უწყობს

მოსწავლეებში გუნდური მუშაობისა და აქტიური სწავლების პრინციპის განვითარებას. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სკოლების მხოლოდ ნახევარი სთავაზობს მოსწავლეებს სასწავლო პროგრამების გარდა დამატებით აქტივობებს სპორტის სახით. სპორტული აქტივობები უფრო მეტად ქალაქის სკოლებშია გავრცელებული, მაგრამ აქ აქტივობაში მონაწილეობა ფასიანია, რაც გამორიცხავს ზოგიერთი მოსწავლის მონაწილეობას უსახსრობის გამო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყოს სასკოლო საბჭოების მიერ სხვადასხვა კლასგარეშე საქმიანობის გაფართოვებას, რაც გუნდურ მუშაობას და აქტიურ სწავლას უფრო ინტენსიურს გახდის. კლასგარეშე აქტივობა მოიცავს საერთაშორისო ლიტერატურას, რაც მოსწავლეებისათვის საუკეთესო და წამახალისებელი საშუალებაა სწავლისა თუ ღონისძიებებს შემოქმედებითად ჩამოაყალიბებისა და ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც აფინანსებენ მასწავლებლები ან მშობლები და რომელიც დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. ზოგიერთ სკოლაში, განსაკუთრებით ქალაქის სკოლებში, მოსწავლეებისათვის კლასგარეშე აქტივობები სავალდებულოა და იგი მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებას, თუმცა, ამავე დროს ახდენს ფინანსურად გაჭირვებული მოსწავლეების დისკრიმინაციას. კლასგარეშე აქტივობები შეძლებისდაგვარად უფასო უნდა იყოს მოსწავლეებისათვის, ან შეზღუდული ფინანსური რესურსების მქონე მოსწავლეებს უნდა დაენიშნოთ სტიპენდიები.

კიდევ ერთი, კლასგარეშე აქტივობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხია მოსწავლეების კერძო მეცადინეობა. კერძო მეცადინეობის პრაქტიკა საგრძნობლად შემცირდა წინა წლებთან შედარებით. ეს არის პრაქტიკა, რომელიც არსებითად ბარიერს ქმნის ფინანსურად გაჭირვებული მოსწავლეებისათვის და რომელმაც შეიძლება განაპირობოს ინტერესთა კონფლიქტი (თუ მასწავლებელი საკუთარი კლასის მოსწავლეს კერძოდ ამეცადინებს). კერძო მეცადინეობაზე დახარჯული საშუალო წლიური ხარჯები, რეგიონის მიხედვით მერყეობს 250-დან 1000 ლარამდე. ეს კი სწავლის თანაბარი შესაძლებლობებს უზღუდავს ფინანსურად გაჭირვებული ოჯახების ბავშვებს, რადგანაც განათლების ხარისხი უფასო სკოლებში საკმარისი არაა. კერძო მეცადინეობის პრაქტიკა მასწავლებლებისათვის შემოსავლის პოტენციური წყაროა, მაგრამ როგორც სერტიფიკაციის პროცესის ნაწილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სტრუქტურული დამაბრკოლებელი მექანიზმები, რომელიც მასწავლებლებს საკუთარი მოსწავლეების კერძო მეცადინეობის სტიმულს შეუმცირებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ასევე უნდა გაითვალისწინოს ისეთი სათანადო სტრუქტურული სიფრთხილის ზომების მოთხოვნა, როგორც არის პედაგოგთა კოლექტივის კონტროლი ლიცენზირების, დაწესებული თანხისა და მომსახურების პირობების სტანდარტიზების გზით.

რაც შეეხება ახალ სახელმძღვანელოებს, მოსწავლეებისათვის ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და მიწოდების არაჩვეულებრივმა და დიდმა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო. ამაჟამად მასწავლებლები უფრო დადებითად აფასებენ ახალი სახელმძღვანელოების ხარისხს, ვიდრე წინა კვლევის დროს. ასევე ირკვევა, რომ მასწავლებლები იყენებენ ახალ სახელმძღვანელოებს. მოსწავლეები და მასწავლებლები ახალ სახელმძღვანელოებს მოითხოვენ უფრო ეფექტურად სწავლის შესაძლებლობის შექმნის მიზნით. მასწავლებლების განცხადებით, კლასების დაახლოებით მეოთხედში მოსწავლეების მნიშვნელოვან რაოდენობას ახალი სახელმძღვანელო არ აქვს ან სხვა მოსწავლეთა საზიაროდ აქვს შექმნილი, რასაც ნაწილობრივ გამოკვლევაც ადასტურებს. ყველა მოსწავლისათვის ახალი სახელმძღვანელოს მიწოდების მრავალწლიანი გეგმა პრიორიტეტულია და სასურველი იქნება, თუ მოლაპარაკებების შემდეგ, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ორი თვით ადრე მიმწოდებელი სამუშაო ვარიანტის სახით მაინც მოახერხებს ერთ მასწავლებელზე სულ მცირე ერთი ეგზემპლარის მიწოდებას.

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ზოგიერთი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელოებში შეტანილი ახალი მასალები ძალიან რთულია მათი მოსწავლეების. ეს მოსაზრება გამოკითხვის შედეგად გარკვეულწილად დადასტურდა. მიუხედავად ამისა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენლის სახით შეიძლება

აიყვანოს მასწავლებლები სხვადასხვა სფეროში რამდენიმე ჯგუფის შესაქმნელად, რომელიც განსაზღვრავს რამდენად შეესაბამება სიმართლეს აღნიშნული განცხადება. საჭიროების შემთხვევაში საკითხის გადახედვა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შესაძლოა განიხილოს საკითხი და მასწავლებლები ჩართოს მასალების შემუშავებაში. აქცენტი გაკეთდება განსაკუთრებით სწავლების ამა თუ იმ ეტაპზე მოსწავლეთა დონეზე. თუ ბევრი მოსწავლე აღმოჩნდება სწავლების შესაბამის ეტაპზე სწავლების დონის ქვემოთ, მასწავლებელს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი, თუ როგორ ასწავლონ ასეთ მოსწავლეებს თანაბარ დონეზე. რადგანაც დამტკიცებული სახელმძღვანელოები არ არის ერთადერთი ალტერნატივა და შეფასების ჯგუფმა დაადგინა, რომ კონკურენცია იზრდება, ეროვნული სასწავლო პროგრამებისა და შეფასების ცენტრს შეუძლია შექმნას ვებგვერდი, სადაც მასწავლებლები და დირექტორები აზრს გამოთქვამენ დამტკიცებული სახელმძღვანელოების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და წვლილს შეიტანენ შემდგომ რედაქტირებაში.

რაც შეეხება მასწავლებელთა გზამკვლევებს, მასწავლებლების აზრით ახალი გზამკვლევები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს მასწავლებელთა მომზადებას ახალი სასწავლო პროგრამით სწავლებაში. თუმცა, მასწავლებელთა დაახლოებით მეოთხედი მიიჩნევს, რომ უმჯობესია ჰქონდეთ გაკვეთილის გეგმის უფრო მეტი მაგალითი. დაახლოებით 40% აცხადებს, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო არ აქვს ახალი გზამკვლევი. სკოლებმა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყონ სწავლისა და სწავლების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეთა ყოველ ახალ სახელმძღვანელოსთან ერთად ყველა მასწავლებლისათვის სახელმძღვანელოს მიწოდება. მასწავლებელთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს დამატებითი გამოცემების სახით ან სკოლამ უნდა შეისყიდოს ისინი მასწავლებლებისათვის.

დამატებითი სასწავლო მასალები კრიტიკული მნიშვნელობისაა აქტიური სწავლებისა და სწავლისათვის. დამატებითი მასალების საკითხი პრობლემურია მრავალი, განსაკუთრებით კი დაწყებითი კლასის მასწავლებლებისათვის, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არ აქვთ სათანადო რესურსები ან სათანადოდ არ ხდება მათი უზრუნველყოფა მიუხედავად ბიუჯეტში გათვალისწინებული გეგმისა. ეს პრობლემა მარტო საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი და იგი განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში გვხვდება რეფორმის განხორციელების დროს. სკოლის საბჭოებს და საგნობრივ ფაკულტეტებს სწავლების კურსების განმავლობაში უნდა მიუთითონ, რომ ამ საკითხს პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭონ დამატებითი სახსრების არსებობის შემთხვევაში. მომავალში, საგანმანათლებლო რესურსცენტრები ალბათ ბიუჯეტის დაგეგმვისას ამ საკითხს დირექტორებთან ერთად გადაწყვეტენ. სკოლის ბიუჯეტის პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრაში მასწავლებლებიც უნდა ჩაერთონ, რათა მასალებისათვის გათვალისწინებული სახსრები სხვა მიზნებისთვის არ გაიხარჯოს. საგანმანათლებლო რესურსცენტრებს შეუძლიათ ეს პრინციპი გამოიყენონ სამეურვეო საბჭოებთან მუშაობის დროს, რამდენადაც სამეურვეო საბჭოების ფუნქციაში შედის კონტროლის განხორციელება სკოლაზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა შეიძლება ასევე სხვა ქვეყნების მაგალითზე გააფართოვონ ის სამუშაო, რომელსაც “მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი” არსებული რესურსების გამოყენების შესახებ ატარებდა ტრენინგების ფარგლებში. პოსტკომუნისტური ქვეყნების უმეტესობას არ სურს აფრიკასა და აზიაში შექმნილი რესურსების მაგალითის გამოყენება, მაგრამ ამ ღონისძიებების კრეატიულობა და ზოგჯერ თავისთავად შექმნილი რესურსები შეიძლება გამოიყენოთ მოდელის სახით.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) განვითარების გამოცდილების საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდი ასეთი რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა.

სასკოლო რეფორმებს შორის პროგრამა „ირმის ნახტომი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატებაა. სკოლების კომპიუტერთა და ინტერნეტით უზრუნველყოფა უმეტეს ქვეყნებში

გარანტირებული არ არის და არც თანაბარზომიერად ხორციელდება. სკოლებში პროგრამა „ირმის ნახტომის“ განხორციელების შედეგად გაიზარდა კოეფიციენტი - მოსწავლე/კომპიუტერი, კომპიუტერის ხარისხი, ინტერნეტის მოხმარების დონე და კომპიუტერის ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისათვის გაკვეთილების დროს და მის შემდეგ. მიუხედავად ამისა, კომპიუტერისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ბევრ სკოლაში კვლავაც შეზღუდულია. ამ მხრივ ქალაქის სკოლებში მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის სკოლებში. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელია სკოლებში, რომლებიც ჯერ არ არიან ჩართული პროგრამა „ირმის ნახტომში“. მაღალკონტიგენტიანი სკოლები და ქალაქის სკოლები უფრო მეტად უზრუნველყოფენ მოსწავლეებს კომპიუტერებით გაკვეთილების შემდეგ, რაც კლასგარეშე აქტივობის სახით ხდება. თუმცა, კომპიუტერის გამოყენების საშუალო მაჩვენებელი ერთ მოსწავლეზე დღეში ორ საათს ჯერ კიდევ არ აღემატება. მასწავლებლებისათვის კომპიუტერის ხელმისაწვდომობა კვლავაც შეზღუდულია, მაგრამ მაჩვენებელი უფრო მაღალია „ირმის ნახტომის“ პროგრამაში ჩართული სკოლებისათვის. მოსწავლეებისათვის კომპიუტერების ნაკლებობა, ინტერნეტის არარსებობა ან დაბალი სიჩქარე - კიდევ ერთი დაბრკოლებაა იმისათვის, რომ მასწავლებლებმა კომპიუტერი სწავლებისას გამოიყენონ. ერთ-ერთი პოტენციური პრობლემა კი ის გახლავთ, რომ ამჟამად მხოლოდ რამდენიმე სოფლის სკოლას აქვს საკმარისი ბიუჯეტი კომპიუტერების ტექნიკური მომსახურებისათვის, თუმცა შეიძლება ეს შეიცვალოს პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში კომპიუტერიზაციის შემდგომი გავრცელების შედეგად. გეგმის მიხედვით, კომპიუტერების და ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფამ ყველა სკოლისათვის პრიორიტეტული საკითხის სტატუსი უნდა შეინარჩუნოს. მოსწავლეების მიერ კომპიუტერების უფრო ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მიდგომის თანახმად უნდა მოეწეოს ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეთა მცირე ჯგუფები მიიღებენ კომპიუტერზე შესასრულებელ დავალებებს. უნდა დაევალოთ ასევე ინფორმაციის მოძიება, გარდა ამისა, უნდა მოხდეს აქტიური სწავლების სხვა მიდგომების გამოყენებაც. სკოლების ნახევარზე მეტი კვლავაც აქცენტს აკეთებს ინფორმაციის გაკვეთილებზე, სადაც ისწავლება პროგრამირების ძირითადი უნარ-ჩვევები (ინფორმატიკა ან ბეჭდვა კლავიატურის გამოყენებით) და არა კურსებზე, რომელთა ფარგლებშიც ყურადღებას გაამახვილებდნენ ახალ მეთოდებზე. ამ მიდგომის შეცვლა განიხილება როგორც „ირმის ნახტომის“ მომავალი გეგმების ერთ-ერთი ელემენტი და პოტენციური პროექტი მასწავლებლებისათვის, რომელთაც უფრო გაუმჯობესებული, ინტერნეტტექნოლოგიის ტრენინგი აქვთ გავლილი.

მასწავლებლები, რომელთაც პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში გავლილი აქვთ ტრენინგი, უფრო მოხერხებულად გრძნობენ თავს კომპიუტერთან, უფრო ხშირად იყენებენ მას და სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერებისგანაც უფრო ხშირად იღებენ დახმარებას; თუმცა სწავლებაგავლილ მასწავლებელთა უმეტესობა მაინც აღნიშნავს, რომ ესაჭიროება დამატებითი ტრენინგი. კომპიუტერების არსებობის მიუხედავად, „ირმის ნახტომის“ სასწავლო პროგრამის შეზღუდულობის გამო და იქიდან გამომდინარე, რომ იგი გათვლილია მხოლოდ ტექნიკური უნარ-ჩვევების დაბალი დონის მქონე მასწავლებლებზე, ძალიან ბევრმა მასწავლებელმა – მათაც კი, ვისაც გავლილი აქვს ტრენინგი პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში – კარგად არ იციან, როგორ გამოიყენონ ტექნოლოგია საგნის სწავლებისათვის ან თავდაჯერებულნი არ არიან საინფორმაციო ტექნოლოგიების საკუთარ ცოდნაში. სკოლების თითქმის ნახევარში მასწავლებლები საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერისგან მნიშვნელოვან დახმარებას ვერ იღებენ.

სკოლები, რომლებიც კომპიუტერის მოხმარებაზე გადავიდნენ, მიიჩნევენ, რომ კომპიუტერების გამოყენებისთვის უმნიშვნელოვანესია ორი სახის დახმარება:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის მიერ საქმის სათანადო ცოდნა – კომპიუტერთან მუშაობისას ხშირია დაბრკოლებები, რომლის გადაჭრა ძალიან ადვილად შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერს.
2. კომპიუტერის ტექნიკური მომსახურებისათვის შესაბამისი ბიუჯეტი – კომპიუტერების

ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა კომპიუტერული პროგრამები, ტექნიკური აღჭურვილობა და ა.შ. ეს პრობლემა ყველა სკოლისათვის აქტუალურია (სოფლის სკოლებში აცხადებენ, რომ მათ კომპიუტერების ტექნიკური მომსახურებისათვის სათანადო ბიუჯეტი არ გააჩნით).

დამატებით დაგეგმილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსები პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში, რომელიც მასწავლებლების შეზღუდულ რაოდენობაზე გათვლილი, სავარაუდოდ ვერ დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას. როგორც შეფასების ჯგუფისთვის გახდა ცნობილი, „ირმის ნახტომის“ მიმდინარე ციკლის დასრულების შემდეგ განიხილება ნაკლებად ძვირადღირებული, სავარაუდოდ ნაკლებად ეფექტური დისტანციური სწავლების მეთოდების საკითხი. თუ შესაძლებელი იქნება სკოლის პერსონალს ამ პერიოდის განმავლობაში საშუალება მიეცემა პროგრამა „ირმის ნახტომის“ დახმარებით მიიღოს რჩევა, მოაწიოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი საკუთარი სემინარები კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში. სემინარებზე მასწავლებლები გაეცნობიან დისტანციური სწავლის ვარიანტებს. მასწავლებლებმა ასევე უნდა იცოდნენ, როგორ დაეხმარონ ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი არ ჰყავთ. ეს მათთვის კომპიუტერთან მუშაობას უფრო მოსახერხებელს გახდის.

52 მართვა და ფინანსები ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები

რამდენადაც მართვასა და ფინანსებთან დაკავშირებული რეფორმატორული ინიციატივები სულ ახლახანს განხორციელდა, მოსალოდნელი იყო, რომ ზოგიერთი რეფორმატორული ღონისძიების სრული ეფექტი შეფასების ჯგუფისათვის ჯერ თვალსაჩინო არ იქნებოდა. როგორც შეფასების ჯგუფის მიერ ჩატარებულმა რაოდენობრივმა და თვისობრივმა ანალიზმა აჩვენა, მართვისა და ფინანსების რეფორმის ზოგიერთი შედეგი უკვე აშკარა გაუმჯობესებაზე მიუთითებს. მიღწევების დონე სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვაა. ზოგიერთ შემთხვევაში რეფორმის გავლენა საერთოდ არ ჩანს და მრავალი პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

მიდგომასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით გამოვლენილი პროგრესი და მიღწევებია:

- დაინტერესებული მხარეების ღია დამოკიდებულება სკოლის ავტონომიის მიმართ;
- დირექტორებისა და მასწავლებლების დადებითი დამოკიდებულება დირექტორის არჩევნებისადმი;

- ყველა სკოლაში სამეურვეო საბჭოს წარმატებული დაარსება ფორმალური სახით;
- ზოგიერთ სკოლაში სამეურვეო საბჭოს აშკარა აქტიურობა და სკოლის საქმიანობაში ჩართვა;

- მშობლების უფრო მეტად ჩართვა სკოლის საქმიანობაში;
- ზოგიერთ სკოლაში განკუთვნილი სასკოლო ბიუჯეტის მართვის შესაძლებლობა;
- დირექტორებისა და მასწავლებლების დადებითი დამოკიდებულება საგანმანათლებლო რესურსცენტრებისადმი და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა სერიოზული მოტივაცია;

ფინანსურ და რესურსების საკითხებთან დაკავშირებით პროგრესი და მიღწევები:

- გაუჩერული დაფინანსების სისტემის მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონების სკოლების ფინანსურ მდგომარეობაზე;

- მაღალკონტიგენტიანი და საშუალო ზომის სკოლების ფინანსური მდგომარეობის ზომიერი გაუმჯობესება;

- გაუჩერული დაფინანსების ეფექტური მოქმედება დროული ანაზღაურებით;
- მასწავლებლების ხელფასების სამართლიანი განაწილება;

- კონსოლიდირებულ სკოლებში მოსწავლე/ადმინისტრაციული თანამშრომელის კოეფიციენტის გაუმჯობესება;
- სკოლების მოვლისათვის საჭირო რესურსების გამოყოფის გაუმჯობესების დაწესება;
- სკოლის საბჭოში მრავალი მოქალაქის მონაწილეობის შედეგად ქართულ საზოგადოებაში დემოკრატიული მონაწილეობის გააზრება;

შესაძლებლობა და ინფორმაციასთან დაკავშირებით გამოვლენილი მთავარი პრობლემები:

- არჩეული დირექტორებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლების ინტენსიური სწავლების კრიტიკული საჭიროება;
- სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის სწავლების შესაძლებლობების უკმარისობა;
- სკოლის ადმინისტრატორებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების არასათანადო ინფორმირებულობა ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადანაწილების შესახებ;
- ზოგიერთ სკოლაში სამეურვეო საბჭოს ნაკლები აქტიურობა, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებში;
- ზოგიერთ სკოლაში ინფორმაციის გაზიარების დაბალი დონე და გადაწყვეტილების მიღება არადემოკრატიული პრინციპით;
- დირექტორების არჩევნების სისტემის უარყოფით შედეგებთან დაკავშირებული პრობლემები;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლების ტრენინგების სიმცირე;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრების ფუნქციისა და პასუხისმგებლობის ბუნდოვანი განსაზღვრა;
- ოპტიმიზაციის მიზნები და კრიტერიუმები შემდგომ ახსნა-განმარტებებს საჭიროებს;

რესურსებსა და ფინანსებთან დაკავშირებით გამოვლენილი მთავარი პრობლემები:

- არასაკმარისი შრომითი, ფიზიკური და ფინანსური რესურსები საგანმანათლებლო რესურსცენტრებში;
- მკაცრად შეზღუდული ფინანსური მდგომარეობა პატარა სკოლებში, განსაკუთრებით კი იმ სკოლებში, რომლებიც მცირე სასკოლო სუბსიდიებს იღებენ;
- გარე დაფინანსების წყაროების მოძიების შესაძლებლობის გამოუყენებლობა, განსაკუთრებით სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონის სკოლებში;
- მასწავლებლების ხელფასების გაუმჯობესებული, მაგრამ ჯერაც არასახარბიელო დონე;
- კონსოლიდაციის წყალობით სწავლების რესურსების მართვის მცირე გაუმჯობესება;
- ოპტიმიზაციის შედეგად მიღებული დიდი მოცულობის კლასების პოტენციურად უარყოფითი გავლენა მოსწავლეების აკადემიურ აქტიურობაზე;
- მოსწავლეების დასწრების პრობლემა ტრანსპორტირების სირთულის გამო, რაც უფრო მწვავედ იგრძნობა ოპტიმიზირებულ სკოლებში;

დაკვირვებამ აჩვენა, რომ სკოლები სრულად არ იყენებენ გარე დაფინანსების წყაროების მოძიების შესაძლებლობებს. გარე დაფინანსების წყაროების საშუალებით მათ შეუძლიათ მიიღონ დამატებითი შემოსავალი, რომელსაც სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად გამოიყენებენ. ამდენად, ძალიან კარგი იქნება თუ სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ თანამშრომლებსა და სამეურვეო საბჭოებს ეცოდინებათ დაფინანსების მოპოვების საშუალებები,

პროექტების წერა, კონტროლი და შეფასება. შეიძლება სკოლებისათვის სასარგებლო იყოს თანამშრომლობა და ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. შესაძლებელია საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა სკოლებთან ერთად იმუშაონ ოფიციალური რეგიონალური ქსელის დასაარსებლად, რომლის საშუალებითაც ერთმანეთს გაუზიარებენ ამა თუ იმ წარმატებულ პრაქტიკას და გამოყენებულ მეთოდებს. რეგიონალური მოდელების როლი შეიძლება საუკეთესოდ მოქმედმა სკოლებმაც შეასრულონ დამატებითი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით.

სკოლების წინაშე მომავალ სასკოლო აკრედიტაციასთან დაკავშირებით 2009 - 2011 წლისათვის არა ერთი პრობლემა დადგება. დღემდე დამოუკიდებელი მმართველი ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია და არსებობს ინტენსიური და სპეციფიკური ტრენინგების აუცილებლობა. ტრენინგები კარგად დაგეგმილი და მომზადებული სტრატეგიის საფუძველზე უნდა ჩატარდეს, რათა სკოლის აკრედიტაციის პროცედურების მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ეს საგანმანათლებლო რესურსცენტრების ფუნქციონირების კიდევ ერთი სფეროა. სავარაუდოდ 2008-2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ცალკე გამოკვლევა უნდა ჩაატაროს და დაადგინოს აკრედიტაციისათვის დადგენილი ვადები რეალისტურია თუ არა აღნიშნული სისუსტეების გათვალისწინებით.

ვაუჩერული დაფინანსების სისტემა საკმაოდ მოქნილი და ეფექტური აღმოჩნდა უმეტეს შემთხვევაში. კვლევამ დაადასტურა, რომ აღნიშნული სისტემის წყალობით არა ერთი სკოლის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სკოლების დონე შედარებით მიუახლოვდა ერთმანეთს. მაგრამ სკოლების მოცულობის თვალსაზრისით, ვაუჩერული დაფინანსების სისტემამ ნაკლებად დადებითი გავლენა იქონია მცირე ზომის სკოლებზე, ხოლო სკოლებზე, რომლებიც მცირე სასკოლო სუბსიდიებს იღებენ, გავლენა კიდევ უფრო შეზღუდული იყო. აღნიშნულ სკოლებს თითქმის არ აქვს შესაძლებლობა, რომ მასწავლებლების ხელფასების გარდა სხვა დამატებითი ხარჯები გაიღოს საკუთარი ბიუჯეტიდან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ მცირე სასკოლო სუბსიდიებს სთავაზობენ. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა და მცირეკონტიგენტის სკოლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იყოს იმ ელემენტის გათვალისწინება, რომელიც მცირეკონტიგენტის სკოლებისათვის ვაუჩერული დაფინანსების გამოთვლის ერთ-ერთი კრიტერიუმია. მცირეკონტიგენტის სკოლების ფინანსური სირთულეების განმაპირობებელი დამატებითი ძირითადი ფაქტორების დასადგენად შეიძლება საჭირო იყოს დამატებითი კვლევა, რაც ხელს შეუწყობს ვაუჩერული დაფინანსების რაოდენობის გამოთვლის კრიტერიუმის შემუშავებას. ვაუჩერული დაფინანსების ფორმულა ასევე უნდა გაუმჯობესდეს განსაკუთრებული პრობლემების მქონე ბავშვებისათვის დაფინანსების განსხვავებული დონის დაწესების მიზნით, რამდენადაც ასეთი ბავშვების განათლება უფრო დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ გზით ობიექტურობა შეიძლება უკეთესად იყოს უზრუნველყოფილი.

არსებობს ფაქტები, როცა სკოლის კონსოლიდაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსწავლეების დასწრებაზე ტრანსპორტირების პრობლემების გამო და ასევე მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე, კლასების სიდიდის ზრდის გამო. სკოლის კონსოლიდაციის სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტებში აქცენტი კეთდება ძირითადად სკოლების ფინანსურ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე, ასევე მათი მართვის ეფექტიანობაზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განიხილოს ეს საკითხი და დიდი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა რეგისტრაციისა და სწავლის საკითხებს. კონსოლიდირებულ სკოლებში, რომელთაც სასკოლო ავტობუსები ემსახურებათ, დასწრება ნაკლებად პრობლემურია. ამდენად, კარგი იქნება თუ პრიორიტეტს მივანიჭებთ კონსოლიდირებული სკოლების (რომელთაც ჯერ არ მიუღიათ ავტობუსები) უზრუნველყოფას ავტობუსებით. გარდა ამისა, დიდი და საშუალო სკოლების ერთ სკოლად გაერთიანების საკითხი დიდი ყურადღებით უნდა შევისწავლოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ზედმეტად დიდი კლასების შექმნა და უარყოფითი გავლენა მოსწავლეების აკადემიურ აქტივობაზე. ზედმეტად დიდი ზომის სკოლები საერთაშორისო

პრობლემაა მოსწავლეების, პერსონალის და ადმინისტრაციის გაზრდილი რაოდენობის უკუფეხების გამო. ერთ-ერთი ასეთი უკუფეხებია სკოლის სიდიდის მატებასთან ერთად ინდივიდუალურობის კლება, სწავლის მიტოვების შემთხვევების მანევრების მატება,¹² გაზრდილი ხარჯები და ბევრი სხვა უარყოფითი შედეგი, რომელიც საზოგადოებრივი კონტროლის შემცირებას მოყვება.

ამრიგად, არსებულ მაღალკონტიგენტიან სკოლებში სკოლის ზომის შემცირებისადმი ერთ-ერთი პრინციპის მიხედვით უნდა მოხდეს დეცენტრალიზაცია „სკოლა - სკოლაში“, რომელსაც ასევე მცირე სასწავლო საზოგადოებასაც უწოდებენ. ამ მოდელის თანახმად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მაგალითმა გვიჩვენა, სკოლის სასწავლო საზოგადოებას (SLC) უნდა მართავდეს დირექტორის თანაშემწის, მოსწავლეთა დამხმარე პერსონალის, მაგალითად კონსულტანტისა და ფსიქოლოგის, და ადმინისტრაციული თანამშრომლებისაგან შემდგარი ადმინისტრაციული ჯგუფი. დირექტორი კი მთლიან სკოლას, ზოგად სფეროებს, უსაფრთხოებისა და საერთო საკითხებს უნდა არეგულირებდეს. ყოველი სასკოლო სასწავლო საზოგადოება, ჩვეულებრივ, ავტონომიური ერთეულია, რომელიც საკუთარ პროგრამას, პერსონალს, მოსწავლეებსა და ბიუჯეტს უწევს ორგანიზებას. ხშირ შემთხვევაში, სასკოლო სასწავლო საზოგადოების დირექტორი ანგარიშვალდებულია პირდაპირ სამინისტროს წინაშე. ეს მექანიზმი შეიძლება მოდელის სახით გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ნელა განვითარებადი პერსონალი ჯგუფური მუშაობის პრინციპით ამოქმედდეს, რაც სწავლების ეფექტურობას უზრუნველყოფს.¹³ ზოგიერთ თვალსაჩინოებაში მოსწავლეთა გუნდი უბრალოდ ერთად არის დაჯგუფებული მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ნაწილი დიდ სკოლებში რჩება. მცირე სკოლების უპირატესობა ყველაზე კარგად ჩანს იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო სასწავლო საზოგადოება ქმნის საკუთარ იდენტობასა და კულტურას.¹⁴

რაც შეეხება კონსოლიდაციის საკითხს საქართველოში ერთ-ერთი პრინციპი შეიძლება იყოს კრიტერიუმის დადგენა კონსოლიდაციისათვის, რომლის მიხედვითაც გადაწყდება სკოლას ფიქსირებული რაოდენობის მოსწავლეები უნდა ჰყავდეს მასწავლებლების კოეფიციენტის მიხედვით, თუ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში (თუ სკოლების ფიზიკური კონსოლიდაცია ხორციელდება „სკოლა-სკოლაში“ პრინციპის გარეშე, მაშინ ეს იქნება ადმინისტრაციული ერთეული). ამ ზღვარს ზემოთ უნდა მოხდეს კონსოლიდაციის საკითხის განხილვა სკოლის სამოქმედო გეგმის განსახდურის მიზნით, რათა თავიდან ავიცილოთ ის უარყოფითი შედეგები, რაც მოსწავლეების აკადემიურ აქტივობაზე აისახება. სკოლებმა, რომლებიც ერთიანდებიან სწავლის ხარისხის შენარჩუნების მიზნით, შეუძლიათ წარმოადგინონ გაერთიანების შიდა გეგმა, წამოაყენონ წინადადებები მინი-სკოლების, სასწავლო საზოგადოებების, დანაწევრების, წესდებების, ან „სკოლა-სკოლაში“ პრინციპის შესახებ. საერთაშორისო ლიტერატურის მიხედვით, ერთ ადმინისტრაციულ ერთეულზე მთელი სიდიდის დადგენა შეიძლება სრულიად შესაბამისი კრიტერიუმი იყოს.

დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობის მოსახრებით განსხვავებული პოზიცია, რომელიც საგანმანათლებლო რესურსცენტრებს უჭირავთ ტექნიკური დახმარების და არა მართვის თვალსაზრისით, ძალიან მოსახერხებელი და მართებულია ინფორმაციისა და მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით. თითქმის ყველა სახის ინფორმაცია, მომსახურება და ტრენინგები, რომელიც სკოლებისათვის ხორციელდება ან იგეგმება, საგანმანათლებლო რესურსცენტრების

12 ამერიკის საშუალო ზომის სკოლაში, სადაც 2000 მოსწავლე სწავლობს, სწავლის მიტოვების დონე ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე სკოლაში, სადაც 600 მოსწავლე სწავლობს.

13 უფრო მცირე ზომის სკოლების მიღწევების შესახებ და კონკრეტულად ამ მიდგომის შესახებ დაწერილებითი ინფორმაციისათვის იხ. მაგალითად, „დიუსი“ (1999), „მოდელი სკოლა -სკოლაში“, საინფორმაციო საგანმანათლებლო ცენტრის კრებული. <http://www.ericdigests.org/2000-4/school.htm> (08 - 3007). სხვა მრავალ კონკრეტულ წყაროთა შორის არის: ჯორჯი და ლონსბერი, (2000), „როგორ უნდა იგრძნონ დიდმა სკოლებმა თავი პატარა სკოლებად“; და ფრენჩი, ატკინსონი და რუგენი (2007) “მცირე ზომის სკოლების შექმნა: სახელმძღვანელო თანახმობისა და მიღწევებისათვის”.

14 როგორც „დიუსის“ მიმოხილვაშია აღნიშნული (იგივე) “წარმატებისათვის ყველაზე კრიტიკული ფაქტორია პროგრამის სრულად განხორციელება, ადმინისტრაციული დაყოფა ქვე-სკოლებად და ცალკე ერთეულების შექმნა (მაკაბი და ოქსლი, 1989; მაკმულანი, საიპი და ვულფი, 1994; რაიფი, 1996; ციტირებული “დიუსიში”).

პასუხისმგებლობა პირდაპირი ტექნიკური კოორდინაციის თვალსაზრისით. დაგეგმილი მომსახურება მოიცავს მოვალეობების ფართო სპექტრს, როგორც არის ინფორმაციის მიწოდება სკოლებისათვის, მონაცემების შეგროვება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების ცენტრისთვის მათი მიწოდება, სასკოლო გრანტის მონიტორინგი, სკოლების, მასწავლებლების, დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოების რეგიონალური და ეროვნული ქსელების დახმარება, სკოლის ადმინისტრაციულ და საბუღალტრო საქმეებში დახმარება, დირექტორის არჩევნებთან დაკავშირებით სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის ტრენინგების ჩატარება, დირექტორების სწავლებისა და მასწავლებლების პროფესიული განვითარების სწავლების ორგანიზება, რეაგირება სპეციალურ მოთხოვნებზე.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელებთან ფოკუს-ჯგუფების განხილვებში და კვლევის ძირითადი ინფორმაციისგან, ასევე ცხადი გახდა, რომ მიუხედავად განახლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებისა, საგანმანათლებლო რესურსცენტრები შრომითი, ფიზიკური და ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდიან. ამდენად, საჭიროა საგანმანათლებლო რესურსცენტრების და მისი თანამშრომლების შესაძლებლობების გაზრდა, როგორც ეს ხშირად აღინიშნება ფოკუს-ჯგუფის განხილვებში. საკმარისი ყურადღება უნდა მიექცეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობას ან არარსებობას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საგანმანათლებლო რესურსცენტრების კვალიფიციურ მუშაობას. გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ დაინტერესებულ მხარეთა დიდ ნაწილს იმედი აქვს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები ძალიან ბევრი მოვალეობის შესრულებას შეძლებენ მათი მოცულობისა და რესურსების გათვალისწინებით. უნდა გატარდეს ღონისძიებები იმისათვის, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს პრიორიტეტები სხვადასხვა მოვალეობასა და პასუხისმგებლობას შორის, რომელიც საგანმანათლებლო რესურსცენტრებს აკისრიათ. გათვალისწინებულ უნდა იყოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების პერსონალის გაფართოვების შესაძლებლობა გაზრდილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. გარდა ამისა, ყველა დაინტერესებული მხარისათვის ნათელი უნდა იყოს რა პასუხისმგებლობები ეკისრება საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის საბიუჯეტო ავტონომიისა და მოქნილობის მინიჭება შეიძლება სასარგებლო იყოს მათი ეფექტიანი ფინანსური მართვისთვის. სკოლის დეცენტრალიზებული და დამოუკიდებელი მართვის მოდელი შეიძლება გამოყენებული იყოს ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის. მათ შეუძლიათ სკოლებთან კავშირის უფრო აქტიური მოდელები გამოიყენონ. ოფისებში დირექტორებთან შეხვედრების ორგანიზების ნაცვლად საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა უნდა მოაწიონ სკოლების დათვალიერება და რეგიონალური შეხვედრები მასწავლებლებთან, დირექტორებთან და სამეურვეო საბჭოებთან. ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება რეალური შესაძლებლობის ფარგლებში ცენტრებსა და არა მარტო დირექტორებს, არამედ მასწავლებელთა შორის კომუნიკაცია.

5.21 მართვა და ფინანსები. დასკვნები და რეკომენდაციები სამეურვეო საბჭოსა და დირექტორების ტრენინგების შესახებ

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ აშკარაა ინტენსიური სატრენინგო კურსების აუცილებლობა მთავარი დაინტერესებული მხარეებისათვის – დირექტორებისა და სკოლის ადმინისტრატორებისათვის, სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებისათვის, რაც რეფორმის პირველ ეტაპზე განხორციელებული ახალი ინსტიტუციონალური მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებას განაპირობებს. მოკლე პერიოდში დაინტერესებულმა მხარეებმა რამდენჯერმე გაუსვეს ხაზი, რომ საჭიროა სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს დაუყოვნებლივი მომზადება სკოლის მართვაში მათი როლისა და უფლებამოსილების, ასევე სასკოლო პროცედურების

გასაცნობიერებლად. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლების მიერ გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა მუდმივად გამოიწვევს მომავალი არჩევნების შედეგად თანამშრომელთა გადაადგილებას, მნიშვნელოვანია ხანგრძლივი ინსტიტუციონალური მექანიზმის დაწესება სრული და ხანგრძლივი წინასამსახურეობრივი და შიდასამსახურეობრივი ტრენინგების უზრუნველსაყოფად სამეურვეო საბჭოს წევრების და დირექტორების, მათ შორის დირექტორობის კანდიდატებისათვის. წინამდებარე ქვეპუნქტში განხილულია სწორედ ეს და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

გამოკვლევის შედეგების და სკოლის საბჭოების შესახებ არსებული საერთაშორისო ლიტერატურის მიხედვით აშკარაა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ახლადშექმნილ დაახლოებით 2300 სკოლის საბჭოს ესაჭიროება საკუთარი ფუნქციების განვითარება. ნებისმიერ ახალ, განსაკუთრებით კი ისეთ კომპლექსურ ორგანიზაციას, როგორც ადგილობრივი სკოლის საბჭოა, ესაჭიროება ტრენინგი და საკუთარი მისიის, მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების გააზრება საქმიანობის ეფექტურად და ყაირათიანად შესრულებისათვის, ასევე დაბნეულობისა და ზედმეტი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

ამრიგად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ შედარებით რთული ამოცანას თავი რომ გაართვას, უნდა განიხილოს საკითხი – როგორ განვითარდა სხვა ქვეყნებში სკოლის საბჭოს სისტემებისა და სკოლის საბჭოს ორგანიზაციების მოდელები. მაგალითად, ბოლო ხანებში მაკედონიაში ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვითაც მოხდა ყველა სკოლის დეცენტრალიზაცია ერთ ოლქში, რამაც ცხრაწევრიანი სკოლის საბჭოების შექმნა განაპირობა. მალევე გაირკვა, რომ საჭირო იყო დირექტორებისათვის ჩაატრებულიყო სასწავლო კურსი არა მხოლოდ საბჭოს წევრების როლის, არამედ საბჭოს პოლიტიკისა და პროცედურების განვითარების შესახებ, ასევე დირექტორების, სკოლების მისიისა და მოქმედების თანმიმდევრობის განვითარების შესახებ. ასოციაციამ ასევე შექმნა ბერკეტი სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან უფრო ეფექტური მუშაობისთვის. კვალიფიკაციის ასამაღლებელი და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმილი მეთოდი დაზუსტებული არ იყო, მაგრამ გადაწყვეტილი იყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მას ჩაატარებდნენ ახალი ასოციაციის გადაწყვეტილებების მიხედვით.

სხვადასხვა ქვეყანაში (აშშ-ში შესაბამისი მოდელი შტატების დონეზეა) მრავალი სკოლის საბჭომ შექმნა სახელმძღვანელოები პროცედურების შესახებ. ეს სახელმძღვანელოები კვალიფიკაციის ასამაღლებელი ხანგრძლივი კურსებისათვის შეგვიძლია მოდელად გამოვიყენოთ. შესაძლებელია გაერთიანებული სამეფოს მაგალითის გამოყენება სკოლის საბჭოების ტრენინგებთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც ამ ქვეყანაში სამეურვეო საბჭოების სწავლების მრავალწლიანი პრაქტიკა არსებობს. გარდა სწავლების ტრადიციული დიდაქტიკური მეთოდებისა, არსებობს სკოლის საბჭოების დახმარების სხვა მეთოდებიც. ეს მეთოდები ემყარება აქტიური სწავლების პრინციპებს, რასაც უპირატესობას ანიჭებს სამინისტრო. მაგალითად, აშშ-ს ალაბამას სკოლაში, საბჭოს ასოციაციამ დაიქირავა კონსულტანტი, რომელმაც სკოლას დაუწერა იმიტაციური მოდელი საბჭოს წარმომადგენლებისათვის. ამ მოდელის გამოყენებით საბჭოს წევრებს შეუძლია ისწავლონ, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში როგორ გაართვან თავი სხვადასხვა ფუნქციასა და პრობლემებს. სწავლებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საკითხია ქვეკომიტეტების შექმნა საკითხების შესწავლის და საბჭოსათვის რეკომენდაციების უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, ბევრ საბჭოს დაწესებული აქვს კრებები, რომელზეც მხოლოდ საგანმანათლებლო ინფორმაცია და იდეები განიხილება, რაც ხელს უწყობს საბჭოს წევრების მიერ მათთვის უცნობი საკითხების უკეთესად შესწავლას.

უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლის დირექტორები კვალიფიციურ ადამიანებად არ იბადებიან, ისინი კვალიფიკაციას იძენენ. იმისათვის, რომ კვალიფიკაცია შეიძინოს, რთულ თანამდებობასა და როლის ეფექტურად მოერგოს, დირექტორს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები სჭირდებათ. კვლავაც, მაკედონიის მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. მაკედონიაშიც

არსებობდა მსგავსი პრობლემა, როდესაც ყველა სკოლა დამოუკიდებელ საოლქო სკოლად გარდაიქმნა. დირექტორები შეჩვეულნი იყვნენ სწავლების ტრადიციულ დიდაქტიკურ მეთოდებს და სკოლის მართვის ავტორიტარულ მიდგომას. განათლების მინისტრმა დააწესა მოთხოვნა, რომ ყველა დირექტორს უნდა ჰქონოდა აკადემიური ხარისხი განათლების სფეროში და გაგლილი უნდა ჰქონოდა სლოვენის პროფესორთა და ინსტრუქტორთა მიერ შექმნილი ექვსმოდულიანი პროგრამა. სწავლება ჩატარდა არა მხოლოდ მოქმედ დირექტორებს, როგორც ეს საქართველოშია დაგეგმილი, არამედ სხვა კვალიფიციურ პირებსაც, რომლებსაც დირექტორობაზე ჰქონდათ პრეტენზია.

ამგვარად, მაკედონიამ უზრუნველყო ახალი კადრების შექმნა, რომელიც მუდმივად დაიკავებდა თანამდებობას. ეს, როგორც შეფასების ჯგუფისთვის გახდა ცნობილი, საქართველოში არსებული სისტემის ერთ-ერთი პრობლემაა. მაკედონიის განათლების მინისტრმა გადაწყვიტა „თავისუფალი ბაზრის“ მიდგომა აერჩია დირექტორთა მომავალი სასწავლო კურსების ან უწყვეტი პროფესიული განვითარებისადმი. ამ მიზნით სწავლების ჩატარება მან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს მიანდო. ეს მიდგომა სხვა ქვეყნებმაც გამოიყენეს.

აღნიშნული მოდელის ნაკლოვანება ის არის, რომ იგი სწავლებისათვის სტანდარტების დაწესებას მოითხოვს და არ უზრუნველყოფს დირექტორებისა და საბჭოების მუდმივი პროფესიული განვითარების გაერთიანებას. ფაქტიურად, გარკვეულმა სამეურვეო საბჭოებმა შეფასების ჯგუფს მოახსენეს, რომ დირექტორები საბჭოებს ხშირად უპირისპირდებოდნენ, რადგან, მათი აზრით, საბჭოს უფლებამოსილება „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებულ სწავლებას ემყარებოდა და ოფიციალურ პოლიტიკას არ წარმოადგენდა. დირექტორთა სწავლების სლოვენიური მოდელი განსხვავებული მოდელია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეუძლია გამოსცადოს იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს ქვეყნებში, მთავრობის მიერ სანქცირებულ ერთ პროვაიდერს შეუძლია საუკეთესოდ დააკმაყოფილოს დირექტორებისა და საბჭოების (და სავარაუდოდ საგანმანათლებლო რესურსცენტრის ზოგიერთი თანამშრომლის) სწავლების საჭიროებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

შეფასების ჯგუფისათვის ცნობილი გახდა, რომ დირექტორის წინასამსახურობრივი სწავლება შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს პროფესიული ხარისხის ან სერტიფიკაციის, როგორც მართვის ხარისხის ნაწილის, საშუალებით. შეფასების ჯგუფს სწავლებისათვის განსაზღვრული პროგრამები არ შეუსწავლია, მაგრამ აღნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნების უმეტესობასა და ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შტატში სკოლის დირექტორებისათვის წინა-სამსახურობრივ ალტერნატივებს შორის უპირატეს მოდელს წარმოადგენს პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ მონაწილეს მაგისტრის ხარისხი ენიჭება.

5.3 რეკომენდაციები დამატებითი კვლევისთვის

5.3.1 დამატებითი კვლევის სფეროები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მნიშვნელოვნად წარმატებული ნაბიჯები გადადგა ზოგადი განათლების სისტემის გამართულად მუშაობის ჩამოყალიბების საქმეში, კერძოდ კი, სასწავლო გარემოსა და სწავლის პროცესის შედეგების გაუმჯობესების, სისტემის მენეჯმენტისა და დაფინანსების საკითხებში. ვინაიდან სამინისტროს ინიციატივების უმეტესობა, რომელთა შეფასება მოხდა წინამდებარე კვლევის ფარგლებში, სულ ახლახანს განხორციელდა, შესაძლოა გატარებული რეფორმების ხელშესახები შედეგები რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ უფრო კარგად გამოჩნდეს. ამდენად, წინამდებარე კვლევას საწყისი შეფასების სტატუსი შეიძლება მიენიჭოს განხორციელებული პროექტების ზოგიერთ ნაწილში. მსგავსი ტიპის კვლევის ჩატარება ორ-სამ წელიწადში და მისი შედეგების შედარება

წინამდებარე კვლევასთან მიმდინარე პროექტების პროგრესისა და ნაკლოვანი მხარეების უკეთესი შეფასების საშუალებას მოგვცემს. კერძოდ კი, კვლევის გამოვლენა რეკომენდებულია სკოლების მენეჯმენტის მნიშვნელოვან სფეროებში: საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესაძლებლობები და მუშაობა, სკოლების მიერ ბიუჯეტის მართვა, სამეურვეო საბჭოების და სკოლის დირექტორების მუშაობის ეფექტურობა და ყაირათიანობა. ასევე, დადებითი და უარყოფითი მხარეების რეგულარული გამოვლენის მიზნით უნდა გაგრძელდეს სასწავლო გეგმების პილოტირების და დანერგვის რეგულარული შეფასება, იმავე პრინციპებით, რა პრინციპითაც ამჟამად ასეთ კვლევებს ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. წინამდებარე ნაწილში განხილულია კვლევის პოტენციური სფეროები რაიმე თანმიმდევრობის მითითების გარეშე.

ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო, რომელიც მიმდინარე კვლევის ფარგლებში ვერ დაიფარა დროის სიმცირის გამო, არის ეროვნულ უმცირესობათა რეგიონებში და კონფლიქტის ზონებში არსებული სკოლების მდგომარეობის შესწავლა. ევროკავშირში გაერთიანება ბევრი ქვეყნისთვის დღემდე დამოკიდებული იყო უმცირესობათა ჯგუფებისთვის განათლების მიღების თანასწორი შესაძლებლობების შექმნაზე. არაოფიციალური ინფორმაციის, ასევე მეორეხარისხოვანი კვლევის, მსოფლიო ბანკი და სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ეს საკითხი დღეისთვის გადაჭრილი არ არის. რეკომენდებულია სპეციალური კვლევის ჩატარება უმცირესობათა სკოლებში, რომელიც შეისწავლის რეფორმების მიმდინარეობას, კერძოდ კი, სკოლის მენეჯმენტის და დაფინანსების პრაქტიკას, ფიზიკურ და სასწავლო გარემოს, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობას და ტრანსპორტირების საკითხებს. შესაძლებელია წინამდებარე კვლევის მოდელის სახით გამოყენება, რაც გააიოლებს და ეკონომიურს გახდის ამ პრიორიტეტული საკითხების შესწავლას.

დამატებითი კვლევის კიდევ ერთი ეკონომიური ფორმა იქნება სამინისტროს მიერ წინამდებარე კვლევის შევსება საკლასო დაკვირვებების და სხვა სახის დამატებითი მონაცემების მოგროვების გზით. ამგვარად შესაძლებელი იქნება უფრო დეტალური კითხვების დასმა და მეტი ნიუანსის გარკვევა.

ვინაიდან, ამ ეტაპზე სკოლების კონსოლიდაცია ჯერ კიდევ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, მოსალოდნელია დამატებითი პრობლემების წარმოშობა მოსწავლეების ტრანსპორტირებასა და მაღალკონტიგენტიანი კლასების შექმნასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა პრობლემებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს სასწავლო გარემოზე და გააბათილოს სკოლების კონსოლიდაციის დადებითი მხარეები. ამიტომაც, რეკომენდებულია უმოკლეს ვადებში დამატებითი კვლევის ჩატარება, რომელიც შეაფასებს სკოლების კონსოლიდაციის პოტენციურ დადებით და უარყოფით შედეგებს და რომლის შედეგადაც დადგინდება უფრო მკაფიო, მხარეებისთვის მისაღები და ამავე დროს დადებით შედეგზე ორიენტირებული კონსოლიდაციის კრიტერიუმები.

წინამდებარე შეფასების ფარგლებში რაოდენობრივ კვლევაში ჩართული იყვნენ მხოლოდ მასწავლებლები და დირექტორები. სკოლების სამეურვეო საბჭოს ფოკუს-ჯგუფებში ასევე მონაწილეობდნენ ის მშობლები, რომლებიც არიან საბჭოს წევრები. მოსწავლეებში შესაძლებელია ჩატარდეს დამატებითი კვლევა, რომელიც ორიენტირებული იქნება სწავლების ახალ მეთოდებზე და ახალ სასწავლო გეგმებზე. მოსწავლეთა გამოკითხვა სხვა საკითხების შეფასების კარგი საშუალებაც იქნება, მაგალითად, მოსწავლეების მიერ კომპიუტერების გამოყენება, საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართულობა სასწავლო პროცესში, კერძო რეპეტიტორთან სწავლის პრაქტიკა და მასშტაბები და ეროვნული გამოცდების ადექვატურობა. მცირე მოდიფიკაციების შემდეგ მოსწავლეების გამოკითხვაში ასევე შეიძლება გამოვიყენოთ მასწავლებლების მიმართ დასმული შეკითხვები აქტიური სწავლების მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მწვავე საკითხი, რომელიც ამ შეფასების ფარგლებში მხოლოდ ზედაპირულად იყო განხილული, არის კერძო გაკვეთილების პრაქტიკა. რეკომენდებულია კვლევის დაგეგმვა, რომლის მიზანიც იქნება მოსწავლეების კერძო მეცადინეობის პრაქტიკის

შემცირების შესაძლებლობების გარკვევა განსაკუთრებით მაღალ კლასებში, სადაც მოსწავლეები მხოლოდ ტესტების ჩაბარების მიზნით სწავლობენ. ასევე საინტერესო იქნება მშობლების გამოკითხვა რიგი პრობლემური საკითხების გარშემო. ეს საკითხები შეიძლება იყოს აქტიური სწავლების მიმართ დამოკიდებულება, მოსწავლეების დასწრება, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა, კომუნიკაცია სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი სერიოზულ შესწავლას და შესაბამისად კვლევისთვის დიდ დროს და სპექტრს მოითხოვს.

ვინაიდან სკოლებში უკვე დაინერგა საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებები, ამჯერად უკვე მნიშვნელოვანია სისტემის მდგრადობის შენარჩუნება. როგორც უკვე აღინიშნა, ყველა მმართველობითი დანაყოფი საჭიროებს დაუყოვნებლივ ტრენინგებს. შეფასების დროს გამოიკვეთა ტრენინგების ზოგიერთი სფერო, თუმცა აუცილებელია გახორციელდეს საჭიროებათა დეტალური მოკვლევა, განსაკუთრებით კი სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის. საჭიროებათა მოკვლევა მნიშვნელოვანია იმისდა მიუხედავად, გეგმავს თუ არა სამინისტრო ეროვნული საბჭოების ასოციაციის ჩამოყალიბებას, რადგან ამ გზით შესაძლებელი იქნება ტრენინგისთვის აუცილებელი სფეროების გამოვლენა.

სკოლებს და მასწავლებლებს შორის აქტიური კავშირები უმნიშვნელოვანესია სწავლების და სწავლის წარმატებული პრაქტიკის დასანერგად. სკოლებს და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა ასევე მნიშვნელოვანია სკოლის მენეჯმენტის თვალსაზრისით. ზოგიერთ სკოლაში მკვიდრდება წარმატებული მაგალითები, რომლებსაც კარგი იქნება თუ სხვა სკოლებიც გაეცნობიან. საინტერესო იქნება კვლევის ჩატარება სკოლებისა და მასწავლებლების თანამშრომლობის სფეროებისა და თანამშრომლობისთვის ხელსაყრელი გეოგრაფიული რეგიონების დადგენის მიზნით. თუკი ამ კვლევას გარკვეული თანხა დაეთმობა, შესაძლებელი იქნება კვლევის შედეგად იმ სკოლების გამოვლენაც, რომლებიც რაიონში წარმატებული მოდელის როლს ითამაშებენ კონკრეტულ სფეროებში.

კვლევის ფარგლებში ერთ-ერთი დამაფიქრებელი ფაქტორი, რომლის დამატებითი შესწავლაც რეკომენდებულია, არის ის, რომ მასწავლებელთა 40%-ის თანახმად მათ არ მიუღიათ ახალი სახელმძღვანელოები, მაშინ როცა მათ კლასებში ისინი უკვე დარიგებული იყო. მომდევნო კვლევა მცირე მასშტაბის თვისობრივი კვლევა შეიძლება იყოს.

შესაძლოა საჭირო გახდეს სკოლების ფიზიკური გარემოს დამატებითი შესწავლა. მართალია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში გროვდება მონაცემები სკოლებში არსებულ მატერიალური ბაზის შესახებ, მაგრამ მაინც არსებობს რიგი საკითხებისა, როგორცაა მაგალითად სანიტარული კვანძების მდგომარეობა, საკლასო ოთახებში არსებული ავეჯის შესაბამისობა მოსწავლეების ასაკობრივ ჯგუფთან, განათების ადეკვატურობა, გაკვეთილის ხანგრძლივობა სკოლები გათბობისა და ელექტროენერჯის უქონლობა, რომელთა უფრო დრმა შესწავლა აუცილებელია.

კვლევის პოტენციური სფეროა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების შესწავლა. აღნიშნული სფერო არ შედიოდა შეფასების ამ პროექტის ვალდებულებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესწავლისას დიდი დრო დაეთმო ცენტრებს, სკოლებსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებს შორის ურთიერთობის განხილვას. ვინაიდან განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ეფექტური და ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საკითხში, მხარეები ფიქრობენ, რომ უმჯობესია ამ ეტაპზე იქნას შესწავლილი სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები ისევე, როგორც საფრთხეები და შესაძლებლობები მომავალი საქმიანობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო ბანკის მიერ გაწეული ძალისხმევა – შეიქმნას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების ხარისხიანი სისტემა – შესაძლოა გაბათილდეს, თუ ახლავე არ მოხდება პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა. ამასთანავე, გამოვლინდა, რომ განათლების პოლიტიკის სფეროში სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად საკმარისი მონაცემები

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში არ მოიპოვება სტანდარტიზებული და ხელმისაწვდომი სახით. შესაძლებელია დამატებითი კვლევის ჩატარება მონაცემთა შეგროვების და შენახვის საჭიროებების პრიორიტეტულ სფეროებზე. ამისათვის აუცილებელი არ იქნება ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება, თუმცა მონაცემების წარმომადგენლობითი უნდა იყოს.

ამჟამად, ადგილობრივი მმართველობის როლი სკოლების მენეჯმენტში მინიმუმამდეა დაყვანილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლების ბიუჯეტის ხარჯვის ყაირათიანობა და გამჭირვალობა და თავიდან ავიცილოთ თანხების არასწორი განკარგვა ადგილობრივი მმართველობის მოხელეების მიერ. აღნიშნული ცვლილება იყო სამინისტროს მყარი გადაწყვეტილება მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი სკოლების მართვაში მინიმალურია, მაინც შესაძლებელია სკოლების სასარგებლოდ მათი ჩართვა რაიმე ფორმით განათლების სისტემაში. სამინისტროს შეუძლია განახორციელოს კვლევარათა განისაზღვროს ადგილობრივი მმართველობისთვის განათლების სისტემაში ჩართვის სფეროები. რეკომენდებულია სკოლისა და ადგილობრივი მმართველობების თანამშრომლების საკითხებში საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და მათი გაზიარება. ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელი არ იქნება ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება.

გარდა ამისა, დირექტორების არჩევნების სისტემის კვლევასთან ერთად, სამინისტროს შეუძლია გამოიკვლიოს ადგილობრივი თემის წარმომადგენლებსა და დირექტორებს შორის კავშირების არსებობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. წინამდებარე კვლევის თანახმად აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ ფართოდ გაგრცვლებულ პრობლემად სახელდებოდა. ადგილობრივი კავშირების მეშვეობით დირექტორებს მეტი ფონდების მოზიდვა შეუძლიათ. შეფასების ჯგუფმა მოისმინა რამდენიმე კონკრეტული მაგალითი ასეთი ფაქტებისა. შეფასება განხორციელდა დირექტორების პირველი არჩევნების პარალელურად, რომლის მთავარი ძლიერი და უარყოფითი მხარეები განხილულია კვლევის შესაბამის თავში. რეკომენდებულია ამ საკითხის დამატებითი და უფრო სისტემური შესწავლა დირექტორების არჩევნების ახალი სისტემის ადეკვატურობის შესაფასებლად და სისტემის გაუმჯობესების გზების განსაზღვრად. სავარაუდოდ, აღნიშნული კვლევა დიდ ხარჯებთან არ იქნება დაკავშირებული.

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ზოგიერთი მასწავლებელი ფიქრობს, რომ ახალ სახელმძღვანელოებში შეტანილი მასალა რთულია მათი მოსწავლეებისთვის. თუმცა ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა გამოკითხვის შედეგად. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს შეუძლია შეარჩიოს სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების წარმომადგენელი მასწავლებლები და ჩაატაროს მცირემასშტაბიანი ფოკუს-ჯგუფები ამ საკითხის გასარკვევად.

ასევე აშკარაა გრძელვადიანი კვლევის საჭიროება. აუცილებელი იქნება შეფასდეს სწავლების ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგები (როგორცაა აქტიური სწავლება). შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება იმ მასწავლებლების დასარწმუნებლად, რომლებიც მოითხოვენ არგუმენტებს და კვლევის შედეგების მეთოდის გამოყენებამდე. კვლევის მეთოდოლოგია იქნება იმ კლასების და მასწავლებლების წარმომადგენლობითი რაოდენობის შერჩევა, რომლებიც იყენებენ ახალ მეთოდებს (საქართველოს მაგალითზე აქტიური სწავლების მეთოდები). ამ კვლევის შედეგად გამოვლინდება ობიექტური მეცნიერული ფაქტები საქართველოს მაგალითზე, რაც დაარწმუნებს ამ მეთოდების მიმართ სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებს მის უპირატესობებში ძველ მეთოდებთან შედარებით.

ასევე, როცა სრულყოფილად ჩამოყალიბდება ახალი სასწავლო გეგმები და დაიწყება მათი გამოყენება, სამინისტრომ და სკოლებმა უნდა განსაზღვრონ მათი ეფექტურობა. საქართველოს შემთხვევაში, ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასებაც ამავე პრინციპით უნდა მოხდეს. განათლების სფეროს მკვლევარები თვლიან, რომ რობერტ სტეიკის შეფასების მოდელი

კარგად შეესაბამება ამერიკის სხვადასხვა შტატის სასწავლო პროგრამების შეფასების მიზნებს. ცხადია, შეფასების სხვა მოდელებსაც წარმატებულად იყენებენ სხვადასხვა საგნის სასწავლო პროგრამის შესაფასებლად. მართალია, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი უკვე ახორციელებს მსგავს კვლევებს, შეფასების ჯგუფმა ვერ დაადგინა აღნიშნული კვლევები მიზნად ისახავს თუ არა სასწავლო გეგმის შემდგომ გადახედვას და ცვლილებების შეტანას. თუ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს ჯერ არ დაუბეგმავს სასწავლო გეგმების გადახედვა და განახლება უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს პროცედურები აუცილებელია.

სერტიფიკაცია მასწავლებლების კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის გაუმჯობესების გზაა და ამერიკის ყველა შტატში და სხვა მრავალ ქვეყანაში გამოიყენება. ეს სისტემა აწესებს იმ მინიმალურ კრიტერიუმებს მათთვის, ვისაც სურს მასწავლებლის პროფესიით დასაქმება. ვინაიდან, საქართველოში იგეგმება სერტიფიკაციის პროგრამის დანერგვა, რეკომენდებულია, რომ სამინისტრომ გარკვეული დროის შემდეგ ჩამოაყალიბოს კვლევის პროექტი ამ ინიციატივის განხორციელების შესაფასებლად.

მეთოდოლოგიური რჩევის სახით აღვნიშნავთ, რომ მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტების და უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ისევე როგორც სკოლების და მათი ადმინისტრაციების შესწავლა შესაძლებელია მცირეებუჯეტიანი კვლევით. უნივერსიტეტებს და განათლების პროფილის ორგანიზაციებს შეუძლიათ კვლევის სახით დახმარება გაუწიონ სამინისტროს. რეკომენდებულია, რომ სამინისტრომ შეკრიბოს თანამშრომლები ამ ინსტიტუტებიდან და განსაზღვროს კვლევის ის სფეროები, რომლებითაც სამინისტრო იქნება დაინტერესებული.

შეფასების ჯგუფს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი და პროგრამა „ირმის ნახტომი“ გეგმავს საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო გეგმებში. თუმცა, შეფასების ჯგუფი ფიქრობს, რომ ამ ინიციატივის განხორციელებისთვის ყველა პირობა ჯერ არ არსებობს, განსაკუთრებით თუ მასწავლებლების კომპიუტერთან მუშაობის ცოდნას გავითვალისწინებთ. მომავალში რეკომენდებულია ამ ინიციატივის შედეგების შეფასება.

5.32. დამატებითი მონაცემების საჭიროება

აუცილებელია სკოლების დანახარჯების და შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოგროვება გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. ასეთი გზით ინფორმაციის მოგროვება გამორიცხავს კორუფციას და ზრდის ანგარიშვალდებულებებს როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე. ასევე, სასარგებლო იქნება სკოლების ფინანსური სტატუსის შესწავლა, სკოლების ტიპების შედარება, რეგიონების და წლების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მონაცემების არარსებობამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი შეფასების ჯგუფის მიერ კვლევის სათანადოდ განხორციელებას.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების დაფუძნება დადებითად ფასდება. თუმცა კვლევამ გვაჩვენა, რომ განათლების პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. მაგალითად, საჭიროა სკოლებიდან მონაცემების შეგროვება მოსწავლეთა დასწრების შესახებ, რაც გადაეცემა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და მონაცემთა ერთიან ბაზაში შეინახება. ამ ეტაპზე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა აგროვებს მონაცემებს მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან. კარგი იქნებოდა იდენტური მონაცემების შეგროვება და შენახვა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სხვა დონეების საგანმანათლებლო ერთეულებიდანაც (წინა-სასკოლო განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება). რეკომენდებულია დამატებითი კვლევის ჩატარება მონაცემთა შეგროვების პრიორიტეტების დასადგენად, რის შედეგადაც შემცირდება შრომის მოცულობა სხვადასხვა დავალებების შესრულებისას.

დანართი ა: შერჩევის მეთოდოლოგია

ა1 საწყისი შერჩევის მეთოდოლოგია

დაჯგუფების საფუძველზე შერჩევის გზით 66 რაიონიდან შეირჩა 20 რაიონი. გამოირიცხა ის რაიონები, რომელიც ხუთზე ნაკლებ სკოლას აერთიანებდა, ან არ იყო ხელმისაწვდომი კვლევისათვის კონფლიქტური რეგიონის სტატუსით კლასიფიკაციის გამო. მესტია, ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არ იქნა ჩართული კვლევაში, ვინაიდან დამკვირვებლებისათვის რთული იქნებოდა ტრანსპორტირება მონაცემთა შეკრების მიზნით. აგრეთვე, კვლევამ არ მოიცვა ეთნიკური უმცირესობების ოთხი რაიონი, ვინაიდან პროექტის განხორციელებისათვის განსაზღვრული დრო მასალების თარგმნის საშუალებას არ იძლეოდა. შესაბამისად, შეუძლებელია ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის განზოგადება მოცემულ რაიონებზე. მეორე მხრივ, სამწუხაროა, აღნიშნული რაიონების გამოთიშვა კვლევის პროცესიდან, ვინაიდან არსებობს მოსაზრება, რომ მოცემულ ტერიტორიულ ერთეულებში შედარებით მძიმე პრობლემები არსებობს.

შერჩევა განხორციელდა სტრატეგიკაციის/დაშრეგების მეთოდის საფუძველზე, რაც გულისხმობს სტრატაში სკოლების კლასიფიკაციას შემდეგი მონაცემების მიხედვით: 1) მოსწავლეების რაოდენობა; 2) მოიცავს, თუ არა რეგიონი მაღალმთიან რაიონს; 3) მოცემულ არეალში კონსოლიდირებული სკოლების რაოდენობა (მინიმუმ 5 ან პროპორციულად მინიმუმ 20%). ანგარიშში რეპრეზენტატიულობის თვალსაზრისით პირველი ორი მოთხოვნა სავალდებულოა წარმოადგენს, ხოლო მესამე მართვისა და ფინანსების ქვეთავში არის განხილული. დიდი რაიონების და მთიანი ერთეულების შესაბამისი დაფარვის მიზნით, „სასკოლო რაიონი“ 17500-ზე მეტი მოსწავლით და მაღალმთიანი რაიონები გათვალისწინებული იქნა შერჩევის მოდელში. შემდეგ რაიონების კლასიფიკაცია განხორციელდა რაიონის დონეზე მოსწავლეების სრული რაოდენობის გათვალისწინებით (იმპლისიტური სტრატეგიკაცია).

21 რაიონი მოიცავდა ხუთ, ან მეტ კონსოლიდირებულ სკოლას და ცხრა რაიონში სკოლების 20%-ის კონსოლიდაცია უკვე განხორციელებული იყო მიმდინარე ეტაპისათვის. კვლევისათვის შეირჩა შვიდი რაიონი 5100 ან ნაკლები მოსწავლეების რაოდენობით, ექვსი რაიონი 17500-ზე მეტი მოსწავლით, სამი მაღალმთიანი რაიონის სკოლა და 18 რაიონი კონსოლიდირებული სკოლებით.

ა2 მეორე ეტაპი

მეორე ეტაპზე, თითოეულ რაიონში შეირჩა 5-8 სკოლა დამკვირვებლებისათვის მონაცემთა შესაგროვებლად. შერჩეული მოდელი მოიცავს ხუთ რაიონს მოსწავლეების საერთო რაოდენობით 6000-ზე ნაკლები, ან მაღალმთიანი რაიონს; ექვს არამაღალმთიანი რაიონს მოსწავლეების რაოდენობით 6000-20000 და რვა რაიონს 20000-ზე მეტი მოსწავლის მანვენებლით. საწყის ეტაპზე კვლევისათვის შერჩეული სკოლების რაოდენობა შეადგენს 110-ს.

სკოლები შეირჩა იმ კომპონენტების შეწონვის საფუძველზე, რომელიც კვლევის ძირითად დაინტერესების საგანს წარმოადგენდა: კონსოლიდირებული სკოლები, პროექტი „ირმის ნახტომი“, სოფლის სკოლების ბიბლიოთეკების პროგრამა, სასკოლო ქსელი და ა.შ. შეწონვისას გათვალისწინებული იქნა სკოლები სამი სხვადასხვა პროგრამული კომპონენტით.

სხვადასხვა სახის მასწავლებელთა ტრენინგები, ხშირად მოცემულია მონაცემთა ბაზაში, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინიციატივების ნაწილი და შერჩევის

მოდელის განსაზღვრისას რთული იყო მათი გამოყოფა. მოცემული განპირობებული იყო მასწავლებლების სხვადასხვა ჯგუფებისათვის განსხვავებული ტრენინგის მოდულების განხორციელებით (მასწავლებელთა ტრენინგების ტრენინგი; სკოლის-ბაზაზე პროფესიული განვითარების ტრენინგები 2002-05 წელი; ახალი სასწავლო გეგმის ჩარჩოში განხორციელებული ტრენინგები საპილოტე სკოლებისათვის და ა.შ). ამასთანავე, კონსოლიდაციის შედეგად რიგმა მასწავლებლებმა შეიცვალეს სკოლა და შესაბამისად მოცემული ფაქტორის გათვალისწინება შერჩევისას არარეალისტურ შედეგებს წარმოადგენდა. შერჩევის მოდელი მოიცავს მხოლოდ საჯარო სკოლებს, ვინაიდან მოცემულ სკოლებში განხორციელდა პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ფარგლებში დაგეგმილი ინიციატივები. მონაცემები კერძო და არაქართულენოვან სკოლებზე კვლევის ჯგუფისათვის არ იყო ხელმისაწვდომი. შერჩევის მოდელში, კერძო ან არაქართულენოვანი სკოლას ენაცვლებოდა საჯარო სკოლა. მოცემული შერჩევის მოდელის სტრატეგიკაცია თითოეულ სკოლაში პროგრამული კომპონენტების რაოდენობით განხორციელდა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შერჩეული სკოლებიდან ყოველ ერთეულში ხორციელდებოდა მინიმუმ ერთი/ან არც ერთი პროგრამული ელემენტი. კვლევის განხორციელების პროცესში გამოვლინდა, რომ მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილმა ხუთმა სკოლა განიცადა კონსოლიდაცია.

ა3. შერჩევის მესამე ეტაპი

ბოლო ეტაპზე განისაზღვრა, რომ რთული იქნებოდა კონკრეტული მასწავლებლების შერჩევა საგნობრივი, თუ სხვა მახასიათებელი ნიშნებით კითხვარების შესავსებად. მიუხედავად ამისა, კვლევისთვის განსაზღვრული დროის ჩარჩო ყველა სკოლიდან მასწავლებლების სრული რაოდენობის მიერ შევსებული კითხვარების პროცესირების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ, შეფასების ჯგუფმა განახორციელა ხელმეორე/პოსტ სტრატეგიკაცია და მასწავლებლის შევსებული კითხვარების შერჩევა საგნობრივი სპეციფიკაციის მიხედვით. შემდეგ შეირჩა ყველა მასწავლებლის კითხვარი სკოლებიდან 19 ან ნაკლები მასწავლებლით, ყოველი მესამე ფორმა სკოლებიდან 20-50 მასწავლებლით და ყოველი მეხუთე - სკოლებიდან 50 მასწავლებლით.

საკლასო ოთახის გარემოს შესწავლისათვის, დამკვირვებლები დაესწრნენ სხვადასხვა კლასებს და საგნის საგაკვეთილო პროცესს. რეალისტური შედეგების მისაღებად, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები წინასწარ არ იყვნენ გაფრთხილებული საკლასო ოთახზე დაკვირვების შესახებ; ამასთანავე, სკოლებისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად დამკვირვებლები უმეტესად საკლასო ოთახის პირობებზე ახდენდნენ ფოკუსირებას, ვიდრე საგაკვეთილო პროცესზე.

დანართი ბ: მონაცემები მასწავლებელთა კითხვარზე 1

1 რა არის თქვენი ასაკობრივი ჯგუფი?

| 30 წლის ან უფრო ახალგაზრდა | 31 – 40 წლის | 41 – 50 წლის | 51 – 60 წლის | 61+ ან უფრო მეტის | |
|----------------------------|--------------|--------------|--------------|-------------------|------|
| 12 | 23 | 30 | 22 | 13 | 1415 |

2 რა გაქვთ დამთავრებული?

| საშუალო | უმაღლესი | |
|---------|----------|------|
| 4 | 92 | 1404 |

3. სულ რამდენი წელია მოღვაწეობთ მასწავლებლად?

| 5 წელი ან ნაკლები | 6-10 წელი | 11-20 წელი | 21 წელი ან მეტი | |
|-------------------|-----------|------------|-----------------|------|
| 12 | 12 | 28 | 48 | 1406 |

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ კლასებში ასწავლით?

| 1-4 | 5-6 | 7-9 | 10-12 | |
|-----|-----|-----|-------|------|
| 29 | 44 | 62 | 44 | 1430 |

5. დაახლოებით რა სიდიდის კლასებს ასწავლით?

| 15 ან მოსწავლეების უფრო მცირე რაოდენობა | 16-24 მოსწავლე | 25-29 მოსწავლე | 30-34 მოსწავლე | 35-39 მოსწავლე | 40 ან უფრო მეტი მოსწავლე | |
|---|----------------|----------------|----------------|----------------|--------------------------|------|
| 32 | 44 | 26 | 10 | 4 | 1 | 1430 |

6. მასწავლებელს შესაძლოა ჰქონდეს ერთი ან მეტი მიზანი მოსწავლეებისათვის შეკითხვების დასმისას, როდესაც მოსწავლეებს უსვამთ კითხვას, რამდენად ცდილობთ შემდეგი მიზნების მიღწევას?

| | არასდროს | ზოგჯერ | ხშირად | ძალიან ხშირად ან ყოველთვის | |
|--|----------|--------|--------|----------------------------|-----|
| ამოწმებთ, იცის თუ არა მოსწავლემ ზუსტი პასუხი | 40 | 52 | 8 | 0 | 664 |
| საშალებას აძლევთ მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები | 0 | 5 | 47 | 47 | 684 |
| ხელს უწყობთ მოსწავლეებს განმარტონ და ახსნან მათ მიერ მოწოდებული პასუხები | 0 | 8 | 41 | 51 | 676 |

7. გთხოვთ წაიკითხოთ თითოეული მოსაზრება ყურადღებით და მიუთითოთ, რამდენად ეთანხმებითყოთითოეულ მოსაზრებას ყოველი მოსაზრების გასწვრივ აღნიშნულ თქვენთვის მისაღები პასუხი.

| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმები | არ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები | |
|---|--------------------|------------|---------------|-----------------------|-----|
| საკაკვეთილო პროცესი ყველაზე ეფექტურია, როდესაც მასწავლებელი ატარებს ძირითადად ლექციის ტიპის გაკვეთილს | 2 | 21 | 63 | 13 | 684 |
| საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც მოსწავლეები დავალებს დამოუკიდებლად ასრულებენ. მასწავლებელს შეუძლია ნათლად განსაზღვროს მათი ცოდნის დონე. | 30 | 64 | 3 | 3 | 697 |
| მასწავლებლები გაცილებით მეტ ცოდნას ფლობენ, ვიდრე მოსწავლეები, ამიტომ მათ მოსწავლეებს უნდა მიაწოდონ მხოლოდ ინფორმაცია და ფაქტები. | 13 | 50 | 29 | 8 | 681 |
| გაკვეთილების მთავარი თემა უნდა იყოს პრობლემა, რომლისთვისაც მოსწავლეს შეუძლია სწორი და კონკრეტული პასუხის გამონახვა | 17 | 67 | 13 | 3 | 669 |
| მოსწავლეები ხშირად აფერხებენ გაკვეთილების მსვლელობას, როდესაც გაკვეთილის შესახებ საუბრობენ ერთმანეთში | 7 | 35 | 50 | 8 | 689 |
| მასწავლებლების შეფასება / შენიშვნები მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე უნდა ემსახუროდეს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას. | 2 | 2 | 60 | 35 | 693 |

8. გთხოვთ გაიხსენოთ მიმდინარე სასწავლო წელი, ის პერიოდი როდესაც კლასს აცნობდით ახალ სასწავლო მასალას, მიუთითეთ, რამდენად ხშირად ახორციელებდნენ თქვენი მოსწავლეები შემდეგ ქმედებებს.

| | იშვიათად ან არასდროს | თვეში 1-3 ჯერ | ხშირად | ძალიან ხშირად | სულ |
|--|----------------------|---------------|--------|---------------|-----|
| მოსწავლეები უსმენენ და აკეთებენ ჩანიშვნებს გაკვეთილის მსვლელობისას | 13 | 55 | 12 | 20 | 680 |
| მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ თანატოლთა დისკუსიებში და დებატებში | 10 | 12 | 60 | 19 | 686 |
| მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტებში, რომელიც ერთ დღეზე მეტი გრძელდება | 4 | 15 | 26 | 55 | 647 |
| მოსწავლე კითხულობს ჩუმად | 27 | 7 | 56 | 10 | 652 |
| მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში | 11 | 18 | 58 | 12 | 666 |
| მოსწავლეები აწყობენ საკლასო პრეზენტაციებს | 19 | 29 | 41 | 10 | 669 |
| მოსწავლეები მუშაობენ პრობლემატურ საკითხებზე | 21 | 21 | 50 | 8 | 666 |
| მოსწავლეები მონაწილეობენ გაკვეთილის პროცესში, სადაც ძირითადად მასწავლებელი საუბრობს. | 23 | 9 | 58 | 10 | 671 |

9. რამდენად კარგად ხართ მომზადებული, რომ საგანი ახალი სასწავლო გეგმით ასწავლოთ?

| საერთოდ არა | მცირედ | სათანადოდ | ძალიან კარგად | |
|-------------|--------|-----------|---------------|-----|
| 1 | 11 | 77 | 12 | 703 |

10. როგორ ფიქრობთ, ახალი სასწავლო გეგმა ზედმეტ თავისუფლებას გაძლევთ, ძალიან გზღუდავთ თუ შეეფერება თქვენს მოთხოვნებს?

| ზედმეტ თავისუფლებას გაძლევთ | ძალიან გზღუდავთ | შეეფერება თქვენს მოთხოვნებს | |
|-----------------------------|-----------------|-----------------------------|-----|
| 12 | 7 | 82 | 690 |

11. როგორ ფიქრობთ, ახალი სასწავლო გეგმა ძალიან ბუნდოვანია, ძალიან დაკონკრეტებულია თუ შეეფერება თქვენს მოთხოვნებს?

| ძალიან ბუნდოვანია | ძალიან დაკონკრეტებულია | შეეფერება თქვენს მოთხოვნებს | |
|-------------------|------------------------|-----------------------------|-----|
| 17 | 14 | 69 | 693 |

12. თქვენი აზრით რამდენად აძლევეს სკოლას და მასწავლებლებს ახალი სასწავლო გეგმა არჩევანის თავისუფლებას?

| მცირედ | საშუალოდ | მეტად | |
|--------|----------|-------|-----|
| 7 | 63 | 30 | 694 |

13. თქვენი აზრით, მოსწავლეების რომელი დონეების ერთდროულად სწავლების საშუალებას/უფლებას გაძლევთ ახალი სასწავლო პროგრამა.

| ძირითადად საშუალო ან ძლიერი დონის მოსწავლეების | ძირითადად საშუალო ან სუსტი დონის მოსწავლეების | ყველა დონის მოსწავლეების | |
|--|---|--------------------------|-----|
| 24 | 16 | 61 | 698 |

14. რამდენად შესაძლებელია ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში აქტიური სწავლება?

| საერთოდ არ არის შესაძლებელი | მეტ-ნაკლებად შესაძლებელია | შესაძლებელია | |
|-----------------------------|---------------------------|--------------|-----|
| 3 | 41 | 56 | 698 |

15. ზოგიერთი მასწავლებელი აქტიური სწავლების მეთოდს იყენებს თითქმის ყველა კლასში, ზოგი კი საერთოდ არ იყენებს. თქვენ რამდენ კლასში იყენებთ აქტიური სწავლების მეთოდს?

| არცერთ კლასში | რამდენიმე კლასში | ბევრ კლასში | თითქმის ყველა კლასში | |
|---------------|------------------|-------------|----------------------|-----|
| 2 | 30 | 16 | 52 | 678 |

18. ახალი სასწავლო გეგმის წარდგენის შემდეგ, თქვენს სკოლაში მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ხარისხი გაიზარდა, შემცირდა თუ იგივე დარჩა?

| გაიზარდა | იგივე დარჩა | შემცირდა | |
|----------|-------------|----------|-----|
| 58 | 38 | 4 | 695 |

19. თქვენი აზრით ახალი 10 ქულიანი შეფასების სისტემა ზედმეტად ფართოა, იმისათვის რომ გამოყენებულ იქნას შეფასების ინსტრუმენტად.

| ღიას | არა | არ ვიცი | |
|------|-----|---------|-----|
| 42 | 44 | 14 | 695 |

20. თქვენი აზრით, აქტიური სწავლებებისა და შემოქმედებითი აზროვნების მიზნების განხორციელების თვალსაზრისით ძველი სასწავლო გეგმა უკეთესი იყო თუ ახალი?

| ახალი უკეთესია | დაახლოებით ერთი და იგივეა | ძველი უკეთესი იყო | |
|----------------|---------------------------|-------------------|-----|
| 70 | 16 | 13 | 697 |

21. არის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ახალი სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი თქვენი კლასისათვის?

| დიახ | არა | |
|------|-----|-----|
| 57 | 43 | 695 |

22. არის თქვენს სკოლაში ბიბლიოთეკა ან ცალკე გამოყოფილი ოთახი მოსწავლეების საჭირო საკითხავი წიგნებითა და მასალებით?

| დიახ | არა | არ ვიცი | ნ |
|------|-----|---------|-----|
| 77 | 19 | 4 | 702 |

23. თუ თქვენს სკოლაში არის ბიბლიოთეკა, არის იქ წიგნები, რომლებიც ხელს უწყობს ახალ სასწავლო პროგრამით სწავლებას?

| არ არის ბიბლიოთეკა | დიახ | ნაწილობრივ | არა | არ ვიცი |
|--------------------|------|------------|-----|---------|
|--------------------|------|------------|-----|---------|

24. თუ თქვენს სკოლაში არის ბიბლიოთეკა, რამდენად ხშირად შედისართ ბიბლიოთეკაში და იყენებთ წიგნებს?

| არასდროს | იშვიათად | ბევრჯერ | |
|----------|----------|---------|-----|
| 15 | 44 | 40 | 666 |

25. აძლეუთ თქვენს მოსწავლეებს დაგალებებს, რომელთა შესასრულებლად სახელმძღვანელოს გარდა სხვა წიგნების გამოყენებაა საჭირო?

| დიახ | არა | ნ |
|------|-----|-----|
| 85 | 15 | 698 |

26. მოსწავლეების რა ნაწილს არ აქვს ახალი სახელმძღვანელოები თქვენს კლასში?

| ახალი სახელმძღვანელოები არ არის მზად იმ კლასებისათვის, რომელსაც ვასწავლი | არცერთს ან რამდენიმეს არ აქვს | მცირე რაოდენობას აქვს | ბევრს არ აქვს | 6 |
|--|-------------------------------|-----------------------|---------------|-----|
| 11 | 10 | 53 | 26 | 669 |

27. რა სიხშირით იყენებთ სახელმძღვანელოს?

| არცერთ ან რამდენიმე კლასში | მცირე რაოდენობით კლასში | ზოგიერთ კლასში | ჩემი კლასების უმრავლესობაში | |
|----------------------------|-------------------------|----------------|-----------------------------|-----|
| 3 | 8 | 8 | 82 | 673 |

28. რამდენად შესაბამისია ახალი სახელმძღვანელოები აქტიური სწავლებისათვის?

| შესაბამება | მეტ-ნაკლებად შესაბამება | სრულიად არ შესაბამება | |
|------------|-------------------------|-----------------------|-----|
| 55 | 42 | 3 | 682 |

29. რამდენად შეესაბამება ახალი სახელმძღვანელოები მოსწავლეების საშუალო წერის/კითხვის დონეს?

| მოსწავლეთა უნარებზე დაბალია | მათი შესაბამისია | აღემატება | არ მაქვს პასუხი | |
|-----------------------------|------------------|-----------|-----------------|-----|
| 7 | 61 | 13 | 19 | 682 |

30. ხელმისაწვდომია მასწავლებელთა სახელმძღვანელოები რომლებიც გაწვდით ინსტრუქციებს ახალი მასალის სწავლებასთან დაკავშირებით?

| დიახ | არა | 6 |
|------|-----|-----|
| 56 | 44 | 690 |

31. რამდენად შეიცავს მასწავლებელთა სახელმძღვანელოები შემოთავაზებულ გაკვეთილების გეგმებს და აქტიური სწავლებისათვის საჭირო ელემენტებს?

| ძალიან ცოტას | რამდენიც საჭიროა | საკმარისზე მეტად | არ მაქვს პასუხი | 6 |
|--------------|------------------|------------------|-----------------|-----|
| 28 | 46 | 7 | 19 | 685 |

32. ბოლო 2 წლის განმავლობაში, შეიცვალა თქვენ სკოლაში სწავლება ახალი სასწავლო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით?

| დიახ | არა | არ ვიცი | |
|------|-----|---------|-----|
| 81 | 9 | 10 | 699 |

2 33. რამდენად კარგად ხართ მომზადებული 10 ქულიანი შეფასების სისტემით სარგებლობისათვის?

| | | | |
|---------------|----------|-------|-----|
| ძალიან კარგად | საშუალოდ | ცუდად | |
| 36 | 61 | 3 | 692 |

34. ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი მიგაჩნიათ თქვენი სწავლების პროცესის ხელის შეშლელ ასპექტად?

| | დიახ | არა | |
|--|------|-----|-----|
| მონაწილეობის არ მიღება ტრენინგებში, რომელიც ახალი სასწავლო მეთოდებით სწავლებას ითვალისწინებს | 32 | 68 | 662 |
| სწავლების ახალი მეთოდები არ შეესაბამება მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკას კლასში | 56 | 44 | 626 |
| გაკვეთილის დრო არ არის საკმარისი სწავლების ახალი მეთოდებით სარგებლობისათვის | 56 | 44 | 646 |
| პირადად არ გამაჩნია საკმარისი დრო, რომ პრაქტიკულად დავიწყო ახალი სასწავლო მეთოდების გამოყენება | 70 | 30 | 624 |
| მასწავლებელთა პროფესიული ტრენინგების ხარისხი, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოვიყენოთ სწავლების ახალი მეთოდები კლასში არაა დამაკმაყოფილებელია | 51 | 49 | 633 |
| არ არის საკმარისი თავისუფლება სასწავლო გეგმაში, იმისათვის რომ განახორციელო სწავლების ახალი მეთოდები | 67 | 33 | 625 |
| არ გამაჩნია საჭირო მოწყობილობა, ან მასალები | 36 | 64 | 634 |
| კლასში ძალიან ბევრი მოსწავლეა, ან არ არის საკმარისი სივრცე საკლასო ოთახში სწავლების ახალი მეთოდებით სარგებლობისათვის | 59 | 41 | 637 |
| ჩემს სკოლაში სწავლების ახალი მეთოდებით მუშაობისათვის არ არსებობს შესაბამისი გარემო | 66 | 34 | 634 |

35. რამდენად ხშირად გქონდათ ქვემოთ წარმოდგენილი პროფესიული ურთიერთობები/განხილვები სხვადასხვა საკითხებზე გასულ წელს?

| | არასოდეს ან არ შემიძლია პასუხის გაცემა | იშვიათად | თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე | მინიმუმ კვირაში ერთხელ | |
|--|--|----------|-----------------------------|------------------------|-----|
| მსჯელობა თქვენი კათედრის მასწავლებლებთან ერთად, თუ როგორ უნდა მოხდეს კონკრეტული საკითხების სწავლება კლასში | 7 | 28 | 52 | 13 | 681 |
| მოსწავლეების პროექტების განხილვა სხვა მასწავლებლებთან ერთად, ან მოსწავლეთა პროექტების გაზიარება | 17 | 51 | 26 | 5 | 656 |
| საკითხების განხილვა სხვა სკოლების მასწავლებლებთან სასკოლო ქსელის გამოყენებით | 29 | 55 | 14 | 2 | 648 |
| დისკუსიები/ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა სკოლების მასწავლებლებთან განათლების რესურს-ცენტრის დახმარებით | 34 | 43 | 21 | 2 | 658 |
| ინფორმაციის გაზიარება სხვა სკოლების მასწავლებლებთან სხვა საშუალებების გამოყენებით | 27 | 52 | 19 | 2 | 656 |

36. გთხოვთ, აღნიშნოთ პროფესიული განვითარების ის შესაძლებლობები, რომელშიც ბოლო 6 წლის მანძილზე იყავით ჩართული:

| | მართალია | არ არის მართალი | |
|--|----------|-----------------|------------------|
| არ გამჩნია ინფორმაცია პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო | 31 | 69 | 651 |
| ბოლო 6 წლის მანძილზე მონაწილეობა არ მიმიღია პროფესიული განვითარების პროგრამაში, ან სემინარში | 33 | 67 | 1119 |
| გავიარე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგი(მომანიჭეს ტრენერის სტატუსი) და ვატარებდი ტრენინგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში | 27 | 73 | 625 ¹ |
| გავიარე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგი, რომელიც ჩემს სკოლაში ჩატარდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში | 61 | 40 | 1047 |
| ჩართული ვარ/ვიყავი ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ტრენინგების ციკლში | 63 | 37 | 641 ¹ |
| არ გამჩნია ინფორმაცია პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო | 15 | 85 | 295 ¹ |
| ბოლო 6 წლის მანძილზე მონაწილეობა არ მიმიღია პროფესიული განვითარების პროგრამაში, ან სემინარში | 11 | 89 | 330 ¹ |
| გავიარე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგი(მომანიჭეს ტრენერის სტატუსი) და ვატარებდი ტრენინგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში | 13 | 86 | 368 ¹ |
| გავიარე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგი, რომელიც ჩემს სკოლაში ჩატარდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში | 45 | 55 | 415 ¹ |

37. თუ მონაწილეობა მივიღიათ გთხოვთ, მიუთითოთ თუ რამდენად ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ წარმოდგენილ მოსაზრებას:

| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმები | არ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები | |
